

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია  
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ  
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

8



საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

V

სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების  
ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები  
საქართველოს შესახებ

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები  
და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ

### მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მონაწილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხომტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედ. მონაწილე)

სერიის რედაქტორი	ს. ყაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორი	ნ. ჯანაშია

### ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикинадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликшвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария

Редактор серии	С. Г. КАУХЧИШВИЛИ
Редактор тома	Н. С. ДЖАНАШИА

## საქართველოს ისტორიის წმაროების კომისია

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ე. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, კ. გრიგოლია, ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთათიძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. სურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (თავმჯდომარე), მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია  
კომისიის მდივანი მ. აბაშიძე

## КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джикия, Ш. В. Дзидзигური (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикиадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метревели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошнашвили, Э. В. Хоштария

Секретарь комиссии М. Д. Абашидзе



9 (C 41)

9 (47.922) (001)+90 (47.925)

ს 323

სომხურ ხელნაწერთა XIV–XV სს. ანდერძები (პიშატაკარანები) საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებამდე ისინი თითქმის სავსებით შეუსწავლელი იყო. პიშატაკარანების ცნობათა შუქზე ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიის ცალკეული, დღეისათვის ნაკლებ-შესწავლილი საკითხები.

Памятные записи (пишатакараны) армянских рукописей XIV—XV вв являются важным источником истории Грузии. В грузинской историографии большинство из них впервые вводится в научный оборот. В свете сведений памятных записей в работе освещаются отдельные, доныне недостаточно изученные вопросы истории Грузии.

## შ ა ს ა ვ ა ლ ი

ცნობილია, რომ XIV—XV საუკუნეთა საქართველოს ისტორიის ქართული წერილობითი წყაროები მეტისმეტად მწირია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „თეჟურ-ლენგის შემოსევის დროს მოხდარმა საქართველოს აოხრებამ, წინა და იმ საუკუნეების მრავალი ძეგლი იმსხვერპლა და ამიტომ XIV ს. ამბების გასაშუქებლად მცირეოდენი, ისიც შემთხვევით გადარჩენილი, მასალა-ლა მოგვეპოვება“<sup>1</sup>. ამის გამო, აღნიშნული ხანის ჩვენთვის საინტერესო უცხოური წყაროების ფასი კიდევ უფრო იზრდება; ახალი წყაროების გამოვლენა და შესწავლა გადაუდებელი ამოცანა ხდება. ივ. ჯავახიშვილას სიტყვითვე, „XIV—XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის მკვლევარი ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საქართველოს მაშინდელი ამბებისა და საერთო ვითარების გამოსარკვევად უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი, წყაროს გამოყენების გარდა, თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება“<sup>2</sup>. ასეთ ვითარებაში საქართველოს ისტორიის სომხურ წყაროებს, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ქართულ წყაროებთან ერთად ისინიც საპირისპირო მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა ხელიდანაა გამოსული და თავიანთი ბუნებით დიდად განსხვავდებიან საერთო „მტრისაგან დაწერილი“ საისტორიო ნაწარმოებებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ XIV—XV სს. სომხური ისტორიოგრაფიის დაკნინების ხანაა, იმდროინდელი სომხური მწერლობის ძეგლებში, კერძოდ, ხელნაწერთა ანდერძებში (კიშატაკარანებში) ჩვენთვის საყურადღებო მრავალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობა მოიპოვება. საზოგადოდ, საქართველოს ისტორიის მკვლევარნი იმთავითვე ფართოდ იყენებდნენ ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მონაცემებს. მაგრამ იმის გამო, რომ სომხურ

<sup>1</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 263.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 278.

ხელნაწერთა ჰიშატაკარანების კრებულები მხოლოდ ბოლო ხანებში გამოიცა, მათი ცნობები ჯეროვნად შესწავლილი არ ყოფილა.

\* \* \*

„ჰიშატაკარან“ მომდინარეობს სიტყვიდან „ჰიშატაკ“, რაც ხსოვნას ნიშნავს; იგი მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა, აღნიშნავდა საღმრთო წერილის ისტორიულ ნაწილს, აგიოგრაფიულ და საისტორიო ნაწარმოებებს, ძეგლს, ობელისკს და ა. შ.<sup>3</sup>

ხელნაწერთა ჰიშატაკარანები წარმომავლობით იგივე სახის ძეგლებია, რასაც ძველ შერლობასა და თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერთა ანდერძები ეწოდება, ხოლო ახალი ხანის ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში — colophon<sup>4</sup>, რითაც აღრინდელ ნაბეჭდ წიგნთა ანდერძებსაც აღნიშნავენ: აქედან გამომდინარე, სომხურ ხელნაწერთა ჰიშატაკარანების დანიშნულებაც იყო აღენიშნა ხელნაწერის წარმოშობისა და მასთან დაკავშირებული პირების შესახებ, უკვდავეყო მათი და მათი მახლობლების ხსოვნა.

უძველესი თარიღიანი სომხური ხელნაწერი IX საუკუნისაა (887 წ.); მას ჰიშატაკარანიც ერთვის. გვიანდელ ხელნაწერებში შენორჩენილია VI—VIII სს. გადმოყოლილი ჰიშატაკარანებიც, თუმცა მათი უტყუარობა ყოველთვის უდავო არაა.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხურ ხელნაწერთა ჰიშატაკარანების აგებულებაში ცვლილებები შეიმჩნევა, ისინი უფრო შინაარსიანი ხდებიან და მათი მოცულობაც თანდათან იზრდება<sup>5</sup>, მათში გამოიყოფა ე. წ. „ისტორიული“ ნაწილი, რომელშიც თანადროული პოლიტიკური ვითარების შესახებ ხშირად ძვირფასი ცნობები მოიპოვება: ამის გამო, ხელნაწერთა ჰიშატაკარანები წარმოადგენენ შესანიშნავ პირველწყაროს და არა მარტო სომხეთის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებისა და მთელი მახლობელი აღმოსავ-

<sup>3</sup> სირ ფაოჟირე ნაქაყხანი, ქვიციჩი ნ. 2, ქსენოქი. 1837, გვ. 359; ლ. ჩაქაჩიანი, მხოცხირი ჩიქაოსკარანნჩი რიჩანირ კაიოცყაბრნი რიქანსკიოცინი, ჩანჩხი ხეჩანსი ჩამაქარანსი, 1973, №1, გვ. 189; ყ. ჴანჩიქანი. ლაქ მსჩილარაქინ ფრასანიოქანს ყაიოციოცინი. ხ., 1961, გვ. 53—54.

<sup>4</sup> An Essay on Colophons, Chicago, 1905, გვ. X—XI.

<sup>5</sup> Л. С. Хачикян, Памятные записи армянских рукописей как исторический источник (აღმოსავლეთმცოდნეთა XXV სეკრეტორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენება), М., 1963, გვ. 2.

ლეთის ისტორიისათვისაც, რამდენადაც სომხები ამ ქვეყნებთან მკვიდროდ, მრავალმხრივ დაკავშირებული იყვნენ.

თანდათან ჩამოყალიბდა გარკვეული მოდელი, რომლის მიხედვით იწერებოდა სანიმუშო ჰიშატაკარანი. იგი იწყებოდა ღვთისადმი მიძღვნილი სტერეოტიპული შესავლით, რომელსაც, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, თითქმის არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ამით აიხსნება, რომ გამომცემელი არ უსაყვედურებენ მათ გამოტოვებას<sup>6</sup>. შემდეგ, ხშირად გარკვეული თანმიმდევრობით, აღნიშნულია თუ სად, როდის და როგორ ვითარებაში დამზადდა ხელნაწერი და ვისი სახელები უკავშირდება ამ პროცესს, ხელნაწერის მომგებელი იხსენიება დიდი ქებით, ხოლო გადამწერი თავმდაბლობის გამომხატველი ეპითეტების მთელი სერიით, აღნიშნულია თუ ვინ იყვნენ იმ დროს საერო და სასულიერო ხელისუფალნი, მკითხველებს შესთხოვენ გაუფრთხილდნენ ხელნაწერს და სხვა<sup>7</sup>.

XIII საუკუნიდან ხელნაწერთა ჰიშატაკარანების „ისტორიული“ ნაწილი ხშირად მცირე ქრონიკის, მცირე ზომის საისტორიო თხზულების სახეს იღებს და მათ ზოგჯერ დამოუკიდებელ ნაწარმოებებადაც მიიჩნევენ<sup>8</sup>. სხვადასხვა დროს დაიწერა ბიოგრაფიის, ავტობიოგრაფიის, წმინდანთა ცხოვრების, გოდების, მოძღვრება-ქადაგების ტიპის ჰიშატაკარანები<sup>9</sup>.

ხელნაწერთა ანდერძების, კოლოფონების აგებულებას ამ ზომამდე ცვლილება სხვა ხალხთა ისტორიაში ცნობილი არაა<sup>10</sup>.

---

<sup>6</sup> იხ. ი. აბულაძის რეცენზია ლ. ხაჩიკიანის გამოცემაზე — ძხვ. 1973, № 1, გვ. 182; 2. Բ ա խ չ ի Ն յ ա ն, დასახ. ნაშრომი, გვ. 192; Памятные записи армянских средневековых рукописей, предисловие, комментарии и перевод К. Ю з б а ш я н а, Литературная Армения, 1973, № 9, გვ. 50; ა. ა ბ ღ ა ლ ა ძ ე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძმაგებები და მათი მნიშვნელობა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის, პართული წყარომეცნიერება. IV. თბ., 1973, გვ. 23. 25—26.

<sup>7</sup> A. K. S a n j i a n, The historical significance of the colophons of armenian manuscripts, Le Museon, LXXXI, 1—2, 1968, გვ. 182; 2. Բ ա խ չ ի Ն յ ա ն, დასახ. ნაშრომი, გვ. 192; Памятные записи армянских средневековых рукописей, предисловие, комментарии и перевод К. Ю з б а ш я н а, Литературная Армения, 1973, № 9, გვ. 50; ა. ა ბ ღ ა ლ ა ძ ე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძმაგებები და მათი მნიშვნელობა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის, პართული წყარომეცნიერება. IV. თბ., 1973, გვ. 23. 25—26.

<sup>8</sup> 2. Բ ա խ չ ի Ն յ ա ն, Զեռագրական ჩխատოსկարანների գარდაգვანან რნარეբ, Լրարեր հասարակական գաორკուინների. ხ., 1973, № 6. გვ. 86.

<sup>9</sup> 2. Բ ա խ չ ի Ն յ ա ն, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—89; Գ Տ ե Ր-Դ ա Վ Ր յ ա ն. Զայ Միգნարյան Վարր-ჩխատოსկարანների Պատմա-բանասիրական հանդես, 1976, № 3, გვ. 106—116.

<sup>10</sup> A. K. S a n j i a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

ვეფქრობთ, ჰიშატაკარანებში თანადროული პოლიტიკური ვითარების აღწერის ტრადიციად ქვევას ძირითადად ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ა. გარკვეული მიზეზების გამო საისტორიო მწერლობა ძველი სომხური ორიგინალური ლიტერატურის მთავარი ჟანრი გახდა. ბ. სასულიერო მწერლობის ძეგლთა ხელნაწერების ანდერძებში საერო ამბების შესახებ ვრცელ თხრობას ეკლესია, ჩვეულებრივ, ვერ შეურიგდებოდა. სომხური ეკლესიის თვითმყოფობა კი ამ მიმართულებით, ეტყობა, შედარებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

როგორც საისტორიო პირველწყაროს, ხელნაწერთა ჰიშატაკარანებს სხვა წყაროებთან შედარებით აქვთ გარკვეული უპირატესობანი. თუმცა ზოგი ნაკლიც. ჰიშატაკარანთა ავტორები აღწერენ თანადროულ ამბებს, რომელთა თვითმხილველნი და თანადამხედურნიც კი არიან ზოგჯერ. ამიტომ მათი ცნობები იმავე ამბების ათეული და ზოგჯერ ასეული წლების შემდეგ აღმწერ საისტორიო თხზულებებთან შედარებით უფრო ანგარიშგასაწევეია და ისევე სანდოდ ითვლება, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლებისა. ჰიშატაკარანებში ხშირად მოიპოვება ცნობები ხალხთა ფართო მასების, სოციალ-ეკონომიური ცხოვრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომელთაც ძველი სომეხი ისტორიკოსები შედარებით ნაკლებად ან სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. ფასდაუდებელია ჰიშატაკარანების მონაცემები ქრონოლოგიისათვის.

რაც შეეხება ხელნაწერთა ჰიშატაკარანების, როგორც საისტორიო წყაროს ნაკლს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მათი შეზღუდულობა. ესა თუ ის ფაქტი მხოლოდ მაშინ იპყრობს ჰიშატაკარანების მწერალთა ყურადღებას, თუ იგი უშუალოდ ეხება მათ შედარებით ვიწროდ შემოფარგულ სამყაროს<sup>11</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე ჰიშატაკარანთა ავტორებისათვის დამახასიათებელი ფაქტების გამძაფრების ტენდენცია; ამით ისინი უფრო მკვეთრად წარმოაჩენენ იმ არახელსაყრელ პირობებს, რომელშიაც მუშაობა უხდებოდათ.

გარკვეული ღირსებების გამო, სომეხი ისტორიკოსები ხელნაწერთა ჰიშატაკარანებს წყაროდ დიდი ხანია იყენებენ. ჯერ კიდევ სტეფანოს ორბელიანი სარგებლობდა მათი ცნობებით. ჰიშატაკარა-

<sup>11</sup> А. К. Сапjian. დასახ. ნაშრომი, გვ. 194; Л. С. Хачкян, Памятные записи армянских рукописей XV века, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Ереван, 1961, გვ. 5; К. Юзбашян. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

ნებს იყენებდა XVII ს-ის ისტორიკოსი არაქელ დავრიეციც. XVIII ს-ის მეორე ნახევარში „სომხეთის ისტორიის“ დასაწერად მიქაელ ჩამჩიანისათვის ჰიშატაკარანები ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა. ისევე როგორც ფილოლოგები, XIX—XX სს. მრავალი სომეხი ისტორიკოსიც ფართოდ იყენებს მათ. მასალათა ნაკლებობის გამო ზოგიერთი ხანის შესასწავლად ისინი უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ<sup>12</sup>.

ორიოდე სიტყვით შევეხთ ჰიშატაკარანების ენასა და სტილსაც. მათი ავტორები ცდილობენ დაიკვან ძველი სომხური ენის ნორმები, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადის და ვუახლოვდებით ახალ ხანას, ამას იშვიათად აღწევენ. განსაკუთრებით XIV საუკუნიდან მოყოლებული ჰიშატაკარანებში მრავლადია დიალექტიზმები და უცხო სიტყვები. თავისთავად, ეს მოვლენა მრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ამის გამო ზოგჯერ ტექსტის გაგება ძნელდება.

ჰიშატაკარანები ხშირად დაწერილია იმდენად გულწრფელად, რომ თითქოს უშუალოდ გვესმის ჩვენგან საუკუნეებით დაცილებულ ადამიანთა ბუნებრივი ხმა<sup>13</sup>. ამავე დროს, შესავალ ნაწილს და ამა თუ იმ პირის ღირსებათა წარმოჩენის მიზნით სხვა ადგილებსაც ჰიშატაკარანთა ავტორები ხანდახან მალაღფარდოვანი, საზეიმო სტილით წერენ. ამ მხრივ ისინი ზოგჯერ ბაბილონურ წარწერებს მოგვაგონებენო, აღნიშნავს პ. პეტერსი<sup>14</sup>.

\* \* \*

სომხურ ხელნაწერთა ჰიშატაკარანებში საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება X საუკუნიდან. ჩვენ თარგმნილი და კომენტარებული გვაქვს X—XIII სს. ჰიშატაკარანების ცნობებიც<sup>15</sup>, მაგრამ ამ საუკუნეების ჰიშატაკარანები სრულად არ არის

<sup>12</sup> A. K. Sapjjan, დასახ. ნაშრომი, გვ. 183—184; Л. С. Хачикян, Памятные записи армянских рукописей как исторический источник, გვ. 2—3; Հ. Բախչեյան. Ձեռագրական հիշատակարանների զարգացման ընթացքը, გვ. 86.

<sup>13</sup> A. K. Sapjjan, დასახ. ნაშრომი, გვ. 191; Ա. Աբրահამյან, Հայ գրի სქ ფრესკის պათմირიონ. Ե., 1959, გვ. 380.

<sup>14</sup> P. Peeters, Orient et Byzance, le trefonds oriental de l'hagiographie byzantine, გვ. 192.

<sup>15</sup> იხ. А. П. Абдаладзе. Памятные записи армянских рукописей как источник по истории Грузии X—XIII веков, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1973.

გამოცემული და ამის გამოც გადავწყვიტეთ XIV—XV სს. ჰიშატაკარანებიდან ამოკრებილი და კომენტირებული ჩვენთვის საინტერესო ცნობების ცალკე გამოქვეყნება. აღებული ხანის საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად იმდენად საჭიროდ გვესახება წიგნში წარმოდგენილი მასალა, რომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მათი გამოქვეყნების გადადება იმ დროისათვის, როდესაც სომხურ ხელნაწერთა ჰიშატაკარანების კორპუსის გამოცემა დასრულდება. გარდა ამისა, საქართველოს შესახებ სომხური ხელნაწერების ჰიშატაკარანთა ცნობების ერთ წიგნში მოთავსებაც გაჭირდება.

ამა თუ იმ ქვეყანაში გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებსა და მინაწერებში სხვა ქვეყნების ისტორიის შესასწავლად გამოსადეგი ცნობების არსებობა ჩვეულებრივი ამბავი არაა. ამიტომ ისმის კითხვა: რა განაპირობებს საქართველოს საზღვრებს გარეთ გადაწერილ ხელნაწერთა ჰიშატაკარანებში ჩვენთვის საინტერესო მასალის არსებობას? პირველ რიგში ის, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერთა ჰიშატაკარანები თავისებურებებით გამოირჩევიან, ისინი თანდათანობით დიდად დასცილდნენ იმავე წარმომავლობის ხელნაწერთა ანდერძებს, კოლოფონებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთი და სომხები ისტორიულად მჭიდროდ, მრავალმხრივ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ XIV—XV საუკუნეებში<sup>16</sup>. რაც შეეხება საქართველოში გადაწერილ სომხურ ხელნაწერთა ჰიშატაკარანებს, ცხადია, მათ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ჰიშატაკარანებში ძირითადად საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად მოიპოვება მასალა; მეტად საყურადღებოა მათი ცნობები აღებული ხანის, ისევე როგორც წინა საუკუნეების ქრონოლოგიისათვის. ჰიშატაკარანების მეშვეობით ზოგჯერ სრულიად ახალ, მნიშვნელოვან ამბავს ვიგებთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, შექი ეფინება ზოგ სადავო საკითხს, წმირად ივსება და ზუსტდება სხვა წყაროების ცნობები. ჰიშატაკარანები ადასტურებენ, რომ სომხურმა მოსახლეობამ დიდი რაოდენობით მოაშურა საქართველოს XIV, განსაკუთრებით კი XV საუკუნეში, აღნიშნულია ისიც, თუ სახელდობრ სად დამკვიდრდნენ მოსული სომხები. XV საუკუნეში თვალსაჩინოდ უნდა მოემატა მათ რიცხვს

<sup>16</sup> იხ. ა. აბლაძე, საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობათა შუქზე, საისტორიო კრებული, V, თბ., 1976, გვ. 82—83; მისივე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 3, გვ. 75—76.

თბილისში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ აქ XIV საუკუნეში გადაწერილი მხოლოდ ორი ხელნაწერია ცნობილი, XV საუკუნეში კი — თხუთმეტი, ამათგან თერთმეტი 1432 — 1463 წლებისაა. მართალია, XV ს-ის სომხური ხელნაწერი დაახლოებით ორჯერ მეტია ცნობილი, ვიდრე XIV საუკუნისა, მაგრამ ამის გათვალისწინებითაც აშკარაა, რომ XV საუკუნეში თბილისში გაცილებით მეტი სომხური ხელნაწერი დამზადებულა, ვიდრე წინა საუკუნეში. როგორც ეტყობა, XV ს-ის მეორე მეოთხედში სომხები დიდი რაოდენობით მოვიდნენ და დამკვიდრდნენ თბილისში. მათი გამოყენებით ქართველი ხელისუფალნი ცდილობდნენ, ალბათ, XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის პირველ ნახევარში მტერთა შემოსევების შედეგად დაკნინებული ვაჭრობა-ხელოსნობა გამოეცოცხლებინათ.

XIV—XV სს. საქართველოს შესახებ ხელნაწერთა ჰიშატაკარანების ცნობების ღირსებებთან ერთად უნდა აღინიშნოს მათი ფრაკმენტულობაც. მასალების მეტისმეტი ნაკლებობა რომ არა, შესაძლოა, ჰიშატაკარანები არც ჩათვლილიყო აღებული ხანის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ. რამდენიმე წლის წინათ გამოიცა XVII ს-ის პირველი ოცწლეულის ჰიშატაკარანების შემცველი კრებული (მასში ათასზე მეტი ერთეული შედის). საქართველოს შესახებ ცნობები იქაც მოიპოვება, მაგრამ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ ჩვენთვის გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე XIV—XV სს. ჰიშატაკარანებს. უწინარეს ყოვლისა, ეს გამოწვეულია იმით, რომ XVII ს-ის პირველი მეოთხედის შესახებ მასალები შედარებით უხვად მოგვეპოვება, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს საქართველოს აღარა აქვს ისეთი გავლენა საერთაშორისო სარბიელზე, როგორც XIV—XV საუკუნეებში ჰქონდა.

საქართველოში შემოჭრილ მტერთა რაოდენობის, საქართველოს მცხოვრებთა მსხვერპლის და სხვა რიცხობრივი მონაცემებიც ჰიშატაკარანებში ხშირად გაზვიადებული ჩანს, თუმცა, შესაძლოა, ზოგჯერ ეს გამოწვეული იყოს არა სინამდვილის შეგნებული გაყალბებით, არამედ იმით, რომ იმდროინდელ ადამიანებს მრავალრიცხოვანი კრებული გაცილებით უფრო მეტად ეჩვენებოდათ, ვიდრე ის იყო.



ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერის ჰიშატაკა-რანის შესატყვისად რამდენიმე ტერმინი გვხვდება: „მინაწერი“<sup>17</sup>, „მინაწერ-ანდერძი“<sup>18</sup>, „ანდერძნამაგი“<sup>19</sup>, „ანდერძ-მოსახსენებელი“<sup>20</sup>, „ანდერძი“<sup>20</sup>, „მოსახსენებელი“<sup>21</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერთა ჰიშატაკარანები წარმომავლობით იგივეა, რაც ხელნაწერთა ანდერძები, კოლოფონები. ამიტომ უფრო მისაღებია, ქართულად მათ ხელნაწერთა ანდერძები ვუწოდოთ. ამასთანავე სასურველია, სახელწოდებაშივე იყოს მინიშნებული განსხვავებაც, რომელიც თანდათან წარმოიქმნა ხელნაწერთა ჰიშატაკარანებსა და ანდერძებს შორის. ამის გამო, ჩვენ ვფიქრობდით, რომ უმჯობესი იყო „ჰიშატაკარან“-ის შესატყვისად გვეხმარა „ანდერძ-მინაწერი“<sup>22</sup>, მაგრამ რადგან „მინაწერი“ გარკვეული სახის ძეგლთა აღმნიშვნელი ტერმინია, „ანდერძ-მინაწერის“ შემოტანამ „ჰიშატაკარან“-ის შესატყვისად. შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა შექმნას ხელნაწერთა ჰიშატაკარანების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულის გამო. ჩვენ ამჟამად ვამჯობინებთ, სომხური „ჰიშატაკარან“, ვითარცა ხელნაწერთათვისებური ანდერძების, კოლოფონების აღმნიშვნელი ტერმინი ქვემოთ აღარ ვთარგმნოთ.

XIX—XX სს. მანძილზე ხელნაწერთა მრავალი ჰიშატაკარანი გამოქვეყნდა: ჭერი კიდევ XIX ს-ის დამდეგს სომეხ მოღვაწეებს იმდენად კარგად სცოდნიათ მათი ფასი, რომ 1814 წელს მოძღვარ-

<sup>17</sup> ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფ., 1928. გვ. 175, 178 (შენ. 5), 189 და სხვაგანაც.

<sup>18</sup> ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოაზრებ., 6, თბ., 1952, გვ. 84.

<sup>19</sup> ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიშკის მოაზრებ., III, თბ., 1938, გვ. 130—131.

<sup>20</sup> ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მათეუს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, ენიშკის მოაზრებ., V—VI, თბ., 1940, გვ. 47—48, 53—55; მისივე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 228; ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, მთარგმნელები: ნ. ჭ ა ნ ა შ ი ა, ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, თბ., 1959, გვ. 15—17, 120—121.

<sup>21</sup> გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 255—256, 262; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, დავით ქობაჩიელის „მოსახსენებლის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 3, გვ. 165.

<sup>22</sup> A. П. А б д а л а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

ოვანეს ზოპრაბს განუზრახავს შეეკრიბა ვენეციის მხითარიანთა ქატენადარანში იმ დროს არსებული ყველა ხელნაწერის ჰიშატაკარანები. ზოპრაბს ეს საქმე წამოუწყია კიდევ, მაგრამ სამუშაოს გაგრძელება ვეღარ მოუხერხებია<sup>23</sup>; მას მრავლად გამოუჩნდნენ მემკვიდრეები; მიუხედავად ამისა, ხელნაწერთა ჰიშატაკარანების შედარებით სრული კრებულები მხოლოდ მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლებიდან ქვეყნდება<sup>24</sup>. ხელნაწერთა ჰიშატაკარანების გამოვლენა და მათი გამოსაქვეყნებლად გაშზადება დღესაც გრძელდება. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV სს. ჰიშატაკარანების საკმაოდ დიდი ნაწილი, უფრო სწორად მათი ცალკეული ადგილები თარგმნილია ინგლისურად<sup>25</sup>.

მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა ქვეყანაში დაწერილი XIV—XV სს. დაახლოებით 2800 ჰიშატაკარანიდან ჩვენ შევარჩიეთ 140-მდე (ისინი ძირითადად სომხეთსა და საქართველოშია დაწერილი) და ვთარგმნეთ მათი ის ადგილები. რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს ისტორიის მასალად. ზოგიერთი ჰიშატაკარანი, მეტადრე საქართველოში დაწერილი, შეჯარებით სრულად ვთარგმნეთ. რათა ამით ძველი სომხური ენის აზრკოდნე მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნას ამ ძეგლთა რაობის შესახებ.

ჰიშატაკარანების შერჩევისას ვხელმძღვანელობდით ლ. ხაჩიკიანის მიერ გამოცემული, მითითებული კრებულებით; მხოლოდ რამდენიმე მათგანი ამოვიღეთ ხელნაწერთა აღწერილობებიდან. თუ ჰიშატაკარანი ლ. ხაჩიკიანამდევ იყო გამოქვეყნებული, ვუთითებთ აღრეულ გამოცემებსაც.

ზუსტი, მარჯვე შესატყვისების დაუძებნელობის გამო უთარგმნელად ვტოვებთ ტერმინებს: „გავარ“ (აღნიშნავს ქვეყნის მხარეს,

---

<sup>23</sup> J. M u y l d e r m a n s, Un recueil manuscrit de colophons armeniens, *Analecta Bollandiana*, LXVIII. 1950. გვ. 286—237.

<sup>24</sup> ზ ა რ ხ ე ჯ ი ნ ა კ ა რ ი ჟ ი კ ი ა. *მჩუათოსკაჲრანე მხორეჲყ, Ա. 1951. Աճրիխաս; ԺԻ դարի հայերեն մեռագրերի հիշատակարաններ. կազմեց Լ. Ս. Խ ա չ ի չ յ ա ն. Ե. 1950* შემდეგი: XIV საუკუნის ჰიშატაკარანები; Ժხ դარի հայերեն մեռագրերի հիշատակարաններ. կազմեց Լ. Ս. Խ ա չ ի չ յ ա ն. Ի. 1955. II. 1958 III. 1967. შემდეგი: XV საუკუნის ჰიშატაკარანები; Լույսերեն մեռագրերի Ժხ դարի հիշատակարաններ (1601—1620 քք.), կაզմեցին Վ. Զ ա կ ո ղ յ ա ն, Ա. Լ ի ղ ի ա ն ն ի ս յ ա ն. Ե.. 1974.

<sup>25</sup> *Colophons of armenian Manuscripts, 1301—1480, Source for Middle Eastern History, selected, translated, and annotated by A v e d i s K. S a n j i a n, Cambridge, Massachusetts, 1969.*

მცირე ადმინისტრაციულ ერთეულს)<sup>26</sup>, „ნაჰანგ“ (გავართა მომცველი დიდი ადმინისტრაციული ერთეული), „პარონ“ (საერო ხელისუფალთა ტიტულია, მომდინარეობს ფრანგული baron-იდან).

ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რიცხვების აღსანიშნავად ასობეი ქართულ თარგმანშიც დაგვეტოვებინა. აქ წარმოვადგენთ თარგმანში გადმოტანილ ასოთა რიცხობრივ მნიშვნელობებს: ა—1 ბ—2. გ—3, დ—4, ე—5, ზ—6, ც—7, ც—8, თ—9, ყ—10, ი—20, ლ—30. ხ—40, წ—50, კ—60; ჰ—70, ძ—80, ლ—90, ჰ—100, მ—200. ა—300, ნ—400, შ—500, ო—600, ჩ—700, პ—800, ჯ—900, რ—1000. ყველა თარიღიან ჰიშატაკარანში გამოყენებული სომხური დიდი წელთარიცხვის დასახელებული წლის ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოსაცვანად მოცემული რიცხვი უნდა დაეუმატოთ 551-ს. თარგმანში ამ ოპერაციის უჩვენებლადაა მოტანილი თარიღი ჩვენი წელთაღრიცხვით. ძველი სომხური, მოძრავი კალენდრის მიხედვით, წელიწადში 365 დღეს ანგარიშობდნენ. ამიტომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ახალი წელი ერთი დღით ადრე დაიწყებოდა. ასე მაგ., დიდი სომხური წელთაღრიცხვის 750 წ. (ჩვენი წელთათრიცხვით 1301 წ. 01—1302 წ. 4. 01) დაიწყო 5 იანვარს, 754 წ. — 4.01-ს. 758 წ.—3.01-ს. 778 წ.—29. 12-ს, 798 წ.—24. 12-ს, 838 წ.—14. 12-ს, 878 წ.—4. 12-ს, 938 წ. (1488 წ. 19. 11—1489 წ. 16. 11)—19. 11-ს<sup>27</sup>. როგორც ვხედავთ, სომხური დიდი წელთაღრიცხვის ესა თუ ის წელი, ჩვეულებრივ, ჩვენი წელთაღრიცხვის ორი წელიწადის ნაწილებს თანხვდება. სიმარტივისათვის თარგმანში ეს ასახული არ არის.

<sup>26</sup> ილ. აბულაძის დაკვირვებით, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში „გავართ“—ის შესატყვისად გვხვდება სანახები, სოფელი, ქუეყანა, ჭევი — იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, გოვარი — გუარი, შრომები, II, თბ. 1976. გვ. 10, ნენ. 1.

<sup>27</sup> *Р. Ш. М. А. Н. Я. С. Г.*, ჯაქ ასათფაქიოიქან ასათფიოქიან. ხ. 1968. გვ. 279—287.

## ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

### 1

ა დ გ ი ლ ი: თბილისი, დ რ ო: 1304 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ხაჩატური, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. შაყრ ვიცვას ჩაყხრნ მხიარყავ შათხნაყარანსჩნ შაყარხანნ ჩ ჳხნხაჩქ, ჩათ. ათაყჩნ, ყიჩნსყ ჩ. შარყჩხანნ, ჳხნხაჩქ, 1914, გვ. 488; XIV ს-ის ჰიმატაყარანები, № 33, გვ. 28.

ღიღება [შენ] ჰრისტე, ღმერთო ჰეშმარიტო, ვინც ღირსად ჩამთვალე ეს ცოდვილი და უყეთური მონა, უვარგისი მჯღაბნელი ხაჩატური, დამესრულებინა თქვენი საყვირველი ძალის მცნებათა წერილი...

აწ ყი, უფალო ჩემო იესო ჰრისტე, შეიწყალე მონა შენი მარტიროსი, შენი წმ. სახარების მომგებელი, რომელმაც შეიძინა იგი თავისი მშობლების მეოხად, მოსახსენებლად. ჰოი ყრმანო უფლისანო, რაყამს მიემთხვიოთ ამ ღმრთივ-სულიერ წერილს, თქვენს ღოცვებში გულისხმიერად მოიხსენეთ ჩემი მშობლები. ტნყიყი და ჰემერი, ასტვაწატური და ჰალბატონი მინა, აგრეთვე მგ. ცოდვილი მარტიროსი და ჩემი თანამეცხედრე თარჰანი, ჩემი ძმები ჰაკობი და გრიგორი; ხოლო ღმერთი თქვენ მოგჩსენებთ და შეგწყალებთ თავის მეორედ მოსვლისას...

აწ, დაიწერა ეს [წიგნი] სამეფო ჰალაქ ტფილისში. ცოდვილი და უხმარი მწერლის ხაჩატურ დიაკვნის მიერ. მარტიროს ასტვაწატურის ძის სარგებლობისათვის, წმ. დედოფლისა და ღვთისმშობლის მარიამისა და სხვა წმინდანთა მფარველობით. დაიწერა სომხური წელთაღრიცხვის „ჩწგ“-ს (1304), „თ“ (9) აგვისტოს. სომხებზე ჰეთუშისა და ჰართველებზე დავითის მეფობისას<sup>1</sup>, სომეხთა კათალიკოსის უფალ გრიგორის მამამთავრობისას, ყაზანის ძმის, თვითმპყრობელ დიდი არღუნის ძის, ხარბანდას მიერ ჰვეყნის პყრობის დროს.

დ რ ო : 1307 წ. (XV ს-ის ხელნაწერში დედნიდან გადმოსული კონსტანტინე-  
რანი), ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : ვარდან აღმოსავლელის ისტორია. XIV ს-ის  
კონსტანტინელები, № 61, გვ. 46.

[წიგნი დაიწერა] ჩვენი წელთაღრიცხვის „ჩწზ“ (1307) წელს, ღვთისმოსაობის დაკნინებისა და უწესოებათა ჩვენთა განშორებისას. როდესაც კიდევ უფრო მომრავლდა ჩვენზე, ქრისტიანთა ნათესავის მიმართ, მოისართა ტომის რისხვა და იმატა ნათმა ავკაცობამ, რამეთუ ხორასანში გამოჩნდა ახალგაზრდა, ცალთვალა კაცი, მსგავსი ანტიქრისტესი, რომელიც ოდესმე უნდა მოვიდეს; ქვია მას ხარბანდა, რაც ითარგმნება ვირის მსახურად, შვილია არღუნისა, ჰელაგუს ძისა. მას ქრისტიანობის აღმოფხვრა ეწადა სომეხთა და ქართველთა ქვეყნიდან; ამას ხელი შეუშალა უფალმა და არ შესრულდა მისი ბოროტი განზრახვა. შემდგომ სხვა საქმე მოიგონა სატანის მოციქულმა, მან ბრძანა, რომ ქრისტიანებს მთელ მის საბრძანებელში შეურაცხყოფელი ნიშნები ეტარებინათ, შესაძლებლობის მიხედვით მათთვის უნდა გადაეხდევინებინათ სულადი გადასახადი, „ხ“ (40)-დან „უ“ (10) ვერცხლამდე<sup>2</sup>. ამ სასტიკ დროში დასრულდა ეს [წიგნი]...

## 3

ა დ გ ი ლ ი : კონსტანტინეის მონასტერი, დ რ ო : 1310 წ., მ ო მ გ ე ბ ე-  
ლ ი : მამახათუნი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება. XIV ს-ის კონსტანტინე-  
რანები, № 69, გვ. 65.

...ჰოი, წმიდანო მამანო ...მოგვიხსენეთ ქრისტეს მხეველი მამახათუნი და ჩემი ღვთისმსახური მეუღლე, პატივდებული მთავარი ჭაჭური, თუმცაღა ტომით ქართველი, მაგრამ ყველა ეკლესიის კეთილმოსურნე<sup>3</sup>, აგრეთვე ჩემი მშობლები, სუპა და ტიკნანცი, ძმები, ჰანარბეგი, კუკორი და ამირი... [წიგნი დაიწერა] სომხური წელთაღრიცხვის „ჩწთ“-ს (1310), მოისართა ნათესავში ხარბანდა ხანის ქვეყნის პყრობისას, სომხებზე ალინახის მეფობისას, დიდად გონიერი ესაიას ლოტბარობისას(?), აირარატში, ანბერდად წოდებულ გავარში, წმ. და ღვთის სამკვიდრო ტაძარში, კონსტანტინეში... ჩვენს გავარში ტაირის ძის ქურდის, დიდი და ღვთისმსახური ქურდის შვილიშვილის, მთავრობისას...

აღგილი: პატარა სიუნიქი, დრო: 1312 წ., სახელწოდება: სახარება. ჰანსაყარნიოიუქიჩნ ხ მხბნ ჯაყასთან, აჯუსაოაიქილ-ქსამქ შარცხა ქარეყაყხოქი ჯაყაქსანგ, შასნ მ., შყიქი, 1842, გვ. 167—168: XIV ს-ის პიშარაკარანიბი, № 114, გვ. 84.

[წიგნი დიწერა] მოისართა ნათესავის მიერ სამყაროს ფლობისა და მთელს ქვეყანაზე მეფობის ხანაში, მუხთალ დროში, მათი ბატონობისას პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე და მდინარე ევფრატოდან კოკეასის მთების იმიერ მხარემდე, მათზე ხაზბანდაჲ წოდებული ქვეყნის მფლობელი ხანის მეთაურობისა და თვითმწყობელობისას, სომხური წელთაღრიცხვის „ჩკა“-ს (1312)...

აღგილი: სოფელი შიკბაკი, დრო: 1313 წ., გადამწერი: პოქანესი, სახელწოდება: სახარება. XIV ს-ის პიშტაკარანები, № 128, გვ. 94.

დიდება [ღმერთს] ...ვინც მე უღირსსა და ცოდვილს დამასრულებინა ეს წმ. სახარების წიგნი, სომხური ათვლის „ჩკა“-ს (1313), „ც“ (8) სექტემბერს, სომხებზე ომინის მეფობისას და უფალ კოსტანტინეს კათალიკოსობისას, ტაოს ქვეყანაში, პარონ თაყას მიერ ქვეყნის ფლობის დროს, სოფელში, რომელსაც ჰქვია შიკბაკი<sup>4</sup>...

აღგილი: გლამორის მონასტერი, დრო: 1314 წ., გადამწერი: პოლოსი, სახელწოდება: სახარება. XIV ს-ის პიშტაკარანები, № 134, გვ. 9.

...[წიგნი დიწერა] დიდგვარაინი, წარსინებული, ბრწყინვალე ახალგაზრდის, სახელად ტარსაიჭის, სული წმიდას მადლით სტეფანოსად სახელდებულის ბრძანებითა და წარსავებლით. რომელიც შამის ხაზით არის ორბელიანთა გვარისა და შთამომავლობისა. ხოლო დედით შთამომავალია დიდი ამირსპასალარის ზაქარეს გვარისა<sup>5</sup>... სული წმიდას მოწოდებითა და ამორჩევით აღჭურვილია სიუნიქის მოძღვრობისა და ეპისკოპოსობის პატივისა და თანამდებობის მისაღებად...

ა დ გ ი ლ ი: სოფელი დონევაწი, დ რ ო: 1316 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: პოქანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის პიშატაკარანები № 157, გვ. 121.

ღვთის შეწევნით დავიწყე და მისივე წყალობით დავასრულე ოთხი წაპარებლის ეს ღმრთივ-მეტყველი თხზულება... სასტიკ და უკეთურ დროში, სომხური წელთაღრიცხვის „ჩკე“ (1316) წელს, როდესაც ჩვენ მოზღვავებულ ცოდვათა გამო თავს დაგვატყდა ღვთის სასტიკი რისხვა, [გამოჩნდა] კალია და მრავალი გავარი გაატილა: ბასიანი, დერჯანი, ხოჩაისის ნაწილი, ტორუტაფი და მრავალი სხვა, რომლის მოთხრობა ენით ვის ძალუძს...

ა დ გ ი ლ ი: გლადორის მონასტერი, დ რ ო: 1321 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: კირონი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის პიშატაკარანები, № 207ა, გვ. 166.

აწ, დაიწერა ეს [წიგნი] ჩვენი, სომხური წელთაღრიცხვის „ჩპ“ (1321) წელს. სასტიკ და უკეთურ დროში, როდესაც სომეხთა და ქართველთა მთელი ქვეყანა მძლავრობით ეპყრა მოისართა ნათესავს. ქართველებზე გორგედ<sup>1</sup> სახელდებულის, დიდ სომხეთში ჩვენი მეფის კანონიერი მემკვიდრის ლეონის მეფობისას, უფალ კოსტანტის წამამთავრობისას...

ა დ გ ი ლ ი: გლადორის მონასტერი, დ რ ო: 1323 წ., მ ო მ გ ე ბ ე ე ო ი: ესაია წიცი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის პიშატაკარანები, № 228ა, გვ. 182.

...[წიგნი დავაწერინე] იაფეტური წელთაღრიცხვის „ჩპბ“-ს (1323). დიდი თვითმპყრობლის, [ა]ბუსაიდად სახელდებული ხანის მიერ ქვეყნის ფლობისას, სომეხებზე კილიკიის ტახტზე მჭდომი ლევონის. საქართველოსა და დიდ სომხეთში მეფე გიორგის მეფობისას<sup>7</sup>, სიუნიქში დიდი ერისთავთა მთავრის, ყოველად ღვთისმსახური, მამაცი და მარად ძლევამოსილი ბურთელის განმგებლობისას... დაიწერა ეს [წიგნი] სიუნიქის გავარში, ვიწრო სადგომში, ზემოაღნიშნული დიდი ერისთავთა მთავრისა და ძლევამოსილი სპასპეტის ბურთელის მთავრობისა და განმგებლობისას...

ა დ გ ი ლ ი: ჭლონას უდაბნო, დ რ ო: 1330 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: კი-  
რაკოს ეზნაიეცი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის პიშატაკა-  
რანები, № 283ა, გვ. 224—225.

...აწ, დაიწერა ეს [წიგნი] სომხური წელთაღრიცხვის „ჩჰთ“-ს  
(1330), უფალ ჰაკობის მამამთავრობისას, სომხებზე ლევონისა და  
ქართველებზე გეორგის მეფობისას, [ა]ბუსაიდის ხანობისას...

## 11

ა დ გ ი ლ ი: ხუმითის მონასტერი, დ რ ო: 1331 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
მკრტიჩი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კონდაკი. XIV ს-ის პიშატაკარანები,  
№291, გვ. 232.

...[წიგნი დაიწერა] სომხური ათვლის „ჩძ“-ს (1331), [ა]ბუსაი-  
დის ხანობისას, სომხებზე ლევონის მეფობისას, ხოლო ქართველებ-  
ზე გორგეს<sup>8</sup> მეფობისას...

## 12

ა დ გ ი ლ ი: სოფელი ადეთი, დ რ ო: 1331 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ჰოვანე-  
სი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის პიშატაკარანები, № 292,  
გვ. 234.

...[წიგნი დაიწერა] იაფეტური წელთაღრიცხვის „ჩძ“ (1331)  
წელს... დიდი თვითმპყრობლის [ა]ბუსაიდ ხანის მიერ ქვეყნის  
ფლობისას, რომელიც ბატონობს მრავალ ნათესავზე. პონტოს ზღვი-  
დან კასპიის ზღვამდე და ჯაჰუნად წოდებულ მდინარემდე...

## 13

დ რ ო: 1335 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: გრიგორ ხუცესი, ს ა ხ ე ლ წ ო -  
დ ე ბ ა: კრებული. XIV ს-ის პიშატაკარანები, № 332, გვ. 268.

...[1335 წელს] გაძლიერდა [ა]ბუსაიდ ხანი\*,  
მთელი ქვეყანა მორჩილებდა მას,  
მძლავრობით ეპყრა ხორასანი ამუს მდინარემდე,  
ასურეთი და შუამდინარეთი, ბაბელის ქვეყანა სულ მთლად,  
მასვე [ეპქირა] რუმი და კილიკია, ქვეყანა პალპავანთა,  
ასევე ტახტი მეფსალმუნის, ქართული გავარიც<sup>9</sup>...

\* ლექსების თარგმანი ყველგან წარმოადგენს აპყარელს.



ა დ გ ი ლ ი: წმ. კირაკოსის მონასტერი, დ რ ო: 1335 წ., გ ა დ ა მ შ ე-  
რ ი: ნერსისი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის კიშატაკარა-  
ნები, № 339, გვ. 276.

...აწ მე ყოველთაგან უნარჩევებსა მელიქშაჰმა, სოფელ თილუ-  
სარქენიდან... ღვთის წყალობით დავაწერიანე ეს წმ. სახარება ჩემი  
აღალ-ნართალი მონაგებით...

თქვენს ლოცვებში გულისხმიერად მოიხსენეთ მელიქშაჰი და  
მისი მეუღლე ქართველი ქალბატონი...

ა დ გ ი ლ ი: მენკერტი, დ რ ო: 1336 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ი: ბარსელი,  
ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის კიშატაკარანები, № 350 ა.  
გვ. 285—286.

...ღვთის წყალობით დაწყებულ იქნა და მისივე შეწევნით დას-  
რულდა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჩიქ“-ს (1336),  
ცოდვილი და უხეირო მწერლის ბარსელის მიერ, სასტიკ და მუხთალ  
დროში, როდესაც მძლავრობდა ისმაილის ნათესავი ქრისტიანთა ნა-  
თესავზე; სახელად თამურმა დაარბია ეკლესია-მონასტრები<sup>10</sup>, ურჯუ-  
ლოთა შიშით უცხო ქვეყნებს მიაშურეს წმ. მოწესებმა.

დაიწერა ეს [წიგნი] ბასიანის გავარში, აუღებელ დაბა-ქალაქ-  
თან, რომელსაც მენკერტი ჰქვია, უფალ ვარდანის მამამთავრობი-  
სას...

ა დ გ ი ლ ი: სურხათი, დ რ ო: 1336 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ი: ტერტერ ერე-  
ვანცი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: ვარდან აიგეცის ქადაგებანი. XIV ს-ის  
კიშატაკარანები, № 351, გვ. 286—287.

...აწ. დაიწერა [ეს] წიგნი სომხური წელთაღრიცხვის „ჩიქ“-ს  
(1336), დედაქალაქ სურხათში, ყირიმში, პარონ შაჰანშაჰის აშენე-  
ბულ წმ. ღვთისმშობლის მფარველობით, უხმარი და შეუტრაცხი  
მწერლის, მღვდლობის სახელის უღირს ტერტერის მიერ...

მე, ტირატუ, კაცი უღირსი,  
საბრალობელი, უღები მღვდელი...

ჩაპოველ საქართველოდან,  
ხორ-ვირაპის მეზობელი,  
შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან!<sup>11</sup>.  
ვადმოვარე ეს უსაზღვრო ზღვა,  
მოვედი ფრანკთა ქალაქში, კაფას,  
[და] ვწერდი ამ წიგნსა. ვარდანს ..

## 17

დ რ ო: დაახ. 1336 წ., გადამწერი: ტერტერ ერევანი, სახელწოდება: ვარდან აიგეციის ქალაგბანი. XIV ს-ის კიმატაკარანები, № 353ა, გვ. 288.

მე. ტერტერი, უღირსი მწერალი,  
რომელმაც ეს წიგნი, ვარდანი, დავწერე,  
ცოდვებით სავსე და თანამდები,  
უღები მღვდელი, საბრალობელი,  
მოვედი საქართველოდან,  
ხორ-ვირაპის და ერმიძინის მეზობელი  
შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან!<sup>12</sup>...

## 18

ადგილი: სოფელი აღეთი, დ რ ო: 1337 წ., გადამწერი: პოენესი, სახელწოდება: სახარება. *Ազգագրական Հանդես: Բ. գիրք, 1897*, გვ. 234; XIV ს-ის კიმატაკარანები, № 354, გვ. 295.

...[წიგნი დაწერა] იაფეტური წელთაღრიცხვის „ჩიზ“-ს (1337)... უფალ ზაქარიას წინამძღვრობისას, დიდი თვითმპყრობელის მაჰმუდ ხანის მიერ ქვეყნის ფლობისას, რომელიც ბატონობს მრავალ ნათესავზე, პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჯაპუნად წოდებულ მდინარემდე...

## 19

ადგილი: სუნეჟი, დ რ ო: დაახლ. 1337 წ., სახელწოდება: სახარება (?). *Ղ. Ալիշան, Սիսական, Վեհափիկ, 1893*, გვ. 95; XIV ს-ის კიმატაკარანები, № 366, გვ. 297.

...[წიგნი დაწერა] სისაკანში სომეხთა და ქართველთა დიდი მხედართმთავრის, მეფური წარმომავლობის მთავრის ბურთელის მბრძანებლობისას, აგრეთვე მისი ნათელმოსილ, ძოწითშობილ, ახო-

ვან, ვმირ ნაშიერთა ბეშქენისა და ივანეს [განმგებლობისას], რომელნიც ყოველმხრივ გავდნენ ღვთისმსახურ მამას, სახელდობრ, სიბრძნითა და ქვეყნისა და ლაშქრის წინამძღოლობით, აგრეთვე საიფეთო კარზე დაწინაურებითა და განდიდებით, რამეთუ პატივი ზიავო მათ უფალმა.

## 20

ა დ გ ი ლ ი: სოფელი ვარდშენი, დ რ ო: 1341 წ., გ ა დ ა მ-  
წ ე რ ი: ნატერი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XIV ს-ის კიშატაკ-  
არანები, № 403, გვ. 327.

...[წიგნის გადაწერა] დასრულდა უცები და უნარჩევესი, სას-  
ჯელის თანამდები მწერლის ნატერის მიერ, სომხური ათელის „ჩღ“-ს  
(1341), „ბ“ (2) აპრილს, ტაოელთა გავარში, სოფელში, რომელსაც  
ვარდშენი ჰქვია. ხოლო პირველი „ბ“ (2) თავი აღრევე დაეწერა  
ვინმე სტეფანოს ხუცესს ქალაქ კანიდან, რომელსაც არ დასცალდა  
მისი დასრულება... მისმა შვილიშვილმა გეორქ დიაკონმა ეს [წიგ-  
ნი] დასასრულებლად მოგვცა ჩვენს უმდაბლესობას და ჩვენ ღმერ-  
თის ძლიერებამ ბოლომდე მიგვაყვანინა. მოსული ვიყავით [რა]  
ბაიბურთის გავარიდან, აულებელი ციხესიმაგრიდან, დავსახლდით  
სოფელში, რომელსაც ჰქვია კანი, იქ დავიწყეთ ერთი ნაწილის წე-  
რა. მაგრამ მთელი გავარისა და ქალაქის მოსახლეობა, ყველა  
მცხოვრები, ქრისტიანი და ისმაილიტი აოტა „ბ“ (2) მთავარმა. რო-  
მელთა სახელების მოხსენება საჭირო არაა. ყველანი გაიქცნენ და  
წავიდნენ უცხო ქვეყანაში. ვტვაკას მთაზე ქარბუქი იყო და იქ ხალ-  
ხი ცოტა, მაგრამ პირუტყვი ბევრი გაიგულდა, ხოლო სხვა მთაზე,  
ტერევანცზე — მრავალი ადამიანი და პირუტყვი<sup>13</sup>; ამ უბედურე-  
ბის აღწერა ვის ძალუძს.

## 21

ა დ გ ი ლ ი: ბაიბურთი, დ რ ო: 1346 წ., ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს გ ა ნ მ ა-  
ა ხ ლ ე ბ ე ლ ი: ჰოქანეს მხატვარი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება.  
XIV ს-ის კიშატაკარანები, № 433, გვ. 346.

...[სახარება განახლდა] სასტიკ, მუხთალ დროში, როდესაც  
აჯარის ნათესავისა და ისმაილიტთა მიზეზით დიდი დედაქალაქი  
თეოღოსიოპოლი დაცარიელდა ადამიანთა და პირუტყვთაგან. ასევე  
გაუდაბურდა აღმოსავლეთი, ე. ი. ქართველთა ქვეყანა, სადაც ბევ-  
რი ამოწყდა, სხვები შიმშილისაგან დაიხოცა<sup>14</sup>. არავის ძალუძს

მოუთხროს უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაგვატყდა ჩვენ, ქრისტიანებს, რაც შეგვემთხვა ცოდვათა ჩვენთა გამრავლების გამო...

ეს წმ. სახარება განახლდა უკანასკნელ ხანებში, სომხური წელთაღრიცხვის „ჩღე“ (1346) წელს...

## 22

ა დ გ ი ლ ი : თბილისი, დ რ ო : 1363 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : იოანე დამასკელის თხზულებანი. *Մայր ցուցակ ձեռագրաց Սրբոց Յակոբեանց, կազմեց Ն. Պողոսյան, Դ. Հատիր, Երևան, 1969, გვ. 521.*

...[წიგნი] დაიწერა სომხური წელთაღრიცხვის „პ“ და „უბ“-ს (1363), დედაქალაქ ტფილისში, წმ. ყოველთა მაცხოვრის მფარველობით. ქვეყნის მანათობელი ჰოვანეს მოძღვრის მოწადინებით, რომლის გავარი და სამშობლო არის ოროტნი<sup>15</sup>...

## 23

ა დ გ ი ლ ი : ახალციხე, დ რ ო : 1396 წ., წ ი გ ნ ი ს შ ე მ წ ი რ ე ე - ლ ი : ამირ-სარგისი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება (1237 წ. ხელნაწერი). XIV ს-ის ძიშატაკარანები, № 767, გვ. 614.

...მოხსენების ღირსად ჩათვალეთ ზემოაღნიშნული ამირ-სარგისი, მისი მეუღლე ნათელხათუნი<sup>16</sup>, და ფაშახათუნი, მამის ძმისწული ვარწიკული და განსვენებული მშობლები, პარონი მხითარი და პარონი მინა-ხათუნი, რომელთაც ქრისტე ღმერთი თავისი ხილვის ღირსად გახდის.

ხოლო შევწირეთ ეს [წიგნი] წმ. ორმეოცთა [ეკლესიას] ახალციხეში, გიორგის მეფობის დროს, ათაბაგ ივანეს პარონობისას<sup>17</sup>, უფალ კარაპეტის კათალიკოსობისას. უფალ იაკობოსისა და ნერსესის მამამთავრობისას, სომხური ათვლის „პჰე“-ს (1396), რითაც უფალი ღმერთის ნებით ისარგებლონ მღვდლებმა ტირატურმა და სარგისმა, რომლებიც ფრიად გაისარჯნენ წმ. ორმეოცთა [ეკლესიაში] ლოცვითა და წირვით.

## 24

ა დ გ ი ლ ი : გამალიელის მონასტერი, დ რ ო : 1397 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი : ნერსესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სიტყვათა კრებული. *Բ. Սարգի-*

ახან, შარი ვიცვას ჩაქერხნ ბზარყრე შაონნაყარანინ შიქ-  
ქარხანე ქ ჳხნხაქ, ჩაო. ჩ., ჳხნხთიქ, 1924, გვ. 1284—85;  
XIV ს-ის ჰიმატაკარანები, № 773, გვ. 619.

...[წიგნი დაწერა] სომხური წელთაღრიცხვის „პხზ“-ს (1397),  
განაღიელად წოდებულ მონასტერში, კილიკიელებთან უფალ დავი-  
თის მამამთავრობისას, უცხოთესლთა [შორის] თამურ-ლანგის მე-  
ფობისას, რომლის სამეფო ღმერთმა მოსპოს, აღგავოს და... გვიხს-  
ნას ჩვენ მაჰირვებელთა ჩვენთაგან, [ვითარცა ისრაელი] ფარაონის  
ხელთაგან.

## 25

ა დ გ ი ლ ი: სანანის მონასტერი, დ რ ო: 1397 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე-  
ბ ა: გრიგორ ნარეკაცი ვლრებათა წიგნი. მ. შრიონდოხანე, ჭირი  
სიყარ, მასნ ათაჯინ, ყ. შიქს, 1879, გვ. 385 — 386; XIV ს-ის  
ჰიმატაკარანები, № 774, გვ. 619.

[წიგნი] დაწერა ლორეს გავარში, სანანის სახელგანთქმულ  
წმ. მონასტერში, წმ. ღვთისმშობლისა და წმ. კათოლიკეს კარზე,  
იაფეტური დიდი წელთაღრიცხვის „პხზ“ (1397) წელს, ამ ქვეყნის  
უმატრონობის დროს!<sup>18</sup>...

## 26

ა დ გ ი ლ ი: სანანის მონასტერი, დ რ ო: 1394—1400 წწ. გ ა დ ა მ-  
წ ე რ ი: ჰოვანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: ნერსეს შნორპალის საგალობ-  
ლები. XIV ს-ის ჰიმატაკარანები, № 783, გვ. 625—626.

აწ. ამ ხანის მიწურულში,  
საღკუნის დასასრულს,  
გვწონდა შესაძლებლობა  
აქ მოსვლის, დამკვიდრების,  
სანანად ხმობილი...  
სალხინებელის კარზე...

დაიწერა ეს [წიგნი] ჰოვანესის მიერ გიორგის მეფობაში, [რო-  
მელიც არის] შვილი ძღევამოსილი, მამაცი მეფის ბაგრატისა, რა-  
მეტუ მის დროში დიდი მშვიდობიანობა იყო საქართველოში!<sup>19</sup>...

## 27

ა დ გ ი ლ ი: სუხარას (ხარაბასტის) მონასტერი, დ რ ო: 1400 წ., გ ა-  
და მ წ ე რ ი: გრიგორ [ხლათეცი], ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კათოლიკე

... [წიგნი დავწერე] სასტიკ და ცუდ დროში, როდესაც ქვეყანაზე მძლავრობს ანტიქრისტეს წინამორბედი და სატანის მოციქული, კაცი ურჯულო, ქვეყნელის ნაშიერი და ჯოჯოხეთის მემკვიდრე, ბილწი, სასტიკი, ლანგ-თამურად წოდებული უწყალო სისხლამსმელი; ჩვენ მოზღვავებულ ცოდვათა გამო განგვირისხდა სახიერი ღნერთი, ჩვენს მიმართ მისი წყალობა რისხვად იქცა, მისი სიტკბო სინწარედ [შეიცვალა], მისმა სიკეთემ ზურგი გვაქცია. და ეს მესამეჯერ მოევლინა ქვეყანას სასჯელად ბოროტი იგი და გამწვრთნელი კვერთხი ღმრთისა. თავდაპირველად ღვთის გულისწყრომის [ნიშნად] ბოროტი გამოჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის „პლდ“ (1385) წელს, როდესაც თავს დაესხა სპარსთა ქვეყანას, „ბ“ (2) წლის [განმავლობაში], „პლზ“ (1387) წლის დასასრულამდე, ააოხრა და დაატყვევა სპარსეთი და სომხეთი. ამ დროს იყო ბევრი ნგრევა, მრავალი სისხლის ღვრა, შიმშილი და უზომო არეულობა.

„პხბ“ (1393) წელს ისევ დაიძრა და მივიდა ბაბილონში, დაარბია ყოველი ასურისტანი, მოადგა სომეხთა ქვეყანას, კვლავ დაარბია და დაატყვევა იგი, გაიარა ჰონთა კარი და რისხვად მოევლინა ჰონთა მეფეს, სძლია მათ და იქაც ბევრი დაარბია და დაატყვევა. მაგრამ მისი ლაშქარიც დაუძღურდა შიმშილისაგან და მეტად შემცივრდა იმ გულზგავის ჯარი. იქედან დაბრუნდა ალანთა კარით<sup>20</sup> და წავიდა თავის ქვეყანაში. კვლავ გააძლიერა ლაშქარი, მხედრობა და გაემართა ინდოსტანს. დაბრუნდა იქედანაც ფრიალ ძლევაშოსილი მრავალი ალაფითა და სპილოთი თავის ადგილსამყოფელში, სამარყანდში.

როდესაც ცოტათი დამშვიდდა ქვეყანა და ხალხმა ოღნავ მოიხვენა იმ ბოროტის რისხვის ფრქვევისაგან, ქართველთა მეფე გიორგიმ დიდი გამარჯვება მოიპოვა... მოვიდა ნახქვენის გავარის ციხე ერნჯაკში და გამოიყვნა იქედან აჰმად ხანის ძე, სულტანი ტაპირი, რომელიც ალყაშემორტყმული იყო თამურ-ლანგის ჯარისაგან „პლე“ (1386) წლიდან „პხც“ (1399) წლამდე, „ჯგ“ (13) წელი<sup>21</sup>.

ამის გამო მხეცივით გაცოფდა ლანგ-თამური და გამოემართა კვლავ, მესამედ, ურიცხვი ჯარით, უფრო მეტით, ვიდრე პირველად და მეორედ.

მოვიდნენ და შეესივნენ ქართველთა ქვეყანას შემოდგომიდან ზაფხულამდე, არანაკლებ „მ“ (7) თვის [მანძილზე]. აიღეს ბევრი ციხე, მოკლეს [მათში] მყოფთაგან მრავალი, თითქმის ყველა მამა-

კაცი გაწვევით, მათი ცოლები და შვილები კი, აურაცხელი, უთვალავი, ტყვედ წაასხეს. მათი მხილველნი სიბრალულით იწვოდნენ, არა მარტო ქრისტიანები, არამედ უცხოთესლნიც, ვინც კი ხედავდა ასეთ უცოდველ კრავთ სისხლმოწყურებულ და კაცსახა მხეცთა ხელთ, რომლებიც არც ქალებს ინდობდნენ, არც ბავშვები ებრალებოდნენ, არც სნეულთ ზოგავდნენ, არც გაპირვებას უყუთებდნენ, არც ქალარას სცემდნენ პატივს; ჩვილი ბავშვებიც კი არ ეცოდებოდნენ, არამედ უწყალოდ ქვეითად მიერეკებოდნენ ტიტვლებს, ფეხშიშველებსა და თავმოშველებს. ხოლო რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, ქვებით კლავდნენ და გზას აგრძობდნენ. ასეთ ვაებას ვინც კი უცქერდა, მიმართავდნენ მთებსა და ბორცვებს: დაგვეცენით თავს და ჩაგვიტანეთ ჩვენო.\*

აწ, ამ სასტიკ და საშინელ დროში დასრულდა ეს [წიგნი], ჩვენი წელთაღრიცხვის „პხთ“ (1400) წელს, ახთამარის ნაჰანგში უფალ დავითის მამამთავრობისას, ქაჯბერტუნის გავარში, სუხარას მონასტერში, რომელსაც ამჟამად ხარაბასტს ეძახიან...

## 28

ა დ გ ი ლ ი: ქალაქი ხიზანი, დ რ ო: 1400 წ., გ ა ღ ა მ წ ე რ ი: ჰოვანესი, ს ა ხ ე ლ წ ო ღ ე ბ ა: საღმრთო წიგნი. XIV ს-ის ჰიშატაკარანები, № 785, გვ. 630.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სასჯელის თანამდები, უცები და უჯუნური მწერლის ჰოვანესის მიერ მოუხსვენარ ცხოვრებასა და მრავალგზის მსხემობაში, შერჩეული, საიმედო დედნიდან, სომეხთა ნათესავის დიდი წელთაღრიცხვის „პხთ“-ს (1400), ჰიზანად წოდებულ გავარსა და ქალაქში, წმ. ლეთისმშობლის მფარველობით...

როცა ამ წიგნსა ვწერდი მე,  
მეფე არა გვეყავდა ჩვენ,  
თამურ-ლანგ სამარყანდელი  
რისხვად მოევლინა სამყაროს.  
გაიღო ალანთა კარი,  
რომელიც დიდხანს იყო დახშული,  
ავი და მრისხანე მოვიდა თამური,  
აფორიაქა ყველა.  
გადაიარა საქართველო,

\* შტრ. ლეკა 23:30.

იშოვა ბევრი ალაფი და ტყვე.  
მთელი ქვეყანა ცახცახმა აიტანა  
ცითარცა ტოტზე [მჯდომი] ბელურა...

## 29

ა დ გ ი ლ ი: ტაფეის მონასტერი, დ რ ო: 1401 წ., გა და მ შ ე რ ი: სარგისი, სა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: გრიგორ ტაფეაყის კითხვა-მიგებანი. XV ს-ის პიშატაყარანები, I, № 2, გვ. 4—5.

...სომხური წელთაღრიცხვის „პ“ (800) და ორმოცდაათ (1401) წელს დასრულდა ამ საღვთო მატთანის წერა, რომელსაც ჰქვია კითხვა-მიგებანი, სიუნიქის ნაჰანგში, ჩვენს მხარეში პარონ სმბატისა და მისი სისხლ-ხორცის პარონ ბურთელის მთავრობისას, [რომლებიც იყვნენ] ორბელიანთაგან, დიდი ბურთელის შვილის ივანეს შვილები, მოდგმით სომხები<sup>22</sup>; [წიგნი გადაწერილ იქნა] დიდ და სახელგანთქმულ მონასტერში, ანგელოზთა სამკვიდრო წმ. სავანეში, წმ. მოციქულის ევსტათეს ძმობაში, წმ. ღვთისმშობლის, წმ. განმანათლებლის, ღმრთის სისხლით შეფერადებულ წმ. ნიშთა და აქ შეკრებილ მრავალ სხვა წმინდანთა ნაწილების მფარველობით...

გასულ წელს ჩვენი მოზღვავებული ცოდვების გამო თავს დაგვატყდა ღვთის რისხვა, არეულობა და ქვეყნის წარმწყმედი ნგრევა, რამეთუ ურჯულო მბრძანებელი, ჯოჯოხეთის ძე, თამურ-ლანგად წოდებული, ხორაზმის ტომიდან, რომელმაც სომეხთა ქვეყანა სამგზის წარწყმიდა, ისევ მოვიდა მრავალრიცხოვანი, უთვალავი ლაშქრით; ბოროტ, შიგნივანებულ ქართველ მთავართა, წარჩინებულთა წინამძღვრობითა და ხელშეწყობით აიღო საქართველო, მთელი ქვეყანა ამოწყვიტა და ტყვედ წაასხა, „ქრ“ (100.000) სულის დანაკარგი აღიწერა, ფილაქვის იატაკიანი ეკლესიები დააქცია<sup>23</sup>. არ ძალგვიძს უბედურებისა და ვაების სიტყვით მოთხრობა ანდა ქალაღლზე გადატანა...

## 30

ა დ გ ი ლ ი: ტაშქობრის ციხე, დ რ ო: 1401 წ., გა და მ შ ე რ ი: მარკოსი, სა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: აბბა იოანეს კიბე ღვათებრივი ამაღლებისა. XV ს-ის პიშატაყარანები, I, № 16, გვ. 19.

...დასრულდა მეორე კლემაქსი. რომელიც არის წიგნი-კიბე. ცოდვილი პირის მარკოს მწერლის მიერ ტაშქობრის ციხეში, წმ.



სტეფანოსის ფეხთა წინაშე, პონთა ქვეყანაში, ხალხური ენით სურ-  
ხაოდ და ყირიმად წოდებულში, დიდი, ადამის წელთაღრიცხვის  
ექვსი ათას რვაას ოცდაექვსს, ქრისტეს დაბადებიდან სომეხთა ათე-  
ლის ათას ოთხას სამს... სომეხური წელთაღრიცხვის „ბბ“-ს (1401),  
„ია“ (21) მაისს, მზის ღომის თანაგარსკვლავედში ყოფნასას. სომ-  
ხებზე კარაპეტის კათალიკოსობისას, ჩვენს ნაჰანგში, მთელს ჩრდი-  
ლო მხარეებზე უფალ სტეფანოსის ეპისკოპოსობისას, უფალ ხაჩა-  
ტურის მოძღვრობისას, უკეთურ დროში, ხელმოკლეობის ეამს, რო-  
დესაც კაბიჩი<sup>24</sup> პური „ლ“ (30) დრამა<sup>25</sup> გახდა.

ეს წიგნი-კიბე. რომელსაც კლემაქსი ჰქვია. ძველადვე ეთარგმ-  
ნა ვისმე ანტიოქიაში. წმ. სიმეონის [მონასტერში], ბერძნული ენი-  
დან, პირველი „ი“ (20) თავი და ვერ მოესწრო დასრულება, რადგა-  
ნაც გარდაიცვალა, ხოლო სხვა ვინმემ ჩვენმა ძმათაგანმა, სახელად  
სიმეონმა ოცი თავის შემდეგ თარგმნა ქართული ენიდან თორამეტი  
თავი და „ქლე-ზ“ (135—6) კომენტარი<sup>26</sup>...

### 31

აღ გ ი ლ ი : ტათევის მონასტერი, დ რ ო : 1406 წ., გა დ ა მ წ ე რ ი :  
გრიგორ გორეცი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : გრიგორ ტათევიცის კითხვა-მი-  
გებანი. XV ს-ის პიშტაქარანები, I, № 61, გვ. 57—58.

...აწ, დაიწერა ეს წმიდა, საღვთო საუნჯე, რომელსაც ჰქვია კი-  
თხვა-მიგებანი გრიგორისა, მწვალებელთა სწავლებების წინააღმდეგ  
შეუღრეველი მებრძოლისა და გამოჩენილი მჭევრმეტყველისა, ეეს-  
ტათე მოციქულის წმ. და სახელგანთქმულ მონასტერში, წმ. ღვთის-  
მშობლის, წმ. განმანათლებლისა და აქ თავმოყრილ სხვა მრავალ  
წმინდანთა მფარველობით, ზემოხსენებულ ნეტარ მოძღვართმოდ-  
რის გრიგორის ფეხთა წინაშე, ამ მიდამოში ღვთისმოსავი მთავრე-  
პის სმბატისა და ბურთელის მთავრობისას, სომეხური წელთაღრიცხ-  
ვის „პჟე“-ს (1406), უკეთურ, სულითა და ხორციით დაცემის ხახანში,  
როდესაც იყო სისხლის ღვრა და ტყვეობა ქრისტიანთა თუ უცხო-  
თესლთა. [დაიწერა] ფრიად ცოდვილი და შეურაცხი მწერლის  
გრიგორ ბერის მიერ, რომელიც ვარ საქართველოდან, დაბა გორი-  
დან, ჩემი სარგებლობისათვის და ჩემი მშობლების მოსახსენებლად.

აწ. პირველ დამხობილი გვედრებით ყველას, ვინც მიემთხვიოთ  
ამ ჭადაგებას, წაიკითხოთ ან გადაიღოთ, თქვენს წმიდა, სიწმიდით  
გაციხროვნებულ ლოცვებში ერთი „უფალო-შეიწყალეთი“ [მო-  
მიხსენეთ] მე, გრიგორ მწერალი და ამ [წიგნის] მომგებელი, [აგ-  
რუავე] ჩემი სულიერი და ხორციელი მშობლები, მამის ძმა მკრტიჩ

მოწესე, მამაჩემი ლუსაბერი, მისი ძმა სარგისი, დედაჩემი თამთა-ხათენი, რომელიც მეტად მწუხარე მიიცივალა ქრისტეს მიმართ, ჩემი ძმა მკრტიჩი, რომელიც ჩალათაელებმა დაატყვევეს და მწარედ დამწუხრებული დაგვტოვა<sup>27</sup>, ჩემი და დედა-ხათენი, ყველა ჩემი სისხლით მახლობელი და ნათესავი. ხოლო ღმერთი, რომელიც უხვია წყალობისას, შეიწყალებს ყველას, მომხსენებელთ და მოხსენებულთ. სიმეონ მოძღვარს და მის მოწაფეს ჰუნანს, რომელთაც ჩვენ დედანი გვიწყალობეს, ქრისტე ცხოვრების წიგნში ჩაწერს და ზეციურ სასუფეველს მიმადლებს მათ და ჩვენც თავისი ღირშესანიშნავი მოსვლისას, ამინ იყოს.

32

ა დ გ ი ლ ი: ხიზანი, დ რ ო: 1407 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ჰოვანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: თენი. XV ს-ის „ჰიმნატაკარანგნი, I, № 72, გვ. 66, 68—69.

...დაიწერა ეს თხზულება მრავალცოდვილი და უღები მწერლის, მღვდლის სახელის უღირს ჰოვანესის მიერ ქალაქ ხიზანში, წმ. ღვთისმშობლისა და მამაცი მხედართმთავრების, სარგისისა და გიორგის მფარველობით, სომხური წელთაღრიცხვის „პწზ“-ს (1407), უფალ დავით აღთამარეცის მამამთავრობისას, ყარა იუსუფ თურქის ხანობისას...

ქერ არს მოვუთბროთ საქმე ვაებისა,  
 ჩვენი დროების სიმუხთლისა,  
 რაც თავს დაგვატყდა ბოლო ხანებში,  
 როცა ეს წმიდა წიგნი დავწერეთ.  
 ბნელმა მოიცივა ხმელეთი,  
 ცუდად იქცევა ყარა იუსუფი,  
 იგია პარონი თურქესტანისა,  
 ამპარტავანი და უძლვეელი ამა ქვეყნისა.  
 წელში გაწყვიტა ყოველნი,  
 ციხე მერდინიდან ქალაქ თავრიზამდე,  
 ასვა სამსალა და დაამწუხრა,  
 ქართველთა ქვეყანას მიაშურა,  
 გველისებური შხამით ავსებულმა,  
 და ამოწყვიტა ქრისტიანები.  
 იქედან მრავალი წაასხა ტყვედ,  
 თხუთმეტი ათასი იყო მათი რიცხვი,

ზეთი ათასი მათგანი მოკლეს  
ნაირ-ნაირი ტანჯვა-წანებით<sup>28</sup>...

### 33

ა დ გ ი ლ ი: ტათეის მონასტერი, დ რ ო: 1407 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
თუმა, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: გრიგორ ტათეეცის კითხვა-მიგებანი. XV  
ს-ის კიშატაკარანები, I, № 74, გვ. 74.

...სომხური წელთაღრიცხვის „პწზ“ წელს (1407) სიუნიქის ნა-  
პანჯში დასრულდა წერა ამ საღვთო მატეანისა, რომელსაც ჰქვია  
კითხვა-მიგებანი. ჩვენს ქვეყანაში ორბელიანთა, მოდგმით სომხე-  
ბის. დიდი ბურთელის ძის, ივანეს შვილების პარონ სმბატისა ჯა  
მისი სისხლ-ხორცის პარონ ბურთელის მთავრობისას...

### 34

ა დ გ ი ლ ი: იერუსალიმი, დ რ ო: 1407 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: კარა-  
პეტი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: გრიგორ ტათეეცის კითხვა-მიგებანი. XV  
ს-ის კიშატაკარანები, I, № 83, გვ. 84—85.

დასრულდა ეს კითხვა-მიგებათა წიგნი მოძღვართმოძღვრისა.  
სომეხთა დიდი მწვერძეტყველისა, სახელგანთქმული გრიგორისა...  
მრავალცოდვილი და უხმარი, ბერობის სახელის უღირს კარაპეტის  
ნიერ, ღმერთის ფეხდანადგამ და ზეციურს მიმსგავსებულ დედა-  
ქალაქ იერუსალიმში, წმ. გოლოგოთასა და საღვთო წმ. საფლავის  
მფარველობით... ვინც ისარგებლოთ ამ [წიგნით] ან გადაილოთ,  
მომხსენეთ ცოდვებით დამძიმებული და გონებაარეული კარაპეტ  
ბერი. რომელიც ვარ საქართველოდან<sup>29</sup>, აგრეთვე ჩემი მშობლები,  
მამაჩემი სტეფანოს მღვდელი, დედაჩემი ყირმიზ-ხათუნი...

### 35

დ რ ო: 1411 წ., ა ვ ტ ო რ ი: მათეოს მოძღვარი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე-  
ბ ა: „საქმენი მოციქულანის“ განმარტება. XV ს-ის კიშატაკარანები,  
I, № 121ბ, გვ. 119—120.

[წერას შევედექი] სომეხთა ნათესავის დაქინებისას, უკეთურ  
ჩანაში, დიდთა და პატარათა დამზრალი სულის უღროოდ წარწყმე-  
დისას, საშლვედლოთა დასის დაცემისას, სატანის კბილთა ღრქენა-  
სას. „პკ“ (1411) წელს, თორგომიანთა ნათესავის შევიწროების  
უამს; იგი ბოლო ხანს შეეჩეხა დანიელის [წიგნისეულ] მხეცს,

რომელიც ჰამდა და გლეჯდა თავისიანებსა და სხვებს, არ არჩევდა წინამძღოლსა და ქვეშევრდომს, არამედ თანაბრად სპობდა [მათ], ავკაცობა გამრავლდა. მან მოგვაგონა თამურად სახელდებული კოკლის წინანდელი ბოროტებანი და ისეთივე საფრთხეში აღმოვიჩნდი. შემდგომ შემუსრა ვატნიარის ველი, შეიპყრო მისი უფალი და მოკლა ქართველთა მეფე კოსტანტინე, მრავალი ტყვე წაასხა. ამ უკეთურ დროში მე უნარჩევესმა და ცოდვებით დამძიმებულმა მათეოსმა... იმ წელიწადს, როდესაც გარდაიცვალა ჩემი დიდი მოძღვარი გრიგორი... ქრისტე ღმერთის წყალობით დავიწყე [წერა] და მისივე შეწევნით დავასრულე<sup>30</sup>...

## 36

ა დ გ ი ლ ი: უფლისციხე, დ რ ო: 1412 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: მელქისედეკი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: იადგარი. XV ს-ის პიშატაქარანები, I, № 135, გვ. 133.

დიდება... ვინც შემადლებინა ცუდად მხედველ და უხმარ მწერალს მელქისედეკ ევსტათეს დამესრულებინა ეს საგალობელი...

ფრიად მოწადინებულმა ტერუნაკან ბერმა დიდი გაჭირვებით შეიძინა ეს იადგარი ალალ-მართალი მონაგებით, მისი სარკებლობისათვის. მის, მისი მშობლების, ძმებისა და ყველა სისხლით ახლობელთა მოსახსენებლად, მეტადრე სომხეთის მომავალ თაობათაგან მოსახსენებლად, „ჰკა“ (1412) წელს, უფალ ჰაკობის მამათავრობისას.

დასრულდა ამ [წიგნის] წერა ქართველთა ქვეყანაში, კოსტანტილის მეფობისას<sup>31</sup>, დაბა-ქალაქ უფლისციხეში. წმ. ლეთისწმობლის მფარველობით, ამ მიდამოში პარონ სმბატისა და მისი ვაჟის პარონ ბეშქენის მთავრობისას, რომლებიც ეამთა სიავის გამო დევნილ იქნენ თავიანთი მამულიდან<sup>32</sup>, მიენდვნენ მხოლოდ ქრისტე ღმერთის მოწყალებას.

აწ, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], გადაიღოთ ან წაიკითხოთ, თქვენს სიწმიდით გაციცკროვნებულ ლოცვებში მოიხსენეთ მისი მომგებელი, სათნოდ აღზრდილი ხუცესი ტერუნაკანი.

პირქვე დამხობილი გვედრებით ამ აღთქმის მხილველთ მოიხსენოთ ჩემი შესანიშნავი მასწავლებელი მათეოს მოძღვარი, რომელმაც აღგვზარდა ჩვენ და გვასწავლა წერის ხელოვნება. მასთან ერთად [მომიხსენეთ] მეც, ამ [წიგნის] უხმარი მწერალი მელქისედეკი, რომელიც მწარე მსხემობაში ვწერდი<sup>33</sup> და დავასრულე ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წყალობით, დიდება მას.

აღგილი: ოშაკანი, დრო: 1414 წ., გადაამწერი: სარგის თმოქეცი (თმოგველი), სახელწოდება: ჟამისწირვა, XV ს-ის პიშატა-კარანები, I, № 163, გვ. 162—163.

...დასრულდა ეს ღმრთივ-სულიერი წიგნი დაბა ოშაკანში სომხური წელთაღრიცხვის „ჰკგ“-ს (1414)....

ქრისტეს მიმართ მოიხსენიეთ უხმარი მწერალი სარგის თმოქეცი, რომელიც ძალიან გაისარჯა.

აღგილი: კაფოსის მონასტერი, დრო: 1416 წ., გადაამწერი: გრიგორი, სახელწოდება: გრიგორ ტათევაის ქადაგებანი. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 199, გვ. 186—187.

...დაიწერა ეს [წიგნი] იაფეტური ტომის, სომეხთა წელთაღრიცხვის 8X100-ს დამატებული „კ“ და „ე“ (65) წელს (1416), სას-, ტიკ. უკეთურ დროში, წარმავალი [ცხოვრების] დასასრულს. ჩვენს მიმართაც სრულდება საღვთო სიტყვა, რომ იმ დღეს აღდგება ნათესავი ნათესავსა ზედა და იქნება ჟამიანობა და უდროოდ სიკვდილიანობა,\* რომელთაგან ერთის თვითმხილველი ვიყავით. მეორე მოვისმინეთ. რამეთუ ჩვენთან, ეკელიაცის გავარში სასტიკი სიკვდილიანობაა; ამ უბედურების კალმით აღწერას ვინ შეძლებს. აგრეთვე ბოროტებით აღსავსე, ყარა იუსუფად სახელდებული ურჯულო მძლავრი წავიდა და მიაშურა ქართველთა ქვეყანას, აილო ქალაქი ახალციხე. მამაკაცები პირწმინდად გაჟლიტა, ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხა<sup>34</sup>. მრავალ სხვა მსგავსსაც ვხედავთ ახლანდელ დროში...

აღგილი: გასასაოის მონასტერი, დრო: 1417 წ., გადაამწერი: მათოს მონაზონი, სახელწოდება: წმინდანთა ხობთა და კრებული. ი. აბულაძე, მათოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ, ენიშის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 48—53. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 211, გვ. 194—197.

### ბ (XVII ს-ის პირი)

...[წიგნი დაიწერა] ალვანთა ქვეყანაში, სომეხთა წელთაღრიცხვის „ჰკზ“ წელს (1417), რომელ წელსაც შესრულდა მთვარის

\* შტრ. მარკოსი 13:8.

სრბა მისი ნაწილების რიცხვისამებრ, რომელიც ჩვენს წინაპრებს დაუწერიათ, ამ წელიწადს იყო სასტიკი გვაღვა, გახმა ყოველი მცენარე და დაშრა წყლები, აღვანთა კათალიკოსის უფალ კარაპეტის მამამთავრობისას, როდესაც ქრისტიანებს მთავარი არ ჰყავდათ; რამეთუ ის, რომელიც დარჩენილიყო ბურთელიანთა სახლის ნაშიერი, სახელად სმბატი, გაიქცა საქართველოში და იქ, უცხოობაში გარდაიცვალა. დარჩენილი მისი „ბ“ (2) ვაჟი მოვიდა თავის მამულში, თუმცა თავიანთი სამთავროს უფალნი [კი] არ არიან, არამედ ურჯულოთა ხელთ [ჩავარდნენ]. ხოლო ხაჩენს იყო ვინმე ღვთისმსახური, სახელად ზაზა, ის სააქაოდან გარდაიცვალა; მისი გვარიდან დარჩენილები, ჯალალი თავისი შვილებით, ზაზას ვაჟები, არღუთი და ჯალალდავლე, მისი ძმები, ელეგუმი და ელეგანი ურჯულოთა ხელქვეშ არიან. ასე ჩამომცრობილია სომეხთა სახლის მთავრობა.

სასტიკი დრო დადგა, გამეფდა ვინმე თურქმენი სახელად [ი]უსუფი, რათა ღვთის ნებართვით იყოს მამხილებელი, იმ-ს მიხედვით, რომ ბოროტნი ბოროტად წარწყმდეს\*, რამეთუ მეოთხე მხეცის\*\*, კოჭლად წოდებული თემურის აღზოცვისას, მძლავრი [ი]უსუფი სამჯერ შეებრძოლა მის შვილებს. მოკლა ისინი; ხოლო დანარჩენები ლტოლვილნი წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

კანონიერი ხანი, სახელად აჰმადი, თავისი ნებით მოვიდა ბაბილონიდან ქალაქ თავრიზში, მის წინააღმდეგაც აღსდგა [ი]უსუფი, მოკლა იგი<sup>35</sup>, გადარჩა მხოლოდ შირვანის ამირა, რომლის აშბოხების [გამო] სამჯერ თავს დაესხა მას [ი]უსუფი: ბოლო მოსვლისას დაატყვევა იგი და მრავალი მისიანი; მოკლა ქართველთა საბრალო მეფე კოსტანტინე, რომელიც შირვანის მთავრის მისაშველებლად მისულყო. ივარყო [მან] ქვეყანა და წავიდა. მნიშვნელოვან ქვეყნებს ამდენი უბედურება დაატეხა თავს [ი]უსუფმა და პატარების შესახებ რაღა ვთქვა?...

## ბ

...მოთქმის ეამმა მოაწია.

გულისტკივილს ვერ დავფარავ,  
რადგან ამ წიგნის გადაწერამდე,  
წინა ხანებში, სამი წლით ადრე,

\* შტრ. მათე 21 : 41.

\*\* შტრ. წიგნი დანიელისა 7 : 7, 19; 23.

წარწყმიდეს მელე საქართველოსი,  
 თურქმენის ბოროტი ნათესავის,  
 [ი]უსუფად სახელდებული,  
 სატანის მიერ დატყვევებული კოსტანტინე<sup>36</sup>.  
 მოიცვა დიდმა მწუხარებამ  
 გონებაცა და არსება ჩვენი,  
 რადგანაც დიდსა ნათესავს ჩვენსას  
 ჰყავდა ის თავის მეფის მაგივრად:  
 დავკარგეთ იგი, მგელნი, ფრინველნი  
 შეექცეოდნენ მას ცუდ ადგილას<sup>37</sup>.  
 ამ დიდ ვაების წინამორბედი  
 ჩვენი მონასტრის დარბევა იყო;  
 ბოროტთაგანი ვინმე ფირუშმარი  
 ურჯულოთ ლაშქრის მხედართმთავარი  
 თავსა დაესხა ვატნიანის ველს.  
 ჯერ კი სავანე ჩვენი გაძარცვა,  
 მერმე სასწრაფოდ გაეშურა და  
 'აბრალობელი ველი გათელა,  
 ერთი ნაწილი გაანადგურა<sup>38</sup>.  
 მაშინ იმ ველის მთავარმა  
 წამოიყვანა შირვანის ჯარი,  
 აქეთა მხარეს გადმოვიდა მდინარე მტკვრის,  
 პირველად ჩვენი მონასტერი გათელა ფეხით,  
 მერმე კი მის ზემოთ მდებარე მთა,  
 ზეგარდმო წყალობის [იმედით] ვცოცხლობთ,  
 თვალტრემლიანნი, უპოვარნი და უვარგისნი.

#### 40

ა დ გ ი ლ ი: სოფელი ოთა, დ რ ო: 1418 წ., გ ა და მ წ ე რ ი: მკრტი-  
 ჩ ი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიშატაკარანები, I, №  
 242, გვ. 222.

[წიგნი დაიწერა] სომეხთა წელთაღრიცხვის „ჰკც“ (1418)  
 წელს, ქართველთა გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია ოთა,  
 უფალ ღერსესისა და უფალ იაკობოსის მამამთავრობისას, წმ. ღვთი-  
 სმშობლას შეწევნით... მოიხსენეთ ჩემი მასწავლებელი უფალი  
 ჰოვანესი, რომელსაც მეტსახელად ოსკეფორი ჰქვია, მასთან ერთად  
 საბრალო მჯღაბნელი მკრტიჩიც<sup>39</sup>...

ა დ გ ი ლ ი: ჰერმონის მონასტერი, დ რ ო: 1419 წ., გა დ ა მ შ ე რ ი: გრიგორ ახალციხეცი (ახალციხელი), ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: გრიგორ ტა-  
თეეაცის კითხვა-მიგებანი. XV ს-ის ჰინატაკარანები, I, № 739, გვ. 656—  
659.

...დაიწერა ეს წიგნი ფრიად ცოდვილი და უმეცარი მწერლის, ბერის სახელის უღირსი და საქმეში უნდო გრიგორის მიერ, სომეხთა წელთაღრიცხვის რვაას სამოცდარვა (1419) წელს, თურქმენი პარონის [ი]უსუფის მიერ ქვეყნის ფლობისა და უფალ პოლოსის კათალიკოსობისას. ამ წელიწადს ერთი კათალიკოსი, სახელად გრიგორი, მეტსახელად ხანძოლი, განდევნეს ტახტიდან და უფალი პოლოსი, იერუსალიმის ეპისკოპოსი აიძულეს და დაადგინეს კათალიკოსად. მოიტანეს წმ. მირონი და მისი კურთხევის წიგნი აღმოსავლეთში, სომეხთა ქვეყანაში. ყველანი, მოძღვართმოძღვარნი. მოძღვარნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, მთავარნი და ყოველი ერი ხარობდა ხანძოლის დამხობისა და ტახტზე უფალ პოლოსის დაჯდომის, განმტყიცების გამო. ილხენდა სომეხთა ყოველი ნათესავი, რამეთუ იყო [პოლოსი] ყოვლად შემკული მსოფლმხედველობითა და საქმიანობით, სულიერი და ხორციელი სიკეთით. [წიგნი დაიწერა] ქართველებზე აღექსანდრეს, ბაგრატ მეფის ძის, [ი]უსუფ პარონისაგან მოკლული, კოსტანტიანოსის შვილის მეფობისას, აღბუღას ძის ივანეს ათაბაგობისას<sup>40</sup>.

დაიწერა ეს წიგნი, რომელსაც ჰქვია კითხვა-მიგებანი. ელეგეაცის გავარში, ჰერმონის მონასტერში, წმ. განმანათლებლის გრიგორის, წმ. იაკობის ამ წმ. ნიშის, წმ. მოძღვართა საფლავების, აქ განსვენებულ მათ წმ. ნაწილთა და აქვე შეკრებილ სხვა მრავალრიცხოვან წმინდანთა მფარველობით, ამ მწ. კრებულსა და გავარში პარონ ტარსაიჭის მამამთავრობისას, [რომელიც არის] შვილი გუგუნისა, ბურთელის ძის ინანიკის ძისა. [მან] ამ წელიწადს დიდი შევიწროება, მწუხარება და სიღატაკე იწვნია, რამეთუ ვინც მთელ გავარს განაგებდა, აწ არც ერთი აგარაკის ან სოფლის მბრძანებლობა არ ძალუძს, რადგან წაართვეს, მიიტაცეს მისგან ყოველი სოფელი და ქალაქი, მონასტერი და უდაბნო; ის, ლტოლვილი, იმალება გამოქვაბულებსა და ტყეებში. ვიდრე მოხედავს უფალი ღმერთი და დაუბრუნებს ადრინდელ დიდებასა და მთავრობას. [წიგნი დაიწერა] ამ ნაჰანგში პარონ სმბატის ძისა და პარონ ბემქენის ძმის, უფალ სტეფანოსის, მეტსახელად ივანეს მამამთავრობისას, რომელიც უფალმა ღმერთმა დღეგრძელ ყოს თავის სისხლ-



ხორციან ერთად, ამ წმ. კრებულში სახელოვანი მოძღვართმოდღვრის ჰოვჰანნუს წინამძღვრობისას, რომელიც ამ დროში ბრწყინავდა ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ემსგავსა სეხნიებს იოანე ნათლისმცემელსა და იოანე ზებედეც ძეს... დაიცვას იგი უფალმა ღმერთმა დიდი დიდებით, მისი მოსაწონი დიდებული ცხოვრებით, ხოლო იმ ქვეყანად წმ. მოძღვართა და სეხნიათა მოდასე და თანაგვირგვინოსანი ჰყოს მშობლებსა და ყველა სისხლით ახლობელთან ერთად.

აწ. დაიწერა ეს [წიგნი] თავად ჩემი, ჩემი სულიერი მამისა და მოძღვრის მარტუგე მოწესის, სულიერი და ხორციელი მშობლების მოსახსენებლად.

გვედრებით ყველას, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], წაიკითხოთ ან გადაიღოთ, თქვენს ლოცვებში მოიხსენეთ მარგარე მოწესე. რამეთუ ჩვენი ფრიად კეთილისყოფელია, ჩემი პირველი მასწავლებელი ხუტესი მკრტიჩი, აგრეთვე ვარდანი და კარაპეტ ხუტესი, რაღუგან საბრალოთ მომხსენებელი არა ჰყავთ; „ღმერთო-შეიწყალეთი“ მოიხსენეთ მამაჩემი სარგისი და დედაჩემი ხერხათუნი, თქვენს ლოცვებში მოიხსენეთ აგრეთვე ჩემი ცოცხალი ძმებიც, ასტვაწაჭური და ავეტისი...

კვლავ პირვედამბობილი გვედრებით და ვეამბორები თქვენს წმ. ნაფეხურებს, ჰოი ამ წიგნის მკითხველსო და მნახველსო, მოიხსენეთ ზემოაღნიშნული ყველა ჩვენი მშობელი (!); მეც, უხმარი და უცები მწერალი მომხსენეთ ერთი „ღმერთო-შეიწყალეთი“, იახოვეთ ცოდვათა მიტევება და ბრალს ნუ დამდებთ, რამეთუ მთელი სამი წელი კალამი ხელთ არ ამიღია, სატანამ მე შურდულში ჩამდო და ქვეყნიდან ქვეყანაში გადამისროლა; მერმე შემეწია ღმერთი და სამი წლის შემდეგ აღრინდელი სიმშვიდე დამიბრუნა. როდესაც მოვედი ამ მონასტერში, „ბ“ (2) წლით აღრე კალიამ მოსავალი შექამა და დიდი სიმწარე იწვნია აღმოსავლეთის ქვეყანამ, რამეთუ ზედაზედ სამ წელიწადს მოსავალი განადგურდა და აოხრდა ქვეყანა. ვიდრე ნახევარს დავეწერდი, საძმო ოჯახი და სატრაპეზო არსებობდა, შემდგომ მონასტრის მნე წავიდა და სატრაპეზო გაჩანაგდა, ძმობაში განხეთქილება ჩამოვარდა, კიცხვა და დრტვინვა გახშირდა, ყველა დამოუკიდებელ მარტოდმყოფად იქცა. ყველას ჰქონდა სენაკი და მე არა, ყველას ჰქონდა პური, ხოლო მე არა, მონასტრის პური ერთმანეთში გაინაწილეს და მე არ მომცეს, ეგ მსხემიაო, მას წილს ნუ მისცემთო; ყველას ჰყავდა მორჩილი, მსახური, ხოლო მე არა, ყველას ჰყავდა ახლობელი, რომელთაც მათ-

თვის პური და წვნიანი მოჰქონდათ, ხოლო ჩემთვის არა, ყველანი შედიოდნენ წინამძღვრის სენაკში, ჰამდნენ და სვამდნენ, ხოლო მე არა, წინამძღვარმა ყოველი კაცის შიმშილისა უწყოდა, ჩემი კი არა, ძმობის ყოველი წევრი სათითაოდ სენაკში შეჰყავდა და აჰმევედა, ხოლო მე არა, ყოველი კაცის ჰირსა და ლხინს კითხულობდა და ჩემსას არა, ყველას ანუგეშებდა და მე არა, მე კი მისი სიწმინდისათვის ვიკეჰ და ვწერდი უსასყიდლოდ, მშვიერ-მწყურვალი... წინამძღვრის უფროსი მოწაფე შემომეზიარა, მივიდა წინამძღვართან [და უთხრა], რომ ახალციხეცის დედანს აძლევ და მე არა? ძმათა შეწევნა ასეთი იყო და ჩემი ხორციელი განცხრომა ამ წიგნის წერისას ამ ზომისა. [წინამძღვარმა მოწაფეებს წიგნები დაუბრია „ბ“ (2) და „გ“ (3), ხოლო მე არც ერთი. ღვთის გულისათვის, ვინც მსხემად არ წასულა, დაე ნურც წავა. სატანისაგან სულის მოწყვლის თქმა ენით არ ძალმიძს. ჩემს წასასვლელად გზა ხსნილი იყო და ჩემი გონებაც ვერ ისვენებდა. მთელი ეს მწუხარება გადმოვშალე წიგნის წერისას, ადამიანმა კი არ იცოდა]\*. ერთმა სხვა უფროსმა მოწაფემ პატარა ბერი სცემა, გრიგორს ქალაღი რატომ გაუღესეო<sup>42</sup>, რატომ გარეთ არ გააგდეო. შენდგომ შემოქმედმა ღმერთმა, რომელიც ადამიანს გაჰირვებიდან იხსნის, შიმშილს მოუკლავს და აჰმევეს. მოავლინა ერთი კეთილი კაცი; რომელიც გახდა ჩემი მამა და მისი თანამეცხედრე უდაჩემი; ვიდრე ამ წიგნს დავასრულეზღი, ბავშვის ზურგით მუღამ პურს მიგზავნიდნენ მე, უფალმა ღმერთმა მისცეს მათ პური, რომელიც ჰამონ და არ მოშვიდეთ. [ხოლო] ჯამალადინ მორჩილს ღრმა მოხუტებულობამდე მიაწუღნოს. მე საბრალომ და ეუღმა კი. რომელსაც სურა წყლის მომტანიც არ გამაჩნდა, მაგრამ შემწედ ღმერთი მყავდა, ღვთის ნებით დაჰწყე და მისივე ძლიერებით დავასრულე [წიგნის წერა] „ჰდ“ (74) დღეში...

## 42

ა დ გ ი ლ ი: სანაინის მონასტერი, ღ რ ო: 1420 წ., გა დ ა მ შ ე რ ი: მარტიროსი, ს ა ხ ე ლ წ ე დ ე ბ ა: სახარება. „ხუჩაბჩინ“, 1951 წ., ს ი ე ხ მ ე რ — ი ხ ს ხ მ ე რ, გვ. 88, XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 265, გვ. 240.

...აწ. დაიწერა ეს [წიგნი] იუსთავ მძლავრის ღროს, ქართველებზე ალექსანდრეს მეფობისას<sup>43</sup>, გუგარელთა ნაჰანგში, ძორქის

\* ფრჩხილებში მოთავსებული ნაწყვეტი მიწერილია მინდორზე.

გავარში, სახელგანთქმულ და ცის მობაძავ წმ. სანაინის კრებულში...

[წიგნი დაიწერა] [ი]ათვეტური დიდი წელთაღრიცხვის „პკთ“ (1420) წელს, მზის თევზის თანავარსკვლავედში ყოფნისას, ნაკიან წელიწადში.

### 43

დ რ ო : 1422 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : თვენი. XV ს-ის პიშატაკ-რანები, I, № 300, გვ. 272—276, 278—280, 283, 286—288.

ჩვენი დროის ვაებათა მოხსენება, რომელიც წარმოთქვა გრიგორ მოძღვარმა, მეტსახელად წერენცმა, ხლათეციმ.

სომხური ათვლის რვაას  
და ხუთჯერ შვიდს (1386),  
პირველ იანვარს, გამოჩნდა თუ არა,  
დაბნელდა ნათელი მზის...  
ზარბაროს ტომის დედაქალაქიდან  
დიდი სასჯელი დაგვატყდა თავს.  
თოლთამიშ ხანმა, ჰონების მეფემ  
ლაშქარი გაგზავნა სპარსეთს,  
მოვიდა იგი რბევით და ძარცვით  
და მოაღწია სომხეთს,  
იანვრის ხუთსა შევიდნენ თავრიზს,  
ნახჭევანს ოცდაცხრა იანვარს,  
იქედან გასწიეს მულანს,  
[შემდეგ კი] დაბრუნდნენ უკან...  
სხვა მეხიცი დაგვეცა ჩვენ  
ჟფრო სასტიკი, ვიდრე პირველი,  
მწუხარე ვიყავით ჯერ ისევ,  
აშბავი გავიგეთ მეტად საშინელი,  
რამეთუ დაიძრა ხორაზმის სახლი,  
თათართა მთელი ნათესავი,  
მკხოვრებნი სამარყანდისა...  
აირარატის გავარის გავლით  
მივიდნენ ალვანთა ქვეყანას,  
[მერმე] ტფილისად სახელდებული  
სამეფო ქალაქი აიღეს,  
ქართველთა მეფესა ბაგრატს

უარი ატქმევინეს რჯულზე.  
იქედან დაბრუნდნენ უკან,  
გამოიზამთრეს მულანს,  
როდესაც დადგა გაზაფხული  
დიდსა სიუნიქს გასწიეს კვლავ  
დაიმორჩილეს ციხე ოროტანი  
კარამდე ილაშქრეს მათ...  
ბოროტი ლაშქრის მეთაური  
სახელად იყო ლანგ-თამური.  
რვაას ოცდათექვსმეტ წელს (1387)  
მოხდა ამბავი ეს;  
მრავალი მხეცობა ჩაიდინეს,  
სიმაგრეები დაარბიეს  
ერთი მათგანი იყო ბიჭნი...  
აილეს ციხე კაპუტიცი,  
ოთხასი სული მოკლეს იქ,  
ერევნის დიდსა დაბასა  
ხუთასი კაცი გაჟლიტეს...  
საქმენი საგმირონი უნდა ვახსენო,  
დიდი სიმამაცე ქართველთა მეფის,  
შან მოიპოვა დიადი გამარჯვება,  
ჩალათაელთა ჯარი აოტა,  
გარემოეცვა რომელსაც ერნჯაკი  
აულბებელი ციხესიმაგრე.  
გამოიყვანა იქედან ტაპირი,  
ხანის ძე, ერნჯაკის სულთანი,  
წაიყვანა და გააძლიერა  
ასე გაუგზავნა აჰმად ხანს.  
მოსვლისთანავე ბოროტი შვილი  
აჯანყდა ხანის წინააღმდეგ...  
ლანგ-თამურს როცა შეატყობინეს,  
ქართველთა მეფემ რაც ჩაიდინა,  
კვლავ ჯააჰნადა გაცოფებულმა  
ბრძოლებისათვის მისი მხედრობა.  
დაიძრა ბეგი თამური  
მეტი სიმრავლით, ვიდრე პირველად,  
სიმაგრეებში შევიდა ქართლის  
ყველანი აქცია ტყვეებად...

ქრისტიანების ცოდვათა გამო,  
 [ი]უსუფ ხანი საღვთო ომით  
 ქართველთა ქალაქს, ახალციხეს დაესხა თავს,  
 დაარბია და დაატყვევა ის.  
 ესე ამბავი მოხდა  
 რვაას სამოცდახუთ წელს (1416)...  
 [ი]უსუფ ბეგის შვილები  
 დაეპატრონენ ტახტს,  
 თუშქალა ველარ მორიგდნენ  
 და დაერივნენ ერთმანეთს.  
 ყველაზე უფრო შეჩვენებულმა,  
 მირ [ი]უსუფის უმცროსმა ვაჟმა  
 ნავსაყუდელმა ბოროტების, სპანდიარმა,  
 ლირბჰა, სულელმა და არამზადამ,  
 კეთილნაშენი ბევრი გავარი  
 დააზიანა და ააოხრა.  
 ღაანგრია მან არკეში, არწყე,  
 ზასიანი და ავნიკი,  
 არზრუმის, კარნუ ქალაქი  
 ყველაზე უფრო მეტად...

[ლანგ-თამურის ლაშქრობათა და შემოსევათა ისტორია, გრი-  
 ვორ ხლათეცისა].

...დაიძრა ქართველთა მეფე,  
 დიდძალი, მრისხანე ლაშქრით,  
 მიადგა ერნჯაყის ციხეს,  
 გამოიყვანა აჰმად ხანის ძე,  
 ჩაღათაელთა აოტა ჯარი,  
 გააძლიერა მეციხოვნენი.  
 ეს რომ თამურ ბეგს შეატყობინეს  
 კვლავაც დაიძრა განრისხებული,  
 დაბრუნდა ქალაქ სამარყანდიდან  
 თავზარდამცემი, სასტიკი ჯარით,  
 ვეებერთელა ბევრი სპილოთი  
 და სხვა მზაკვრული მანქანებით.  
 მოვიდა შემოდგომის ხანს  
 სომეხთა ათვლის რვაას ორმოცდარვას (1399)

და ზაფხულამდე აღარ წასულა.  
 აწიოკებდა, სპობდა ქართველებს  
 მთელი შვიდი თვის მანძილზე;  
 მოკლულთა რიცხვმა ასი ათასს გადაამეტა  
 და უფრო მეტი იყო ტყვეები,  
 ველარ მოხერხდა მათი დათვლაც კი,  
 არაფერს ვამბობ ცხენთა მიერ გათელილებსა  
 და კლდეებიდან გადაყრილებზე...

#### 44

ა დ გ ი ლ ი : ტათეის მონასტერი, დ რ ო : 1422 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ო :  
 თუმა, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : გრიგორ ტათეეცის მარგალიტი. XV ს-ის  
 პიშატაკარანები, I, № 303, გვ. 292.

დაიწერა [ევ]სტათეს მონასტერში, ჩვენი უშიში მოძღვართ-  
 მოძღვრის, მხითარის ფეხთა წინაშე, სისაყანის ქვეყანაში პარონ  
 სმბატის ძის უფალ სტეფანოსის წინამძღვრობისას, რომელიც წლე-  
 ულს წავიდა საქართველოში, დედამისთან და მიიცვალა ქრისტეს  
 მიმართ... მისი ძმის პარონ ბეშქენის მთავრობისას<sup>1</sup>... სომხური  
 ათვლის „ჰჰა“-ს (1422), თუმას მიერ.

#### 45

ა დ გ ი ლ ი : კაფა, დ რ ო : 1423 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ო : ქრისტოსატუ-  
 რი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : იღვარი (პიშატაკარანი შემონახულია რუ-  
 სული თარგმანით). К. Кучук-Иоаннесов, Древние армянские руко-  
 писи из Крыма (оттиск из № 47 «Известии» Таврической Ученой Ар-  
 хивной Комиссии), XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 329, გვ. 312—313.

მე, მდაბალ მონას ჩვენი ქეშმარიტი უფლის იესო ქრისტეს  
 მონათაგან, უფალ სტეფანოსს, სიტყვიერების მსახურს, სიტყვათ-  
 შემოქმედთა შორის უკანასკნელს, რომელიც ქართველთა გავარი-  
 დან ვარ. შობილი ახალციხეში. უხმარ მწერალსა და გზააბნეულ  
 მწყემსს, დიდი ხანია მეწადა ხილვა პონთა ქვეყნისა, მის მონას-  
 ტერთა, მოწესეთა და ერისკანთა. და აწ, მოვედი ღვთივდაცულ  
 ქალაქ კაფაში და შევხვედი დიდად გონიერ არქიეპისკოპოს უფალ  
 მათოსს, დიდი მქვერმეტყველის გრიგორის მოწაფეს. მისი შეწვევ-  
 ნით ვპოვე ღირსი ბერი ქრისტოსატური, გადაწერი. შემამკობელი  
 და მკაზმავი, მივეცი მას ჩემი მონაგები, მოვიწადინე [რა] საგალო-

ბელთა ეს თხზულება ჩემი სარგებლობისათვის და ჩემს წინაპართა მოსახსენებლად.

ღიწერა [ეს წიგნი] ჰონთა ქვეყანაში, რომელსაც ეძახიან ურიმს, სახელგანთქმულ და დიდებულ ქალაქ კაფაში, წმ. ანას და მრავალ სხვა წმინდანთა მფარველობით, უფალ პოლოსის კათალიკოსობისას, სომეხთა წელთაღრიცხვის „პპბ“-ს (1423).

მე, საუფლო განძის გამფლანგველი და ტალანტთა დამმარხველი უფალი სტეფანოსი პირქვედამხობილი გვედრებით წმ. ეკლესიის მსახურთა უმწიკვლო დასს, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], იხილოთ და ისარგებლოთ მისგან, წაიკითხოთ ან გადაწეროთ, თქვენს წმინდა, ანკარა ლოცვებში მოიხსენეთ მისი მომგებელი უფალი სტეფანოსი, აგრეთვე ჩემი ღვაწლმოსილი, ბრძენი და სახელოვანი მასწავლებელი, განსვენებული მოძღვარი ჰაკობი, არქიეპისკოპოსი უფალი ნერსესი, სახელგანთქმული ჰაღბატის მონასტრის მამასახლისი უფალი ჰაკობი, ჩვენი აღმზრდელი ვარდან ბერი, ჩემი კეთილისმყოფლის, პარონ ქურდამირის ძის პარონ ჰოვანისის თანამეცხედრე და მამა, ჩემი ხორციელი მშობლები ალა კირაკოსი და კულ-მელიქ ხათუნი, ალა მურადი და შაჰ-ხუთლუ\*, მამამაჩემი პარონი მარტიროსი და დედაჩემი შნავორი, შუამდინარეთში მოწამებრივი სიკვდილის გვირგვინით შემკული ჩემი ძმა, პარონი ჰოვანისი, მამის ძმა პარონი ჰაკობი, ჩემი რძალი ნუჟზარ-ხათუნი, სიძე პარონი ლაზარი, და დესპინა-ხათუნი, დედის ძმა პარონი გრიგორი და ყველა ჩემი სისხლით ახლობელი და ნათესავი, ცოცხალი და მიცვალებული, რომლებიც იხსნას ქრისტე ღმერთმათვის მეორედ მოსვლისას, ამინ.

[მოგვიხსენეთ] აგრეთვე... უღირსი მწერალი, შემამკობელი და მკაზმავი ქრიტოსატური და ჩემი მშობლები...

## 46

ა დ გ ი ლ ი : სანანის მონასტერი, დ რ ო : 1424 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი :  
პოჰანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება. XV ს-ის ჰიმნოგრაფიანი  
I. № 332, გვ. 315—316.

...ხუცესი მათეოსი, არარატის გავარიდან, აღზრდილი მაღლიდან გადმომყურე, გამორჩეულ და სახელგანთქმულ ჰაიოც-თარის წმ. მონასტერში, დიდად მოწადინებული იყო ამ ღმრთივ-სულიერ აღთქმას, სახარებას...

\* ეტოზა, იულისხმებიან სტეფანოსის ბებიები და ბაბუები.

დასრულდა ამ [წიგნის] წერა სომხური წელთაღრიცხვის „პჰე“ (1424) წ.. იმ წელიწადს, როდესაც იყო სასტიკი ეპიმიანობა<sup>45</sup> ცოდვათა ჩვენთა სასჯელად, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, თურქმენ სქანდარის მიერ სომეხთა სახლის მძლავრობით პყრობისას, ჩვენზე ქრისტე ღმერთის მეუფებისას, უფალ პოლოსის მამამთავრობისას, ლეთივდაცულ ლორეს გავარში, ცის მობაძავ. დიად. სახელგანთქმულ, სანაინად წოდებულ მონასტერში...  
[მონიხსენეთ] ერისთავთა მთავარი პარონი ჩალაბი<sup>46</sup>...

#### 47

ა დ გ ი ლ ი: თმოგვი, დ რ თ: 1426 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ი: ანისის ეპისკოპოსი ჰოვანესი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: იადგარი. XV ს-ის კიპატაკარანები, I, № 374, გვ. 354—355.

[დაიწერა] „პჰე“ (1426) წელს, მაღხასსა და აულეებელ ციხე თმოქში, წმ. ლეთისმშობლის მფარველობით, სასჯელის თანამდები მწერლის, ანის ეპისკოპოსის უფალ ჰოვანესის მიერ, წრფელი და უმწიკვლო მოწესის... უფალ ასტეაწატურის მოწადინებით, დიდი და მამაცი მდივნის, სისის მწიგნობრის გრიგორის, მეტსახელად ყრუს, კარგი, რჩეული დედნიდან.

#### 48

ა დ გ ი ლ ი: კოლუცის მონასტერი, დ რ თ: 1428 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ი: კარაპეტი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: მრავალთავე-სადღესასწაულო. მისი-ფასკ ჩაქსრქნ მხარაფიფე შაოხნაფაჩანქან შუჩაქრეხანე ქ ქიხნნა. ყაყმსე მ. შაჯხან, ქიხნნა, 1895. გვ. 583, XV ს-ის კიპატაკარანები, I, № 403, გვ. 380—381.

დიდება... რომელმაც მოგვცა შეძლება დაგვესრულებინა ეს ოქროვანი სადღესასწაულო ლეთის სამკვიდრო მონასტერში, რომელსაც კოლუც ვანქი ჰქვია, წმ. გრიგორ განმანათლებლისა და ქრისტეს წმ. ნიშთა მფარველობით, დიდი მოძღვართმოძღვრის... პაკობის წინამძღვრობისას, მართალი და ლეთისმოყვარე ტანუტერის პარონ მკრტიჩის მოწადინებით, რომელმაც დიდად მონდობებულმა... დაგვაწერინა ეს [წიგნი] თავისი თავის, მისი მშობლების საღათელისა და ქალბატონ მელექის, ცოცხალი ძმის სტეფანოსის, ქრისტეს მიმართ მიცვალებულ ძმათა საპაქისა და გეორგ დიაკვნის, ცოლის, ნუნუფარ-ხათუნის, შვილის, ჰოჰანეს დიაკვნის მოსახსენებლად.

ხოლო მე, ყოვლად ცოდვილმა და გონებაარეულმა მწერალმა



კარაპეტ ბერმა ვიხილე მისი დიდი სურვილი და უძლური შევუდე-  
ქი წერას.

...აწ, დაიწერა ეს [წიგნი] იმავე უმეცარი კარაპეტის, უხმარი  
მწერლის მიერ, ჩვენი წელთაღრიცხვის „პპმ“ (1428) წელს, ისქან-  
დარ მირზას მიერ ქვეყნის პყრობისა და ტახტის ფლობისას, რომე-  
ლიც ბატონობდა სპარსეთსა და ბაბილონზე, სომეხებსა და შუამდი-  
ნარეთის ასურეთზე, სომეხთა არარატის სახლზე, ეზნკამდე, მერ-  
დინამდე, ბალდადამდე, სოლთანიამდე, განძაკამდე, სატახტო თავ-  
რიზამდე და დიდ მდინარე მტკვრამდე. ყოველივე ეს მძლავრობით  
ეპყრა ისქანდარ მირზას<sup>47</sup>.

აწ, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], იხილოთ ან რაიმე სახით  
გამოიყენოთ, მოიხსენეთ კეთილი განზრახვითა და სათანადო ვედ-  
რებით მისი მომგებელი მკრტიჩი, მართალი ტანუტერი...

გვედრებით ყველას, თქვენს ლოცვებში [მოგვიხსენეთ] ფრი-  
ად ცოდვილი მწერალი კარაპეტი, ჩემი მშობლები ხაჩატური და  
ალბრაცი, ძმები, სიწმინდით აღზრდილი ავეტისი, კეთილგონიერი  
ბერი, რომელიც ბრწყინავს ვითარცა ლამპარი ეკლესიაში და ხუცე-  
სი თუმა, აგრეთვე ჩემი მასწავლებელი, მოწესე თუმა და მისი  
მშობლები აბრაჰამი და ჰერიქ-ტიკინი, ამინ. აგრეთვე ჩვენი სული-  
ერი მამა მელქესეთი, ამ წმ. მონასტრის წინამძღვარი...

#### 49

დ რ ო: 1430 წ., ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიშატაკა-  
რანები, III, № 496, გვ. 369, I, № 580, გვ. 515.

სომეხთა წელთაღრიცხვის „პპმ“-ს (1430), ლორეს ციხის გა-  
რემოცვისას, ჯაჰანშამ დაატყვევა ეს წმ. სახარება<sup>48</sup>. მე უფალმა  
გრიგორმა და ბარსელ ბერმა შეევაგროვეთ „რ“ (1000) დრაჰკანი<sup>49</sup>,  
ძივეციტო და ტყვეობისაგან დაეიხსენით [ეს წიგნი], ჩვენი და ჩვე-  
ნი მშობლების მოსახსენებლად, ამინ.

#### 50

ა დ გ ი ლ ი: თბილისი, დ რ ო: 1432 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ი: კარაპეტ  
ალთაშარცი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიშატაკარანები  
I, № 449, გვ. 420—421.

#### 5

...უფალი ღმერთის წყალობით დავიწყე და მისივე შეწევნით  
დავასრულე სომეხთა წელთაღრიცხვის „პპა“-ს (1432), „უზ“ (16).

ავგისტოს. დაიწერა ბერის სახელის უღირსი კარაპეტის მიერ დე-  
დაქალაქ ტფილისში, პარონ სოლაღენცის მონასტერში, წმ. ყოველ-  
თა მაცხოვრის კარზე; ამ წმ. მონასტრის აღმშენებელთ უფალმა  
მიმადლოს ხელთუქმნელი ტაძარი, სასუფეველი ცათა, ამინ.

მე, ცოდვებით სავეს მწერალი გევედრებით ყველას, ვინც  
ისარგებლებთ ამ წიგნით, წაიკითხავთ ან გადაწერთ, თქვენს წმ.  
ლოცვებში მოგვიხსენეთ მე, ჩვენი მშობლები, პეტროს ხუცესი და  
შნოპუორი, ჩემი ძმა ჰოპანესი, ქრისტეს მიმართ მიცვალებული  
ჩემი და სულტანი, აგრეთვე სხვა ძმებიც, რომლებიც ქალაღდის გა-  
ლესვაში მშველოდნენ...

ძმანო, შეცდომებისა და ჰავხელად წერისათვის ბრალს ნუ  
დამდებთ, რამეთუ ჩვენ [მეტი] არ შეგვეძლო.

## ბ

ამ წელს ქრისტეს მიმართ მიიცვალა პარონი ჩალაბე, ხოლო „ხ“  
(40) დღის შემდეგ მისი ძმა, არქიეპისკოპოსი უფალი ჰოვანესი, პა-  
რონ ფაშას შვილები, ახალგაზრდები გარდაიცვალნენ და გაუნელე-  
ბელი მწუხარება დაუტოვეს თავისიანებსა და გარეშეებს. უფალმა  
ღმერთმა განკითხვის ღღეს მიუტევოს მათ ყოველი შეცოდება, ამინ.

## 51

ა დ გ ი ლ ი : ბიჯნი, დ რ ო : 1432 წ., ო ო ო გ ე ო ე ლ ი : წატური,  
ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება. ხ. ლ ა უ ა კ ა ნ, ჟ ა თ ა ხ ე რ, მ ც ვ ა-  
ფ რ ა ხ ა ნ ჯ ა ნ ი ხ ა, რ. გ ი რ ე, 1897, გვ. 286; XV ს-ის პიშატაკარანები,  
I, № 450, გვ. 421.

ყოვლისმპყრობელი ღმერთის, მამისა და ძის და სული წმი-  
დას ნებით, ბოლო ხანებში, უკეთურ, მუხთალ დროში, სომხური  
წელთაღრიცხვის „პძა“ (1432) წელს, არარატის გავარის უპატრო-  
ნობისას, [იქაურების] ქართველთა ნათესავს შორის მსხემობისას...  
გაფანტვისას. აწ, ასეთ დროში, ბიჯნის საარქიეპისკოპოსო ტახტზე  
უფალ ჰოვანესის ეპისკოპოსობისას, მე წატურმა, ღვთის მონათა  
მონამ, ქალაქ ბიჯნის ნახარარმა, ზედამხედველმა და წინამძღოლმა  
და ჩემმა მეუღლემ სარიბეკმა, მივალწიეთ [რა] სიბერის ასაკს, ვე-  
ლოდით გარდაცვალეხას, გულითადი სიყვარულით შევიძინეთ ეს  
წმ. სახარება, ჩვენი და ჩვენი წინაპრების საუკუნოდ მოსახსენებ-  
ლად...

ა დ გ ი ლ ი: ჭალეთის მონასტერი, დ რ ო: 1432 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
ჰოვჰანეს არძრუმეცი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიშა-  
ტაკარანები, I, № 457, გვ. 425.

[მომგებელი ჰოვჰანეს მღვდელი მოხუცებულობის უამს წავი-  
და იერუსალიმში, იქედან მშვიდობით დაბრუნდა, მოიტანა მასალა  
სახარებისათვის] და გადააწერინა ის უღირს და შეუტრაც მწერალს  
ჟკანასკნელ ხანებში, სომხური წელთაღრიცხვის „პძა“-ს (1432), და-  
პალის გავარში, უფალ მათეოს ალვანთა კათალიკოსის წინამძღ-  
ვრობისას... ჭალეთის მონასტერში<sup>50</sup>, წმ. ღვთისმშობლის, გრიგორი-  
სა და ათანაგინის წმ. მარჯვენთა მფარველობით, მათი მსახურის,  
კანდელაკის — უფალ კარაპეტის [დახმარებით], რომელმაც ღედა-  
ნი გვიწყალობა...

## 53

დ რ ო: 1434 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ოჰანეს აწყორეცი (აწყურელი).  
ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: კათოლიკე ეპისტოლეთა განმარტება სარგის  
შნორპალისა. XV ს-ის ჰიშატაკარანები, I, № 488, გვ. 445—446.

## ა

...ოი ხუცესო, ამ წიგნის შემძენო,  
სახელად ასტვაწათურო,  
ნეტარ ხარ, რომ მიემთხვევი,  
ამ ნათელმოსილ ყვავილნარს,  
სული წმიდისგან მომდინარე წმიდა თხზულებას.  
როდესაც მუხლი მოიდრიკო გულითადად,  
მიუახლოვდე ღმერთს წრფელი გულით,  
საბრალო, ფრიად ცოდვილი,  
მე, საწყალი ოჰანესი, აწყორეცი  
მომიხსენე იმ დროს შენ.  
დაიწერა ესე წიგნი სარგისისა,  
იაფეტური წელთაღრიცხვის  
რეაას ოთხმოცდასამს (1434).

## ბ

...ოი, წმიდანო მკითხველნო და მსმენელნო ამ თხზულებისა,  
თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ ლოცვებში მოიხსენეთ ამ წმ.

აღთქმის მომგებელი, მოწესე ასტეწატური, მისი ძმა ზაქარია, აგრეთვე ფარხუნდი, მათი ბრწყინვალე შვილები, სტეფანოსი, დავითი, წიგნის-მკითხველი მეღქისეთი, მათი ცოცხალი თუ მიცვალე-ბული სისხლით ნათესავეები და კეთილისმყოფელნი, აგრეთვე სასჯელის თანამდები მწერალი ოპანესი...

## 54

ა დ გ ი ლ ი: სოფელი კრწანისი, დ რ ო: 1436 წ., გ ა დ ა მ რ ე რ ი: ჰოპანესი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: თვენი. XV ს-ის კიშატაკარენები, I) № 505, გვ. 461—463.

დიდება... რომელმაც შემაძლებინა ამ ღვთისმოსაწონი თხზუ-ლების დასრულება მე ჰოპანეს მწერალს, ღვთის უღირს მონას, ცოდვებით სულწაწყენილს, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ვგევარ ხუცესს და არა საქმით, ვარ უღირსი და სასჯელის თანაჲ-ღები. [წიგნი] დაიწერა ცოდვილი და უხეირო მწერლის მიერ, ხოლო სათაურები დაწერა აღვანთა არქიეპისკოპოსმა უფალმა სარგისმა, რომელსაც მამასავით ვებრალეზოდით, მუდამ მოდიოდა და გვამხნევებდა წერისას.

დაიწერა ეს [წიგნი] სომეხთა წელთაღრიცხვის „ჰქე“-ს (1436), საქართველოში, დედაქალაქ ტფილისთან ახლომდებარე სოფელ კრწანისში, კათოლიკე წმ. ღვთისმშობლისა და ყველა სხვა წმ. ეკლესიათა მფარველობით, უფალ კოსტანტინეს მამამთავრობისას, აღვანთა [კათალიკოსის] უფალ მათეოსისა და დიდად კეთილისმყოფელი, უშიში და გონიერი ჩვენი მოძღვრის ეზეკიელის [დროს], საქართველოში აღექსანდრეს მეფობისას, ცულ, სასტიკ დროში, როდესაც ჩემი მოზღვავებული ცოდვების გამო მოვიდა ბოროტი, ურჯულო შახრუხი და ფრიად ააოხრა ქვეყანა. ამის შემდეგ წავედით კურთხეულ ადგილებში, [ი]ერუსალიმში და ვეამბორეთ წმ. საფლავს, აგრეთვე უფლის სხვა ყველა წმ. ადგილებს. უკან დაბრუნებისას, დამაშხში საწერი ქალაღდი და სხვა მასალა შევიძინეთ და წამოვიღეთ საქართველოში. დავტოვეთ [აქ] ქალაღდი და წავედით განძაკში, [რადგან] ძალიან გვენატრებოდა ძმა და აწლობლები<sup>5</sup>. ვინაიდან ურჯულო ჩალათაელთა სისასტიკემ შეგვაწუხა ჩვენ, ავიღეთ ჩვენი საეკლესიო ტანსაცმელი, ანაფორა. სახარება, [სხვა] წიგნები, საცეცხლური და ყოველივე სულის თუ ხორცის სახმარი რაც იყო და წამოვედით საქართველოში დიდ ქარავანთან ერთად. მოვალწიეთ [რა] აღსტევს, შევეჩიხებთ ჩალათა-

ელთა მრვალრიცხოვან ცხენოსან რაზმს. გაგვძარცვეს ჩვეხ და ყვე  
ლა ქრისტიანი, გაგვატიტვლეს, ფეხსაცმლის მეტი არაფერი დაგვი  
ტოვეს, თანაც ზამთრის დღეებში, ყინვაში. მივედით ციხე გავაზან  
შინ<sup>52</sup>, ქრისტიანები შიგ შევედით და დავფარეთ ჩვენი სიშიშველ  
მოვედით თვალცრემლიანი და შევუღეკით წერას

მოიხსენეთ სარგის ბერი, ტფილისის კათოლიკეს დეკანოზი  
რომელმაც დედანი გვიწყალობა, ქრისტე ღმერთმა მიმადლოს მა  
სასუფეველი ცათა, აგრეთვე ჩემი სულიერი ძმები, თანაღზრდი  
ლები იორდანან ბერი და სტეფანოსი, კრწანელი ზუცესი.

დაიწერა ეს [წიგნი] რჩეული დედნიდან, ჰიძნების, საგალობ  
ლების, ერთად თავმოყრილ საღვთისმსახურო სიძღვრების წიგნი  
დან: აწ ეს წმ. თენგიც დღესასწაულთა და სწავლამოწყურებულთა  
შემამკობელია. გვედრებით, ჰავხელად წერისა და წიგნის შეცდო  
ნებისათვის ბრალს ნუ დამდებთ, რადგან ჩვენ მეტი ძალა არ შეგვ  
წევდა, [საქმის] სიყვარული გვქონდა, ხოლო ოსტატობა არა.

ულირსმა ჰოპანესმა, ზუცესმა სახელით და არა საქმით, შევი  
ძინე ეს [წიგნი] ჩემი თავის, ჩემი მშობლების. ცოცხალი და მიც  
ვალეზული ყველა სისხლით ახლობლისა და ყველა კეთილისყოფე  
ლის, ჩემი ძმის ჰოვანისის, დის თუხთენოს, ქრისტეს მიმართ მიც  
ვალეზული ჩემიანების, მამაჩემის ჰურუმის, დედაჩემის გუპარის,  
დების: ნიუსრათის, ლატამისა და ჰერიქის, ჩემი შვილების, მელქი  
სეთისა და მხითარის მოსახსენებლად, ქრისტე ღმერთმა ცოცხალნი  
ჩხნას ყოველგვარი საფრთხისაგან, ხოლო მიცვალეზულთ სიშვე  
დე და წყალობა მიმადლოს. ასევე ჩემს ნათლიდედას არუს-ხათუნს,  
მის ვაჟებს ვაჩანსა და სოლთანს, მის ქალებს იას აღმსარებელსა და  
ანა-ხათუნს, მის რძალს ჰრიფსიმეს, აგრეთვე კრწანელ ყოველ ერს,  
კაცსა და ქალს, მოხუცსა და ყრმას, მღბალესა და ყველა მშრომელს,  
ვისაც ჩვენთვის ნატეხი პური და ქვის ჰურჭლით წვნიანი მიაქონ  
და, ან დოქ წყალს გვაძლევდნენ, ქრისტე ღმერთმა ასკეცად მიუ  
ზღოს თითოეულს ამ ქვეყნად, ხოლო საიქიოს — ათასწილად და  
წყყალობოს სასუფეველი ცათა.

ხოლო ვინც ისარგებლოთ ამ [წიგნით], წაიკითხოთ ან გადა  
წეროთ. თქვენს წმ. ლოცვებში მომიხსენეთ მე, სასკელის თანამდე  
ბი მონა და ღმერთი თქვენ გახსენებთ თავის ცის სასუფეველში,  
სამარადისო დიდება ქრისტეს, ამინ, ამინ...

ადგილი: სანაინის მონასტერი, დრო: 1437 წ., გადაშენი: შმავენი, სახელწოდება: იადგარი. XV ს-ის ჰინატაქარანები, I, № 514, გვ. 468—470.

...[წიგნი დაიწერა] სანაინის მონასტერში, წმ. ღვთისმშობლის მფარველობით... სომხური წელთაღრიცხვის „პმხ“ (1437) წელს, საქართველოში ღვთისმსახური ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში ერისთავთა მთავრის, ორბელიანთა მოდგმის პარონ ბეშქენისა და მისი ვაჟის, ჩემი სულიერი შვილის, პარონ რუსტამის მთავრობისას, უფალმა ღმერთმა დაიცვას პარონი ბეშქენი უშფოთველი ცხოვრებით მის შემკობილ შვილთან ერთად ღრმა მოხუცებულობამდე...

///სასოწარკვეთილი ვარ დროის სისასტიკისა და სომეხთა ქვეყნის მრავალი ვაებისა და აოხრების გამო, რამეთუ მოვიდა შეჩვენებული, ბოროტი მძლავრი და ანტიქრისტეს წინამორბედი, ძე სატანისა შაჰრუხი, ლანგ-თამურის შვილი, ტომით სპარსი, იგი სამხრეთიდან დაიძრა დიდი ლაშქრით, ურიცხვი მხედრობით, მოვიდა და დააქცია ჩვენი ქვეყანა, გაძარცვა და დაატყვევა ყოველივე, აოტა ჩვენი ქვეყნის მპყრობელი, სახელად ასკანდარი, ძე იუსუფისა, თორგომის ნათესავი. უბედურებისა და ვაების, ნაირ-ნაირი მწუხარებისა და ჩვენი დროის სისასტიკის დაწერა ვის ძალუძს, რამეთუ ეს მესამედ მოსვლა და დარბევა იყო, ჩვენი ეკლესიები სპნელემ მოიცვა. ჩვენი წმ. მოციქულის ევსტათეს ანგელოზთა სამკურნო ტახტი დაარბიეს, მიწასთან გაასწორეს და საერთოდ სახლები დაწვეს, ყოველი მონაგები მიიტაცეს. ჩვენი ძმობის წევრები გავქვეით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში, ჩვენს ღვთივმომადლებულ მთავართან, ყოვლად კურთხევის ღირს პარონთა პარონ ბეშქენთან, წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად<sup>53</sup>. ამ მიზეზის გამო დაუპყვიდრდით სანაინის ამ წმ. მონასტერში, ფრიალ უმწიკვლო, მეუღაბნოე და ძაძითმოსილი ბერის, ამ პატიანის შემამკობელი პოპანესის ფეხთა წინაშე, რომელიც უფალმა ღმერთმა შეამკოს ორთავე მოქალაქობასა შინა, რამეთუ მრავალი და ნაირ-ნაირი შესაწევრით გვანუგეშა ჩვენ და ჩვენთანები გაპირვების დროს. მრავალი სიმწარისა და გაურკვევლობის გამო ვერ ვისვენებდით ვერც დღით და ვერც ღამით, რადგან დააქციეს ჩვენი ქვეყანა და ბნელმა მოიცვა ეკლესიები, მაგრამ პარონთა პარონი და ერისთავთა მთავარი, გარეგნობით მშვენიერი და ყოველმხრივ შემკული პარონი ბეშქენი კვლავ შეიქნა ჩვენი ტანჯული ნათესავის ნუგეში, წავიდა მძლავრ-

თან და მთლიანად გაანთავისუფლებინა მისი ჯარისაგან დატყვევებულიები. უფალმა ღმერთმა იხსნა ის და მისი წინაპრები სატან-სა და მის საცდურთაგან...

## 56

აღგილი: თბილისი, დრო: 1437 წ., გადაშერი: კარაპეტი.  
სახელწოდება: თენი. XV ს-ის კიმატაკარანები, III, № 517, გვ. 384; I, № 520, გვ. 475.

...ღვთის წყალობით დავიწყე და მისივე შეწევნით დავასრულე ეს წმ. წიგნი, რომელსაც ჰქვია თენი. დაიწერა ის სომხური წელთაღრიცხვის „პძზ“-ს (1437), მცირე წელთაღრიცხვის „წდ“-ს (1437, 1438), რომელთა „რქძთ“-ს (1189), საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, დედაქალაქ ტფილისში, ბეთლაქემის უდაბნოში, წმ. ღვთისმშობლის კარზე, ბერის სახელის უღირსი კარაპეტის მიერ, [ბერი] კი მქვია, მაგრამ საქმით მეტად გამოუსადეგარი და უსარგებლო ვარ. აწ, გვედრებით ყველას, ვინც ისარგებლოთ ამ [წიგნით] გალობისას, გადაწეროთ ან იხილოთ, თქვენს წმ. ლოცვებში მოგვიხსენეთ მე და ჩემი მშობლები პეტროს ხუცესი და მნაპალორი, ღმერთი თქვენ მოგიხსენებთ.

## 57

აღგილი: თბილისი, დრო: 1437 წ., გადაშერი: ჰოვანესი.  
სახელწოდება: იადგარი. XV ს-ის კიმატაკარანები, I, № 743, გვ. 661—662.

...დაიწერა საგალობელთა ეს თხზულება სომხური წელთაღრიცხვის „პძზ“ (1437) წელს, ღვთის სათნო, გამორჩეული, წმ. მოწესისა და უშიში ფილოსოფოსის, ქალაქის წმ. კათოლიკეს მნეს (?) უფალ სარგისის მიერ, ხოლო დასრულდა ფრიად ცოდვილი და უფარჯისი მწერლის ჰოვანესის მიერ, სახელის უღირსი//ქალაქ ტფილისში, უფალ კოსტანტის მამამთავრობისას, [საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, კარგი, გამორჩეული დედნიდან. გულმორწყალე წმ. ღვთისმშობლისა და ნათელზოსილი ტაძრის მფარველობით, კეთილგონიერი, წმიდა, მშვიდი და მხცით შემკობილი მოწესის, ხუცეს ხაჩატურის მოწადინებით, თავისი და მისი მშობლების სულის სავარადისოდ მოსახსენებლად, მისი დისწულის, უბიწო ხუცესის, გალუსტის სარგებლობისათვის.

აწ, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], დაისწავლოთ ან გადაწეროთ ან იხილოთ, თქვენს სიწმინდით გაციკროვნებულ ლოცვებში მოიხსენიეთ ამ წიგნის ზემოაღნიშნული მომგებელი ხაჩატურ მოწესე, ღვთისმოყვარე თავისიანებთან ერთად, აგრეთვე გალუსტ ზუცესი, მამაჰისი სარგისი, დედაჰისი ჰელინე, მისი მეუღლე დუხთარი და მისი ყველა სისხლით ახლობელი, მათთან ერთად პირველი მწერალი უფალი სარგისიც, აგრეთვე მე, ფრიად ცოდვილი და უვარგისი გადაამწერი...

## 58

ა დ გ ი ლ ი: ქალბატის მონასტერი, დ რ ო: 1438 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: პოპანესი. ს ა ხ ე ლ ო დ ე ბ ა: კურთხევანი. *Տոտաբբ Հայոց, հաւաքեալ և խլոյս անխալ ձեռամբ Ղևոնդ վարդապետի Փիղախմխան Տոպեցոյ...* Կ. Պոլիս, 1888, გვ. 115—116; Դ. Ալիշան, *Հայտապատում, Վենետիկ, 1901*, გვ. 557—558; XV ს-ის პաპატაკარანები, I, № 536. გ. 485—486.

...მე, ასტეწაბურმა, სასჯელის თანამდებმა ზუცესმა. დიდი ხანია ქვრივმა, კოტაიქის ქვეყნიდან, სოფელ არწნიდან, მოვისტურვე ეს ზემოაგონებული თხზულება სასტიკ და მუხთალ დრონი, როდესაც დიდი ხორაზმ[ელ]ის თამურის ძე, შაპრუხად სახელდებულნი, დიდძალი მხედრობით, სასტიკი, გულქვა, უწყალო და ქრისტიანთა სისხლს მოწყურებული, ოთხგზის დაესხა თავს თავრიზის ქვეყანას და დიდი, ენით უთქმელი ზიანი მიაყენა სომხეთს, რამეთუ ზოგი მახვილით მოსრეს. ზოგი შეუბრალებლად ტყვედ წაასხეს და წარწყმიდეს, სხვები შიმშილისაგან მიმკვდარებულნიყო, მათგან ზოგი მოკვდა, ზოგიც მგლებმა და მხეცებმა შეჭამეს და დაგლიჯეს, ხოლო დანარჩენი, განადგურებულები აქეთ-იქით მიაწყდნენ და მიაშურეს საქართველოს. სრულიად გაუკაცრიელდა და აობრდა ჩვენი ქვეყანა. ცის მობაძვე ტაპართა კარნი დაიკეტა, ლამპრები და სანთლები ჩაქრა, დაბნელდა, საკმეველი და შესაწირავი შეშვირდა, ლოცვამ და ფსალმუნთა გალობამ იკლო და შეწყდა, მსხვერპლად შესაწირი და ეკლესიის ყოველი სიწმინდე, ჯვარი და სახარება. ყველა სამოსელი და ეკლესიის სამსახურებელი ურჯულოებმა ხელთ იგდეს ტყვედ. დიდად დამწუხრდა, შეძრწუნდა. მოთქვამდა და გოდებდა სომეხთა ეკლესია. გავხდით ვითარცა ძველი ისრაელი, ყველა ნათესავისაგან დათრგუნვილი და დამცირებული. ყოველივე ეს დაგვატყდა თავს ჩვენი მოზღვავებული, უამრავი, უძძიმესი, მოუნანიებელი ცოდვების გამო.



ამ სასტიკ და უბედურების ხანაში, დიდ გაპირებებსა და სილატაკეში დავაწერინე ეს წიგნი ჟუცხო ქვეყანაში, საქართველოში, ჰოპანეს მღვდელს, ჰალბატის მონასტერში, წმ. ნიშის, ამ წმ. მეტროპოლიის შესაყრებლის, წმ. ღვთისმშობლის, წმ. გრიგორის კართან, წმ. ნოქვართა და მამამთავართა საფლავთან, ამ სალხინებელსა და ღვთის სამკვიდრო წმ. ტაძართან, არქიეპისკოპოს უფალ ზაქარიას წინამძღვრობისას, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში. ლორეს ნაპანგში დიდებული და ღვთისმოყვარე ერისთავთა მთავრის. ორბელიანთა გვარის, დიდი პარონის ბურთელის შვილი-შვილის. პარონ ბეშქენის პარონობისას, სომხური წელთაღრიცხვის „პმმ“ (1438) წელს.

## 59

ა დ გ ი ლ ი : ახალციხის ქვეყანა (სამცხე), დ რ ო : 1438 წ., გ ა დ ა მ-  
წ ე რ ი : სარგისი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება. XV ს-ის ჰიშატაკა-  
რანები, I, № 537, გვ. 486.

...დაიწერა ეს წმ. სახარება საქართველოში... ახალციხის ქვეყანაში, პარონ ჰაკობის მონასტერში, სომხური დიდი წელთაღრიცხვის „პმმ“-ს (1438), წმ. მთავარანგელოზის მფარველობით, იმ დროში, როდესაც შაჰრუხი თავს დაესხა სქანდარს, რომელიც გაიქცა და მივიდა სევასტიამდე, ბევრი გავარი აოხრდა, სომეხთა ნათესაუკან მრავალი ტყვედ წაასხეს, სიშიშვლისა და ყინვისგან ბევრი მთებში დაიღუბა, ბევრიც შიმშილისაგან მიმკვდარებულყო. თავად მან (ისქანდერმა) ილაშქრა ჯაჰანშას წინააღმდეგ, რომლის ძლიერების გამო [ისქანდერის] მხედრობა მისი ძმის მხარეზე გადავიდა. აოტა იგი ძმამ ჯაჰანშაჰმა და გამაგრდა ერნჯაყის ციხეში, იქ მიეზღო სამარადისო სასჯელი...

კვლავ მოიხსენეთ ამ წმ. სახარების მომგებელი, კეთილგონიერი მეუღაბნოე კარაპეტი... აგრეთვე მე, სასჯელის თანამდები მწერალი სარგისი, მოძღვრის სახელის უღირსი და ჩემი მშობლები, ჩვენი სულიერი შვილი გრიგორ ხუცესი და ძმა კარაპეტ ხუცესი, რომელთაც დედანი გვიწყალობებს... ხოლო შეცდომებისა და ჰაზხელად წერისათვის ბრალს ნუ დამდებთ, რამეთუ სასტიკ, უბედურების ხანაში დაიწერა და ჩვენ ფრიად შეძრწუნებული ვიყავით.

## 60

ა დ გ ი ლ ი : თბალსი, დ რ ო : 1438 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : თვე-  
ნი. XV ს-ის ჰიშატაკარანები, I, № 540, გვ. 487—488.

...დაიწერა ეს [წიგნი] სომხური წელთაღრიცხვის „ჰმც“-ს (1438), დედაქალაქ ტფილისში, წმ. ღვთისმშობლის წმ. და დიდებული კათოლიკეს მფარველობით, უფალ კოსტანტის მამამთავრობისას, საქართველოში ღვთისმოყვარე და ღვთისმსახური ალექსანდრეს მეფობისას, რომელიც უფალმა ღმერთმა ამყოფოს უშფოთველად და დღეგრძელი ჰყოს მის მხედრობასა და ნაშეერთან ერთად, [შეაძლებინოს] ურჯულთა ხროვების უკუგდება, განღვენა და წმ. ეკლესიის სიმტკიცე<sup>56</sup>.

აწ, ვინც მიემთხვეოთ ამ [წიგნს] გალობისას, გადაწეროთ ამ იხილოთ, თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ და მალხინებულ ლოცვებში მოიხსენეთ მისი ზემოაღნიშნული მომგებელი დავით ზუცუა-მონაზონი, მამამისი ავეტიქ ზუცუესი, დედამისი ესუგანი, ქრისტეს მემართ მიცვალებული ძმები ნერსესი და სიმეონი, ცოცხალი ძმა აბელი, მისი საყვარელი, სულიერი შვილი და ყველა სასხლით ახლობელი, ცოცხალი და მიცვალებული...

ბ

გვიანდელი მომგებელი: გულშარი (დაახლ. XV ს-ის შუახანები).

...პირქვე დაწობილი გვევძრებით, ოი ანგელოზთა დანსო, რომ ყოველ დღესასწაულზე წაიკითხოთ მოსახსენებელი და ერთი „ღმერთო-შეიწყალე“ თქვათ სურხენცთა ძველი და ახალი მცვალებულებისათვის...

61

ადგილი: გორი, დრო: 1438 წ., გადამწერი: ქოანესი, სხელწოდება: სახარება. *ქ. ფირდაქჩხან, სოთარე ჯაიყ, გვ. 117; XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 541, გვ. 489.*

...ეს წმ. სახარება დაიწერა დედაქალაქში, რომელსაც ჰქვია გორი<sup>57</sup>, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, წმ. ღვთისმშობლის მფარველობით, „ჰმც“ (1438) წელს, ჰოპანეს მწერლის მიერ, უფალ მათეოს მღვდლის მოწადინებით...

62

ადგილი: სოფელი ვარდისუბანი, დრო: 1440 წ., გადამწერი: კარაპეტი, სახელწოდება: ეამისწირვა. *XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 542, გვ. 489.*

ა

ქრისტე ღმერთო... განწმინდე ხელნაწერი ჩემი, საბრალო კარაპეტ ბერის ცოდვებისაგან, მამაჩემი ოპანეს ხუცესი, დედაჩემი ანაზი, ჩემი მასწავლებელი უფალი სარგისი, რომელიც ჩვენი დედა კეთილისმყოფელია, კურთხეულ იყონ, ამინ. მამაჩემის ძმა აკობი. მისი მეუღლე აიმელიჭი, მათი ვაჟი არღუნშა, დედაჩემის ძმა იალი, მისი ვაჟი ჰოვსეფი, ჩემი სიძე იშხანი, და უსტიანა, მისი ვაჟი შარიარი, ჩემი ნათლიმამა ქანაზიზი, ნათლიდედა სულთანი და სხვა ყველა კეთილისმყოფელი, ქმიკი, რომელიც ფრიალ გვემსახურება ჩვენ და ყოველნი აკურთხოს ღმერთმა ჩვენი [მეოხებით], ამინ.

წიგნი დაიწერა სომხური წელთაღრიცხვის „ჰმც“-ს (1438), მეტრანისს. წმ. ლეთისმშობლის მფარველობით, სოფელში, რომელსაც ჰქვია ვარდისუბანი<sup>58</sup>; ჩვენი კეთილსმყოფელნი კურთხეულ იყონ, ამინ.

ბ

...სხვა ყველა ჩვენ გამომკვებს, რომლებიც ამ სოფელში ჩვენ გვაქმევენ, ვინ ბევრსა და ვინ ცოტას, მიეზლოს ქრისტესაგან, ჩვენი ღმერთისაგან. ამინ. ლოცვებში მოიხსენეთ ქიმიკი...

გ

უფალი ვარდან ეპისკოპოსი თქვენს ლოცვებში მოახსენეთ, ამინ\*.

63

ა დ გ ი ლ ი: იერუსალიმი, დ რ ო: 1438 წ., ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. *Մկրտիչ ხպս. Աղանունի, Միաբանք և այգեւիւք հայ երուսաղէմի, 1929, გვ. 70; XV ს-ის ჰიშატაკარანები, I, № 551, გვ. 494.*

...(ღმერთო) შეიწყალე ხოჯა ქანაზიზი და მისი მშობლები, რომელიც მოვიდა ტფილის ქალაქიდან და დიდძალი საჭურჭლე უბოძა ლატაეებს, მოწესეთ და ეკლესიებს, აგრეთვე ეს სახარება ხელახლა დააკაზმვინა პატივდებულ, მეუღაბნოე ეპისკოპოსს გაბრიელ კარბეცის, რის გამოც ქრისტე ღმერთი ქანაზიზ ხოჯას<sup>59</sup> და მის მშობლებს სასუფეველის ღირსად გახდის, ამინ.

\* მოქცეულია წითელი მელნით, განსხვავებული ხელით.

სომხური წელთაღრიცხვის „პდ(““-ს (1438) დაიკანმა ეს წმ. სა-  
ხარება წმ. ქალაქ [ი]ერუსალიმში.

64

ა დ გ ი ლ ი : იერუსალიმი, დ რ ო : 1439 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი : ერემია  
ერზნკატი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სეინაქსარი. შაჟი ვიცყასკ მხი-  
ყრავ სრეფი მსაიფხანს, კაყმხე ზ. ჳიყარხან. I, სრისთაღქმ,  
1966. გვ. 261—263.

ამ წიგნის პიშატაკარანი და წმ. ეკლესიის ტრიფორიუ-  
მის განახლების, იმის შესახებ. თუ ვინ გააჯეთა ეს კე-  
თილი საქმე, ანდა რა გახდა ამის მიზეზი.

ამ წიგნის მომგებელი, სამეზის ნეტარი, სანატრელი მამა ჩვენი  
უფალი მარტიროსი, მოციქულთა მსგავსი და წმ. ქალაქის, იერუსა-  
ლიმის არქიეპისკოპოსი კეთილად მოიხსენეთ. მისი მოხსენება კურთ-  
ხეულ იყოს, იგი მშვენებაა ყოველთა ეპისკოპოსთა, სომეხთა ნათე-  
სავისათვის არის როგორც მაგარი ციხე და უდრეკი კლდე გარემე  
მტერთაგან [დასაცავად], მან სომეხთათვის მრავალი ტანჯვა და შე-  
ვიწროება გადაიტანა სხვა ტომთაგან, მეტადრე ბოროტ და უსამარ-  
თლო ქართველთა ნათესავისაგან წმ. გოლგოთასათვის, რომელიც  
წმ. მამამთავართა და წმ. და ძლიერ მეფეთა წილისყრით სომეხთა  
საკუთრება იყო, და რომელიც ბილწმა ქართველებმა, უვიცმა და  
აპპარტავანმა ნათესავმა<sup>60</sup>, უსამართლოდ მიიტაცეს.

ამ საქმის მიზეზი იყო შემდეგი. ღინმე ვაჟარი სულტნისა საბე-  
ლად ლაიბი წავიდა საქართველოში სავაქროდ; ბოროტმა ივანემ და  
სხვა მისმა თანამოაზრე მთავრებმა, დიდი ხნიდან შურდათ რა სომ-  
ხებისა წმ. გოლგოთას გამო, იპოვეს მარჯვე დრო და მოქრთამეს  
ვაჟარი მრავალი საქონლის მიცემით, ხოლო სულტანს აღუთქვეს  
ბევრი, უთვალავი საქონელი, აგრეთვე მათ ხელისუფლებაში მყოფ  
თურქთა განთავისუფლება სამეფო ხარკისაგან. დანჯრეული და აო-  
ხრებული მიზგიეთების აშენება, თურქი ტყვეების განთავისუფლება,  
მორჩილება და სიყვარული სულტნისადმი, თუ ვაჟარი მოაწერებ-  
და სულტანთან, რომ სომეხებისთვის წაერთმიათ გოლგოთა და ქარ-  
თველებისთვის გადაეცათ.

მოვიდა ის კაცი, შევიდა სულტანთან და იმდენს ეცადა, ვიდრე  
არ დაითანხმა იგი ცბიერი სიტყვებით, რამეთუ ეტყოდა, უკეთუ არ  
მისცემ გოლგოთას, ის (ივანე) თურქთა ნათესავს, რომელიც მათი  
ხელისუფლების ქვეშ არის. ყველას მოსპობს და მათ მიზჯოლებს

დაანგრევენ. ამის გამო [სულტანმა] მისცა ქართველებს [გოლგოთა]. სომეხთა ნათესაისთვის ეს იყო დიდი მწუხარება და უნუგე-  
შო ვაება. იმ დროს ეგვიპტის სულტანი იყო მელიქ ამრაფი.

ხოლო უფალმა მარტიროსმა მოხუცებულობის ასაკში თავს  
იდო დიდი შრომა და როგორც მის სიამამაცეს შეეფერებოდა, ძალა  
მოიკრება, რავეთუ მოწყალე და შორსმჭვრეტელმა ღმერთმა არ  
გასწირა სომეხთა ეს გასაცოდავებული ნათესავი, რომელიც გვევა  
ცოდვათა ჩვენთა გამო და კვლავ კურნავს თავისი მოწყალებით.  
[ღმერთმა] იხილა [რა], რომ არვინაა შემწე და მშველელი, ბო-  
როტ ტომთა წინააღმდეგ მიიძხრო ჩვენი მწყემსი და წინამძღოლი,  
მამაცი მებრძოლი, უფალი მარტიროსი. იგი ჩავიდა მისრში და შევი-  
და სულტანთან. „გ“ (3) წელი დაჰყო იქ (ეგვიპტეში), ყოველ დღე  
მიდიოდა სულტნის კარზე, დიდ-დიდი მოხელეები მოქრთამა, სულ-  
ტანს მრავალი საქონელი აღუთქვა და კვლავ დაუბრუნა გოლგოთა  
სომეხებს. იმ სამი წლის მანძილზე სომეხებმა რაც ვინი და მწუხარე-  
ბა გადაიტანეს. ვის შეუძლია აღწეროს. რამეთუ ყოველი ნათესა-  
ვისთვის იყო მხიარულება და აღდგომა, ხოლო სომეხთათვის მწუ-  
ხარება და ვაება. არას ვამბობთ ფურთხსა და ლანძღვაზე, რომელსაც  
უცხოთესლნი გვიგზავნიდნენ და დაგვიცინოდნენ ჩვენ, რომ სომეხ-  
თა ნათესავს სხვა ვინმე წინამძღოლი ჰყავს, რადგან აღდგომის  
[ეკლესიიდან] გამოყარეს. რამეთუ განთიადისას ბევრი ტირილითა  
და ცრემლების ღვრით ზოგი გამოდიოდა, ხოლო ზოგი [სენაკებში]  
ჩჩებოდა წირვის გარეშე.

ხოლო როდესაც ღმერთმა შეგვიწყალა და უფალი მარტირო-  
სი კვლავ დაეუფლა გოლგოთას სულტნისა და მისი მოხელეებისა-  
თვის „გ“ (3000)-ზე მეტი ფლორის<sup>1</sup> ქრთამად მიცემით, ძლიერ გა-  
ვიხარეთ. ჯერ წელიწადიც არ გასულიყო, კვლავ იმდენი საქონელი  
მოუვიდათ [ქართველთა] მეფისაგან, რომ ისევ წაგვართვეს გოლ-  
გოთა. მოხუცებული უფალი მარტიროსი კვლავ, ხელახლა წავიდა  
მისრს და იმდენი ქრთამი და საქონელი მისცა, რომ გაძღნენ [სულ-  
ტანი და მისი მოხელეები] და ისევ დაეუფლა [გოლგოთას მარტი-  
როსი].

კვლავ ერთი წელი არ იყო გასული, ისევ აიღეს და მისცეს  
[გოლგოთა] ქართველებს. ხელახლა, მესამედ მივიდა მისრს უფა-  
ლი მარტიროსი და შევიდა სულტან მელიქ ტაპრ ჩახმანთან და მის  
მოხელეებთან და უთხრა, რა არის ეს, რომ სამჯერ აიღეთ ჩემგან  
„გ“ (3000) ფლორი და [ტყუილად] გამაღატაკეთ.

მაშინ უფალ მარტიროსის კეთილმოსურნე მოხელეებმა უთხრეს

მას, რომ შენ ერთი კაცი ხარ, თავიც რომ გაწირო, ვერ მიაღწევ [საწადელს], რაჰეთუ ისინი (ქართველი ბერები) მათი მეფის [დახმარებით] რასაც ისურვებენ, აკეთებენ. აღუთქვეს სულტანს, რომ ყოველ წელიწადს [გარკვეული] ოდენობის საქონელსა და მონებს მისცემდნენ მას; და რაც ტაჰიკოტ ნაკლულევანება აქვთ, ისინი საქართველოდან აგზავნიან აქ. შენ შეგიძლია ეს გააკეთო?

ამ სიტყვებზე ფრიად აღელდა უფალი მარტიროსი, რამეთუ რაც კი ქაბუკობიდან მოყოლებული დაეგროვებინა და რაც წინაბრებს დაეტოვებინათ [მისთვის], ყოველივე ანგვარად დახარჯა, თუნცა ამაოდ.

ქრისტემ იმით უფრო შეგვიწყალა, რომ ყოველივე ეს, რაც ვთქვით, მის (მარტიროსის) დროს მოხდა და არა სხვა ეპისკოპოსების [ხანებში], რომელთაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, უძლურნი და ღარიბები არიან. ორივე ეს [სიკეთე], საქმეში მხნეობა და სიმდიდრე შემოქმედმა ღმერთმა მას მიზალდა; უყვარდათ იგი სულტნის კარზე მყოფ მთავრებს. რასაც კი განიზრახავდა, ღვთის ნებით აკელებდა კიდევ.

მაშინ დარწმუნდა, რომ საქონლის გაცემითა და მოქრთამით [საქმე] არ კეთდება და ყოველივე ამის გარდა ბილწი ქართველთა ნათესავი მათი ხელისუფლების ქვეშ მყოფ სომხებს, მოქალაქეებსა და მღაბიურთ, აგრეთვე მისულ ვაჰურებს ავიწროებდა, გოლგოთას სახელით მათ დიდ ხარკს თხოვდნენ და დაუშურებლად აძლევდნენ სულტანს. უფალმა მარტიროსმა გაიგო ეს სამწუხარო [ამბავი].

შემდეგომ სული [წმიდას] ზემოქმედებით კეთილი განზრახვა გაუჩნდა, კვლავ ჩავიდა მისრში სულტანთან და მის მოხელეებთან და ითხოვა სხვა ადგილი. ბრძანა სულტანმა, რომ წასულიყო [მარტიროსი] და აერჩია ცარიელი ადგილი. რომელიც სხვა ნათესავთა დაეას არ გამოიწვევდა. მაშინ ღვთის ჩარევით ვნახეთ ეს მეფეთა სალოცავი ადგილი. რომელიც არის უფლის წმ. საფლავისა და წმ. გოლგოთას პირდაპირ და ვითხოვეთ იგი სულტნისაგან. სულტანმა თავის „დ“ (4) ყადისა, მუტარსინებსა და მოხელეებთან ერთად გვიბოძა ის ჩვენ, როგორც სომეხთა ნათესავის კუთვნილება ქრისტეს მოსვლამდე, რომ ამ ადგილზე სომხებს მუდმივად ეცხოვრათ და თავიანთი კანონებით კრულვა დაწერეს.

შემდგომ სულტნის ბრძანება მოვიტანეთ იერუსალიმში: ნაიბმა, მისმა „დ“ (4)-მა ყადიმ, დიდებულებმა და მუტარსინმა<sup>62</sup> მას სხვა, თავიანთი ხელწერილიც დაურთეს, რომ ამ ადგილისათვის სხვა ნათესავთა ხრიკები არ დატრიალებულიყო.

ჩვენ დავიწყეთ ღვთის ნებით და ავაშენეთ ახალი ეკლესია, „ბ“ (2) საკურთხევლით; „რ“ (1000) ფლორიზე მეტი დაიხარჯა ამ ადგილისათვის. ჩვენ და მიცვალებულთა ჩვენთა შიშისგანებლად; მთლიანად თავიდან ბოლომდე ეკლესიის აშენებამდე დაიხარჯა „ერ“ (5000) ფლორი. მრავალი წინააღმდეგობა შეგვხვდა სხვა ნათესავთაგან, რამეთუ არ სურდათ ასეთი ღირებული და მშენებელი ადგილი სომეხთათვის. თუმცა ლომივით ღრიალებდნენ, მელიასავით თავი მოიკატუნეს, თუმცა არწივისებური ტერცილით აღდგნენ [ჩვენს] წინააღმდეგ, უძლურებად იქცნენ, რამეთუ მათი ბოროტი ზრახვები არ განხორციელდა. მოერიდათ და ასრულდა ჩვენი სელმწიფის ნება. აილო ეს წმ. ადგილი [მარტიროსმა და] აღადგინა მშვენიერი ტაძარი, შეამკო [იგი] ნაირფერი სამკაულებით, კანდელებით, მოკაშკაშე ლამპრებით.

ვევედრებით ყოვლად მოწყალე შემოქმედს უშფოთველი ცხოვრებით ამყოფოს იგი (მარტიროსი) ღრმა მოხუცებულობამდე სოფელთა ნათესავის საამყოდ და მტერთა შესარცხვენად, ხოლო იმ ქვეყნად წმ. მამამთავართა მოდასე და თანავირაგინოსანი ჰყოს და როგორც მან თავისი ნივთიერი ქონება უშურველად წარაგო და ეს ეკლესია ააშენა, რომელიც ნუგეში გახდა ჩვენი ნათესავისათვის, [ანუ] მისი სულია და მისი წინაპრებისათვის ქრისტე ღმერთმა ხელთუქმნელი ტახტი განამზადოს, ამინ.

ეს კეთილი საქმე გაკეთდა სომხური წელთაღრიცხვის „პქ“-ს (1439) წ.<sup>63</sup>, ჩვენი ღმერთის ქრისტეს საღიღებლად, რომელიც კურთხეულ არს უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

## 65

ა დ გ ი ლ ი: მადარდს მონასტერი, დ რ ო: 1440 წ.. მ კ ა ნ მ ა ე ი: მხითარი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კირილე იერუსალიმელის კატეხიზმო. X: ს-ის პინატაკარანები, I, № 566, გვ. 504.

დაიკაზნა ეს [წიგნი] „პქთ“ (1440) წელს. პირველმოწამის მფარველობით, იმ დროს. როდესაც ბოროტმა და შეჩვენებულმა, ზოლწმა ჭიპანშა იმირზამ აილო საქართველო და მრავალი ქრისტიანი ხმლით გაწყვიტა. ვის შეუძლია მოთხრობა ქრისტიანთა [მწუხარებ-სა (?)]... და მათი ურიცხვი მსხვერპლის შესახებ. არც ერთ ენას არ ძალუძს მოუთხროს კაცთა და ქალთა, ყრმათა და ჭაბუკთა ურიცხვ სიმრავლეზე, რომელნიც რწმენისა და ქრისტიანობისათვის, ქრისტეს სიყვარულისა და წმ. სასუფევლის იმედით დაიხოცნენ,

სიკვდილი ამჯობინეს და ქრისტესაგან მოწამებრივი გვირგვინი ინდონეს, მახვილითა და ჩაქოლვით ამოწყდნენ და საუკუნო ცხოვრება მოიპოვეს. დატყვევებული პირმშვენიერი ყმაწვილები ჩვენთან მოიყვანეს და ჩვენ ვიხილეთ ურჯულოთა ხელთ კრავნი უცოდველნი, განაწამებნი და ნაღვლიანნი, ტიტველნი და მშიერნი, ნაცემნი ჯაგვემნი<sup>64</sup>///.

## 66

დ რ ო : 1440 წ., ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა : ეფესელთა მიმართ ეპისტოლეთა განმარტება იოანე თქროპირისა. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 568, გვ. 506—507.

...„პდთ“-ს (1440) ჩანშანშემე აიღო სამშვილდე და გაწყვეტა სანათასზე ნეტი [სული], ტყვედ წაასხა ცხრა ათასზე მეტი და დიდად დაამწუხრა ქრისტიანები, რანეთუ მრავალი [სული] მოაკლდა ქრისტეს. ქრისტე ღმერთო, შეიწყალე კირაკოს სიტყვათშემოქმედი, მიუტევე მას მსუბუქი და მომაკვლინებელი ცოდვები წმ. ღვთისმშობლისა და წმინდანთა მთელი დასის მეოხებით, ამინ.

## 67

ა დ გ ი ლ ი : ჰალბატის მონასტერი, დ რ ო : 1441 წ., ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა : სახარება. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 579, გვ. 514—515.

...[გადაწერა დასრულდა] სომხური წელთაღრიცხვ-ს „პ“ და ოთხმოცუათს (1441), სასტიკ და უკეთურ დროში, როდესაც მძვინვარებდა ისმაილიტთა მახვილი ჩვენს წინააღმდეგ და წმ. საპაქის ხელვის წინასწარმეტყველებიანამებრ ვიდევნებით და ვძრწით საშინელი უბედურებისაგან შინ და გარეთ, ვხედავთ საოცრებებს და საქმის წახდენას. რანეთუ ამ წელს თავრიზის ხანი ჯაჰანშა იმირზა, ყარა მაჰმადის ძის თურქმენ [ი]უსუფის ძე დაიძრა დიდძალი ლაშქრით, მაჰმადიანთა ურიცხვი მხედრობით და მოვიდა საქართველოში, თავს დაესხა ქართველებს, რადგან ქართველთა ნათესავი არ ემორჩილებოდა თავრიზის ხანს<sup>65</sup>. როდესაც მოვიდა ტაჰკიტა ნათესავი. ლტოლვილი ქართველები შევიდნენ აფხაზეთში, ხოლო საქართველოში მოსული და დამკვიდრებული სომხები დარჩნენ ურჯულოთა ხელთ<sup>66</sup>, რომლებიც მძვინვარე მხეცებივით ეკვეთნენ სომხებს, მახვილი აღმართეს მათზე და დაახლოებით ხუთი ათასი შეუბრალებლად მოკლეს, სამოცზე მეტი მოწესე, ხუცესი ხმლითა და ქვით



დაქვეყნეს და მოკლეს, ბევრი ეკლესია დააქციეს, მრავალი ყრმა დედებს [ხელიდან] გამოგლიჯეს და დედის თვალწინ ქვაზე დაახეთქეს, ბევრი უცოდველი ყმაწვილი გააშიშვლეს და მახვილით მოსრეს. ბავშვები ტიროდნენ, მოთქვამდნენ, კიოდნენ, ურჯულონი კი ხარხარებდნენ და ამბობდნენ: აჰა ხმა, რომელიც მათი სამოთხიდან მოდის; ამის მნახველი დედა გულმოკლული მოთქვამდა და არავინ იყო წუგვეისმცემელი. მრავალი ქალი ბავშვს იხუტებდა და უფსკრულში ცვიოდა. „გ“ (3) თვე, გარს ერტყნენ სამშვილდის ციხეს და რაჟამს მზაკვრობით აიღეს ეს სიმაგრე, მაშინვე დაიტაცეს ქონება, და აშორეს ქმარი ცოლს, მოგლიჯეს შვილი!!!

## 68

ა დ გ ი ლ ი: ქალაქი ვანი, დ რ ო: 1441 წ., გა დ ა მ შ ი რ ი: ვარდანი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სვინაქსარი. **ღ. ხნჩინხანი, ღნაქისი-ქის აქსარჩაგრასკან ჯაყათანხსაყ აქსარჩი, ჩათიერ არაჯიქს, վենետիქ, 1835. გვ. 106—107; XV ს-ის პიშტაკარანები, I, № 581<sup>1</sup> გვ. 515—516.**

დაიწერა ეს [წიგნი] სომხური დიდი წელთაღრიცხვის „კლ“ (1441) წელს, ვასპურაკანის ქვეყანაში, ვანად წოდებულ ქალაქში, ამ ტაძრის წმ. ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანთა მფარველობით, [ვარდან ხუცესის მიერ], სისის დიდი ტახტის შამამთავრობისას, რომლიდანაც ამ წელს განმანათლებლის მარჯვენა გაიტაცეს და ტახტი ცარიელი დარჩა, სასტიკ და ცუდ დროში, ჯჰანშაჰის პარონობისას, რომელიც ბოროტებით აღსავსე წავიდა საქართველოში... და აიღო სამშვილდის ციხე; ცხრა ათას სულზე მეტი ქრისტიანი მღვდლებთან ერთად ამოჟლიტეს, ქალები და ბავშვები დაატყვევეს; მათი უბედურებისა და საცოდაობის მოთხრობა ან აღწერა ვის ძალუძს. ყოველივე ეს ცოდვების გამო დაატყდა თავს ქვეყანას.

ამ წელიწადს მოხდა დიდი სასწაული, რამეთუ მამრუტად წოდებულმა მთამ, რომელიც ხლათსა და ბაღეშს შორისაა, უცებ იქუხა, ვითარცა ძლიერმა ჭექა-ქუხილმა, რითაც მთელ ქვეყანას ელდა ეცა, შეძრწუნდა, ბავშვებიც მოთქვამდნენ მამებთან და დედებთან ერთად, რადგან ხედავდნენ, რომ ქალაქის ფართობის ოდენა ყინულის ზოდი დაიმსხვრა, აგრეთვე სხვებიც, პატარ-პატარები და ნამსხვრევებიდან ალი აეარდა დამბურველი კვამლითა და საზიზღარი სუნით, ბავშვები იმ სუნისაგან დასნეულდნენ, საოცარმა ეცეხლმა ქვები გააღლო, უზარმაზარი ლოდები ქუხილით ცაში იტყორცნებო-

დნენ: ქუხილისაგან ქალაქი ხლათი თითქოს ირყეოდა. ყოველივე ეს თვალთ იხილეს...

69

ა დ გ ი ლ ი: სანაინის მონასტერი, დ რ ო: 1441 წ., გ ა დ ა მ შ ე რ ო: ტრუნაყანი, ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: სახარება. „ჩაგადაყმა“, 1950, გვ. 271—274; XV ს-ის პიშტაქარანები, III, № 535, გვ. 396—397.

...[წიგნი დასრულდა] სასტიკ, უკეთურ დროში, როდესაც ჯაჰანშაჰ ამირზამ აილო საქშვილდე, [მცხოვრებნი] დაატყვევა და გაწყვიტა, „ბღ“ (1441) წელს, ცის მობაძვე და სახელგანთქმულ წმ. სანაინის მონასტერში...

70

დ რ ო: არა უგვიანეს 1441 წლისა, შესაძლოა 1429 წ., ს ა ხ ე ლ შ ო დ ე ბ ა: კურთხევაი. XV ს-ის პიშტაქარანები, I, № 565 ა, გვ. 518.

...ერთი წარჩინებული, მაჰდასი<sup>67</sup>, სახელად ამირ-ფაშა, სახელგანთქმული ნაჰანგიდან და ცნობილ, თვალსაჩინო ქალაქ ახალციხიდან... წავიდა [ი]ერუსალიმში წმ. ადგილების თაყვანისსაცემად, სადაც უფალი მოღვაწეობდა. იქედან დაბრუნდა აღმოსავლეთში და შეეჩხება ლანგ-თამურის შვილის, შაჰრუხად წოდებული მძღავრის ლაშქარს, რომელსაც ალყა შემოერტყა ერანჯაკის ციხისათვის, ეს წიგნიც დაეტყვევებინათ და მოეტანათ სიუნიქის ქვეყნიდან. მას მიემთხვია ღვთისმოსავი მაჰდასი ამირ-ფაშა, თავისი ალაღ-მართალი შრომით მონაგებიდან იყიდა, გამოიხსნა ის უცხოთესლთა ტყვეობიდან.

წმ. მოციქულის თადეოსისადმი... თაყვანისცემის გამო შეწირა ეს სულმობრუნებული მატიაზე, ვარდივით გაფურჩქნილი ყვავილნარი თავისი სულის მოსახსენებლად ამ ცის მობაძვე წმ. კრებულს, სახელგანთქმულ წმ. მონასტერს, ღვთის სამკვიდრო წმ. ტაძარსა და წმ. მოციქულის, თადეოსის ნათელმოსილ, წმ. საფლავს.

აწ, ვინც მიემთხვით ამ ღმრთივ-სულიერ წმ. თხზულებას, წაიკითხოთ ან გადაწეროთ, თქვენს სუწმინდით გაცისკროვნებულ ღოცებში მოიხსენეთ ამირ-ფაშა მაჰდასი, მამამისი პარონი, დედამისი მამა-დედა, მისი დიდი პაპა ჰნდუ, დიდედა მარგარიტა, ძმა ამირჯანი, დები სატრიჯანი და ჯანხათუნი, აგრეთვე ყველა სხვა მისი სისხლით ახლობელი, ცოცხალი თუ მიცვალებული...

ადგილი: სოფელი სერკევილი, დრო: 1442 წ., გადამწერი: ოპანეს თმოქეთი (თმოგველი). სახელწოდება: საღმრთაწაულო-  
XV ს-ის კინატიკარანები, I, № 603, გვ. 531—535.

აწ, სომხური წელთაღრიცხვის „პლა“ (1442) წელს, ჩვენი მაცნობრის იესო ქრისტეს „რხნდ“-ს (1444), ედემიდან ადამის გამოსვლიდან „სოხბ“-ს (642), ასრულდა ღმრთის კაცის საპაე მამამთავრის ხელვა. რომელმაც იხილა ოთხკუთხა ტაბლა მასზე აღმართული ნათელმთაილი ჯვრითა და ვერცხლის ჭურჭლით, აგრეთვე [იღო მასზე] ერთი მტკაველი ეტრათი, ოქროს „მ“ (7) სტრიქონით თავში, შუაში წარხოცილი, წაშლილი იყო, ხოლო ბოლოში ერთი სტრიქონი ოქროთი და ნახევარი სინგურით ეწერა. ოქროს „მ“ (7) სტრიქონი არის განმანათლებლიდან ღმრთის კაც საპაკამდე, შუა [ნაწილი], რომელიც წარხოცილი, წაშლილი იყო და საყდარი ზღვისფერი, პირქეში. შავი ტილოთი დაფარული, [არის] საპაკიდან ჩვენს კალაქებსა და ეპისკოპოსებამდე, რომლებიც იყვნენ განხრწნილნი და უზნეონი, რამეთუ ვერცხლეულობაში იხსდნენ და ქვეყანა წყევლა-კრულვით აავსეს. ეს იყო შავი ტილო, რომელიც გადაფარებოდა ჩვენს ნათესავს.

ამჟამად წყევლა გაქრა წმ. განმანათლებლის ლოცვით, შავი ტილო აღიგავა, კვლავ განახლდა განმანათლებლის საყდარი, ძველი მოსპო და სავსებით ახალი შეიქმნა, ძველი წყევლა იყო. ხოლო ახალი [არის] კურთხევა წმ. მამათა მიერ, რომელნიც შეიკრიბნენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ვარდგესში, ნორ-ქალაქში, ვაღარშაპატს, წმ. ეჩმიადინში, რომელიც ყოველთა ეკლესიათა დედაა და სომეხთა ნათესავის მშობელი და მანათობელი. სომეხებმა დიდი ხანია უგულვებელყვეს ის და ისინიც უგულვებელყო ღმერთმა, რამეთუ ღვთის წყალობა და ზრუნვა მოეშალა ჩვენს ნათესავს, ვითარცა იტყვის ღმერთი: არ დაჩვენს სული ჩემი მათ შორის, რამეთუ მათ მიატოვეს სახლი ჩემი. სოლო ამჟამად შემოქმედი ღმერთი მოწყალე გახდა, შეიბრალა სომეხთა საცოდავი ნათესავი და შემოკრიბა მრავალი ბრძენი და უნწყველო. მკვერბეტყველი მოძღვარი, მართლმორწმუნე ეპისკოპოსნი, ძაძით-ნოსილი მოწესენი, კეთილგონიერი მღვდლები, ღვთისმოსავი წარჩინებულნი და ხალხი, რომლებმაც ყოვლადწმიდა სამების ნება-სურვილით აირჩიეს მშვიდი, გონიერი, სიბრძნისმეტყველი... ჩვენი მამამთავარი, სულიერი უფალი კირაკოსი, ვისაც თავის დღეში არც ხორცი უქამია, არც ღვინო დაუღვია, ტყუილი არ უთქვამს, ფიცი არ

გაუტეხია, არც წყევლა-კრულვა ამოსვლია პირიდან. „ხმ“ (47) წელი უღაბნოში იყო და ხორ-ვირაპის წმ., ცხოველ თაღს ემსახურებოდა.

ის ამოირჩია სული წმიდამ სომეხთა ნათესავის მეთაურად, წინამძღოლად, მწყემსად, ზედამხედველად და პატრიარქად; ესაა ოქროს სტრიქონი, რომელიც ეტრატის ბოლოს ეწერა. აი ასე ასრულდა ღმრთის კაცის საპაპის წინასწარმეტყველება.

იმავე ხანებში მოხდა სამშვილდის უცოდველი ქრისტიანების ელექტა, რომლებიც ეწამნენ ქრისტესათვის და გახდნენ მარტილნი, რამეთუ სატანამ აღძრა სკევითა ნათესავი, ჯაჰანაპ მირზა, რომელმაც იახლა მრავალი ლეგიონი და გარს შემოერტყა ციხეს „ღ“ (4) თვეს, შეავიწროვა ციხეში მყოფნი, ისე რომ ბევრი მოკვდა ტანჯვით. ურჯულოებმა შეფიცეს ცხოველ ღმერთს, რომ ციხეში მყოფთ არაფერს ავნებდნენ. ისინი მიენდვნენ მათ ცრუ ფიცს და გახსნეს ციხის კარები; ურჯულონი შევიდნენ შიგ, იშიშველეს მახვილი და შებრალებლად გაწყვიტეს „გ“ (3000)-ზე მეტი [სული]. მოთქმა, ვაება, უბედურება და ტანჯვა არ შემოძლია აღწერო, რამეთუ ზოგი ხმლით დაკლეს, ზოგი ჩაქოლეს, ზოგი კეტებით დაღწეს, ზოგიერთებს თავები მოკვეთეს და „გ“ (3) მინარეთი ააშენეს. ნახავდით ჭირისუფალთა შემზარავ ტირილსა და ვაებას; ტიროდა დედა შვილს, და ძმას, პატარძალი ნეფეს, არავინ ანუგეშებდა მათ, არც ღმერთი და არც კაცი.

ტყვეთა რიცხვა „ქ“ (9000)-ს გადააჭარბა, ისინი გაინაწილეს ერთმანეთში. ნახავდით გაუბედურებულ მოზობელთა და ნაშობთ, რამეთუ დააცილეს დედა შვილს და შვილი დედას, ძმა ძმას, პატარძალი ნეფესა და ნეფე პატარძალს, ჩვილი ბავშვები უწყალოდ მოგლიჯეს დედების კალთიდან და მდინარეში გადაყარეს, ხოლო მტირალი დედები, რომლებსაც გულ-მუცელი ეწვოდათ, ტყვეებად წაასხეს. ზოგი მათგანი წაიყვანეს აღმოსავლეთში, ხორასანში, ზოგი დასავლეთში, რუმში, ზოგიერთი სამხრეთში, არაბსტანში, ზოგიც ჩრდილოეთში, ლაკსტანში. ძველი ისრაელებივით ქვეყნის „ღ“ (4) მხარეს გაიფანტნენ. დაშორდა მამა ძეს, ასული დედას, შეყვარებული შეყვარებულს, მეგობარი მეგობარს, წავიდნენ ისინი ტაჭიკთა ქვეყანაში და აღარასოდეს დაბრუნდებიან. გოდებდნენ სომხეთის ეკლესიები, ვითარცა იერემია ელკოსელი, რომელმაც თქვა: წახვედით, წახვედით და მე დავრჩი გაჩანაგებული, თქვენ გეუბნებით, თქვენ გეუბნებით გზას გამდგარო, იხილეთ ჩემი ვაება და უბედუ-

რება და დამიტირეთ მე, რამეთუ დავრჩი გაუდაბურებული და მიტოვებული ჩემი შვილებისაგან\*.

მაგრამ არ გვპართებს ღმერთის მიმართ სასოწარკვეთა, არამედ რწმენით ვევედროთ მას, რომ უკან დააბრუნოს ტყვეები, ვითარცა ძველი ისრაელები, ყველა წმინდანთა მეოხებით, ამინ.

ამ სასტიკ, უკუღმართ, მუხთალ და წარღვნისებურ დროში [ცხოვრობს] ერთი კეთილმსახური კაცი, ღვთისმოსავი და მოწყალე, ღვთისმოყვარე, ქრისტეს აღმსაარებელი, მართლმადიდებელი, ბრძოლებში შემპართებელი, წარჩინებულთა შორის მამაცი და მთავართა შორის გამორჩეული, აზქანაზიანთა მოდგმის ტომიდან, პარონი შალუე, დიდი მთავრის, ღვთისმოყვარე პარონ სარგისის ძე და პარონ ბულლახის შვილიშვილი... [მან] დიდად მოწადინებულმა შეიძინა ეგ [წიგნი] თავისი ალალ-მართალი მონაგებით, გადააწერინა ის, რამეთუ იყოს მეოხი განკითხვის დღეს, მიუდგომელ სამსჯავროში, სამარადისოდ მოსახსენებლად პარონ ბულლახისა, მამის პარონ სარგისის, დედის პარონ თაშას, ძმის პარონ გრიგორის, რომელიც ამ [წიგნის] გადაწერისას უდროოდ გარდაიცვალა ამ ქვეყნიდან და დიდად დაამწუხრა და დაადარდიანა თავისი ძმა, ჩემმა უფალმა ღმერთმა განუსვენოს მას აბრაამის კალთასთან და იზრუნოს მასზე, მეორე ძმის პარონ ფანველის, დების სით-ხათუნისა და თენეკის, მისი მეუღლის პარონ დოვლათ-ხათუნის, მისი მეორე, ცოცხალი თანამეცხედრის პარონ გულფამას, მათი ქაბუკი, ახალგაზრდა შვილის, პარონ დავითის, რომელიც უფალმა ღმერთმა დაიცვას უშფოთველად და მტკიცედ ღრმა მოხუცებულობამდე, ამინ.

აწ, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], წაიკითხოთ, გადაწეროთ ან მოისმინოთ, თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ და ცადაღმავალ ლოცვებში მოიხსენეთ ყველა ზემოთ აღნიშნულნი. ასევე, გვედრებით მოიხსენეთ უფლის მიმართ ჰოვანეს ეპისკოპოსი, მეტსახელად ოსკიაფორი, რომელიც ამ საქმეში ჩვენი მასწავლებელია.

დაიწერა ეს [წიგნი] არარატის ქვეყანაში, სოფელში, რომელსაც ჰქვია სერკვეილი, წმ. ჰოვანისისა და სხვა სიწმინდეთა მფარველობით, მამაცი და უშიში უფალ გაბრიელის მამამთავრობისა და მთავრობისას, ჯაჰანშაჰის ხანობისას, საქართველოში ვახტანგის მეფობისას, ჩვენს მხარეში პარონ ალიბეგისა, ამ წიგნის უფლის პარონ შალუეს, პარონ ვაჩ[უტი]ს, პარონ ქურთის [და პარონ სა] რგისის მთავრობისას. კვლავ გვედრებით, ქრისტეს სიყვარულის

\* შდრ. იერემიას გოდება, 1 : 12.

გამო უფლის მიმართ მოიხსენეთ ამ სოფლის მოწესენი და ხუცესნი...

ხოლო მე, უღირსმა და უმეცარმა, სიკეთეს მოკლებულმა და ყოველგვარი ბოროტებით აღსავსემ, მარტოდმყოფის სახელის უღირსმა ოპანესმა, საქართველოს გავარიდან, მაგარი ციხე თმოქიდან, ჩემი უღირსობის კვალობაზე დაეწერე ეს [წიგნი], რამეთუ ჩვენი წილიც იყოს მასში. ვინც წაიკითხოთ ან გადაწეროთ, თქვენს ცადაღმავალ ლოცვებში მომიხსენეთ მეც...

ბ

ჟ;

...[მოიხსენე] მათთან ერთად თანსუხიც და თერძი გორგასალი<sup>68</sup>, აგრეთვე მათი მშობლები და შენ სამარადისო დიდება. ამინ.

72

ა დ გ ი ლ ი: ალჯოცის მონასტერი. დ რ თ: 1442 წ.. გ ა დ ა მ წ ე რ ი: გალუსტი. ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კურთხევანი. XV ს-ის პინაქტაკარანები, 1, № 605, გვ. 536—537.

...დასრულდა ეს ღვთივმომადლებული, საწინასწარმეტყველო და სამოციქულო, სული წმიდისაგან მომდინარე თხზულება სომხური წელთაღრიცხვის „პლა“ (1442) წელს, სომეხთა მამამთავრის უფალ კირაკოსის დროს, ღვთის ნებართვით სისხლის მსმელი მხეცის ჯაპან-შაპის მიერ ქვეყნის ფლობისას, რომელმაც როგორც კი ხელთ იგდო მთავრობა და დაჯდა წინანდელ, ქვეყნის აღმაშენებელ და კეთილგონიერ ხანთა ტახტზე, დაიწყო რბევა, დააქცია მრავალი ქალაქი და გავარი, გააუდაბურა და გააკაცრიელა ისინი, არავის ძალუძს აღწეროს მისი ბოროტება, მეტადრე — რაც თავს დაატეხა ქართველთა ქვეყანას, ქალაქ სამშვილდეს, რამეთუ მზაკვრობით აიღო ის და ყველანი ხმლით ამოწყვიტა, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, არავინ იყო მათი დამმარხველი\*, ასე მოუვიდათ მათ. ურიცხვი, უთვალავი ხუცესი და ერისაგანი, მათი ცოლები და ბავშვები გაიჯანტნენ მთელს ქვეყანაზე. ვის შეუძლია უბედურებისა და ვაების ენით მოთხრობა, რაც იმ წელს სომეხთა ნათესავმა იწვნია. ამ სასტიკ და უკეთურ დროში დაიწერა ეს წიგნი არაზრატის გავარში, ქელის ხევში, ალჯოცის მონასტერში, წმ. ღვთისმშობლის, ამ წმ. კათოლიკეს მფარველობით...

\* შდრ. ფსალმენი, 79 : 3.

აღ გ ი ლ ი: ბაღეში, დ რ ო: 1443 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ჰოვანი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სეინაქსარი: „ხეჩისიძე“, 1951 წ. ზოქსანერ—  
ზხსსანერ, გვ. 81—83; XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 621, გვ. 546—  
547.

...დაიწერა ეს [წიგნი] წმ. კირაკოსის მფარველობით ქალაქ ბაღეში, ეჩმიადინში უფალ კირაკოსის მამამთავრობისას... სომეხთა წელთაღრიცხვის „პლა“-ს (1442), ჩვენთან უფალ სტეფანოსის წინამძღვრობისას, ამ ქალაქში შეიხ მამამდ ამირზას ამირობისას, ჯჰანშა ამიონას ხანობისას, რომელმაც ძმა მისსავე შვილს მოაკვლევინა და თავად ავიდა ტახტზე, შევიდა საქართველოში და ბევრი რამ დაანგრია. რამეთუ აიღო სამშვილდის ციხე და მრავალი ამოხოცა, ხუცესნი გაათოკვინა და ჩააქოლვინა, ყველა დანარჩენისთვის ბოროტად თავები წააცლევინა. ქალები და ბავშვები, „ბრ“ (2000) სული, დაატყვევა, ყოველივე ეს ცოდვათა ჩვენთა გამო მოხდა...

დაიწერა ეს წიგნი ჰოვანისის მიერ, ბაღეშად წოდებულ ამ ქალაქში, აქაურ წმ. ეკლესიათა მფარველობით, „პლბ“ (1443) წელს...

დ რ ო: 1443 წ., ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს გ ა ნ მ ა ა ხ ლ ე ბ ე ლ ი: კარაპეტი. სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 624, გვ. 549.

...[წიგნი დაიწერა] სომხური წელთაღრიცხვის „პლბ“ (1443) წელს, სასტიკი, საშინელ, უკეთურ დროში, რამეთუ ქრისტიანთა ნათესავი შეაძრწუნა, დაარბია, [სისხლი] გაუყინა ისმაილიტთა ტომმა. კირაკოსის კათალიკოსობისას, ვალარშაპატის განახლების „ბ“ (2) წლის შემდეგ, ქრისტიანებზე ალექსანდრეს ძის ვახტანგის მეფობისას, ჯჰანშაპ [ი]უსუფის ძის ხანობისას, ამ მხარეში პარონ///იკის ჯაჭურის ძის მთავრობისას...

აღ გ ი ლ ი: ალკოცის მონასტერი. დ რ ო: 1443 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: გალესტი. სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 626 ა, გვ. 551.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „პლბ“-ს (1443), უფალ გრიგორის მამამთავრობისას, საქართველოში ვახტანგის მეფობისას, იუსუფის ძის, სისხლისმსმელი მხეცის ჯა-

ჰანშაჰის ხანობისას; დაიწერა ფრიად ცოდვილი და უმეცარი, უგუ-  
ნური მწერლის, მოწესის სახელის უღირსი გალუსტის მიერ, სასტიკ  
და უკეთურ ღრობში, არარატის გავარში, ქელის ხევში, აღჯოცის მო-  
ნასტერში, წმ. ღვთისმშობლის, ამ წმ. კათოლიკეს, წმ. სტეფანოს  
პირველმოწამის, თორის წმ. ნიშის და აქ თავმოყრილ მრავალ სხვა  
წინდანთა მფარველობით.

## 76

ა დ გ ი ლ ი: აღჯოცის მონასტერი. დ რ ო: 1443 წ.. გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
გალუსტი. ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიმატაქარანები,  
III, № 540, გვ. 400; I, № 628, გვ. 553.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „პლბ“-ს  
(1443), უფალ კირაკოსის მამამთაფრობისას. საქართველოში ვახტან-  
გის მეფობისას, იუსუფის ძის ჯაჰანშაჰის ხანობისას, არარატის გა-  
ვარში, ქელის ხევში, აღჯოცის მონასტერში, წმ. ღვთისმშობლს, ამ  
წმ. კათოლიკეს, წმ. სტეფანოს პირველმოწამის მფარველობით...

## 77

ა დ გ ი ლ ი: თბილისი (?), დ რ ო: 1444 წ.. გ ა ნ ბ ა ა ხ ლ ე ბ ე-  
ლი და მ კ ა ზ მ ა ე ი: ჰოვანესი, სასელწოდება: სახარება, XV  
ს-ის პიმატაქარანები, I, № 646, გვ. 574—575.

...ღვთისმოყვარემ, უწმინდესმა, ყოვლად კეთილმა, მშვიდმა, გა-  
მორჩეულმა მოწესემ და უძლეველმა ფილოსოფოსმა უფალმა სარ-  
გისმა, დედაქალაქ ტფილისის წმიდა და სახელგანთქმული კათოლი-  
კეს მსახურმა და წინამძღვარმა მოიწადინა ეს საღვთო წიგნი, სი-  
ცოცხლის მიმნიჭებელი სახარება, შეიძინა იგი თავისი ალაღ-მარ-  
თალი მონაგებით, განაცხოველებინა ოქროს ვარაყითა და ჰრელ-ჰრე-  
ლი ფერებით განკაცება და ჩვენი ღმერთის, ქრისტეს სხვა სასწაუ-  
ლები, ახალი სიონის მხიარულებისათვის და გასაბრწყინებლად.  
მრავალი თხზულებისა და ნაწარმოების შექმნის შემდეგ, რომელიც  
ჰქონდა ღვთის ეკლესიაში, შემატა ესეც საღვთო განძს, თავად მის  
და მისი მშობლების, მამამისის სოლომონის, დედამისის ულუხათუ-  
ნის, ძმის ამირ-აზიზის, მამის ძმის დავით ბერის, დეიდაშვილისა  
და მის მიერ გაზრდილი მოწაფის ვარდან ხუცესის, აგრეთვე სის-  
ხლით ყველა ახლობლის, ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსე-  
ნებლად.

აწ, ვინც ისარგებლოთ ამ [წიგნით] და განათლდეთ საღვთო



სიტყვით, ქრისტეს წინაშე გულითადად მოიხსენეთ ზემოაღნიშნული ნომგებელი უფალი სარგის ბერი, ღვთისმოყვარე თავისიანებთან ერთად, ამინ.

მათთან ერთად [მოიხსენეთ] მისი გაზრდილი მოწაფე, პარონ თუმანის ძე, ღუკას დიაკონი, მისი სულიერი ძმები სტეფანოს, შმავონ, კიკაკოს, ასტვანატურ და ხაჩატურ ხუცესნი...

ეს წმ. სახარება განახლდა და დაიკაზმა „პლგ“ (1444) წელს. მათთან ერთად, ვინც ზემოთ მოხსენებულ იქნენ, მომიხსენეთ მეც, სასჯელის თანამდები ჰოვანეს მწერალი, რომელმაც ეს მცირე პიშატაკარანი დავწერე.

## 78

აღ გ ი ლ ი: ქალაქი ვანი, დ რ ო: 1445 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: კარაბეტი, სა ხ ე ლ წ ო ლ ე ბ ა: სვინაქსარი. ო. ფირყაქსხანი, სითარქ ჯაიგ, გვ. 146; XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 655, გვ. 584.

...დასრულდა დიდი რუდუნებით, კარგი, გამორჩეული დედნიდან, რომელიც დაამზადა უშიშმა მარტივლმა და სამყაროს მანათობელმა მოძღვარმა გრიგორ [ხლათეციმ]; იგი ჩვენი მასწავლებელი იყო... დაიწერა ეს [წიგნი] ვასპურაკანის ქვეყანაში, ქალაქში, რომელსაც ჰქვია ვანი, წმ. მოციქულების პეტრეს და პავლეს და წმ. ვარდან მხედართმთავრის მფარველობით, უფალ გრიგორის მამამთავრობაში, ჩვენი ეპისკოპოსის, ვარაგის წმ. კრებულის წინამძღვრის უფალ ჰოვანესის [დროს], სომხური წელთაღრიცხვის „პლგ“-ს (1445), სასტიკ დროში, ჯჰანშას მეფობისას, რომელიც ამ წელს დიდძალი ლაშქრით გაეშურა ახალციხეში<sup>69</sup> და მრავალი ქრისტიანი დაატყვევა, რომელთა ტანჯვა და ვება ჩვენი თვალთ ვიხილეთ...

## 79

აღ გ ი ლ ი: ალჯოცის მონასტერი, დ რ ო: 1447 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: გაღუტრი, სა ხ ე ლ წ ო ლ ე ბ ა: სახარება. მ. შარყსხანი, შარყ ფიცას რაიხენ მხარაფრავ შაოხნაგარანსინ შაქარხანს ხ ლ ხ ნხოხი, ნო. მ. გვ. 687—688. XV ს-ის პიშატაკარანები, I, № 682, გვ. 626.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „პლგ“-ს (1447), უფალ გრიგორის მამამთავრობაში, საქართველოში გო[რ]გეს მეფობისას, ჯჰანშაპ [ი]უსუფის ძის ხანობისას, არარატის გავარში, ქელის ხევში, ალჯოცის მონასტერში, წმ. ღვთისმშობ-

ლის, ამ წმ. კათოლიკეს, წმ. სტეფანოს პირველმოწამის, წმ. მარჯვენის, თორის წმ. ნიშის მფარველობით...

## 80

აღგილი: თბილისი, დრო: 1447 წ., გადაწერი: ჰოვანესი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, I, № 683, გვ. 606—607.

...აწ, ვინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], იხილოთ, წაიკითხოთ ან გადაწეროთ, ქრისტეს წინაშე გულითადად მოიხსენეთ ამ წმ. სახარების ზემოაღნიშნული მომგებელი ნერსესი, მამამისი კარაპეტ ზუცესი, დედა დოლათი, მეუღლე ასლმელიქი, ძმები, ჰოვსეფ ზუცესი და ჰუსიკი, ძმისწული სულთანშა, მამის ძმა უფალი ჰოვჰანესი, შვილი უფალი მხითარი, დეიდაშვილი კარაპეტი, პაპა უფალი მათეოსი, და შნაპავორი, დისწული ამირ-მელიქი, აგრეთვე ყველა მისი სისხლით ახლობელი, ცოცხალი და მიცვალებული. ვინც კეთილად და უმწიკვლო რწმენით მოიხსენებთ, მოხსენებულ იყოთ ჩვენი ღმერთის ქრისტესაგან, რომელიც კურთხეულ არს სამარადისოდ, ამინ.

მათთან ერთად, ვინც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიხსენეთ ჩემი მშობლები და მეც, სასჯელის თანამდები მწერალი, რომელმაც ეს წმ. სახარება დაეწერე და დავასრულე დედაქალაქ ტფილისში, მოწყალებ წმ. ღვთისმშობლის მფარველობით, სომხური ათვლის „პლზ“-ს (1447)<sup>70</sup>.

## 81

აღგილი: თმოგვი, დრო: 1448 წ., სახელწოდება: სახარება. Արցախ, სიკասიჩხე Մակար եպի. Բարխուդարեանց, Բագու, 1895. გვ. 268—269; XV ს-ის ჰიმატაკარანები, I, № 697, გვ. 618.

იესო ქრისტეს სახელით მე, მურადშესმა მოგიციდე ეს ჩემი საკუთარი სახარება შენ, ხაჩატურ ზუცესს, ჰოჰანისის ძეს, ელისე მოციქულის გავარიდან, ჯრვშკას საყდრიდან, ჩვენი ეპისკოპოსის, ჰაღბატის წმ. მონასტრის მსახურის უფალ თუმასა და თმოქის მღვდლების, მკრტიჩ და არაქელ ზუცესთა მოწმობით, „პლზ“ (1448) წელს, ტრეს თვის „იე“ (25)-ს (23/III), იყოს ეს ღვთის მოსაწონი, ამინ.

## 82

აღგილი: ციხნას მონასტერი, დრო: 1451 წ., შემამკობელი

და მკაზმავეი: თუმა. სახელწოდება: სახარება, XV ს-ის ჰიმატაკარანები, I, № 721ბ, გვ. 644.

„პძთ“ (1440) წელს ჯპანშა ამირზა შვეიდა საქართველოში, ფრიად ააოხრა ქვეყანა, ეკლესიები დააქცია და სომეხთაგან „უბრ“ (12000)-ზე მეტი მოკლა ან ტყვედ წაასხა. „პ“ და „ლე“ (1446) წელს ბაღდადი აიღო.

„პ“ და „ლთ“ (1450) წელს ჯპანშა ამირზამ აიღო ეზნკა და ურიცხვი ქრისტიანი, ქალები და ბავშვები, დაატყვევა. ხოლო ცხრა-ას (1451) წელს ხლათის და ბაღესის ქვეყანა დაატყვევა და გაასწორა მიწასთან...

### 83

ადგილი: თბილისი, დრო: 1452 წ., გადამწერი: ჰოვანესი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 21, გვ. 16—17.

### ა

...აწ, დაიწერა ეს განმანათლებელი და განმაცხოველებელი წმ. სახარება სომეხთა წელთაღიციხვის „ჯა“-ს (1452), დედაქალაქ ტფილისში, მოწყალე წმ. ღვთისმშობლისა და მხედართმთავარ გიორგის მფარველობით, სისეცის კარგი, გამორჩეული ნუსხიდან.

გვედრებით ყველას, ვინც წაიკითხოთ და განათლდეთ ამ საღვთო სიტყვით, ქრისტეს წინაშე გულითადად მოიხსენეთ აღნიშნული ღვთისმსახური დედაკაცი ჯპანი, ქრისტეს მიმართ მიცვალებული [მისი] ქმარი აჯიპი, მისი ვაჟები, ვარდანი, მურადი და მესყრი, ქალი ელისაბეთი, გარდაცვლილი ვაჟი სარგისი, მისი სისხლით ყველა ახლობელი, ცოცხალი და მიცვალებული, ვინც კეთილად და უმწიკვლო რწმენით მოიხსენებთ, მოხსენებულ იყოთ ჩვენი ღმერთის ქრისტესაგან, რომელიც კურთხეულ არს სამარადისოდ, ამინ...

### ბ

მანუელ მხატვარი ქრისტეს მიმართ მოიხსენეთ.

### 84

ადგილი: თბილისი, დრო: 1452 წ., გადამწერი: ჰოვანესი, სახელწოდება: გრიგორ ტათევაცის ქადაგებანი. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 22, გვ. 17—18.

...აწ, დაიწერა ეს საღვთო მათიანე და ვარდივით გაფურჩქნილი ყვავილნარი, რომელსაც ჰქვია ქადაგებანი, ქრისტეს მიმართ მიცვალებული, მამაცი და უშიში მქვერმეტყველისა და უძლეველი ფილოსოფოსის გრიგორ ოროტნეცის მიერ შეთხზული და შეკრებილი. დასრულდა [ეს] წიგნი დედაქალაქ ფაიტაკარანში, რომელსაც ჰქვია ტფილისი<sup>71</sup>, მოწყალე წმ. ღვთისმშობლისა და გიორგი მსედართმთავრის კარზე, ვაღარშაპატის პატრიარქის, უფალ გრიგორის მამამთავრობისას, ქართველთა ამ ნაჰანგში ჰალბატის არქიეპისკოპოსის უფალ ღუკასუს წინამძღვრობისას, საქართველოში გეორგ ბაგრატიუნის მეფობისას, რომელსაც უფალმა ღმერთმა დიდხანს გაამარჯვებინოს ქრისტეს ჯვრის მტრებზე<sup>72</sup>...

მოიხსენეთ ამ (წიგნის) ზემოაღნიშნული მომგებელი, უძლეველი ფილოსოფოსი და ღირსი მოძღვართმოძღვარი სტეფანოსი, მამამისი ვარდანი, დედამისი დედა-ხათუნი, ძმები და სისხლით ყველა ახლობელი, ცოცხალი და ქრისტეს მიმართ მიცვალებული. აგრეთვე მისი სულიერად ნათესავი, თანააღზრდილი ძმა ჰოვანეს მარწესე, მეუღაბნოე, რომელსაც შემთხვევა მიეცა და შეეწია [მას] სიბრძნის სწავლაში და ფრიად ემსახურა, რომელსაც უფალმა მისი ღაწლის საზღაური მრავალეცად მიაგოს იმ ქვეყნად.

აგრეთვე ფრიად პატივდებული, ყოვლისმხილველი, ბრძენი, ხარისხით აღზევებული მისი სულიერი მამა და მასწავლებელი კარაპეტ მოძღვართმოძღვარი, რომელმაც მრავალი ღაწლით ასწავლა სამოძღვრო და მუსიკის მეცნიერება; უფალმა ღმერთმა დაიცვას იგი, ვითარცა ლამპარი დაუშრეტელი, კათოლიკე ეკლესიის სიქადულად და გასაბრწყინებლად, ხოლო იმ ქვეყნად წმ. მოძღვართამოდასე და თანაგვირგვინოსანი ჰყოს. კვლავ გვედრებით ამ [წიგნის] მნახველთ, რომ ზემოაღნიშნულებთან ერთად მოხსენების ღირსად გამხადეთ მეც, წიგნის ცოდვილი მწერალი ჰოვანესი, ხუცესი სახელით და არა საქმით. მოიხსენეთ აგრეთვე ჩვენი სულიერი ძმები, რომლებიც მშველოდნენ წერის დროს, ზოგი ქალაღის გაღესვით, სხვები ხაზების გავლებით, ზოგიც სხვა საქირო საქმეში. ვინც კეთილად და უბიწო რწმენით მოიხსენებთ, მოგახსენოთ ჩვენმა ღმერთმა ქრისტემ, რომელიც კურთხეულ არს სამარაღისოდ, ამინ.

დასრულდა ეს [წიგნი] სომხური წელთაღრიცხვის „ჩა“ (1452) წელს, სამ მაისს: ზემოაღნიშნულებთან ერთად მოიხსენეთ აგრეთვე///გონიერი, ბრძენი ხუცესი, ავ [წიგნის] მკაზმავი, თავისი მშობლებითა და ნათესავებით.

ადგილი: ხახლისა და თორთომის გავარი, დრო: 1455 წ., გადა-  
მწერი: ავეტიქი, სახელწოდება: სახარება. ო. შიქიყაქმანსან,  
სიოაჲჲ ნაჲიე გვ. 179; XV ს-ის პიშატაკარანები, II, № 83, გვ. 61.

დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური ათვლის „ჯღ“-ს (1455), ხა-  
ჩუსა და თორთომის გავარში, მონასტერში, რომელსაც ჰქვია აგრ-  
გი(?)... ნათელმოსილი ტაძრის წმ. ღვთისმშობლის მფარველობით...  
უწეცარა მწერლის, ავეტიქ ბერის მიერ.

ადგილი: თბილისი, დრო: 1455 წ., გადამწერი: ჰოვანესი,  
სახელწოდება: სახარება. XV ს-ის პიშატაკარანები, III, № 573,  
გვ. 425.

...გვედრებით ყველას, ვინც მიემთხვიოთ ამ ღმრთივ-სულიერ  
და განმაცხოველებელ წმ. სახარებას, წაიკითხოთ, გადაწეროთ ან  
იხილოთ, მოიხსენეთ ქრისტეს წინაშე მისი ზემოაღნიშნული მოპ-  
გებელი მარიამი, მისი ქმარი ენიბეკი, მშობლები, მამა მხითარი და  
დედა ლსმათი, აგრეთვე ენიბეკის მშობლები შრვანი და ჰრათი, შა-  
რიამის ძმა სოლომონი, პაპა აბრაჰამი, აგრეთვე ჰოვანესი, სტე-  
ფანოსი და მათი სისხლით ყველა ახლობელი, ცოცხალი და მიცვა-  
ლებული. ვინც კეთილად და უმწიკვლო რწმენით მოიხსენოთ, მოხ-  
სენებულ იყავით ჩვენი ღმერთის ქრისტეს სამარადისო მოსახსე-  
ნებლით, რომელიც კურთხეულ არს საუკუნოდ, ამინ.

ზემოთ აღნიშნულებთან ერთად მომიხსენეთ მეც, სასჯელს  
თანამდები მწერალი ჰოვანესი, ხუცესი სახელით და არა საქმით,  
მშობლებითა და ნათესავებით, აგრეთვე მანუელი, გონიერი და ხელ-  
მარჯვე ხუცესი, ამ [წიგნის] მხატვარი...

წიგნი დაიწერა სომხური წელთაღრიცხვის „ჯღ“ (1455) წელს,  
დედაქალაქ ტფილისში, მოწყალე წმ. ღვთისმშობლისა და მხე-  
დართმთავარ გიორგის კარზე, სისის კარგი, გამორჩეული ნუსხი-  
დან, ვაღარშაპატის პატრიარქის უფალ გრიგორის მამამთავრობაში,  
საქართველოში გიორგის მეფობისას, ჩვენს ნაჰანგში უფალ ლუკა-  
სუს ზედამდგომლობისას, რომელიც უფალმა ღმერთმა დაიცვას  
უშფოთველად. სულითა და ხორციით, ამინ.

ადგილი: ბასიანი, დრო: 1456 წ., სახელწოდება: კურთ-  
ხვანი. XV ს-ის პიშატაკარანები, II, № 93, გვ. 67.

...თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ ლოცვებში მოიხსენეთ ამ წმ. აღთქმის მომგებელი, ყოველგვარი სიკეთის მიზეზი პარონი კირაკოსი და მისი მეუღლე ხოიანტი. მათი შვილები თურგანდანი და პასრათი. დადო [მან ეს წიგნი] წმ. კრებულის კარზე, მონასტერში, რომელსაც ჰქვია სპიტაკ ვანჭი, თავად მისი, მამამისის თავაქალის, დედამისის ელისაბეთის, ძმების, ხოცადელისა და ჰოვანისის, მათი შვილების, სატალის, თათარის, ჰაიტარის, პატრალისა და შნოფორის, აგრეთვე პარონ კირაკოსის ყველა სისხლით ახლობლის მოსახსენებლად. დადეს მათ ეს წიგნი წმ. ღვთისმშობლის კარზე, არქიეპისკოპოს უფალ ჰუსიკის, ბასიანისა და უხტიქის გავართა ზედამდგომლის, მამამთავრობისას, მისი და უფალ მხითარ ეპისკოპოსის, აგრეთვე რაის<sup>73</sup> მარტიროსის მოწმობით; იგი ნაყიდი იქნა „ბრ“ (2000) ნალდ თეთრად რაის კირაკოსის სამართლიანი მონაგებიდან და დაიდო სპიტაკ ვანჭში, წმ. ღვთისმშობლის კარზე, მისი და მისი მშობლების სამარადისო ხსენებისათვის. სხვას არავის მასთან არაფერი ესაქმება კირაკოსის ნათესავეებისაგან, მონასტრის წინამძღვრებს ან ეპისკოპოსს, მოძღვარს ან ბერს, ერისგანს ან ვინც უნდა იყოს. ვინც [წიგნს] მზრუნველობით მოეპყრობა, წყალობას წმ. ღვთისმშობლისაგან მიიღებს; თუ ვინმე ცრუ პატრონი გამოჩნდეს, ან გაყიდოს, ან გაძარცვოს, ან დააზიანოს, სასჯელი წმ. ღვთისმშობლისაგან მიეზღოს. ამ სიკეთის, წმ. წიგნის [შეძენის] მიზეზი გახდა არქიეპისკოპოსი უფალი ჰუსიკი, რომელმაც წააქეზა პარონი კირაკოსი ეყიდა ეს წიგნი; მრავალი წყალობა მიეგოს შემგულიანებელს, ღმერთმა სასუფეველის ღირსი გახადოს, ამინ.

დაიწერა „ჩე“-ს (1456).

## 88

აღკოლი: აგცრკის მონასტერი, დრო: 1458 წ.. გადამწერი: ავეტიქი. სახელწოდება: იაღვარი. XV ს-ის კიპოტაქარანები, II, № 144, გვ. 109.

...აწ, დაიწერა ეს იადგარი სონხური წელთაღრიცხვის „ჩჳ“-ს (1458), უღირსი და უგუნური მწერლის ავეტიქ ბერის მიერ, ხახუსა და თორთომის გავარში, მონასტერში, რომელსაც ჰქვია აგცრკი, წმ. ღვთისმშობლისა და აქ აღმართულ სხვა ტაძართა მფარველობით.

გვედრებით ყველას, ვინც მიემთხვიოთ ამ საგალობელს, დაისწავლოთ ან იხილოთ, ბრალს ნუ დამდებთ იმისათვის, რაც მასში

შეცდომად ჩათვალოთ, რამეთუ პირველად ვწერდი იადგარს და პერგამენტზე, თანაც მწირი უცხო ქვეყანაში. მე უღირსი გვევდრებით ყველას, ვინც ხელთ აიღებთ [ამ წიგნს], ან იხილავთ, თქვენს ლოცვებში მოიხსენეთ ჩემი სისხლით ყველა ახლობელი, ჩემი მშობლები და მასწავლებლები და თქვენ მოგიხსენებთ ჩვენი ღმერთი ქრისტე, რომელიც კურთხეულ არს...

## 89

ადგილი: კიკეთი, დრო: 1459 წ., გადამწერი: გრიგორ ანგელაქუთუცი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის ჰიმნოგრაფია, II, № 156, გვ. 118—119.

## ა

ეს ღვთივმოძალადეული, ღვთივბოძებული წმ. სახარება სულიერი სიყვარულით მოვიწადინე გრიგორ ანგელაქუთუციმ, უძღურმა და მოხუცებულმა...

დაიწერა კიკეთში, ახალ კურთხეულ წმ. ღვთისმშობლის კარზე, სომხური დიდი წელთაღრიცხვის „ჯგ“-ს (1459), უხმარი და უძღური, მოხუცი გრიგორ მწერლის მიერ, ჩემი გარდაცვლილი მშობლების, თეოდოროსისა და დედაჩემის სიმეიკის, ჩემი ძმის შაშეიკის, მისი საცოდავი შვილის თანისის, ჩემი დის კულიკის, ჩემი მიცვალეული მეუღლისა და შვილების, რსტაკისის, ვრთანისის, უსკანისის, ოჰანისის მოსახსენებლად; ისინი ქრისტეს მიმართ ჭავახეთში გარდაიცვალნენ. ამის შემდეგ ბოროტი ჯაჰანშა დაესხა თავს ქვეყანას, მრავალი დაატყვევა და გაუღიტა, დედაჩემს აკოვბიკივით ორთავე მკლავი მოკვეთეს და თავი სისხლში ამოუსვარეს; მისი დასახიჩრებული გვამი წმ. გიორგობას დავასაფლავე<sup>74</sup>.

აწ. გვევდრებით თვალტრემლიანი, თქვენს წმ. ლოცვებში მოიხსენეთ ზემოაღნიშნული ჩემი მშობლები; აგრეთვე ჩემი მოამაგე ნათლიდედა თენიკი, რომელიც ფრიად დაშვრა ჩემთვის. ქრისტე ღმერთმა შეიწყალოს ის.

## ბ

შემაკობელი: მანუელ მხატვარი.

ოი, კეთილო, წმინდა მკითხველო,  
ღირსი მყავ მოხსენებისა  
მანუელ ცოდვილი მხატვარი.

მკაზმაეი: ბოჰნოში.

ბოჰნოშ მკაზმაეი ლოცვებში მოიხსენეთ და ღმერთი თქვენ მოგიხსენებთ, ამინ.

## 90

აღგილი: აირივანქის მონასტერი, დრო: 1459 წ., გადაამწერი: მათოსი, სახელწოდება: კურთხევაი. XV ს-ის კინაბატაკარანები, II, № 157. გვ. 120.

...აწ, დასრულდა ეს ღმრთივ-სულიერი მათიანე სომხური წელთაღრიცხვის „ჯს“ (1459) წელს, მწუხარების ხანაში, როდესაც უსამართლო მოთხოვნებით გვავიწროებენ ურჯულონი, საქართველოში ალექსანდრეს ძის გორგის მეფობისას, სომხებზე, წმ. ეჩმიადინის ტახტზე, უფალ გრიგორის მამამთავრობისას, ყარა [ი]უსუფის ძის ჯაჰანშაჰის ხანობაში.

დაიწერა ეს [წიგნი] ცის მობაძვე და სახელგანთქმულ, აირივანქად ხმობილ წმ. მონასტერში...

## 91

აღგილი: თბილისი, დრო: 1462 წ., გადაამწერი: დავითი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის კინაბატაკარანები, II, № 216, გვ. 169.

## 5

ამ წმ. სახარების მომგებელი ვარდან მღვდელი, ჩვენი მშობლები, მამა ჰოვანესი, დედა ჰავას-ხათუნი, ჩემი თანამეცხედრე მართა-ხათუნი, შვილები, გირსამი, ალექსანოსი, რსტაყესი, ძმები, მსრუა და მკრტიჩი, ჩვენი მიცვალებულები, ალუტი, მრვანი, ბალშიკი, სტეფანოსი, ქრისტეს მიმართ გარდაცვლილი ბერი მკრტიჩი, რომელმაც ამ სახარებისათვის „წ“ (50) დანგი გაიღო... აგრეთვე უხმარი მწერალი, ბერის სახელის უღირსი დავითი, ფაიტაკარანი, ტფილისი მოიხსენეთ (?).

## 3

...[წიგნი დაიწერა] მეფის ადგილსამყოფელ ტფილისში, დიდებული კათოლიკეს, ძოწითმოსილი წმ. ღვთისმშობლისა და მრავალრიცხოვან წმინდანთა მფარველობით, უფალ ზაქარია კათალი-



კოსის მამამთავრობაში, ჰაღბატის არქიეპისკოპოსის უფალ ლუკასუს წინამძღვრობისას, საქართველოში გიორგის მეფობისას, სომხური წელთაღრიცხვის „ჯჷა“-ს (1462), „ქჷ“ (150) ქრონიკონს<sup>75</sup>, „იბ“(22) აპრილს, აღდგომის კვირაში, რომელიც შავ აღდგომად გვექცა. ხუთშაბათ დღეს „რ“ (1000) თურქი მოვიდა ლოჭინში, [ცხენებს] წყალი დაალევინეს და დაიბანაკეს. „ი“ (20) მხედარი მოვიდა ჰავეკალის გლგანში<sup>76</sup> ნახირის გასარეკად. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მხედრობა მცირერიცხოვანია; ქალაქიდან „ბჷ“ (200) კარგი ჭაბუკი დაედევნა შათ<sup>77</sup> ლოჭინამდე, წყალში გავიდნენ ქვეითად, დაილანენ, ისრები გამოელიათ და [დარჩნენ] უიარალოდ, უეჭველად ჩემი ცოდვებისა და ბოროტ საქმეთა [გამო] გამოჩნდა დიდძალი მხედრობა, რომელმაც ისინი ორი მხრიდან გარემოიკვა და ყველანი ხმლით ამოწყვიტა, მათი თავები წაიღეს. ვაი ჩემს თავს ამ მწუხარების დღეებში, ვაების მოთხრობა ვის ძალუძს, რამეთუ მსხვერპლად [შეწირული] ჭაბუკნი თავმოკვეთილნი და შიშველნი მოჰქონდათ ჯგუფ-ჯგუფად, ვერავინ შეძლო თავისი მკვდრის ცნობა<sup>78</sup>. იმ დღის ტირილისა და გოდების მოთხრობა არავის არ შეუძლია, ათასჯერ ვაიმე. ღმერთის ძე ქრისტემ ამ წმ. სახარების მეოხებით მათი სული წმ. მოწამეთა და სისხლით შეღებულ მარტვილთა თანამოდასე და თანაგვირგვინოსანი ჰყოს, ამინ.

ჩემთვის, ხუცესის სახელის უღირსი დავითისათვის, რომელმაც ეს სახარება დაწერე, ერთხელ „ღმერთო-შეიწყალე“ ბრძანეთ... სასტიკ და მუხთალ, მოულოდნელი ქლეტის, აღდგომის ხუთშაბათის მოსრვის [დროს]. ოჰ ვაი, ოჰ ვაი, მე მონამ რა ვქნა.

## 92

დ რ ო : 1462 წ. მ ო მ გ ე ბ ე ლ ი : გრიგორ გორეცი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა : სახარება. ხ. ლაკაჟან. მიიგის ჩაკეხენ ძხვადიფიფი ოსა-ჟიორასიონი. აჟრს ათიჯინ, მჩჩქის. 1915. გვ. 170; XV ს-ის პიშა-ტაკარანები, II, № 217. გვ. 170.

სომხური წელთაღრიცხვის „ჯჷა“-ს (1462) მე, გრიგორ ხუცესმა, გორეციმ ვიხილე ეს წმ. სახარება და გავხდი მისი მოსურნე, ვითარცა მარტორქა წყაროს წყლის; შევიძინე ეს წმ. სახარება ჩემი ალალ-მართალი მონაგებით თავად ჩემი, ჩემი მშობლების, მამა-ჩემის გოზალბეკის, ჩემი მეუღლის, ოფა-ხათუნის მოსახსენებლად და ჩემი, ცოდვილი გრიგორ ხუცესის სარგებლობისათვის. აწ, უნც მიემთხვიოთ ამ ღმრთივ-სულიერ სახარებას, წაიკითხოთ ან გადაწეროთ, თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ ლოცვებში მო-

იხსენეთ ზემოაღნიშნულნი და ერთხელ „ღმერთო-შეიწყალე“ თქვით.

### 93

ა დ გ ი ლ ი: სოფელი ტუპური, დ რ ო: 1462 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ტირატური, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 218, გვ. 170—171.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჩჷა“-ს (1462). მე, უფალმა ჰოპანეს ხუცესმა, რომელიც სამშვილდეში მგვემეს, მისმა თანამეცხედრემ ნრჯ///ს შევიძინეთ ეს სახარება ჩემი შეილების, უფალ სტეფანოსის, ჰოვსეფის, ოსკევანის, სადალის, როსტევანისა და თუმას, დების, ღმერთის მიმართ მიცვალებული დედახათუნისა და ბეკიხათუნის, აგრეთვე ხათუნის, მამახათუნის, ჯამელიქის, ხანმელიქის, ღზლარბეგის, შაჰზატის, ჩინარის, სადალის, ანახათუნის, ჩვენი მშობლების ჩერის, ავაქტირის, ტერტერისა და მათი მიცვალებულების, გულისტანის მოსახსენებლად, ამინ.

### 3

...დაიწერა ეს წმ. სახარება ჯაჰანშას ხანობაში. აწ, მე, ყოვლად უხმარი და უქანასცნელი ეკლესიის შვილთა შორის, ტირატურ ბერი გვედრებით ჰალბატის წმ. ნიშის მსახურთ... მოიხსენეთ ჩვენი მასწავლებელი დანიელ მოძღვარი და ჰოვანეს სანაჰნეცი, ჩვენი მოძღვარი///.

### 3

უფალმა ღმერთმა შეიწყალოს პარონი თამარ დედოფალი<sup>79</sup> და ალექსანდრე მეფე, ამინ.

### 94

ა დ გ ა ლ ი: თბილისი, დ რ ო: 1463 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: მკრტიჩი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 239, გვ. 195.

...მომგებელმა ამირმა, მამამისის ჰასანის, დედამისის აღამელიქის, მისი მეუღლეების, აღჯისა და ხონდიკის, ვაჟების, ურჯულოთაგან წამებული ქურდამირისა და მურადის, ქალების, სადეკისა და

თავსუხის, შვილიშვილის, ქურდამირის ასულ აღულის მოსახსენებლად [შეიძინა ეს წიგნი]...

აწ. დაიწერა ეს წმ. სახარება „ჯებ“ (1463) წელს, დედაქალაქ ტფილისში, მოწყალე წმ. ღვთისმშობლისა და მხედართმთავარ გიორგის მფარველობით, სასჯელის თანამდები და უცები მწერლის, მღვდლის სახელის უღირსი მკრტიჩის მიერ. დაიწერა ღვთისმოყვარე მეფეთა მეფის გორგის დროს, რომელიც ღმერთმა დღეგრძელი ჰყოს, გამარჯვებინოს ქრისტეს ჯვრის მტრებზე, უფალ ზაქარიას მამამთავრობისას, ამ მხარეში ჰალბატის არქიეპისკოპოსის უფალ ლუკასს ზედამდგომლობისას...

## 95

ა დ გ ი ლ ი: მონასტერი ავაგი, დ რ ო: 1464 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: სტეფანოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: ღონისე არეოპაგელის თხზულებანი. XV ს-ის კიმატაკარანები, II, № 256ა, გვ. 211.

...აწ, დაიწერა ეს [წიგნი] ზემოხსენებული უღირსი, შეურაცხი, საბრალო, საცოდავი მონის მიერ წმ. კრებულში, ავაქის მონასტერში, წმ. ღვთისმშობლის, წმ. კარააეტის, წმ. მოციქულთა და სხვა მრავალრიცხოვან წმ. ნიშთა მფარველობით, წმიდა და საკვირველი მოძღვრის ფეხთა წინაშე, მოძღვრის და ჩემი საბრალობელი თავის მოსახსენებლად, „ჯებ“ (1464) წელს, „უდ“ (14) ივნისს, ხუთშაბათს, სასტიკ და მუხთალ დროში, როდესაც ურჯულო ტაჰიკთა ნათესავი მძლავრობს, ავიწროებს ქრისტიანებს. მხეცებზე მეტად გაბოროტდნენ, წყურიათ ქრისტიანთა სისხლი და ახალ-ახალ საშინელებებს ატეხენ მათ თავს, რამეთუ ხარაჯა „დ“ (4) ფლორი გახადეს, ქრისტიანებს თავზე ლურჯ ნიშნებს ადებენ, მკვდრებს არ ამარხვიანებენ. სხვაც მრავალი საშინელება განიზრახეს ქრისტიანთა მიმართ და შეურაცხვეს ისინი; უფალმა ღმერთმა საქმე კეთილად დააბოლოოს.

ჩვენს დროში სხვაც მრავალი უბედურება მოხდა, რამეთუ დავცა ქალაქი სტუმბოლი და მისი მცხოვრებნი ხმლით ამოწყვიტეს, ურიცხვი დაატყვევეს და უთვალავი წმინდანთა ნაწილი ურჯულოებმა ფეხქვეშ გათელეს, ეკლესიები მათი სამკვიდრო გახდა, კიდევ მრავალი საშინელება მოხდა, ვის შეუძლია ამის აღწერა; „უ“ (10), მეტი ან ნაკლები, წლის შემდეგ აიღეს პონტოსი, რომელიც არის ტრაპიზონი, დიდად დაზარალეს ის, რამეთუ დააშორეს ძე და ასული დედასა და მამას, ძმა—ძმას, იყო საცოდავი ტირილი და მოთქმა.

რომელიც არ შემიძლია კალმით აღწერო; ვინ მოთელის რამდენი ზიანი მიაყენეს ეკლესიებსა და წმიდა ადგილებს.

„ჟ“ (10) წლის წინ დატყვევებულ იქნა დარანალეაცის გავარი, რომელიც არის კამახი; ვის შეუძლია მოუთხროს რბევისა და დანაკლისის შესახებ, რაც განიცადეს ქრისტიანებმა, მონასტრებმა და წმიდა ადგილებმა. აქედან „ე“ (5) წლის შემდეგ მოხდა საშინელი მიწისძვრა და მთლიანად დაიქცა დედაქალაქი ეზინკი, თორმეტი ათასი კაცი და ქალი ცოცხლად დაიშარხა.

აღმოსავლეთში მრავალი რბევა და ზიანი განიცადა აგრეთვე საქართველომ, ასევე ყველა გავარმა; ამის მოთხრობა ან კალმით აღწერა ვის ძალუძს. ხოლო ეს დავწერეთ თქვენი სარგებლობისათვის, გაფრთხილებისათვის, რამეთუ ცოდვათა გამო მოხდა ეს ყოველივე და რომ უფალმა ღმერთმა გიხსნათ თქვენ ყოველგვარი განსაცდელისაგან, ამინ.

ვინც ჩვენ მოგვიხსენებთ, მოგიხსენოთ ჩვენმა ღმერთმა ქრისტემ, ამინ.

## 96

ა დ გ ი ლ ი: ახალციხე, დ რ ო: 1464 წ. მ ო მ გ ე ბ ე ლ ი: ტირაყუ, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის კიშატაკარანები, II, № 274, გვ. 226—227.

დაუსაბამო ღმერთის ნებით და მისივე წყალობით მე ტირაყუ ხუცესმა ვიყიდე ეს წმ. სახარება ჩემი ალაღ-მართალი მონაგებით თავად ჩემი, მშობლების, ჩემი მეუღლის მარიამის, შვილების, ახალგაზრდა, ჰაბუჯი ჰოვანეს დიაკვნისა და გალუსტის, სისხლით ყველა ახლობელთა და მოკეთეთა მოსახსენებლად.

აწ, პირქვე დამხობილი გევედრებით თქვენ, ოი მღვდელთა წმ. დასნო, ვინც ისარგებლოთ ამისგან, წაიკითხოთ ან გადაწეროთ, ჩვენ და ჩვენი მიცვალებულები თქვენს წმ. ლოცვებში მოიხსენეთ და ღმერთი თქვენ მოგიხსენებთ, ამინ.

მე ეკლესიის შვილთაგან უმრწემესმა, უთვალავი ქანქარის თანამდებმა, ახალციხის დეკანოზმა ტირაყუმ წმ. გრიგორის ეკლესიას მივეცი ეს წმ. სახარება და ვერცხლის ბარძიმი, თავად ჩემი, ჩემი მშობლების, ჰაბაჩემის, ტირაყუ მღვდლის, მამაჩემის, ჰოჰანის მღვდლის, ჩემი ძმების, გალუსტის, ასტეაწატურისა და ქრისტოსატურის, ჩემი შვილის მხითარისის სამარადისოდ მოსახსენებლად; იგი იყო წიგნის-მკითხველი, თორმეტი წლისა გარდაიცვალა ქრისტეს მიმართ და დაგვიტოვა უნუჯეშებელი მწუხარება.

გვედრებით თქვენ, ოი წმ. მღვდელნო, თქვენს წმ. ლოცვებში მოგვიხსენეთ ჩვენ და ჩვენი მიცვალებულები და ღმერთი თქვენ ზოგისხენებთ, ამინ.

თუ ვინმე გაკადნიერდეს და ჩვენი სულის მოსახსენებლის მიტაცება სცადოს ამ წმ. ეკლესიაში ან თუ ვინმე გათავზედდეს და მოიპაროს ან გაყიდოს, ბორკილებით შეკრული იყოს და ჩვენი ცოდვები იტვირთოს. ხოლო [სახარების] მომვლელნი და მზარუნველნი კურთხეულ იყონ ღმერთისა და მისი ყველა წმინდანისაგან, ამინ.

დაიდო ეს მოსახსენებელი სომხური ათვლის „ჟეგ“-ს (1464).

## ბ

...[მოიხსენეთ] მეწალე ქარიმატინი, მისი მეუღლე მსრ-მელიქი, მშობლები, მამა კირაკოსი და დედა ნარინ-ხათუნი და ყველა მისი სისხლით ახლობელი; მან თავისი ალალ-მართალი მონაგებით განახლებინა ეს წმ. სახარება, რომელიც ტირააცუ დეკანოზს დაედო წმ. გრიგორის ეკლესიაში...

## 97

ა დ გ ი ლ ი: ლელანის მონასტერი, დ რ ო: 1447—1464 წ., გ ა დ ა მ  
წ ე რ ი: სტეფანოს ეპისკოპოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება.  
XV ს-ის პიმატაკარანები, II, № 305ა, გვ. 245.

სული წმიდას შეწევნით დაწყებულ იქნა ეს საქმე ღვთივდაცულ განძაკის გავარში, ლელანის წმ. ღვთისმშობლისა და საეპისკოპოსო ტახტის მფარველობით; წმ. მონასტერში ჩემი, სტეფანოს ეპისკოპოსის წინამძღვრობისას, უფალ ჰოჰანისის კათალიკოსობისას, საქართველოში გიორგის მეფობისას, ჯაჰანშაჰის ხანობაში...

## 98

დ რ ო: 1465 წ., მკითხველის მინაწერი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: საღვთო წერილის ნაწყვეტები. XV ს-ის პიმატაკარანები, II, № 281, გვ. 230.

სომხური წელთაღრიცხვის „ჟედ“-ს (1465), „ჟე“ (15) აგვისტო. ამ წელს ქართველთა მეფე გორგი შეპყრობილ იქნა ურჯულო მთავრისაგან ყორყორესაგან, [ბორკილები დაადეს მას]\*. მის შემ-

\* კვლავი ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები დაწერილია სხვა მელნითა და ხელით.

დეგ სამეფო ტახტზე დაჯდა მისი ძმისწული კოსტანტინე. კოსტანტინეს შემდეგ, გავიდა [რა] ერთი წელი, დაჯდა ბაგრატი<sup>80</sup>.

## 99

ა დ გ ი ლ ი: გარნაყერის მონასტერი, დ რ ო: 1467 წ. მ ხ ა ტ ვ ა რ ი: აზარია, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის კიშატაკარანები, II, № 304ბ, გვ. 244.

...მრავალი შრომით///დასრულდა შემეკობა „ჯუზ“ (1467) წელს. ///განძაკის პარონი, ამავე წელს ქართველთა მეფე ხელთ:///ნამაცმა ყვარყვარემ და გამეფდა ბაგრატი, რომლის მხედრობა უფალმა ღმერთმა გააძლიეროს და გაამარჯვებინოს მტრებზე, თავად კი იმეფოს<sup>81</sup>...

## 100

ა დ გ ი ლ ი: გარნაყერის მონასტერი, დ რ ო: 1468 წ., მ ხ ა ტ ვ ა რ ი: აზარია, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. 2. ისკყანს. სერგის ქანქარა. 4. ხსენსა. 1953. გვ. 161—162; XV ს-ის კიშატაკარანები, II, № 346, გვ. 272.

...აწ, დასრულდა ამ [წიგნის] წერა დაბა ელივარდში, უფალ გრიგორის კათალიკოსობისას, სომხური წელთაღრიცხვის „ჯუზ“-ს (1468), ჯპანშაპის ხანობაში, მათეოს მღვდლის მოწადინებ-თ...

გვედრებით, მოიხსენეთ ამ [წიგნის] მხატვარი, უღირსი აზარია მოწესე...

შეიმკო განძაკის ქვეყანაში, გარნაყერის ტახტზე... უფალთა უფალ ჰოვანისის კათალიკოსობისას, ამ მხარეში არქიეპისკოპოს უფალ წერუნის განმგებლობისას... ამ წელს ქართველთა მეფე გორგი ხელთ///.

## 101

ა დ გ ი ლ ი: ვორი. დ რ ო: 1469 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: გრიგორი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის კიშატაკარანები, II, № 373, გვ. 291—292.

...აწ, დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჯუზ“-ს (1469), დაბა-ქალაქ გორში, კათოლიკე წმ. ღვთისმშობლის მფარველობით, ზერელე, უხმარი მწერლის გრიგორის მიერ, თავად ჩემი, ჩემი მშობლების, მამის ჩარქასის, დედის ვარდეტიკინის, ძმე-

ბის და სისხლით ყველა ახლობლის მოხსენებისათვის. გადავეცი  
ეს [წიგნი] ბრეწის<sup>82</sup> წმ. განმანათლებლის კარზე [ჩემს] სამარადი-  
სოდ მოსახსენებლად, ჰოვანის ბერისა და უმწიკვლო მღვდლების,  
ვარდანისა და ეზეკიელის მეშვეობით<sup>83</sup>...

## 102

ა დ გ ი ლ ი: ალკოცის მონასტერი, დ რ ო: 1471 წ., გა დ ა მ წ ე რ ი:  
ვარდანი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიშატაკარანები, II,  
№ 397, გვ. 315—316.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჩი“  
[1471] წელს, წმ. ეზიპიდინის ტახტზე უფალ არისტაკესის მამამთავ-  
რობისას, საქართველოში ბაგრატის მეფობისას, ჰასან ბეგის ხანო-  
ბაში. სასტიკ, უკეთურ, მწუხარების დროში, როდესაც ქრისტიან-  
თა ნათესავი ლელავს, ძრწის უცხოთესლთაგან და უსამართლო  
გადაზნდელთაგან.

აწ, დაიწერა ეს წმ. სახარება არარატის გავარში, ქელის ხევში,  
ალკოცის მონასტერში...

## 103

ა დ გ ი ლ ი: სამცხე, დ რ ო: 1465—1473 წწ., გა დ ა მ წ ე რ ი: ჰა-  
კობი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კარაბადინი. XV ს-ის ჰიშატაკარანები, II,  
№ 443, გვ. 349—350.

## ა

ოი მკითხველნო, მკურნალნო და სიბრძნისმოყვარენო, თქვენ  
იცით, რომ ფრიად კურნავს ეს წიგნი და ვინც კურნავთ და მკურ-  
ნალობთ, სიცოცხლე ინდომეთ, ითხოვეთ ღვთისაგან ხოჯა ევაჩისა-  
თვის, რომელიც სახელდებულია სამცხის მკურნალად და მისი ვაჟის  
მურადბახშისათვის, აგრეთვე ჩემთვის, ხუცესის სახელის უღირს  
ჰაკობისათვის...

## ბ

...ეს ფრიად სასარგებლო წიგნი, რომელიც არის ადამიანის ბუ-  
ნებისა და მის სხვადასხვა ვნებათა, ავადმყოფობათა და სატყვიარ-  
თა გამოძიება, გადაეწერა ჩვენს თანააღზრდილ ძმას მარგარე მოძ-  
ღვარს, გრიგორის მთარგმნელის შრომის [შუდეგად].

აწ, უინც მიემთხვიოთ ამ [წიგნს], წაიკითხოთ ან გადაწეროთ,

ქრისტესგან სიციცხლე ითხოვეთ ხოჯა ევაჩისათვის, რომელიც ღვთის განგებით სამცხის ქვეყნის მკურნალია, აგრეთვე მისი ვაჟის მურაბაზშისათვის<sup>84</sup>, რომელიც უფალმა ღმერთმა დაიცვას მშვილობიანად და აღდგერძელოს, ამინ.

დაიწერა ეს წიგნი, რომელსაც ჰქვია მალრაბადინი და სომხურად ითარგმნება „სამკურნალოდ“, წმ. ღვთისმშობლის მონასტრის კარზე, უფალ არისტაკესის მამამთავრობაში, პარონ ყორყორეს მეფობის დროს, უფალ გრიგორის ეპისკოპოსობისას, რომელიც არის სამცხის ქვეყნის წინამძღოლი, პარონ აზიზისა და პარონ ვარძელის ტანუტერობისას. დავწერე ეს წიგნი მე, უფალმა ჰაკობმა, წარპიანის ძემ, რომელიც ამ წელს ხელდასხმულ ვიქენი. წიგნის შეცდომებისათვის მომიტევეთ, რადგან [ჩემთვის] პირველი წიგნი იყო და მეტად ძნელი, რამეთუ ადამიანის ყოველი ასოს [სახელი] გადმოაქვს არაბული ენიდან სომხურად. ვინც მოხსენების ღირსად გაგვხდით ჩვენ, თქვენც მოხსენებულ იყოთ ქრისტესაგან, რაჟამს დაჯდეს თავის სამსჯავრო ტახტზე. შენდობა ითხოვეთ ქრისტესაგან ჩვენი და თქვენი მიცვალებულებისთვის. ამინ.

#### 104

ა დ გ ი ლ ი: თბილისი, დ რ ო: 1474 წ.. გ ა დ ა მ წ ე რ ი: ასტაწატური, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სხარება, ო. Φηροϋαϋχμχσν. Στοιχαρρ ϖαϋογ. გვ. 320; XV ს-ის კიმატაკარანები, II, № 455, გვ. 361—362.

...ეს წმ. სახარება დაიწერა სომხური წელთაღრიცხვის „ჯიგ“ (1474) წელს.

ვიში და ვაება გვესმის ჩვენ, მწუხარებას ხედავენ ჩვენი თვალები, რამეთუ ცოდვთა ჩვენთა გამო განურისხნდა სახიერი ღმერთი ქალაქ ტფილისის და იყო დიდი სიკვდილიანობა, რომლის აღწერა არ ძალგვიძს.

ოჰ, ათასი ვაი ჩვენ. [ყოველ] დღე და საათს იყო ისეთი ძრწოლა, ათასჯერ ვაი ჩვენ, რომ გული გვატყინა. ჩვენი შვილი ანგელოზს ხედავდა, ჩვენ გვაჩვენებდა და საუბრისას მართალი სული განუტევა.

როდესაც ინათა, წივილ-კივილმა მოიცვა ქალაქი. ძმას არ შეეძლო წასვლა ძმის სანუგეშებლად. ასეთი გოდების მოთხრობა ვის ძალუძს<sup>85</sup>.

[წიგნი დაიწერა] უფალთა უფალ სარგისის მამამთავრობის წლებში, ჩვენი არქიეპისკოპოსის უფალ ლუკასის დროს, რომელ-



მაც ამ წელს ააშენა მაღალი სამრეკლო, თავზე ოქროს ვაშლიანი ჯვრით. უფალმა ღმერთმა აღდგურძელოს იგი... საქართველოში ბაგრატიის მეფობისას. დაწერა ეს წმ. სახარება ქალაქ ტფილისში, წმ. კათოლიკე ღვთისმშობლის მფარველობით, უღირსი მღვდლის, უხეირო მწერლის ასტვანატურის მიერ, ღვთისმსახური დილშაბ მამასახლისის მოწადინებით.

## 105

აღგილი: ოლთისის ციხე. დრო: 1474 წ., გადამწერი: მელქისეთი, სახელწოდება: სახარება. ო. ჭიქიყაძის სახელით. წიგნის ნომერი: გვ. 318—319; XV ს-ის პიშტაქარანები, II, № 456, გვ. 362.

...აწ. ამ უკვდავების სასმელის, სწორუპოვარი მარგალიტისა და ფრიად ქებული ნუსხის მსურველი გახდა უმწიკველო და ღვთის სათნო მღვდელი ასტვანატური, გადააწერინა ის უხეირო მწერალს მელქისეთს უკანასკნელ ხანებში, სომხური წელთაღრიცხვის „ჯიგ“-ს (1474), გუგარქის გავარში, უხტიქად წოდებულ ციხეში, წმ. ღვთისმშობლის, წმ. კარაპეტისა და სხვა წმ. ნიშთა მფარველობით...

## 106

დრო: 1476 წ., გადამწერი: სტეფანოს ჩმუჭაწავცი (?), სახელწოდება: სავალობლები. მ. კიქელიძის სახელით. წიგნის ნომერი: გვ. 68—72; XV ს-ის პიშტაქარანები, II, № 496, გვ. 394—395.

სომხური ათვლის ცხრაას ოცდახუთი წლის (1476) დამდეგს, მზე რომ იყო ღრიანკალის თანავარსკვლავედში, დიდმა სულთანმა ჰასან ფად[ი]შაჰმა ყველა მხარეში გაგზავნა ბრძანება, რომ შეეკრიბათ დიდძალი ჯარი, ქართველთა ქვეყნის ასაოხრებლად<sup>86</sup>. ასი ათასი იყო მთლიანად მხედრობისა და ქვეითთა რიცხვი<sup>87</sup>. ტფილისს შევიდნენ მეტად კადნიერად, დაიმორჩილეს და დაარბიეს. ქართველთა ქვეყნის მეფე ბაგრატი წასული იყო ლაკსტანს მათთან საომრად, ჯავრის საყრელად,

მისი ქვეყანა უპატრონოდ დარჩენილიყო<sup>88</sup>.  
 ყოველივე მოხდა ღვთის ნებით,  
 ბოროტებათა გამო ქართველთა,  
 მათ მოისყიდეს სულტანი  
 და ჩვენ წაგვართვეს გოლგოთა<sup>89</sup>.  
 ვითარცა ესმათ ხმა თურქმენისა,  
 ყველამ გაქცევა არჩია,  
 ზოგმა მიმართა ბუჩქნარებს, ტყეებს,  
 და ციხეებში გამაგრდნენ სხვები.  
 აიღეს ტფილისი, დაბანაკდნენ იქ,  
 დაიმორჩილეს, ქალაქს ვინც დარჩა,  
 შექმნეს მხედართა ერთი რაზმი  
 და გააგზავნეს საომრად გორში.  
 მივიდნენ იქ და ციხე აიღეს  
 ხმლით ამოწყვიტეს მამაკაცები,  
 ტყვედ წაიყვანეს იქაურები,  
 სამასი ბავშვი და დედაკაცი.  
 შემდეგ მიაღგნენ ტყეს,  
 თხუთმეტ დღეს ეძებდნენ ხალხს,  
 შეიპყრეს ყველა მათგანი,  
 ბორკილგაყრილი წამოიყვანეს.  
 მამაკაცები ხმლით ამოწყვიტეს,  
 ნოხუცი ქალებიც მიაყოლეს მათ,  
 ხუცესნი დაკლეს, აიღეს  
 სისხლი და შესვეს იგი.  
 ვის შეუძლია ამის მოთხრობა,  
 ანდა აღწუსხვა მკედრების,  
 მოსმენა მათი გმინვის  
 სისხლით რომ იყვნენ მოსვრილნი...

## 107

ა დ გ ი ლ ი: იერუსალიმი, დ რ ო: 1476 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა:  
 სახარება. შაჟი ვიციასკ ძხილადიოგ შიციე მასკიფხანგ. VI. კაჟმხგ  
 ნ. ჳიოჟარხანგ. ხრისაჟქმ. 1972. გვ. 490—491.

სომხური წელთაღრიცხვის „ჯიღ“-ს (1475), როდესაც დაიწერა  
 ეს წმ. სახარება, ტაჭიკებმა აიღეს კაფა, დაატყვევეს და დაარბიეს

იგი; მეტად შეძრწუნდნენ და დამწუხრდნენ ქრისტიანები; ყოველივე ეს ცოდვათა ჩვენთა გამო დაგვატყდა თავს.

ხოლო მეორე, „ჩიე“ (1476) წელს, ქართველებმა წაართვეს გოლგოთა სომხებს, იმავე წელს სომხები წავიდნენ სულტანთან, აიღეს ნებართვა, მოვიდნენ და ააშენეს ახალი გოლგოთა<sup>80</sup>.

## 108

ა დ გ ი ლ ი: ობილასი, დ რ ო: დაახლ. 1476 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: მკრტიჩი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: იადგარი. XV ს-ის კინაბატაკარანები, II, № 497, გვ. 396.

...[წიგნი დაიწერა] წმ. კათოლიკესა და სნეულებათა მკურნალის მოღვის წმ. გიორგის მფარველობით, თადეოსისა და ორტუმელიქის შვილის ტირატურ მღვდლის მოწადინებით, სასტიკ, უკეთურ დროში, როდესაც შევიწროვებული ვართ ურჯულოთა მძლავრობით, ჰასან ბეგის ხანობაში, რომელმაც დაატყვევა საქართველო და დაარბია ქალაქი ფაიტაკარანი, უფალ სარგისის მამამთავრობაში.

## 109

დ რ ო: 1477 წ., გა დ ა მ წ ე რ ე ბ ი. გრიგორი და ჰოვსეფი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სვინაქსარი. XV ს-ის კინაბატაკარანები, II, № 495, გვ. 392-393.

დიდება... რომელმაც შეგვაძლებინა სუსტ, უძლურ, მღვდლობის სახელის უღირს კაცს, გრიგორს და ჰოვსეფ ხუცესს ხელი მოგვეკიდნა და დაგვესრულებინა ეს [წიგნი], რომელიც ყოველდღიურად შეაცახცახებს მსმენელთა ძვლებს აქ შეკრებილ წმინდანთა სასტიკი ტანჯვისა და საკვირველი, სანიმუშო ცხოვრების მოთხრობით. იგი გულმხურვალედ მოიწადინეს ფრიად საქებმა და ღვთისმსახურმა თუმანშამ და ნიკარშა-ხათუნმა, რომლებმაც შეიძინეს ის თავიანთი თავისა და მათი მშობლების, მურადშას, ვასილ-ხათუნისა და ღიმათ-ხათუნის, შვილების, ავაგშას, პუტახის და მარტანშას კეთილმოსახსენებლად.

ჩვენ, უხმარმა, უვარგისმა, თითებაკანკალებულმა მწერლებმა ჰოვსეფმა და გრიგორმა ვიხილეთ [რა] ღვთისმსახური თუმანშას მოწადინება, თავს ვიდეთ [გადაწერა] და დავიწყეთ ჩვენი წელთაღრიცხვის „ჩიე“ (1476) წელს; ამ წელიწადს მოვიდა სისხლისმსმელი ბეგლარბეგი, [სპარსეთის] ტახტის უფალი, კაცსახა მხეცი, გულქვა, უწყალო ჰასანი, ძე ოთმან პარონისა; გაემართა დიდძალი

ჯარით საქართველოში, წყვილია და ბურუსმა მოგვიცვა ჩვენ ცოდვათა ჩვენთა გამო; „ლზრ“ (36000) დაატყვევეს<sup>1</sup>, არაფერს ვამბობთ სხვებზე, მოკლულებსა და ყელგამოღარულებზე. მან დიდი ვნება და ზარალი მიაყენა ქრისტიანებს, იქამდე [მიველით], რომ ვეუბნებოდით მთებსა და ბორცვებს, ჩამოგვექეცით თავზე და ჩაგვიტანეთ ჩვენ.\* მარტო ეს არ [იქმარეს მათ], არამედ მრავალი [ადამიანი] გარეკეს აღმოსავლეთსა და დასავლეთში, დააშორეს მამა ძესა და ასული დედას, ძმა—ძმასა და მიჯნურნი—მიჯნურთ. ყოველივე ეს დაგვატყდა თავს ჩვენი მოზღვავებული ცოდვების გამო. ამ წელიწადს დასრულდა ეს წიგნი, სომხური წელთაღრიცხვის „ჯიზ“ (1477) წელს. დასრულდა ეს საღვთო თხზულება///ქვეყანაში, წმ. თადეოს მოციქულის, წმ. იაკობ მამამთავრის, წმ. სარგის მხედართმთავრის და ძოწითმოსილი წმ. ღვთისმშობლის მფარველობით.

დიდ ტახტზე სრულიად სომეხთა კათალიკოსის უფალ ჰოპანისის მამამთავრობისას.

## 110

ა დ გ ი ლ ი: არცნჯუცის მონასტერი. დ რ ო: 1477 წ.. შ ე მ ა მ ქ ო -  
ბ ე ლ ი: სტეფანოსი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პი-  
მატაკარანები, II, № 499ბ, გვ. 398.

შეიმკო ეს წმ. სახარება სტეფანოს ეპისკოპოსის მიერ, არცნჯუ-  
ცის მონასტერში, სასტიკ, შფოთიან დროში, რამეთუ წავიდა ჰასან  
ბეგი და დაატყვევა საქართველო<sup>2</sup>, „ჯიზ“ (1477) წელი.

## 111

ა დ გ ი ლ ი: სოფელი ეგეპატი. დ რ ო: 1477 წ.. გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
მელქისეთი, სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიმატაკარანე-  
ბი, II, № 522, გვ. 415-416.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის ცხრაას  
ოცდაექვს (1477) წელს, უღირსი, ზერელე მწერლის, ხუცესის სახე-  
ლის უღირსი, სახელით და არა საქმით [ხუცესის] მელქისეთის მი-  
ერ, წმ. მაცხოვრის მფარველობით, ბასიანის გავარში, სოფელში,  
რომელსაც ჰქვია ეგეპატი, სასტიკ, უკეთურ დროში, როდესაც სა-  
მართლიანობა აღარ იყო, ყველგან უსამართლობა და უწესრიგობა

\* შდრ. ლუკა 23:30.

გაძლიერებულყო, ჩვენი მოზღვავებული ცოდვების გამო სადღა იპოვებოდა ქვეშაირტება ურჯულოთა მომრავლებისა და ქრისტიანთა შემცირებისას, [წიგნი დაიწერა] საქართველოში ბაგრატიის მეფობისას. ყორყორეს ათაბაგობისას<sup>93</sup>, ტაქიკთა ხანის, ოთმანის შვილიშვილის, უზუნ ჰასანის დროს.

სომხური წელთაღრიცხვის „კ“ და „იე“ (1476) წლის სექტემბერში შეიკრიბა ტაქიკთა ურიცხვი ლაშქარი და საღვთო ომით წავიდნენ საქართველოში, დაბანაკდნენ მდინარე მტკვრის პირას, ქალაქ ფაიტაკარანში, რომელსაც ამჟამად ჰქვია ტფილისი; მოედო მისი ჯარი ქართველთა ქვეყანას, მიაღწიეს აფხაზთა საზღვრებამდე, ავიდნენ კოვკასის მთის მწვერვალზე, ერთ ადგილზე შეკრიბეს დიდძალი ნადავლი და ტყვეები, ბევრი საშინელება ჩაიდინეს. რამეთუ „ლბრ“ (32000) სული დაატყვევეს და „ხყრ“ (48000) გაწყვიტეს. გავიგეთ და ვიხილეთ [რა] ყოველივე ეს, თავზარი დაგვეცა, რადგან ცოდვათა ჩემთა გამო მოწყალე ღმერთმა ქრისტიანთა ნათესავი სასტიკი მახვილისათვის გაიმეტა, ნება დართო სატანას აღეძრა ტაქიკთა უწყალო ნათესავის გული და აღესრულებინა მისი წადილი, უფალმა ღმერთმა იხსნას მთელი საქრისტიანო ურჯულოთაგან და სატანის განსაცდელისაგან, ამინ იყოს, იყოს.

ოი, ამ წმ. სახარების წმ. მკითხველნო, თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ ლოცვებში მოიხსენეთ აგრეთვე წიგნის მომგებელი გრიგორ ელიას ძე, რადგან დიდი წადილითა და გულმხურვალე სიყვარულით შეიძინა ეს წმ. სახარება ალაღმართალი მონაგებით თავად მის, მისი შვილების, მხითარის, პარაპეტის, ნორჩ ყრმათა აზიზბეის, ელიას, მუსესის, ძმის საჰაკის, ქრისტეს მიმართ მიცვალებული მშობლების, მამამისის ელიასა და დედამისის მართას მოსახსენებლად, აგრეთვე ყველა სხვა მისი სისხლით ახლობელი და მიცვალებულნი ქრისტეს მიმართ მოიხსენეთ...

ჰაეხელად წერისა და შეცდომებისათვის ბრალს ნუ დამდებთ, რადგან ჩვენ მეტი ვერ შევძელით.

თქვენს სიწმინდით გაცისკროვნებულ ლოცვებში მოგვიხსენეთ უხმარი მწერალი, ხუცესის სახელის უღირსი მეღქმისეთი, მამაჩემი სიმეონ მღვდელი, დედაჩემი ლაიათ-ხათუნი და ქრისტეს მიმართ გარდაცვლილი ჩემი სისხლით ყველა ახლობელი...

...აწ, დაიწერა ეს [სახარება] სომეხთა წელთაღრიცხვის „ჯიზ“-ს (1477), სასტიკ და უკეთურ დროში, რამეთუ ამ წელიწადს ოთმანის შვილიშვილი ჰასან ბეგი თავს დაესხა ქალაქ ფაიტაკარანს, რომელსაც ამჟამად ტფილისი ქვია; იშოვა ნადავლი და ტყვეები, სამინელი ხოცვა-ჟლეტა დაატეხა თავს ქვეყანას, ვის შეუძლია!!!

### 113

ა დ გ ი ლ ი: ჰოვანავანქის მონასტერი, დ რ ო: 1477 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: გაბრიელი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: კონდაკი. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 524, გვ. 417—418.

### ა

...დაიწერა [ეს წიგნი] უხმარი, უბრალო მწერლის, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ, ჩვენი წელთაღრიცხვის „ჯიზ“-ს (1477)...

### ბ

...ურიცხვი ცოდვებით გონებადახშული და მომაკვდავი მწერალი გაბრიელ ეპისკოპოსი, მომგებელი ხოჯა ჰანდიკი, მისი მეულღე და მათი შვილი, ყრმა ჰაკობი ქრისტეს წინაშე მოიხსენეთ.

„ჯიე“ (1476) წელი, საქართველოს დატყვევება, რომელიც ჰასან ბეგმა დაატყვევა.

### გ

ჰასან ბეგმა საქართველოში „ლბრ“ (32000) [სული] დაატყვევა, „[ჯ]იე“ (1476) წელი.

### 114

ა დ გ ი ლ ი: ანკიუნიაცის მონასტერი, დ რ ო: 1477 წ., გა დ ა მ წ ე რ ი: ზაქარია, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. „Արարատ“. 1911 թ. մարտ. გვ. 219—220; XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 525, გვ. 418—419.

...აწ, დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური ათვლის „ჯ“ და „იზ“ (1477) წელს, აშოტა-ძორში, ანკიუნიაცის მონასტერში, წმ. განმანათლებლის მფარველობით... ცოდვებით სავსე და უღირსი მწერლის ზაქარიას მიერ, ჰასან პარონის მეფობაში, რომელმაც გაძარცვა და დაატყვევა ტფილისის ქვეყანა, „კრ“ (60000) სული [წარწყმიდა]. „ლრ“ (30000) გაჟლიტა, „ლრ“ (30000) დაატყვევა. ათასჯერ ვაიმე...

დასრულდა ეს წმ. სახარება „ე“ (5) ივლისს...

ხელი მიწდება, წარმავალია,  
წიგნი კი რჩება მოსახსენებლად...

### 115

ა დ გ ი ლ ი: ქთიმის მონასტერი, დ რ ო: 1477 წ., მ ო მ გ ე ბ ე ლ ი:  
აღუქსიანოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანე-  
ბი, III, № 626ბ, გვ. 460.

ყოვლისმპყრობელი ღმერთის ნებით მე უფალმა აღუქსიანოსმა ვიციდე ეს წმ. სახარება ჩემი ალალ-მართალი მონაგებითა და შრომით... ამ წელიწადს მოხდა საქართველოს წარწყმედა, მას თავს დაესხა უზუნ ჰასანი, მთლიანად დაარბია და დაატყვევა; მამაკაცები: ხუცესნი, დიაკონნი, და ერისაგანნი გაწყვიტა, ქალები, გოგონები და ყმაწვილები ტყვედ წაასხა და გაფანტა [მთელ] ქვეყანაზე, ენას არ ძალუძს მწუხარებისა და გოდების მოთხრობა...

„ჯიზ“ (1477) წელი.

### 116

დ რ ო: 1478 წ., მ ო მ გ ე ბ ე ლ ი: ამირი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სვო-  
ნაქსარი. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 538, გვ. 425.

...[წიგნი შევიძინე] სომხური წელთაღრიცხვის „ჯიზ“-ს (1478), „იგ“ (28) არაცს (17/V). ამავე ხანებში შევიდა ჰასან პარონი საქართველოში და დაარბია იგი, მრავალი მახვილით წარწყმიდა, [ქვეყანა] გააჩანაგა, ორმოცი ათასი სული დაატყვევა. მათი განსაცდელის აღწერა ვის ძალუძს. ბევრი ეკლესია დაანგრის, ჯვარი და წიგნები, აგრეთვე ეკლესიის სამსახურებელი გაანადგურეს. თავად [უზუნ ჰასანი] უბოროტესი სიკვდილით მოკვდა, როგორც შეჩვენებულ იყრმათა მკვლელი იროდი...

### 117

ა დ გ ი ლ ი: არგლანის მონასტერი, დ რ ო: 1478 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ო:  
გრიგორ ბერკრეცი. ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: იადგარი. XV ს-ის ჰიმატაკარანები, II, № 539, გვ. 425—426.

დასრულდა... ეს იადგარი სომხური წელთაღრიცხვის „ჯ“ და „იგ“-ს (1478), ტარბერუნის ქვეყანაში, წმიდა და ღვთის სამკვიდ-

რო არგელანის მონასტერში, რომელიც არის ქალაქ ბერკრის პირ-  
დაპირ... ჰაენელად მწერლის გრიგორ ბერკრეცის მიერ... უფალ ჰო-  
ვჰანესისა და არქიეპისკოპოს უფალ სარგის ეზნკაცის მამამთავრო-  
ბისას. [სარგისმა] თვითონ დაიქვემდებარა საკათალიკოსო და სა-  
ოცრად იმარჯვა ჰასან ბეგის მიერ საქართველოდან [გარეკილი]  
ტყვეების განთავისუფლებაში<sup>84</sup>, რაც ამ წელს მოხდა...

### 118

ა დ გ ი ლ ი: არჯარეკის უდაბნო, დ რ ო: 1482 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
ვრთანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: ბაღარი. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III,  
№ 24, გვ. 28.

...[წიგნი დაიწერა] ვრთანეს მოწესის მიერ, ყრუდ წოდებული  
გრიგორის ნუსხიდან, არჯარეკის უდაბნოში, წმ. სარგისისა და ია-  
კობოსის ფეხთა წინაშე, ეჩმიადინში უფალ სარგისის მამამთავრობი-  
სას, ჩვენი ეპისკოპოსის უფალ მანუელის დროს, იაყუბ ბეგის ხა-  
ნობაში, საქართველოში კოსტანტის მეფობისას, არარატის ქვეყანა-  
ში, ჰაიოც-თარის მოწესის უფალ სარგისის მოწადინებით.

### 119

ა დ გ ი ლ ი: ოლთისის ციხე, დ რ ო: 1483 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: მელ-  
ქისეთი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სვინაქსარი. XV ს-ის ჰიმატაკარანები,  
III, № 37, გვ. 36—37.

...[წიგნი დასრულდა] სომხური წელთაღრიცხვის „ჯ“ და „ლბ“  
(1483) წელს, „ზ“ (6) მარტს...

აწ, დაიწერა ეს წმ. წიგნი გუგარქის გავარში, უხტიქად წოდე-  
ბულ ციხეში, წმ. კარაპეტის, წმ. პირველმოწამე სტეფანოსის, წმ.  
იაკობისა და სხვა მრავალრიცხოვან წმინდანთა მფარველობით, ჰა-  
სან ბეგის ძის აყუბაგის ხანობაში, საქართველოში ყოყორეს პა-  
რონობისას<sup>85</sup>, უფალ სარგისის კათალიკოსობაში, უწყინარი, უმწი-  
კლო, მეუღაბნოე ეპისკოპოსის, უფალ ჰუსიკის დროს...

### 120

ა დ გ ი ლ ი: ოლთისი, დ რ ო: 1483 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: მელქისეთი,  
ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III, № 38,  
გვ. 37.

...სომხური წელთაღრიცხვის ცხრაას და „ლბ“ (1483) წელს და-  
იწერა ეს წმ. სახარება უღირსი, უხეირო მწერლის, ხუტეცის სახე-



ლის უღირსი, სახელით და არა საქმით [ხუცესის], მელქისეთის მი-  
ერ, წმ. კარაბეტის მფარველობით, უხტიქად წოდებულ გუგარქის  
გავარში, სასტიკ და უკეთურ დროში... რომელ წელიწადშიც მოხ-  
და მიწისძვრა, განადგურდა ქალაქი ეზნკა „ი“ (20) სოფლითურთ,  
როგორც ადამიანები, ისე პირუტყვი. „ლრ“ (30000)-მდე ადამიანის  
[დანაკარგი] აღიწერა.

## 121

ა დ გ ი ლ ი: არქეში, დ რ ო: დაახლ. 1483 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: ჰო-  
ვანესი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: თენი. XV ს-ის პიმატაკარანები, III,  
№ 42, გვ. 39.

მწერალი—ხუცესი ჰოვანეს მანგასარენცი; [დაიწერა] ქალაქ  
არქეშში, წმ. გიორგი მხედართმთაერის კარზე, უფალ ალექსიანო-  
სის სარგებლობისათვის, რომელიც საქართველოდანაა, გრიგორ  
მღვდლის შვილი, ხონთქარ-ხათუნის თანამეცხედრე, ანდრეას ხუ-  
ცესის, მანანის, კოსტანტი მღვდლისა და გრიგორის მამა.

## 122

დ რ ო: 1484 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: სტეფანოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა:  
თენი. XV ს-ის პიმატაკარანები, III, № 57ა, გვ. 55.

...[წიგნი დასრულდა] სომხური წელთაღრიცხვის „ჯღგ“ (1484)  
წელს, წმ. ეჩმიადინის ტახტზე, რომელიც ვალარშაპატშია, უფალ  
სარგისის მამამთავრობისას... ქვეყნის ბურობისას მხნე და ძლევამო-  
სილი ქაბუჯის [ია] ყუბ ბეგისა, დიდი ჰასან ბეგის ძისა, რომელ-  
მაც მრავალი ქალაქი და ადგილი აიღო და დაარბია, წავიდა საქარ-  
თველოში, ჭარი გაიფანტა, მოედო ქვეყანას///შევიდა დიდ ქალაქ  
ტფილისში, მოსრეს ყველანი მახვილით, მოხუცი და ყრმანი, ეკ-  
ლესიაში დაკლეს ხუცესნი და დიაკონნი. ბუჩქნარებსა და ტყეში  
გაქცეულთ ეძებდნენ და იპოვიდნენ [რა], კლავდნენ, ვითარცა პი-  
რუტყვს, ბევრი დაატყვევეს///დაარბიეს და მრავალი საშინელება  
ჩაიღინეს///გააქციეს///<sup>96</sup>.

## 123

ა დ გ ი ლ ი: თბილისი, დ რ ო: 1485 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი: მკრტიჩი,  
ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: იადგარი. XV ს-ის პიმატაკარანები, III, № 639,  
გვ. 466—467.

...დაიწერა ეს საგალობელთა თხზულება, რომელსაც ჰქვია იადგარი, ფრიად ცოდვილი და უღირსი მწერლის, მკრტიჩ ხუცესის მიერ, სომხური ათვლის „ჯლდ“-ს (1485), დაიწერა წმ. საგალობლები ქალაქ ტფილისში, წმ. კათოლიკესა და სნეულებათა მკურნალის მოლნის წმ. გიორგის მფარველობით. აწ, ეს ღმრთივ-სულიერი საგალობლები მოიწადინა უფალმა ტირატურ მღვდელმა და გადააწერინა დიდი წარსაგებლით მისი, უბიწო პიროვნების, სარგებლობისათვის, თავისი თავის, მისი მშობლების, მამამისის თადეოსის, დედამისის ორტუ-მელიქის, მეუღლის ასანთენის, მისი ქაბუკი შვილების, ასტეაწატურის, ზეკელისა და დანიელის, აგრეთვე სხვა ვაჟების, მირიჯანისა და უსეფის, მისი ღვიძლი ძმების მოსახსენებლად. აწ დასრულდა ამ სადღესასწაულო, ოქროკაზმული, ზეშთაგონებული წიგნის წერა სომხური წელთაღრიცხვის „ჯლდ“ (1485) წელს, სასტიკ, შფოთიან ხანაში, როდესაც შევიწროებული ვართ ურჯულოთა მძლავრობით, ჰასან ბეგის ხანობაში<sup>7</sup>, რომელმაც დაატყვევა საქართველო და ააოხრა ქალაქი ფაიტაკარანი.//წმ. ეჩმიაძინის სამოციქულო ტახტზე, რომელიც ვალარშაპატშია, უფალ სარგისის მამამთავრობისას, სამგზის სანატრელი ტირატურ მღვდლის მოწადინებითა და წარსაგებლით, რის გამოც პირქვედაზობილი გვედრებით ყველას, ვინც განათლდებით ამ [წიგნით], დაისწავლით ან გადაწერთ, ქრისტეს წინაშე მოიხსენეთ ამ წიგნის აღნიშნული მომგებელი ტირატურ მღვდელი, მშობლებსა და სისხლით ყველა ახლობლებთან ერთად... გულის სიღრმიდან ნათქვამით: უფალო ღმერთო შეიწყალე ისინი და განწმინდე ხელნაწერი მათი ცოდვებისაგან, ამინ.

შ ე მ ა მ კ ო ბ ე ლ ი: სტეფანოს არცნჯეცი.

მოიხატა ეს იადგარი ეპისკოპოს სტეფანოს არცნჯეცის მიერ, ტირატურ დეკანოზის მოწადინებით. ღმერთმა ასარგებლოს მას და მის შვილებს, ამინ; „ჯლზ“ (1487) წელს შეიმკო.

უღირსი მხატვარი სტეფანოს ეპისკოპოსი მოიხსენეთ ქრისტეს წინაშე და ღმერთი თქვენ მოგიხსენებთ, ამინ.

შეიმკო ეს იადგარი ტირატურ ხუცესის მოწადინებით, მოიხსენ-

ნეთ [ივი] ქრისტეს წინაშე ერთი „[ლმერთო] შეიწყალეთი“ და  
ღმერთი თქვენ მოგიხსენებთ, ამინ.

## 124

აღვიღო: სოფელი არევისი, დრო: დაახლ. 1488 წ., სახელწოდება: სახარება. XV ს-ის პიშატაქარანები, III, № 166, გვ. 97.

დაიწერა ეს წმ. სახარება სიუნიქის გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია არევისი, წმ. გრიგორის ფეხთა წინაშე, ჰოვნათან მოძღვრის წინამძღვრობისას, ფრიად ცოდვილი მწერლის მიერ; [მოიხსენეთ] ჩემი ძმა ევატი, მისი მეუღლე ანა, რომელმაც დიდი ამაგი დაგვდო, გემრიელი საკმელებით გვკვებავდა. [წიგნი დაიწერა] სასტიკ და უკეთურ ხანაში, იაყუბ ბეგის ხანობაში, რომელიც წავიდა და ააოხრა ტფილისის ქვეყანა, ეკლესია, ჭვარი და ყველაფერი გაანადგურა, მრავალი ქრისტიანი დაატყვევა<sup>93</sup>.

## 125

აღვიღო: თბილისი, დრო: 1488 წ., გადაწერილი: მკრტიჩი, სახელწოდება: სახარება. „Էջմիստին“, 1960 წ., № 9, გვ. 63; XV ს-ის პიშატაქარანები, III, № 146, გვ. 120.

## ბ

...[წიგნი მოიწადინა] ღვთისმოყვარე, უბიწო და უწყინარმა ღაზარ მღვდელმა, რომელმაც დიდი მონდომებითა და სურვილით გადაწერინა ეს წმ. სახარება თავად მისი, მისი მშობლების, მამამისის სქანდარის, დედამისის ბეგი-ხათუნის, მეუღლის გულუმის, ძმების კანდარის, მარტიროსის, თადეოსის, სტეფანოსის, ჯაფარის, სპანდიარ-ს, ხაჩატურის, მისი ვაჟის, ლუკასის, მისი ქალების, თანგეკის, ნაზინის, აზიზის, დების, დედა-ხათუნისა და მართა-ხათუნის, აგრეთვე ყველა სხვა სისხლით ახლობლის სარგებლობისათვის.

აწ, დაიწერა ეს წმ. სახარება სასჯელის თანამდებები და უღირსი მწერლის, მღვდლის სახელის უღირსი მკრტიჩის მიერ, „ჯლმ“ (1488) წელს, დედაქალაქ ტფილისში, მოწყალე წმ. ღვთისმშობლისა და გიორგი მხედართმთავრის მფარველობით, სასტიკ და შფოთიან ხანაში.

აწ, გვედრებით ყველას, ვინც წაიკითხოთ ან გადაწეროთ [ეს წიგნი], მოიხსენეთ მისი ზემოაღნიშნული მომგებელი, უფალი ღაზარი///და ყველა მისიანი, მათთან ერთად მისი სულიერი ძმა, უში-

ში მოძღვარი აბრაჰამი, ამ [წიგნის] მკაზმავი და მხატვარი, სხვა სულიერი ძმებიც, უფალი ვარდანი, უფალი ჰოვჰანესი, უფალი ესაია დეკანოზი და ბარსელი.

ვინც კეთილად და უბიწო სარწმუნოებით მოიხსენებთ, მოხსენებულ იყოს ჩვენი ღმერთის ქრისტესაგან, რომელიც კურთხეულ არს სამარადისოდ, ამინ.

## ბ

მხატვარი: აბრაჰამი.

ამ წმ. სახარების მომგებელი ღაზარ მღვდელი, [აგრეთვე] აბრაჰამ მხატვარი მოიხსენე; „ჯლმ“ (1488) წელი.

## 126

ადგილი: სოფელი კრცნკანი, დრო: 1489 წ., გადამწერი: სარკაეავი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის პიმატაკარანები, III, № 647, გვ. 470.

...[წიგნი დაიწერა] სომხური წელთაღრიცხვის „ჯლმ“-ს (1489), სომხებზე უფალ სარგისისა და ჰოვჰანესის ზედამდგომლობისას, გრიგორ მოძღვრის წინამძღვრობისას, პარონ დავითის მთავრობისას, რომელიც იყო ჰამშენის უფალი, იგი სამშობლოდან გააძევა ჩითახის ნათესავემ<sup>99</sup> და დამკვიდრდა სპერის ქვეყანაში; მათ (ჩითახთა) მიერ მრავალი ქრისტიანი მთავარი და მეფე განიდევნა უცხოეთში, მათი მახვილი ღმერთმა დაღწეოს თავისი ყოვლად ძლიერი მარჯვენით, ამინ.

მე ცოდვილმა და უგუნურმა მწერალმა დავწერე ეს [წიგნი] ჩვენი მსხემობის დროს სპერის ქვეყანაში, სოფელ კრცნკანში, წმ. დავითის მფარველობით, ტაქიკებზე დატან მთავრობისას, იაყუბის სულთნობისას, რომელიც მბრძანებლობდა აღმოსავლეთის სახლს...

## 127

ადგილი: ქალაქი ოლოთისი, დრო: 1490 წ., გადამწერი: მელქისეთი, სახელწოდება: სახარება. XV ს-ის პიმატაკარანები, III, № 209, გვ. 160.

...[წიგნი მოიწადინა] ღვთისმოყვარე მღვდელმა სარგისმა და გადააწერინა ის თავად მის და სისხლით ყველა ახლობლის მოსახ-

სენებლად: უკანასკნელ ხანებში, სომხური წელთაღრიცხვის „ჯლო“-ს (1490), ტაოთა გავარში<sup>100</sup>, ქალაქ უსტიქში, წმ. კარაპეტისა და სხვა წმინდანთა კარზე...

## 128

აღგილი: სოფელი დსელი, დრო: 1491 წ., მომგებელი: ჰოვანესი, სახელწოდება: სახარება. XVს-ის ჰიმატაკარანები, III, № 217, გვ. 165.

ლეთის შეწვნით დაიწყო და მისივე წყალობით დასრულდა ეს წმ. და ლთივეტყველი სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჯ“ და „ხ“ (1491) წელს, მწუხარების, შფოთიან ხანაში, როდესაც მოკვდა ჰასან ბეგის ძე [ი]აყუბ ბეგი. მის შემდეგ ტაქიკთა შორის შფოთი და არეულობა მოხდა, ისინი დაუძღურდნენ და დაეცნენ. აღდგა ქრისტიანთა ნათესავი და მეფე კოსტანტინე, გაუდგნენ გზას და მივიდნენ გელარქუნამდე და შირაკვანამდე; მაჰმადიანებთან ერთად გაძარცვეს და გააჩანაგეს ქრისტიანებიც, [ნადავლი] წაიღეს საქართველოში, მეფემ აიღო ლორეს ციხე და მბრძანებლობს ამ ქვეყანაზე<sup>101</sup>, ხოლო ქვეყანამ ურჯულოთა შიშით მიაშურა ციხეებსა და ჯეგებს, რამეთუ მეტად შეშინებული არიან.

აწ, ასეთ დროში, მე ჰოვანეს ქრისტოსატურის ძემ, რადგან არ მყავდა ძეხორციელი და მომხსენებელი, არც ვაყიშვილი, არც ქალიშვილი, ვიყიდე ეს წმ. სახარება ჩემი ალალ-მართალი მონაგები-თა და შრომით, იგი გავხადე ჩემი სულის, ჩემი მშობლების... მოსახსენებლად.

...[სახარება] ვიყიდე და შევწირე წმ. გრიგორის კარს სოფელ დსელში...

## 129

აღგილი: გუგარის გავარი, დრო: 1491 წ., გადამწერი: ბელქიხეთი, სახელწოდება: სახარება. წ. Մրուսնմուხანց. Քրիստոս Աղբար. 4. Պոլիս. 1879 გვ. 119—121. XVს-ის ჰიმატაკარანები, III, № 218, გვ. 166.

...აწ, ეს უკდავი სასმელი და იშვიათი მარგალიტი მოიწადინა ეფრიანოსმა და გადააწერინა ის უკანასკნელ ხანებში, სომხური წელთაღრიცხვის „ჯხ“-ს (1491), გუგარის გავარში, ამ მონასტრის წმ. კარაპეტისა და სხვა მრავალრიცხოვან წმ. ნიშთა მფარველობით: იმ წელიწადს, როდესაც მოკვდა იაყუბ ხანი, სხვებიც ერთმა-

ნეთს დაერივნენ და აღარავენ დარჩა ბაინდურის გვარისაგან. ქართ-  
თველთა პარონი ყორყორე „ლრ“ (30000) კაცით თავს დაესხა ქალაქ  
არზრუმს, დაარბია ქვეყანა და ქალაქი მოხარკედ აქცია. ეს მოხდა  
საქართველოში კოსტანტინეს მეფობისას, სომეხთა კათალიკოსის  
უფალ სარგისისა და ჩვენი ეპისკოპოსის უფალ ჰუსიკის დროს...

### 130

ა დ გ ი ლ ი: ახალციხე, დ რ ო: 1493 წ., ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: თვე-  
ნი. XV ს-ის პიშტატკარანები, III, № 254, გვ. 192.

„ჯხბ“ (1493) წელს [ეს წიგნი] მოიტანეს ქალაქ ახალციხეში,  
ქრისტე ღმერთმა აკურთხოს თავაგალი, რომელმაც უმალ გამოიხსნა  
[ის] დამტყვევებელთაგან. ღმერთმა თვითონ ის იხსნას ჯოჯო-  
ხეთისაგან, ამინ. [წიგნი] გაუუზაუნეთ წმ. ეჩმიადინის ტახტს.

### 131

ა დ გ ი ლ ი: ჰორომაირის მონასტერი, დ რ ო: 1494 წ., გ ა დ ა მ წ ე რ ი:  
გალუსტი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის პიშტატკარანები,  
III, № 270: გვ. 201.

...დაიწერა ეს სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჯხგ“-ს  
(1494), ჰორომაირის წმ. ნიშის კარზე, უფალ არისტაკეს ეპისკოპო-  
სის წინამძღვრობისას, ლორეში პარონ ღდრის<sup>102</sup> პარონობისას, ამ  
ქვეყანაში პარონ დავითისა და მისი ძმისწულის პარონ ამირჯანის  
დივანობისას<sup>103</sup>///.

### 132

ა დ გ ი ლ ი: ჰალბატის მონასტერი, დ რ ო: 1498 წ., გ ა დ ა მ წ ე რ  
ი: ფილიპოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: ეამისწირვა, XV ს-ის პიშტატკა-  
რანები, III, № 352, გვ. 261—262.

ოი, წმიდაო მამამთავარო, წმ. სარგის მხედართმთავრის სეხ-  
ნაევ, უბიწო ეპისკოპოსნო, უმწიკვლო მღვდელნო და დიაკონნო,  
ცხოვნების ღირსნო წიგნის-მკითხველნო და სამწყსოვ, პირქვე დამ-  
ხობილი გვედრებით წმ. ეჩმიადინის ტახტის დამხვდურ ძმათ,  
თქვენს წმ. ლოცვებში მოიხსენეთ უბადრუკი ფილიპოს ეპისკოპო-  
სი, ამ თხზულებისთვის მცირედ გარჯილი და თვით მოწყალე ღმერ-  
თი ერთად შეგვიწყალებს თქვენ და ჩვენ თავისი საშინელი სამსჯავ-  
როს დღეს, ამინ, ამინ. [წიგნი] დაიწერა სრულიად სომეხთა კათა-

ლიკოსის უფალ სარგისის ფეხთა წინაშე, ჰალბატის წმ. მონასტერში, რომელსაც მოვამუშრეთ ურჯულოთაგან ლტოლვილებმა, დროის სისასტიკისა და მძიმე ხარკის მოთხოვნის გამო; „ჯნმ“ (1498) წელი<sup>104</sup>.

### 133

ა დ გ ი ლ ი: მოლნის მონასტერი, დ რ ო: 1498 წ., გა და მ წ ე რ ი: ა ზ ა რ ი ა, სახელწოდება: სა ხ ა რ ე ბ ა. XV ს-ის ჰიშატაკარანები, III, № 360, გვ. 268—269.

...დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური წელთაღრიცხვის „ჯნმ“-ს (1498), წმ. სახელგანთქმულ მონასტერში, რომელსაც ჰქვია მოლნის სავანე, მოწყალე წმ. ლეთისმშობლის, წმ. გიორგი მხედართმთავრისა და აქ შეკრებილ სხვა წმინდანთა მფარველობით...

[წიგნი] დაიწერა პარონ ყორყორას პარონობის ეამს, რომელიც ამ წელს გარდაიცვალა ქრისტეს მიმართ, უფალმა ღმერთმა იგი წმინდანთა თანამოდასე და თანაგვირგვინოსანი ჰყოს; [დაიწერა] იმის მხნედ მეომარი ვაჟების, პარონ ქაიხოსროვისა///და მირზა ჰაბუჯის [დროს]<sup>105</sup>, ჩვენს, ახალციხის ეპარქიაში უფალ სრაპიონის მამამთავრობისას, რომელიც უფალმა ღმერთმა მტკიცედ დაიცვას თავისი კვერთხით, ამინ.

ამასთანავე მომიხსენეთ მეც, მრავალცოდვილი მწერალი აზარია, ბერობის სახელის უღირსი, აგრეთვე ჩემი მშობლები, მელქისეთ მღვდელი და დედაჩემი მართა-ზათუნის, ჩემი ჰაბუჯი ძმა, წიგნის-მკითხველი შინასი, ბებიაჩემი სადრჯაჰანი.

გვედრებით, ბრალს ნუ დამდებთ ჰაველად წერისა და შეცდომებისათვის, რადგან ეს ჯერ პირველი [წიგნი] იყო, სხვა არ დამიწერია. ვინც ჩვენ მოგვიხსენებს უფლის წინაშე, თავად მოხსენებულ იყოს ჩვენი ღმერთის ქრისტესაგან, რომელიც კურთხეულ არს სამარადისოდ, ამინ.

ღმერთო შეიწყალე მაჰდასი სარგისი, რომელიც ქალაღლის გულესვასა და მელნის მომზადებაში გვშველოდა.

### 134

დ რ ო: 1498 წ., სა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სა ხ ა რ ე ბ ა. XV ს-ის ჰიშატაკარანები, III, № 361, გვ. 269.

გვედრებით უფლის წინაშე მოიხსენოთ მწერალი, უღირსი აზარია ბერი. „ჯნმ“ (1498) წელს, კვირა დღეს ღმერთის მიმართ

გარდაიცვალა პარონი ყორყორა, რომელიც ღმერთმა წმინდანთა თანამოდასე და თანაგვირგვინოსანი ჰყოს, ამინ.

### 135

ა დ გ ი ლ ი: ახალციხე, დ რ ო: 1499 წ., მ ო მ გ ე ბ ე ლ ი: მურადი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III, № 374, გვ. 280.

სომხური ათელის „ჯხე“-ს (1499), ყორყორემ რომ გაძარცვა არარატის გავარი და ეს წმ. სახარება მოიტანეს ქალაქ ახალციხეში, მონათა მონამ მურადმა ვიყიდე იგი იმ უღირსთაგან.

### 136

ა დ გ ი ლ ი: ჰალბატის მონასტერი. დ რ ო: 1499 წ. გადამწერი: მკრტიჩი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III, № 375, გვ. 280.

...დასრულდა ეს [წიგნი] სომხური წელთაღრიცხვის „ჯხე“-ს (1499), ჰალბატის დიდ მონასტერში, წმ. კათოლიკეს მფარველობით... უფალ სარგისის მამამთავრობისას, რომელიც ამ წელს ურჯულთა ხარკისაგან [შეწუხებული] მოვიდა ჰალბატში...

### 137

ა დ გ ი ლ ი: ჰალეთის მონასტერი, დ რ ო: 1499 წ., გადამწერი: სტეფანოსი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. M. წაყჩი: იყარხანგე, M. ილიანსი: სერქი: ს ირანსი: მჩქქი. 1893. გვ. 257. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III, № 376, გვ. 281.

უფალმა არაქელმა, ალვანთა კათალიკოსმა... გადამწერინა ეს სახარება თავისი ალაღ-მართალი მონაგებთ, მისი და მისი მშობლების სულის მოსახსენებლად...

აწ, დაიწერა ეს სახარება მდებალი სტეფანოს ეპისკოპოსის მიერ, ჰალეთის ტახტზე, ალვანთა ქვეყანაში... სომხური წელთაღრიცხვის „ჯხე“-ს (1499)...

### 138

ა დ გ ი ლ ი: სოფელი კაწიქი, დ რ ო: 1499 წ., გადამწერი: ვანაკანი, ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა: სახარება. XV ს-ის ჰიმატაკარანები, III, № 378, გვ. 282.



...აწ, დაიწერა ეს წმ. სახარება სასჯელის თანამდები და უხმარი მწერლის, ბერის სახელის უღირსი ვანაკანის მიერ, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ვარ მოწესე და არა საქმით, გელამის ქვეყანაში, სოფელში, რომელსაც ჰქვია კაწიქი, წმ. ღვთისმშობლისა და აქ შეკრებილ სხვა წმინდანთა მფარველობით, ნეტარი მოძღვართმოძღვრის აბრაჰამის ფეხთა წინაშე, სომხური წელთაღრიცხვის „ჯხვ“-ს (1499), უფალ სარგისის მამამთავრობისას, იაყუბ ბეგის ძის ალვანდის მიერ ქვეყნის პყრობისას, საქართველოში კოსტანტილეს მეფობისას...

## შენიშვნები და კომენტარები

1. ფიქრობენ, რომ მას შემდეგ, რაც XIII ს-ის მიწურულს ყაზან ხანსა და ლიხთ-ამერის მეფეს, დავით VIII-ს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, დავითს ხელისუფლება მხოლოდ ქვეყნის ჩრდილო ნაწილზე, მთიანეთზე ვრცელდებოდა<sup>1</sup>. დავით VIII-ის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში, მალე კიდევ ორი მეფე გაჩნდა, გიორგი V—ე. წ. „თბილისის მეფე“ და ვახტანგ III, თუმცა, როგორც ეტყობა, ვახტანგ III-ის გამეფებამ გიორგი V-ის შეფობას „ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, თბილისში გადაწერილი სომხური სახარების ჰიშატაკარანში, ხელნაწერის გადამწერი ხაჩატურ დიაკონი 1304 წ. აგვისტოში ქართველთა მეფედ მხოლოდ და მხოლოდ დავითს ასახელებს. გამორიცხულია, რომ თბილისში მოღვაწე ხაჩატურს ასეთ მარტივ საკითხში შეეძლოა მოსვლოდა, ირანის შესახებ მისეული მსგავსი ცნობა ხომ ზუსტია: მან იცის, რომ 1304 წ. 9 აგვისტოსათვის ირანის მბრძანებელია არლუნის ძე და ყაზანის ძმა ოლჯეთუ,<sup>3</sup> რომელსაც იხსენიებს ბავშვობაში შერქმეული სახელით — ხარბანდა.

აღსანიშნავია, რომ ხაჩატურ დიაკონის ცნობა მთლად განმარტოებით როდი დგას: 1305 წელს ლიხთ-ამერის, კერძოდ, თბილი-

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 392.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>3</sup> ყაზან-ხანი გარდაიცვალა 1304 წ. 17 მაისს, ოლჯეთუმ ტახტი დაიჭირა იმავე წლის 19 ივლისს (B. Spuler, Die Mongolen in Iran, Berlin, 1955, გვ. 105). ცოტა არ იყოს, საკვირველი ჩანს, 9 აგვისტოსათვის როგორ მოასწრო ამის გაგება ხაჩატურმა, მაგრამ, ჯერ ერთი, ჰიშატაკარანში თვის რიცხვი დასახელებული ძველი სტილით, მეორეც, ხელნაწერის გადამწერი ხარბანდას იხსენიებს არა როგორც ხანს, არამედ როგორც ქვეყნის მპყრობელს; შესაძლოა, ეს გამოწვეულ იყოს იმით, რომ ყაზან-ხანის გარდაცვალების შემდეგ ოლჯეთუ ქვეყანას კი განაგებდა, მაგრამ ტახტზე აქედან ორი თვის გასვლისას აიყვანეს.

სის მეფედ დავითია დასახელებული ერთ არაბულ ცნობაში<sup>4</sup>. ამის გამო ისმება კითხვა: იქნებ მართალიც იყოს ბატონიშვილი ვახუშტი, როდესაც აღნიშნავს, რომ ვახტანგ III-მ სამი წელი იმეფა და მამასადამე იგი 1304 წლიდან მეფე არ უნდა ყოფილიყო, რადგან იმავე ვახუშტის თანახმად, ვახტანგს 1301 წელს „დაუმტკიცეს მეფობა“<sup>5</sup>. მაგრამ ვახუშტის თხზულებაში, ალბათ, უამთააღმწერლის კვალდაკვალ, ვახტანგ III ერთხანს მეფე ჩანს 1304 წ. შექმდეგაც და ეს წინააღმდეგობა აბრკოლებს მის ცნობაზე დამყარებას.

თუ რატომ იხსენიებს 1304 წ. ხაჩატურ დიაკონი მეფედ დავითს და არა ვახტანგს, ამის შესახებ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან დავით VIII-სა და მონღოლებს შორის გარკვეული შეთანხმებები ხდებოდა, იქნებ ერთ-ერთმა, თუნდაც დროებითმა, შეთანხმებამ გამოიწვია დავითის მეფედ მოხსენიება თბილისში დაწერილ ჰიშატაკარანში.

ეტყობა, უფრო უპრობანი ჩანს მაინც ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის საქართველოში ილხანთა ხელისუფლება მტკიცე არ უნდა ყოფილიყო<sup>6</sup>. ვახტანგ III-ს, რომელსაც გასამეფებლად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად მონღოლთა სამხედრო ძალის დახმარება სჭირდებოდა და რომელიც უმეტესწილად საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა ილხანთა გაუთავებელ ლაშქრობებში მონაწილეობის გამო, ჩვენში, კერძოდ, თბილისში, ყველა არ თვლიდა კანონიერ მეფედ. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ყაზან ხანის გარდაცვალებისთანავე დავით VIII გააქტიურდა თავისი უფლებების დასაბრუნებლად და შესაძლოა, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

2. როდესაც ილხანთა კარზე იწყო გავრცელება და თანდათან ფეხი მოიკიდა ისლამმა, დროდადრო ქრისტიანებსა და ებრაელებს ავიწროებდნენ. ასე მაგ., ყაზან ხანმა (1295—1304), რომლის დროსაც ისლამმა საბოლოოდ გაიმარჯვა ილხანთა კარზე, ტახტზე ასვლისთანავე ქრისტიანებსა და ებრაელებს განუაზღვა სულადი გადა-

<sup>4</sup> ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 97—98.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 248.

<sup>6</sup> Фазлуллах Рашид-ад-дин, Джамии ат-таварих (Сборник летописей), т. III, Баку, 1957, гв. 280. Д. Т. Капанадзе, Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным, СА, М., 1964, № 2, гв. 70.

სახადი, თუმცა ქრისტიანებს ჯერ შეუმცირეს და მალე სულ მოუხსნეს იგი. 1306 წ. ოლჯითუმ (1304—1316), რომელიც გამაჰმადიანების შემდეგ მოჰამედ ხოდაბენდედ იწოდა, ქრისტიანებისთვის კვლავ ძველი მოცულობით აღადგინა აღნიშნული გადასახადი<sup>7</sup>. გარდა ამისა, როგორც ჩვენს ჰიშატაკარანსა და სხვა წყაროებშიც არის ნათქვამი, მას თითქოს განუზრახავს ქრისტიანების, კერძოდ, ქართვლებისა და სომხების მაჰმადიანობაზე მოქცევა და ამასთანავე, მუსლიმთაგან გასარჩევად, ქრისტიანებს უნდა ეტარებინათ შეურაცხყოფელი ნიშნები<sup>8</sup>.

საზოგადოდ, ჰიშატაკარანების ავტორები, ისევე როგორც სხვა ქრისტიანი, სასულიერო მწერლები მაჰმადიანთა მიერ ქრისტიანების სარწმუნოებრივი დევნის სურათს მეტისმეტად ამუქებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროისათვის ილხანთა ხელისუფლება საქართველოში მტკიცე არ უნდა ყოფილიყო და ამდენად, მოჰამედ ხოდაბენდეს დროს ქრისტიანებს თუ მართლა ავიწროებდნენ ჩვენში, დევნა არ უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი და ისე სასტიკი, როგორც ამის შესახებ წყაროები, კერძოდ, ჩვენი ჰიშატაკარანი გვაუწყებს.

3. როგორც ცნობილია, XII საუკუნესა და XIII ს-ის დამდეგს საქართველოს ერთიანმა სახელმწიფომ შეძლო ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილიდან განედევნა მაჰმადიანი დამპყრობლები და სომხური პროვინციები საქართველოსათვის შეერთებინა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ პროვინციებში, მათ შორის აირარატში, კერძოდ, ამბერდში დამკვიდრებულიყვნენ ქართველი მოხელეები. არ არის გამორიცხული სომხეთში ქართველთა ახალშენების გაჩენაც თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებები დასახეს სომეხთა ქალკედონიანობაზე, „ქართულ რჯულზე“ მოსაქცევად. მიუხედავად ამისა, გადაქრით ვერ ვიტყვი, რომ ჰიშატაკარანში მოხსენიებულთ

<sup>7</sup> В. Срулер, დასახ. ნაშრომი, გვ. 219—222; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, Н. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, гв. 199—200, 206.

<sup>8</sup> უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 320—322; XIV ს-ის ჰიშატაკარანები, № 62, გვ. 47; Մանր ժամանակագրություններ. կազմեց Վ. Հակոբյան II ს. 1956 გვ 38; Մ. Չամչյան. Պատմութիւն Հայոց III. Վենետիկ. 1786 გვ 299; Colophons of armenian Manuscripts, 1301—1480, გვ. 52—53.

ჯაჭური წარმომავლობით ქართველია, თუმცა იგი ტომით, ეროვნებით ქართველად („აზგავ ვრაცი“) კი იწოდება. საქმე ისაა, რომ სახელი ჯაჭურ ქართულ წყაროებში არ ჩანს, მაშინ როდესაც სომხურში იგი ხშირია<sup>9</sup>. ნაკლებ საეარაუდოა, რომ აირარატის მხარეში არც თუ ისე დიდა ხანია დამკვიდრებულ ქართველ მთავარს ამნაირი სახელი ერქვას, მით უმეტეს, რომ ამჟამად, ჯაჭური ქალკედონიანია და არა მონოფიზიტი; სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ხაზგასმით აღნიშვნა იმისა, რომ ჯაჭური თუმცაღა ქართველია, მაგრამ ყველა ეკლესიის მიმართ კეთილმოსურნე.

XII—XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფოს ფარგლებში მცხოვრები მრავალი მონოფიზიტი მოიქცა ქალკედონიანობაზე, „ქართულ რჯულზე“. ქართული ეკლესია ღრმად შეიჭრა სომხეთში, სადაც გაჩნდა არაერთი ქალკედონური მონასტერი ქართული წარწერებით და ქართული საეპისკოპოსოებიც კი შეიქმნა. აღრინდელი ვითარების შესახებ პირადად ჩვენ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ უეჭველია, რომ XIII ს-ის დამდეგიდან მონოფიზიტი სომხები ქალკედონიანობაზე მოქცეულ თანამემამულეებს „ქართველებს“ ეძახიან<sup>10</sup>. მონოფიზიტ სომეხთა გარემოში მცხოვრები ახლად „გაქართველებული“ საერო პირები მაინც თანამემამულეებთან მჭიდროდ იქნებოდნენ დაკავშირებული, მით უმეტეს მონოლოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს სამეფოს შედარებით დასუსტების პირობებში.

ვფიქრობთ, უფრო მოსალოდნელია, რომ ჩვენს ჰიშატაკარანში მოხსენიებული ჯაჭურის ერთ-ერთი წინაპარი „ქართულ რჯულზე“, ქალკედონიანობაზე მოქცეული სომეხი იყოს.

4. როგორც ვხედავთ, ტაოში, სოფელ შიკბაკში გადაწერილი სომხური სახარების ჰიშატაკარანში გადამწერი ჰოვანესი იხსენიებს კილიკიის სომხური სამეფოს მეფეს, სომეხთა კათალიკოსს, ტაოს მფლობელს, მაშინ როდესაც არც საქართველოს მეფეს და არც სამცხის მთავარს იგი არ ახსენებს. ჩვენ არ გვეგულება ისეთი მაგალითი, როდესაც საქართველოში მოღვაწე სომეხი გადამწერი ჰიშატაკარანში იხსენიებდეს კილიკიის სომხური სამეფოს მეფეს, ხოლო საქართველოს მეფეს—არა. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებ-

<sup>9</sup> ზ. მანუკიანი, ლაიფე ანბნანონენსიქი წარაყრან, IV. 1948. გვ. 295—296

<sup>10</sup> იხ. მაგ., კიჩრაკიანი ზონბაკხეჩი, ლაიფე აყაომიქიონი, ხ., 1961, გვ. 176—177, 224.

დეს, რომ ტაოს ერისთავი 1313 წლისათვის ფაქტიურად დამოუკიდებელია როგორც საქართველოს მეფისაგან, ისე სამცხის მთავრისაგან. XIV ს-ის დამდეგისათვის სამცხის მთავრისაგან ტაოს ერისთავის დამოუკიდებლობის შესახებ სხვა მითითებაც მოიპოვება: მიზეზი იმისა, რომ ჟამთააღმწერელთან დაწვრილებით ჩამოთვლილ ჯაყელთა სამფლობელოებს ხაზგასმით მიეკუთვნება „უმრავლესი ტაო“ და არა „ტაონი“, უნდა იყოს ტაოს ერისთავი, რომელიც ჯაყელთა სურვილის წინააღმდეგ, თავისი სამფლობელოს ერთ ნაწილს მაინც ინარჩუნებდა. ამ დროისათვის ტაოს ერისთავს ჯერ არ დაუქარგავს დამოუკიდებლობა, იგი არაა ჯაყელის „ქუეშე დაწესებულთა“ შორის<sup>11</sup>.

თუ შესაძლებელი გახდა პიშატაკარანში დასახელებული სოფელ შიკბაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ამან, შესაძლოა, საგულისხმო ცნობა შეგვძინოს ტაოს ერისთავთა—ფანასკერტელთა „ქვეყნის“ ერთ-ერთი საზღვრის მიახლოებით მაინც წარმოდგენაში.

პიშატაკარანის თაყა იგივე პირი ჩანს, რომელიც იხსენიება ჟამთააღმწერელთან, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIII ს-ის დამლევეს<sup>12</sup> აზატ-მოსეს მეთაურობით შემოჭრილ მცირე აზიელ თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი<sup>13</sup>, აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში, რომელიც XIV ს-ის პირველი მეოთხედის ფარგლებშია დაღებული: საქმე ის არის, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში ტაოს მხოლოდ ორი ერისთავი ჩანს, თაყა და ამირლამბარ ფანასკერტელები<sup>14</sup>. ფიქრობენ, რომ თაყას მეუღლე იყო დიმიტრი თავდადებულის (1271—1289) ასული რუსუდანი და რადგან ვაჩეძორის მონასტრის ეკვდერის 1306 წლის, ჩვენამდე დაზიანებული სახით მოღწეულ სააღმშენებლო წარწერაში იხსენიება რუსუდანი, ხოლო თაყა არა<sup>15</sup>, ამ დროისათვის თაყა გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო<sup>16</sup>.

<sup>11</sup> დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 103.

<sup>12</sup> მ. შ ა დ ლ რ ი, ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ ჟამთააღმწერლის თხზულებაში, „ქვეანმარდი“, I, თბ., 1976, გვ. 38.

<sup>13</sup> ჭართლის ცხოვრება, II, გვ. 311.

<sup>14</sup> ე. მ ე ტ რ ე ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 150.

<sup>15</sup> იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 58.

<sup>16</sup> ე. მ ე ტ რ ე ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

როგორც ვხედავთ, 1313 წლის ჰიშატაკარანის მიხედვით, თაყა ამ წელსაც ცოცხალია და იგი ტაოს ერისთავია. მაშასადამე, ვაჩეძორის მონასტრის ეკვდერის სააღმშენებლო წარწერის დაზიანებულობით თუ არ აიხსნება ის, რომ მასში თაყას სახელი არა ჩანს, მაშინ წარწერაში თაყას მოუხსენებლობის სხვა მიზეზი ხდება საძიებელი. იქნებ თაყასა და რუსუდანს შორის უთანხმოება ჩანოვარდა თაყას დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების გამო ან რაიმე სხვა მიზეზით. ასევე უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ეგების ხელნაწერის გადაწერს — ჰოვანესს მოუვიდა შეცდომა თარიღის აღნიშვნისას, რაც საზოგადოდ ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ გამორიცხული არაა, ან იქნებ ჰიშატაკარანის გამოცემაში არაა მოცემული სწორად თარიღი, მაგრამ ცნობილია, რომ ჰოვანესის მიერ მოხსენიებული კილიკიის მეფე ოშინი მეფობდა 1308—1320 წლებში<sup>17</sup>, ხოლო კათალიკოს კოსტანტინეს (კოსტანტინე III კესარაცი) ზეობის წლებია 1307—1322<sup>18</sup>. ასე რომ, ჩვენს ჰიშატაკარანში თარიღი კიდევ რომ მცდარი იყოს, 1307 წელზე ადრე მაინც იგი ვერ დაიწერებოდა.

5. ტარსაიჭი იყო ისტორიკოს სტეფანოს ორბელიანის ძმისწული<sup>19</sup>, ე. ი. ათაბაგ ტარსაიჭ ორბელიანის შვილიშვილი.

ყურადღებას იპყრობს ცნობა ორბელიანთა და მხარგრძელთა დამოყვრების შესახებ, რაც უნდა მომხდარიყო XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ჯერ კიდევ ივანე მხარგრძელს მოუწადინებია სიძედ გაეხადა ლიპარიტ ორბელი, მაგრამ იმ ხანებში დამოყვრება არ მომხდარა, ლიპარიტს ცოლად შეუერთავეს ივანეს მოურავის<sup>20</sup> ბუბას ასული, რის გამოც ივანე განრისხებულა კიდევ<sup>21</sup>.

---

<sup>17</sup> W. H. R ü d t - C o l l e n b e r g, The Rupenides, Hethumides and Lusignans; The Structure of the Armeno-Cilician Dynasties, Paris, 1963, გვ. 16, 22.

<sup>18</sup> Մ. Օրմառնեան, Աղգապատուհան, կիսოսանդուկուիս, 1913, გვ. 1803—1837.

<sup>19</sup> Լ. Խ ա չ ի կ յ ა ն, Սյունյաց Օրբելյանների Բიւրքեյան Եղիւղը, Բանբեր Մատենադարանի, № 9, Ե., 1969, გვ. 190.

<sup>20</sup> მოურავად ვთარგმნით ჩვენ სომხურ „გორწყალ“-ს, რომელიც ზოგჯერ გაგებულია სახლთუხუცესად (იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 83) ან მსახურთუხუცესადაც კი (იხ. Լ. Բ ա Բ յ ა ն. Զարաթյանների ֆեოდალური իշխանության վարչական-քաղաքական կառուցվածքի մի քանի հարցերի մասին, ՀՍՄԻ ԳԱ Տեղե-

მიზეზი იმისა, თუ რატომ მოხდა დამოუკრება ორბელიანებსა და მხარგრძელებს შორის XIII ს-ის უკანასკნელ და არა პირველ მეოთხედში. შეიძლება იყოს შემდეგი: როდესაც საქართველოს საჰეფო კარმა შემოერთებულ სომხურ მიწებზე არსებული თუ ახლად შექმნილი ფეოდალური სახლები სამმართველოდ გადასცა მხარგრძელებს, ნებისთ თუ უნებლიედ ბევრი დიდგვარიანი გახდა მათი „ყმა“. ცნობილია, რომ მხარგრძელები თავიანთი შთამომავლობით ვერ დაიკვებინდნენ და როდესაც ისინი აღზევდნენ, მდგომარეობის შენდგომი განმტკიცებისათვის, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს დამოუკრებოდნენ მათ დიდგვარიან „ყმებს“; სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თუ რატომ სწორედ მხარგრძელები არიან მრავალ შემთხვევაში ასეთი დამოუკრების მოთავენი<sup>22</sup>. ამრიგად, სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ივანეს მოწვადინებისოს ლიპარიტ ორბელის სიძობა<sup>23</sup>. მაგრამ XIII ს-ის 60-იან წლებამდე, როდესაც კი ორბელებს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, ისინი ექიმშებოდნენ მხარგრძელებს და დაუნდობელ მტრობას იჩენდნენ მათდამი, რადგან საქართველოდან განდევნილ ორბელთა „მემკვიდრენი“ სწორედ მხარგრძელები გახდნენ. ეტყობა, ორბელები იმთავითვე თაკილობდნენ მათი ყოფილი „ყმების“ ერთგული „ყმები“ გამხდარიყვნენ და მათთან დამოუკრებასაც გაუბრდნენ. XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც მხარგრძელები მათ აღზევებას ხელს ვეღარ შეუშლიდნენ და ამავე დროს ყოველსშემძლე ხდებდა მედროვე სადუნ მანკაბერდელი, ორბელიანებისათვის სასურველიც კი

---

კოიქი, ნას. გიო. ხ. . 1961, № 9, გვ. 83). „უხუცესის“ გადმოსაცმად სომხურში იხმარება „გლუხ“ (მეთაური), როგორც ეს 1232 წ. ჰიმტაკარანშია „მსახურთუხუცესის“ სომხურად თარგმნისას (იხ. ზ ა რ ხ ე ჟ ი ნ ა კ ა პ ი ჟ ი კ ი ა. მჩუაოა-კარანერ ბხიოფრავ, გვ. 903—904; A. П. А н д а л а з а е, დასახ. ნაშრომი, გვ. 17); შესაძლოა, ამისათვის სხვა ტერმინაც იყენებდნენ. ასე რომ, სახლთუხუცესად ან მსახურთუხუცესად შეიძლება გავიგოთ „გორწაქალაქ გლუხ“ ან „გორწაქალაქ პეტ“, თუ ისინი სამე შეგვხვდება და არა „გორწაქალაქ“. მეორეგან სტეფანოს ორბელიანი (გვ. 378) „გორწაქალაქად“ მიიჩნევს სამეო კარზე მყოფ მსახურებს, ვეზირთა ხელქვეით მოხელეებს. მხარგრძელთა კარზე მსახურთუხუცესის სახელო, ეტყობა, არ არსებობდა XIII ს-ის დამდეგისათვის, იგი შედარებით გვიან, რუსულანის მეფობის დროს უნდა გაჩენილიყო.

<sup>22</sup> ს ო ხ ე ჟ ი ა ნ ი ა ო რ ე ხ ე ზ ა ნ, ჟათონიქინ ნაჩანეჩინ შქასიკან. ჩქიქიქი, 1910, გვ. 396—397; ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 83.

<sup>23</sup> ზ. ლიქსიანი, ხაიქსიანი კამ შირიქანი რაიფ აქათონიქისინ მნე, ოლაიარქაიქსი, 1928. გვ. 14—16.

<sup>24</sup> შდრ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.



უნდა ყოფილიყო მხარგრძელებთან, კერძოდ, ამირსპასალარ ზაქარიას შთამომავლებთან დამოყვრება, რათა ამით კიდევ უფრო განემტკიცებინათ თავიანთი მდგომარეობა და შეძლებოდათ დაპირისპირებოდნენ ახალმოვლენილ ძლიერ მედროვეს.

6. სომხურ ტექსტში მეფის სახელად არის არა გორგე, არამედ გორგენ. ასევეა ჰიშატაკარანის ინგლისურ თარგმანშიც<sup>24</sup>. „გორგენ“ გაცილებით ახლოს დგას „გურგენ“-თან, ვიდრე „გიორგის“-თან, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ 1321 წ. საქართველოში მეფობდა გიორგი ბრწყინვალე, გურგენ მეფე კი ამ და მახლობელ ხანებში უცნობია. ამრიგად, ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიუნიქში, გლადორის მონასტერში მოღვაწე, სახარების გადამწერ კირიონს ეშლება თავისი თანამედროვე საქართველოს მეფის სახელი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გიორგის სახელის მატარებელი საქართველოს მეფეები სომხურ წყაროებში, კერძოდ, ჰიშატაკარანებში ხშირად „გორგ“-ად ან „გორგე“-დ იწოდებიან. „გორგენ“-ში „ნ“ ენკლიტიკური ნაწილაკი უნდა იყოს და ამ შემთხვევაშიც მეფის სახელად გვექნება „გორგე“.

7. მართალია, სიუნიქის (სივნიეთის) მფლობელმა ორბელებმა ჯერ კიდევ XIII ს-ის 50-იან წლებში მოახერხეს თავიანთი სამფლობელო „ხასინჯუდ“ ექციათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი დაკავშირებული იყვნენ საქართველოს სამეფო კართან, რადგან „საქართველოს სახელმწიფოსა და მის დიდებულთა ხმას ჯერ კიდევ ისეთი ფასი და მნიშვნელობა აქვს თვით მონღოლთა თვალში, რომ მისი უგულვებელყოფა ერთ რომელიმე დიდებულთაგანს, თუნდაც ხასად ქცეულს, არ ძალედვა“<sup>25</sup>. სიუნიქის საკმაოდ განდიდებული მთავრები, როგორც ჩანს, 1323 წლისათვის მაინც გიორგი ბრწყინვალის ქვეშევრდომებად თვლიან თავს<sup>26</sup>. ამაზე 1321 და 1323 წლებში სიუნიქის კულტურულ ცენტრში, გლადორში გადაწერილ ხელნაწერთა ჰიშატაკარანებში ქართველთა მეფის მოხსენიებაც მიუთითებს. გარდა ამისა, 1323 წ. ჰიშატაკარანში ხელნაწერის მომგებელი ესაია ნჩეცი ხომ პირდაპირ ლაპარაკობს „დიდ სომხეთში“ გიორგი ბრწყინვალის მეფობის შესახებ. ამ დროს „დიდ სომხეთად“ იწოდება მონღოლთა ერთერთი საგადასახადო ერთეული, ისტორიული „დიდი სომხეთის“ სამხრეთი ნაწილი, რომელსაც მაშინ საქართვე-

<sup>24</sup> Colophons of armenian Manuscripts, 1301—1480, ვვ. 63—64.

<sup>25</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ვვ. 102.

<sup>26</sup> Ա. Հ ո լ ի ա ն ն ի ս յ ա ն, Դ ի լ խ գ ի ն չ ր հ ա յ ո զ զ ա ո ղ ը ի ս խ ա ն մ ո լ լ ի ս յ ա-  
տ մ ի ը լ յ ա ն. I, 1957, թ. 216.

ლოსთან არაფერი აკავშირებდა. ესაია ჩეცი, უეკველია, გულისხმობს ისტორიული „დიდი სომხეთის“ ჩრდილო ნაწილს, კერძოდ, სიუნიქსაც. ეს მხარე ამ ხანებში საქართველოს შემადგენლობაში რომ შედიოდა, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 1337 წელს სიუნიქში გადაწერილი ხელნაწერის პიშატაკარანში მთავარი ბურთელი სომეხთა და ქართველთა დიდ მხედართმთავრად იწოდება და იქვე ლაპარაკია სამეფო კარზე მამის სიცოცხლეშივე მისი შვილების დაწინაურების შესახებ<sup>27</sup>. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ 1337 წლისათვის თუ არა, წინა წლებში მაინც ბურთელი და მისი შვილები საქართველოს მეფის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ეტყობა, ქვეყნის აღმშენებლობაში მთელ რიგ დიდ მიღწევათა კვალდაკვალ, გიორგი ბრწყინვალეს XIV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისისათვის დიდი წარმატება მოუპოვებია სომხეთის შემომატების საქმეშიც.

8. გიორგი ბრწყინვალე იხსენიება 1321, 1323, 1330 და 1331 წლების პიშატაკარანებში, ხოლო შემდეგდროინდელში აღარ. ეს ფაქტი, დ. ლანგის აზრით, სხვა არგუმენტებთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთ საყურადღებო საბუთად იმისათვის, რომ ვამტკიცოთ: ილხანთა სახელმწიფოს მთავარი ამირის, აბუ საიდის (1316—1335) მეურვის, ამირ ჩობანის დაცემის (1327 წ.) შემდეგ გიორგი ბრწყინვალის ხელისუფლება აღარ ვრცელდებოდა თბილისზე და აღმოსავლეთ საქართველოზე, რომელიც XIV ს-ის პირველი ნახევრის მთელ სივრცეზე წინანდებურად მონღოლთა მოხარკედ რჩებოდა; გიორგი ბრწყინვალე დასავლეთ საქართველოში დამკვიდრდაო — დასძენს დ. ლანგი<sup>28</sup>.

ქართველმა მკვლევარებმა კრიტიკულად განიხილეს დ. ლანგის თითქმის ყველა არგუმენტი და არ გაიზიარეს მისი თვალსაზრისი საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის შესახებ<sup>29</sup>. რაც შეეხება სომხურ ხელნაწერთა პიშატაკარანებში გიორგი ბრწყინვალის მოუხსენებლობას 1331 წლის შემდეგ, ეს ვერ გამოდ-

<sup>27</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი № 19.

<sup>28</sup> D. M. Lang, *Georgia in the reign of Giorgi the Brilliant*, BSOAS, 1955, vol. XVII, pt. 1, გვ. 85—90.

<sup>29</sup> ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 137—142. Д. Г. Капанадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—71. რ. კიკნაძე, XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდლამ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), კრებული: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1970, გვ. 196—198, 204—205.

გება მეფის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის დაკავების საბუთად. საქმე ისაა, რომ ჰიშატაკარანებში არც მომდევნო ხანებში არ იხსენიებიან ქართველი მეფეები. ასე მაგ., ღათში თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე არც ერთხელ არაა მოხსენიებული ბაგრატ V, რომლის რეზიდენცია ნამდვილად თბილისში იყო და არა საღმე ლიხთ-იმერეთში. 1332 წლიდან XIV ს-ის 90-იან წლებამდე ჰიშატაკარანებში ქართველ მეფეთა მოუხსენებლობის ნიშნებზე უნდა იყოს შემდეგი: ა. XIV ს-ის 30-იან წლებში საქართველომ. ეტყობა, დაკარგა სომხური პროვინციები<sup>30</sup>. ბ. ქვეყანა დასუსტდა და ქართველ მეფეებს კარგა ხანს აღარ ჰქონდათ შესაძლებლობა ებრძოლათ სომხური მიწა-წყლის კვლავ შემოსაერთებლად; ამის შესახებ იციან საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა სომხებმაც. გ. აღნიშნულ ხანაში საქართველოს არ გადაუხდია დიდი მასშტაბის ბრძოლები, მეტადრე ისეთ მომხვედურთა წინააღმდეგ, რომლებიც სომხეთის დამპყრობლებიც იქნებოდნენ.

9. თუ არ ვცდებით, „გავარის“ შინაარსი არ გაფართოებულა იმდენად, რომ იგი მთელი ქვეყნის აღმნიშვნელად გამოეყენებინათ. ჩვეულებრივ. „გავარი“ მცირე ადმინისტრაციული ერთეულია, ანდა ქვეყნის ერთ ნაწილს აღნიშნავს. „ქართულ გავარშიც“ საქართველოს ერთი ნაწილი იგულისხმება ალბათ. ჰიშატაკარანში აბუ საიდის მორჩილ ქვეყნებს შორის არ იხსენიება სომხეთი. ამ დროისათვის საქართველოს სომხური პროვინციები აღარ ეკუთვნოდა და რადგან, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მათ სომხები საქართველოდ თვლიდნენ, „ქართულ გავარში“ „გურჯისტანის ვილაიეთში“ შემავალი ზოგიერთი სომხური პროვინციაც უნდა იგულისხმებოდეს საკუთრივ საქართველოს ერთ ნაწილთან ერთად.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჰიშატაკარანში ჩამოთვლილი ქვეყნების დამოკიდებულება ილხანებისადმი ამ დროისათვის მხოლოდ ფორმალურია.

10. აბუ საიდის გარდაცვალების (1335 წ.) შემდეგ ილხანთა სახელმწიფოში გაჩაღდა სასტიკი ბრძოლები ტახტის მამიებელთა შორის. მართალია, ფეოდალური შინაომების ძირითად ასპარეზს აზერბაიჯანი წარმოადგენდა, მაგრამ ეს ომები საქართველოს უკი-

---

<sup>30</sup> 2. შ ა ნ ა რ ი კ ა ნ. ზნსასკან მხსილქონ ჩაყ ძიიქიქიქი ყაიომილქან. 4. ხ. 1952. გვ. 330; შესაძლოა, ამ დროიდან საქართველოს ზოგიერთი ქართული მხარეც აღარ ეკუთვნოდა ერთხანს (იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137).

დურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებზეც კოცელდებოდა<sup>31</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბასიანში, ქალაქ მენკერტში გადაწერილი სახარების პიშატაკარანში მოხსენიებული თემური, რომელმაც, ეტყობა, ბასიანი და, შესაძლოა, მეზობელი პროვინციებიც დაარბია, უნდა იყოს ხორასანის მმართველი, თოღა თემური<sup>32</sup>, ჩინგის ხანის ძმის შთამომავალი; იგი 1336—37 წლებში იბრძოდა ტახტის დასაკავებლად<sup>33</sup>.

11. სომეხი პოეტი და ხელნაწერთა გადამწერი ტერტერ ერევანცი, შესაძლოა, ცოტას აქარბებდეს, როდესაც მშობლიურ ქალაქს „შესანიშნავს“ („პატუაქან“) უწოდებს. საქმე ის არის, რომ ტერტერი ერევნის მდებარეობას უფრო ცნობილი ადგილების, ეჩმიაძინისა და ხორ-ვირაპის მონასტრის დახმარებით განსაზღვრავს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ეჩმიაძინში ჯერ კიდევ არ იყო გაღმორტანილი საკათალიკოსო ტახტი და ამდენად სომეხთა შორის ვერ იქნებოდა ისე პოპულარული, როგორც შემდეგ საუკუნეებში.

თუ როდის იქცა ერევანი ქალაქად, ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარი ერევნის გაქალაქებას XII—XIII საუკუნეებით ათარილებს, სხვანი კი—XIII—XIV საუკუნეებით<sup>34</sup>.

12. ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა, რომ ყირიმში, ქალაქ სურხათში მოღვაწე ტერტერ ერევანცი ერევანს საქართველოს ქალაქად თვლის<sup>35</sup>. როგორც ვნახეთ, 1323 წლის პიშატაკარანის ცნობითაც, „დიდი სომხეთი“, რომელშიც, ცხადია, ერევანიც იგულისხმება, გიორგი ბრწყინვალის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შექმნილ „გურჯისტანის ვილაიეთში“ საკუთრივ ქართული მიწა-წყლის გარდა, მანამდე საქართველოს სამეფოში შემავალი სომხური პროვინციებიც შევიდნენ. იმავეითვე თუ შემდგომში თანდათანობით საქართველოს საზღვრებს მიღმა აღმოჩნდნენ მხოლოდ ბაგრევანდი (ცენტრით ვალაშკერტი), დვინი და ნახჭევანი<sup>36</sup>. ანისი და კარი

<sup>31</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140—141.

<sup>32</sup> Colophons of armenian manuscripts, 1301—1480. გვ. 370.

<sup>33</sup> B. Spuler, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

<sup>34</sup> Թ. Հակոբյան. Լիხվանի պատմությունը. Կნազույն ժամանակներից մինչև 1500 թ. Ն., 1969. გვ. 209—210

<sup>35</sup> Ա. Հովհաննիսյան. დასახ. ნაშრომი. გვ. 217; შტრ. Վ. Միրայესյան, Դրվիխ հայկական գաղութի պատմություն. 1964. გვ. 283.

<sup>36</sup> Հայ ժողովրդի պատմություն, IV, Ն., 1972. გვ. 21; ივ. Գავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 211.

საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა XIV ს-ის პირველ ნახევარშიც<sup>37</sup>. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სომხეთის შემომტევიების საქმეში, ეტყობა, დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი ბრწყინვალეს. როგორც ცნობილია, იგი ისწრაფოდა აღედგინა XII საუკუნისა და XIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ძლიერება და ამიტომაც, ბუნებრივია, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნებოდა საქართველოსათვის მჭიდროდ დაეკავშირებინა მისი სამხრეთი კედელი — ჩრდილო სომხეთი.

სხვადასხვა ქვეყნებიდან სომხური მოსახლეობის დიდი ტალღა მიაწყდა ყირიმს XIV ს-ის 30-იან წლებში<sup>38</sup>. ამ დროს უნდა მისულიყო იქ ტერტერიც, რომლის ლტოლვილობის ერთ-ერთი მიზეზი თანამომქმეებთან უთანხმოება გამხდარა<sup>39</sup>. ისმის კითხვა: 1336 წელსაც ერევანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუ ტერტერის ცნობა რამდენადმე ძველ ვითარებას ასახავს? ასეთი კითხვა დაისმის იმის გამო, რომ 1335 წლის შემდეგ საქართველო სწრაფად უნდა დადგომოდა პოლიტიკური დასუსტებისა და ეკონომიური დაქვეითების გზას, რისი მიზეზიც იყო ფეოდალური შინაომები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, აგრეთვე მძვინვარე შავი ჭირი<sup>40</sup>. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIV ს-ის 30-იან წლებში საქართველომ, ეტყობა, დაკარგა სომხური პროვინციები. თუ 1336 ერევანი აღარ შედიოდა საქართველოს სამეფოს საზღვრებში, ეს ახალი ამბავი უნდა იყოს. ტერტერს ამის შესახებ ჭერ არაფერი შეუტყვია, თორემ ასე დაბეჯითებით არ დაუკავშირებდა იგი ერევანს საქართველოს. საზოგადოდ, ყირიმელ სომეხ მოახალეინეებს, ისევე, როგორც სხვა სომხური კოლონიების მცხოვრებთ, სომხეთთან მრავალმხრივი, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ<sup>41</sup> და ამდენად, ტერტერიც მაღლე გაიგებდა პოლიტიკური ცვლილებების შესახებ თავის სამშობლოში. აღსანიშნავია, რომ 1336 წელს, თუ დაახლოებით ამ დროს დაწერილ ზღუდით ჰიშატაკარანში ტერტერი არც ერთხელ არ ახსენებს სომხეთს და არც კილიკიის სომხეთის მეფეს, არც ერთხელ არ ამბობს, რომ ერევანი სომხეთის ქალაქია<sup>42</sup>, მაშინ როდესაც 1341

<sup>37</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

<sup>38</sup> ი. იქიყაქიყაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69, 74.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 223.

<sup>40</sup> ვ. ვაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

<sup>41</sup> ი. იქიყაქიყაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

<sup>42</sup> XIV საუკუნის ჰიშატაკარანები, გვ. 286—288.

წლის ჰიშატაკარანში წერს, რომ იგი ჩამოსულია სომხეთიდან, ქალაქ ერევნიდან, აღნიშნავს ლეონ ოშინის ძის სომხებზე მეფობას<sup>43</sup> და საერთოდ აღარ ახსენებს საქართველოს<sup>44</sup>. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ 1336 წლისათვის ტერტერი თავისი ქალაქისა და საშობლოს ინტერესებს საქართველოს უკავშირებს, 1341 წლისათვის ერევანი აღარ უნდა ყოფილიყო საქართველოს ფარგლებში და ამის შესახებ ტერტერს სცოდნია.

ჩვენ მიერ თარგმნილი ტერტერ ერევანის დაწერილი ჰიშატაკარანები სხვა მხრივაც იპყრობენ ყურადღებას. როგორც ცნობილია, XII საუკუნესა და XIII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს სამეფომ შეძლო მაჰმადიან დამპყრობთა განდევნა სომხეთის დიდი ნაწილიდან. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სომხეთის დამოკიდებულება საქართველოზე მხოლოდ ფორმალური იყო, რაც ჩანს იქიდანაც, რომ სომეხი ფეოდალებისადმი გადაცემულ მიწა-წყალს თანამედროვენი თითქოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად არ თვლიდნენ<sup>45</sup>. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ძირითადად მოტანილია ბასილი ეზოსმოძღვრის შემდეგი ცნობა: როდესაც კარელები დანებდნენ, თამარისაგან „ითხოვედეს მშედობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს“<sup>46</sup>. შევნიშნავთ, რომ ეს ცნობა არც სომხურად და არც რუსულად სწორად არ არის თარგმნილი და, ეტყობა, ამანაც შეუწყო ხელი აღნიშნული მოსაზრების წარმოქმნას. ლ. მელიქსეთ-ბეგისეული სომხური თარგმანი ახალ ქართულზე გადმოღებით ასეთ სახეს მიიღებს: კარელებმა თხოვეს თამარს, „არავის გადასცეს ყარსი (კარი), როგორც ანისი და დვინი, არამედ თავის სამეფოს შეუერთოს“<sup>47</sup>. ასევე ცნობის ვ. დონდუასეულ რუსულ თარგმანში ვკითხულობთ, რომ თამარს კი „არ უნდა გადაეცა კარი სხვისთვის, როგორც ანისი და დვინი, არამედ თავისი სამეფოს

<sup>43</sup> კილიკიის მეფე ლეონ IV (1320—1341).

<sup>44</sup> XIV საუკუნის ჰიშატაკარანები, გვ. 328—329.

<sup>45</sup> Л. О. Бабаян. Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках. М., 1969, гл. 17. Л. Բաբայան, Գարարյանների իշխանական առաջադեման հարցի մասին, ՊԲՀ. 1962. № 1. გვ. 13. Թ. Հակոբյան, Հայաստանի պատմական աշխարհագրություն. Ե., 1968, გვ. 315.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143—144.

<sup>47</sup> Л. Меликсетян, Указание на армянские земли в Грузии, в: Меликсетян, 1936, гл. 36 (ხაზასბა ჩუენია).

ფარცლენი მოექცია<sup>48</sup>. დღეისათვის საქამათო არაა, რომ ამა თუ იმ ადგილს „სანეჟოდ დაქერა“ ნიშნავს სამეფო დონე-აღივს მის მითვლას.

საქართველოს სამეფოს მიერ მუსლიმთაგან განთავისუფლებულ სომხურ პროვინციებს ქართული სახელმწიფოს ნაწილად რომ თვლიდნენ თანამედროვენი, ამის ნათელსაყოფად XIII ს-ის მასალის მოტანაც შეიძლება. ასე მაგ., 1214 წ. ჰიშატაკარანის ცნობით, ლაშა გიორგის ხელისუფლება ისევე ვრცელდებოდა „ანისსა და ადრინდელ სომეხ, ალან და ალვანელ მფლობელთა მრავალ სხვა ქალაქზე“, როგორც თბილისზე<sup>49</sup>. ამ საკითხის შესახებ XIII ს-ის სხვა მონაცემების მოტანა შორს წაგვიყვანდა<sup>50</sup>. როგორც ვნახეთ, XIV ს-ის 30-იან წლებშიც ტერტერ ერევანცი ერევანს საქართველოს ქალაქად თვლის და ეს იმიტომ, რომ XII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოსთვის შემოერთებული სომხური პროვინციების მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მშობლიურად აღიქვამდა; ამ შეგნებამ კი, მიუხედავად შემდგომში საამისოდ არახელსაყრელი პირობებისა, საუკუნეებს გაუძლო<sup>51</sup>. 1417 წელს განძასარის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში გადამწერი მათეოს მონაზონი მტრის მიერ დატყვევებული და მოკლული ქართველთა მეფის კონსტანტინე I-ის დაღუპვის შესახებ დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით ლაპარაკობს და ამას იმიტაც ამართლებს, რომ ჩვენ, სომეხებს მეფე არა გვყავსო და მის მაგივრად მიგვანდაო იგი<sup>52</sup>. მათეოს მონაზონის ასეთი განწყობილება მით უფრო საყურადღებოა, რომ იმ დროისათვის საქართველოს შემადგენლობაში სომხური პროვინციები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი მეფეები კვლავ იბრძოდნენ, ან აპირებდნენ სომხეთისათვის ბრძოლას, სომეხ, კერძოდ, სიუნიქის მთავრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სომხურ მოსახლეობას თავისი სამშობ-

<sup>48</sup> В. Д. Дондуа, Бабили, историк царицы Тамары, «Памятники эпохи Руставели», Л., 1938, гв. 71 (ხაზგასმა ჩვენია).

<sup>49</sup> Գ ի Ր Ե Ղ Ի Ն Լ. Կ Տ Ր Ո Ղ Ի Կ Ո Ս, Յիշատակարանք ձևագրաց, გვ. 765-769; А. П. Абдаладзе. დასახ. ნაშრომი. გვ. 15.

<sup>50</sup> იხ. В. Д. Дондуа, Некоторые замечания на коллективный труд—История армянского народа, мимოხილველი, III, თბ., 1953, გვ. 317—320.

<sup>51</sup> С. Н. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947, гв. 47.

<sup>52</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 39ბ.

ლოს ინტერესები საქართველოსათვის, მისი მეფისათვის დაეკავშირებინა.

18. XIV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში დიდი რაოდენობით შემოიხიზნა სომხური მოსახლეობა. საქმე ის არის, რომ თუ XIII საუკუნესა და XIV ს-ის პირველ მეოთხედში ლტოლვილი სომხები კილიკიის სომხური სამეფოსაკენ მიემუშრებოდნენ, XIV ს-ის მეორე მეოთხედიდან კილიკიის სულთმობრძავე სამეფო მათ უკვე აღარ იზიდავთ. უფრო მეტიც, ამიერიდან იწყება კილიკიის სომეხთა აყრა და წასვლა სხვა ქვეყნებისაკენ<sup>53</sup>. როგორც 1341 წ. სოფელ ვარდნშენში<sup>54</sup> დასრულებული სახარების პიშატაკარანში ცნობილი სომეხი გადამწერი ნატერი გვამცნობს, იმ დროისათვის სომხური მოსახლეობის ერთი ნაყადი დამკვიდრებულა ტაოში. ნატერი და ლტოლვილთა ერთი ჯგუფი აქ მოსულან აზზრუმის ჩრდილო დასავლეთით მდებარე სოფელ კანიდან. სადაც ნატერს დიდი ხანი არ უნდა ეცხოვრა. ბაიბურთიდან კანში ნატერთან ერთად სხვებიც მოვიდნენ თუ არა, პიშატაკარანიდან ეს არ ჩანს, არც ის არის მთლად ნათელი, თუ რომელი ქალაქისა და გუბარის მოსახლეობა აიყარა; რადგან პიშატაკარანში ნათქვამია. რომ ლტოლვილებმა მიაშურეს ქვეყანას და არა ქვეყნებს<sup>55</sup>. აქ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ საქართველო, კერძოდ, ტაო. სომხური მოსახლეობის აყრა, როგორც ჩანს, გამოიწვია ილხანთა სახელმწიფოში 1336—1340 წლებში გაჩაღებულმა ფეოდალურმა შინაომებმა. სომხური მოსახლეობის დამკვიდრება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებში შემდგომშიაც გრძელდებოდა.

უამთააღმწერლის ცნობებით, ჯერ კიდევ XIII ს-ის მიწურულს მცირეაზიელ თურქთა მოულოდნელი შემოსევების შედეგად ტაოს ბევრი ადგილი გატიალდა, მოსახლეობა ამოწყდა: „ესოდენი სული მოისრა და ტყუე იქმნა, ვითარმედ შეუძლებელ არს მოთხოვნა, ვითარ ბერნი, ყრმანი და ჰაბუენი უწყალოდ მოისრვოდეს, და ჩჩულთა ყრმათა დედისა ძუძუთა შინა მოჰკლვიდიან. რამეთუ არა ჰგონებდეს თურქთა გამოჩენასა, ამისთვის ყოველი სოფელი ტაოსა შეუძრავად დახუდა, და ვერა-სადა-ვინ ივლტოდა“<sup>56</sup>. გაუქცირი-

<sup>53</sup> Թ. Հակոբյան. Հայաստանի պատմական աշխարհագրություն, թ. 375.

<sup>54</sup> ვარდნშენი, ეტყობა, თორთუმის მახლობლად მდებარე ვარდნშენია.

<sup>55</sup> შტრ. Colophons of armenian Manuscripts, ვ. 83.

<sup>56</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 310—311.



ლებულ ადგილებში მოახალშენეთა ჯგუფების დამკვიდრება ტაოს ხელისუფალთათვის, ალბათ, სასურველი იყო.

XIV ს-ის 30-იან წლებში უნდა მოსულიყვნენ სომხები თმოგვშიც. სახელგანთქმული სომეხი მწერლისა და მოღვაწის გრიგორ ტათევეცის „ცხოვრების“ მიხედვით, თმოგვში სომხეთიდან გადმოსახლებულან გრიგორის მშობლები. აქ დაბადებულა გრიგორი, ხოლო აღუზრდია იგი მის ძმას მეფე დავითის კარზე<sup>57</sup>; აშკარაა, რომ გრიგორი აღზრდილა მეფე დავით IX-ის (1346—1360) კარზე, რადგან იგი გარდაიცვალა ხანდაზმული 1409 წელს, ე. ი. მისი აღზრდა სწორედ დავით IX-ის მეფობის წლებში იქნებოდა შესაძლებელი; მახლობელ ხანებში სხვა მეფე დავითი საქართველოში არ ყოფილა. მანასაღამე, გრიგორის მშობლები სომხეთიდან თმოგვში გადმოსახლებული ჩანან XIV ს-ის პირველ ნახევარში, უფრო ამ საუკუნის მეორე მეოთხედში. ვფიქრობთ, ეს ფაქტი თმოგვის სომხურ წარწერებთან<sup>58</sup> და ლტოლვილი სომხური მოსახლეობის მოძრაობის მიმართულებათა გათვალისწინებასთან ერთად შესაძლებელს ხდის ვიჯარადოთ, რომ თმოგვის სომხურ ახალშენს საფუძველი ეყრება XIV ს-ის პირველ ნახევარში. როგორც აღვნიშნეთ, XIV ს-ის 30-იან წლებში საქართველომ სომხური პროვინციები დაკარგა. ამას მოყვებოდა, ალბათ, ქართული ორიენტაციის სომეხთა გადმოსახლება საქართველოში.

14. საქართველოს გაუდაბურება—მოსახლეობის გაწყვეტა, ალბათ, შიმშილობაც, შავი ჭირის მძვინვარებამ გამოიწვია. 1348 წ. ხუცეს ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი პარაკლიტონის მიწაწერშიც აღნიშნულია „დიდი სიკვდილიანობა“, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „შავი ჭირის შედეგი იყო“<sup>59</sup>. შავი ჭირის გავრცელება 1338 წლისათვის დამოწმებულია შუა აზიაში. 1346 წ. იგი მოედო ოქროს ურდოს და ყირიმის ნავსადგურებს<sup>60</sup>; ფიქრობენ, რომ მომსრველი სენი იმავე ხანებში უნდა შემოსულიყო ჩრდილო-

<sup>57</sup> XV საუკუნის ქიშტაკარანები, I, გვ. 101—103, შენ. 1.

<sup>58</sup> ი. თ უ შ ა ნ ი ა ნ ი, თმოგვის აღება, თარგმანი და შესავალი წერილი ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1939, გვ. 12; Л. С. Д а в т и а н и д з е, К изучению Цундско-Тмогвских хачкаров, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, თბ., 1959.

<sup>59</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 407.

<sup>60</sup> D. M. L a n g, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, შენ. 2; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 407.

ეთიდან ჩვენშიც<sup>61</sup>. რადგან 1346 წ. ბაიბურთში განახლებული სახარების ჰიშატაკარანში მხატვარი ჰოვანესი უკვე ლაპარაკობს ალბათ შავი ჭირისაგან გამოწვეულ დიდ მსხვერპლზე საქართველოში, აგრეთვე შიმშილობაზე, რომელიც მძინვარე ეპიდემიის შედეგი იქნებოდა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ შავი ჭირი ჩვენში 1346 წელზე რამდენიმე წლით ადრე მანაც უნდა გაჩენილიყო. ეპიძანობა, ეტყობა, დიდხანს გაგრძელებულა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაგრატ V-ის დროს, როდესაც „შენდებოდა და აღწენდებოდა ქუეყანა“, „მშუღობას ამას შინა იქმნა მომსრველი ჟამი, სრვა და სიკუდილი ძლიერი. და მოისპნენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატიისა დედოფალი ელენე... ქ-სა ჩ-ტჳვ, ქარ-თულსა ნ-დ-“<sup>62</sup> (1366 წ.). ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე შავი ჭირის მძინვარება დროგამოშვებით ძლიერდებოდა, სხვა დროს კი შედარებით სუსტდებოდა<sup>63</sup>.

სასტიკი ეპიძანობის შედეგად მოსახლეობისაგან დაცილილი, გაუდაბურებული ადგილების კვლავ მოშენება საქართველოს ხელისუფალთა გადაუდებელი ამოცანა გახდებოდა. ალბათ, ესეც უწყობდა ხელს XIV ს-ის საქართველოში სომეხთა დიდი რაოდენობით მოსვლასა და დამკვიდრებას.

15. ოროტანი სიუნიქის ერთ-ერთი ოლქი იყო; მასში მდებარეობდა სოფელი ოროტნი, რომელიც XIV—XV საუკუნეებში ცნობილი იყო თავისი მონასტრით<sup>64</sup>. იმავე ოლქში მდებარეობდა სომხური კულტურის დიდი ცენტრი, ტათევის მონასტერი<sup>65</sup>. საზოგადოდ, XIII—XIV საუკუნეებში სიუნიქმა სახელი გაითქვა თავისი მონასტრებით — სომხური მწერლობის კერებით. ამის გამო, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჰოვანეს მოძღვარს ოროტნიდან თბილისში შეეკვეთა ხელნაწერის გადაწერა. საუბრებელია, რომ იგი თბილისში გადმოსახლდა; თუ ეს ასეა, ჰოვანესი დიდი ხნის დამკვიდრებული არ უნდა იყოს აქ. რადგან ჰიშატაკარანში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მისი „სამშობლო არის ოროტნი“. არ არის გამორიცხული, რომ ჰოვანეს მოძღვარი თბილისში

<sup>61</sup> D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 74; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 407.

<sup>62</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 262.

<sup>63</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 407.

<sup>64</sup> Թ. Հակոբյան. Հայաստանի պատմական աշխարհագրიკონ.

მხოლოდ ერთხანს იმყოფებოდა, არანაკლებ რამდენიმე თვისა, რაც აუცილებელია ხელნაწერის გადაწერისათვის. ეს კი გამოწვეული იქნებოდა იმით, რომ სომეხთა ერთი ჯგუფი XIV ს-ში დამკვიდრდა თბილისში, რომლებსაც, ბუნებრივია, ჯერ მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქმობლოსთან.

16. „ნათელ“//„ნათელი“//„ნათელა“ ქართული სახელია და ამაღნი შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ჰიმნატაკარანში მოხსენიებულ სომეხთა წინაპრები ახალციხეში დიდი ხნის წინათ დამკვიდრდნენ, მაგრამ „ნათელ“ ამირ-სარგისის მეუღლეს ჰქვია, რომელიც, შესაძლოა, ქართველი იყო: ტიტულები, ამირი, პარონი და ხათუნი მიუთითებენ. რომ ამირ-სარგისი და მისიანები სომეხთა ზედაფენის წარმომადგენლები არიან; ავის გამოც, ალბათობა იმისა, რომ ნათელი ქართველი იყო, იზრდება. ადვილი შესაძლებელია, ახალციხეში სომეხები XIII საუკუნეშიც დამკვიდრდნენ, მაგრამ ისინი აქ XIV—XV საუკუნეებშიც უნდა მოსულიყვნენ.

17. სამცხის ათაბაგი ივანე ამ ხანებში სხვა წყაროებითაც არის ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ივანე 1391 წელს გაათაბაგებულა<sup>66</sup>. მართალია, სამცხის ათაბაგთა შესახებ ვახუშტის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ცნობები ხშირად საეჭვო ჩანს<sup>67</sup>, ჩვენს შემთხვევაშიც მას სწორად ვერ განუსაზღვრავს ივანეს მამიშვილობა, მაგრამ მისი გაათაბაგების ვახუშტისეული თარიღი დაახლოებით მაინც სწორი უნდა იყოს; საქმე ისაა, რომ სპარსული წყაროებით 1386 წელს სამცხის ათაბაგია ივანეს მამა აღბულა<sup>68</sup>. ხოლო 1396 წლის, ახალციხეში დაწერილი ჰიმნატაკარანი, როგორც ვხედავთ. ადატურებს ივანეს ათაბაგობას.

ვარძიის ერთ უთარილო წარწერაში მოხსენებულია „პატრონი ივანე“, რომელიც, როგორც ფიქრობენ, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ივანე ათაბაგი (1391—1444). წარწერაში არ იხსენიება საქართველოს მეფე. „მეფის მოუხსენებლობა. წერს ვ. ცისკარიშვილი, ცხადია. იმითაა გამოწვეული, რომ სამცხე-საათაბაგო გამოყოფილია საქართველოდან და ამ დროისათვის ეს გამოყოფა

<sup>66</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 265. 702.

<sup>67</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია. გამოკვლევები და საძიებლები ქ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 248.

<sup>68</sup> იხ. ვ. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 209—210.

თითქმის დასრულებულია. ათაბაგი არ ცნობს მეფის უზენაესობას, მეფეს ვარძიაზე, ერთ დროს სამეფო მონასტერზე, ხელი აღარ მიუწვდება“<sup>69</sup>.

როგორც ვხედავთ, 1396 წლის, ახალციხეში დაწერილ ჰიშატაკარანში ჯერ იხსენიება გიორგი მეფე, ხოლო შემდგომ ათაბაგი ივანე. მართალია, ჭარბი მეფეები იხსენიებან ისეთ ადგილებში დაწერილ ჰიშატაკარანებშიც, სადაც მათი ხელისუფლება არ ვრცელდებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, ასეთ შემთხვევაში სხვა ქვეყნების ხელისუფალნიც არიან დასახელებული, მეორეც, 1396 წელს ათაბაგი ივანე საქართველოს მეფის უზენაესობას რომ არ ცნობდეს. ჰიშატაკარანში პირველად სამცხის ათაბაგს მოიხსენიებდნენ. გარდა ამისა, საქართველოდან სამცხის გამოყოფა მტკივნეულად, დიდი გართულებისა თუ შეხლა-შემოხლის შედეგად ხდებოდა, 1396 წლისათვის იგი თუ განცალკევებულია, ეს შეიძლება მხოლოდ ახლმომხდარი ამბავი იყოს და ამის გამო ახალციხეში დაწერილ ჰიშატაკარანში საერთოდ აღარ მოიხსენიებდნენ გიორგი მეფეს.

ამრიგად, თუ წარწერაში მეფის მოუხსენებლობა უეჭველი საბუთია იმისა, რომ ათაბაგი მეფის უზენაესობას არ ცნობს. მაშინ საფიქრებელია, რომ ვარძიის უთარილო წარწერის აპოკვეთა შეიძლებოდა ივანეს ათაბაგობის არა ნებისმიერ წლებში, არამედ დროის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთსა თუ მონაკვეთებში, კერძოდ, 1403—1414 წლებში ან XV ს-ის 30—40-იანი წლების მიჯნაზე. დროის პირველ მონაკვეთში სამცხის ათაბაგი საქართველოს მიუი-საგან აშკარად დამოუკიდებელია. სხვა მონაცემებთან ერთად, ამაზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ როდესაც მეფე კონსტანტინე I (1407—1412) „გაუწყრა შვილსა, მეფესა ალექსანდრეს“, „ალექსანდრე მეფე ათაბაგს ივანესთანა“ გადაიხვეწა და იქ „ლარიბობა-ში“. მწირობაში. ხუთი წელი დაჰყო<sup>70</sup>. 1414 ან 1415 წელს<sup>71</sup> კონსტანტინე I-თან ბრძოლაში სასტიკად დამარცხების შემდეგ სამცხის ათაბაგი ივანე ერთხანს მაინც მორჩილი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფისა. XV ს-ის 30-იანი წლებიდან კი,

<sup>69</sup> ვ. ციციკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როვორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 116.

<sup>70</sup> ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 117.

<sup>71</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 28—29.

ეტყობა, იგი კვლავ ისწრაფვის სამცხის განცალკევებისაკენ<sup>72</sup>. 1440 წ. საქართველოზე ჯაჰანშაჰის თავდასხმა და ალექსანდრე I-ის დაპარკება ათაბაგს ხელს შეუწყობდა თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებას.

18. უპატრონობად ვთარგმნეთ სომხური „ანიშხანთიუნ“, რაც სიტყვასიტყვით „მთავრის“ გარეშე ყოფნას, აგრეთვე უწესრიგობას, ანარქიას ნიშნავს. როგორც ჩანს, თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობების შედეგად. უკვე 1397 წლისათვის ლორე ჩამოცილებული ყოფილა საქართველოსაგან. იქაური წარჩინებულები, ალბათ, ბრძოლებში დაეცნენ, ანდა აქედან გაიქცნენ, საქართველოს შიდა პროვინციებს მიაშურეს. შესაძლოა, ამათი შთამომავლებიც არიან მათ შორის, ვისაც ალექსანდრე I-მა 1431 წ. შემოერთებულ ლორეში მამულები დაუბრუნა<sup>73</sup>. ეტყობა, 1397 წლისათვის დაპყრობლებს ვერ მოუსწრიათ ლორეს „ათვისება“, ქვეყნის მმართველობის ახალ ყაიდაზე მოწყობა.

19. ლ. ხაჩიკიანს მიაჩნია, რომ ცნობა — „მის დროში დიდი მშვიდობიანობა იყო საქართველოში“, გიორგი VII-ის მეფობის წლებს (1394—1399) გულისხმობს. რადგან თემურ ლენგმა 1399 წელს დაარბია საქართველო და გიორგის მეფობის შემდგომი წლებიც ფათერაყების, განუწყვეტელი ომების ხანა იყო, ამიტომ ჰიშატაკარანი დაწერილია 1399 წელზე ადრე, 1399 წ. მისი დაწერის ზედა საზღვარი იყო, დასძენს ლ. ხაჩიკიანი<sup>74</sup>. ვფიქრობთ, ჰიშატაკარანიდან ნათელი არაა, თუ ვის დროს იყო საქართველოში „დიდი მშვიდობიანობა“ (სიტყვასიტყვით „ღრმა მშვიდობიანობა“). თუნდაც 1399 წლის წინა ხანებში გიორგი VII-ის დროინდელ საქართველოში „ღრმა მშვიდობიანობაზე“ ლაპარაკი გაუმართლებელი გვეჩვენება. ჩვენი აზრით, ხელნაწერის გადამწერი ჰოვანესი ბაგრატ V-ის ხანას (1360—1393) გულისხმობს. ამაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ ბაგრატი მოხსენებულია ძლევამოსილ, მამაც მეფედ, გიორგის შესახებ კი მსგავსი არაფერია ნათქვამი.

<sup>72</sup> ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, მეცნე, ისტორიის სერია, 1976 წ., № 3, გვ. 82.

<sup>73</sup> თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 242—243; ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. ლ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 123—124; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 30—32.

<sup>74</sup> XIV საუკუნის ჰიშატაკარანები, გვ. 626, შენ., 1, იხ. აგრეთვე Colophons of armenian Manuscripts, გვ. 116—117.

რადგან ჰოვანესი ამბობს, რომ სანაინში დამკვიდრდა „ამსაუეუნიის დასასრულს“, ხელნაწერიც XIV საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი; რაკი ეს ამბავი გიორგის მეფობაში მომხდარა, ჰიშატაკარანს 1394—1400 წლებით ვათარილებთ.

დაბოლოს, შეიძლება დავეჭვდეთ იმაშიც, რომ აქ, იქნებ, სხვა ბაგრატი და გიორგი იხსენიებიან და არა ბაგრატ V და გიორგი VII. მაგრამ ხელნაწერის XIV საუკუნით დათარიღებისას<sup>75</sup> მისი პალეოგრაფიული და სხვა თავისებურებებიცაა გათვალისწინებული და თვით ჰიშატაკარანის მონაცემებიც სხვა ხანას არ უდგება.

20. 1395 წელს თემურ ლენგმა მდ. თერგის პირას სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდოს ხანი თოღთაში და თითქმის მთელი მისი საბრძანებელი გადაბუგა. უკან დაბრუნებისას მან საგანგებოდ დალაშქრა და დაარბია ჩრდილო კავკასიის მთიანეთი<sup>76</sup>, „განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან“<sup>77</sup>. 1396 წელს თემური ამიერკავკასიაში დაბრუნდა; სპარსულ წყაროებში აღნიშნულია და სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიღებულია, რომ დაბრუნდა იგი დარუბანდის გავლით<sup>78</sup>. როგორც ვხედავთ, ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ქაჯბერუნის ოლქის სუხარას ანუ ხარაბასტის მონასტერში 1400 წ. გადაწერილ კათოლიკე ეპისკოპოსთა სარგის შნორჰალისეული განმარტების ჰიშატაკარანში ცნობილი სომეხი მწიგნობარი და გადამწერ-გრიგორ ხლათეცი გვამცნობს, რომ თემური ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში აღანთა კარის გავლით დაბრუნდა. ვფიქრობთ, მსგავსი ცნობა მოიპოვება ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰიზანში გადაწერილ ხელნაწერის 1400 წ. ჰიშატაკარანშიც, რომელ-

---

<sup>75</sup> *Мисцясъ дѣлаириуѣ Машуонѣи аниѣани Машоннаѣарани, в. А. С., 1965, № 1537, в. 578.*

<sup>76</sup> *Сборник материалов относящихся к истории Золотой орды, II, Извлечение из персидских сочинений собранные В. Т. Тизенгаузенем и обработанные А. А. Ромасевичем и С. Л. Волыным, М.-Л. 1941, в. 122—124, 181—183, 185—187.*

<sup>77</sup> *კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 94.*

<sup>78</sup> *Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, II, в. 124, 187; კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 140, 171.*

შიც გადამწერი ჰოვანესი ამბობს, რომ თემურმა გახსნა დიდხანს დახული ალანთა კარი<sup>79</sup>. ეს ამბავი 1395—1396 წლებში მომხდარად უნდა იგულისხმებოდეს. საქმე ისაა, რომ თუმცა 1394 წლის ლაშქრობის დროს თემურ ლენგის ჯარმა „არაგვის ხეობაში ციხეებიცა და სხვა სიმაგრეებიც ჩაიგდო ხელში, მაგრამ მთავარი მიზანი, რომელიც მას დასახული ჰქონდა, დარიალის კარის ხელში ჩაგდება, განუხორციელებელი დარჩა“<sup>80</sup>. არაგვის ხეობაში თემურ ლენგმა 1400 წელსაც ილაშქრა. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, „მიეწია ლაშქარი მათი ქუთათის[ს], ლეკეთს და დარიალსა და ნოწუეს და მოაოჯრეს ყოველი საქართველო, დაყარეს მძორი მკუდარისა, ვითარცა მქელი თივისა“<sup>81</sup>. ამავე წყაროს მიხედვით, დარიალის ვიწრობებში ქართველებს მტერი დაუმარცხებიათ, დიდი ზიანი მიუყენებიათ მისთვის და იძულებული გაუხდიათ უკან გაბრუნებულები<sup>82</sup>. თუ არ ვცდებით, დღემდე ჩვენთვის ცნობილ სხვა წყაროებში არაფერია ნათქვამი 1400 წ. თემურის დარიალისათვის ბრძოლის შედეგის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი, ალბათ, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობებს ითვალისწინებდა, როდესაც წერდა, 1400 წელს „არაგვის ხეობაში თემურმა ბოლომდე გზა ვერ გაიკაფა“-ო<sup>83</sup>.

ერთი ქართული ქრონიკის ცნობით, „ქს ჰდ (1396 წ.) თემურ და გიორგი შეიბნენ, თემურს გაემარჯვა“<sup>84</sup>. კ. ტაბატაძის აზრით, ეს ცნობა საეჭვოა, რადგან „სხვა წყაროების მიხედვით ვიცი, რომ ამ დროს თემურ-ლენგი საქართველოში არ ყოფილა“<sup>85</sup>.

არსებული წყაროებისა და შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ჩვენ ვასკვნით: რაკი თემურს ეწადა დარიალის ხელთგდება, მაგრამ 1394 წელს მან არაგვის ხეობაში ბრძოლა შეწყვიტა თოლთამიშ ხანის წინააღმდეგ გალაშქრების გამო, ბუნებრივია, თოლთამიშის სასტიკად დამარცხებისა და საქართველოსთან დაკავშირებულა ჩრდილო კავკასიის მთიანეთის დალაშქრის შემდეგ

<sup>79</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი № 28.

<sup>80</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 412 (ხაზგასმა ავტორისა).

<sup>81</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 114.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 114—115.

<sup>83</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 416.

<sup>84</sup> თ. თორდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 201.

<sup>85</sup> კ. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომადგენლობისა და სანდოობის შესახებ, გვ. 212.

იგი შეეცდებოდა დარიალის ზელში ჩაგდებასაც, შესაძლოა, ქართველთათვის მოულოდნელადაც. ეტყობა, მან დაამარცხა ქართველები და მიზანსაც მიაღწია. ამის შემდეგ მისი ლაშქრის ერთი ნაწილი, იქნებ, დარიალის გზით დაბრუნდა ამიერკავკასიაში. თუ არადა, მსგავსი ცნობის გაჩენას გრიგორ ხლათეცის ჰიშატაკარანში საფუძვლად დაედებოდა თემურის მიერ დარიალის დაკავება.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუმცა „ალანთა კარი“ სომხურ წყაროებში ჩვეულებრივ დარიალს ეწოდება, არ არის გამორიცხული, ამ სახელით იშვიათად დარუბანდიც იხსენიებოდეს. მაგრამ გრიგორ ხლათეცი მის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში დარუბანდს „ჰუნთა კარს“ უწოდებს და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მას ესოდენ იშვიათი სახელით, „ალანთა კარად“ არ მოიხსენიებდა.

21. ერნჯაკის ანუ ალინჯის ციხე მდებარეობდა ნახქევანის სახრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ერნჯაკის მარცხენა სანაპიროზე<sup>86</sup>.

თოლთამიშის განადგურებისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ლაშქრის შემდეგ თემურ ლენგი ინდოეთს სალაშქროდ ემზადებოდა, რომელსაც 1398 წ. შემოდგომაზე მრავალრიცხოვანი ჯარით შეესია. გიორგი მეფემ ისარგებლა ამით და გადაწყვიტა მტერი ამიერკავკასიიდან გაეძეებინა. მას თანაგამზრახნიც გამოუჩნდნენ; შაქის მმართველმა გიორგი მეფეს დახმარებისათვის მიმართა. გიორგი დაუჟავშირდა აგრეთვე ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებს, რომლებიც, მიუხედავად დამარცხებისა, აგრძელებდნენ თემურის წინააღმდეგ ბრძოლას. ერთ-ერთი მათგანი იყო ალინჯის ციხეში გამაგრებული აჰმედ ჯალაირიანის ვაჟი თაჰერი<sup>87</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, 1395—1396 წლებში თემურ ლენგს დარიალი უნდა დაეკავებინა. მას შემდეგ, რაც გიორგი მეფემ შეძლო თვით ნახქევანშიც კი ელაშქრა წარმატებით, ბუნებრივია, იგი შესძლებდა დარიალის დაბრუნებასაც და ამით იქნებოდა გამოწვეული თემურის ხელახალი ბრძოლები დარიალისათვის 1400 წელს.

22. მიუხედავად იმისა, რომ ორბელიანები წარმომავლობით ქართველები იყვნენ, ტათევის მონასტერში 1401 წ. გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში გადამწერი სარგისი ხაზგასმით აღნი-

---

<sup>86</sup> იხ. V. Minorsky, „Alindjak or Alindja“, EJ, ახალი გამოცემა, I, გვ. 404.

<sup>87</sup> ქ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 96—101. დ. კ ა ტ ი ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142.



შნავს მათ მოდგმით სომხობას. ასევე, იმავე ტათევის მონასტერში მოღვაწე გადამწერი თუშაყ ორბელიანებს „მოდგმით სომხებს“ ეძახის<sup>88</sup>. რა თქმა უნდა, ორბელიანები, სიუნიქის მთავრები, ამ დროისათვის გასომხებული იყვნენ, მაგრამ შეუძლებელია მათ დღეწეული ჰქონოდათ თავიანთი ქართული წარმომავლობა. ალბათ, ესეც იწვევდა, რომ ისინი საქართველოსთან და ქართველ მეფეებთან XV ს-ის პირველ ნახევარშიც მკიდროდ არიან დაკავშირებული. შესაძლოა, აღნიშნულ ჰიმნატაკარანებში ორბელიანთა „მოდგმით სომხობის“ ხაზგასმაც მიუთითებდეს, რომ ხსოვნა მათი ქართული წარმომავლობის შესახებ ცოცხლობს სიუნიქის სამთავროს სახლს გარეთაც. ჩვენი ავტორები, თითქოს ვილაყას ებაექრებიან, არწმუნებენ მათ სომხობაში. ჩვეულებრივ, სხვა მთავართა სომხური წარმომავლობის ასე ხაზგასმით აღნიშვნას ვერ ვხვდებით. ზაქარია და ივანე მხარგრძელების „მოდგმით სომხობასაც“ უსვამს ხაზს ზოგიერთი თანადროული სომხური წყარო, კერძოდ. 1204 წ. ჰიმნატაკარანი<sup>89</sup>, მაგრამ ისინი წარმომავლობით სომხები რომ არ იყვნენ, ამას XIII ს-ის მეორე ნახევრის სომხურივე წყაროები (კირაკოს განძაკეცი, ვარდან აღმოსავლელი) გვიდასტურებენ.

23. საზოგადოდ, სომხური წყაროების, კერძოდ. ჰიმნატაკარანების ცნობები საქართველოში თემურ ლენგის ლაშქრობათა შესახებ უხვი არაა, მაგრამ თანადროული ქართული წყაროების მეტისმეტი სიმწირის პირობებში მათი გათვალისწინება აუცილებელია თუნდაც იმიტომ. რომ თემურის ისტორიკოსთათვის დამახასიათებელი ტენდენციურობა, ცალმხრივობა მათთვის უცხოა. სომეხი და ქართველი ავტორები ამ შემთხვევაში ერთნაირ, თემურის ისტორიკოსთა საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან და ამდენად, მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის სურათის აღდგენას ხელს უწყობენ.

როგორც ვხედავთ, ტათევის მონასტერში მოღვაწე გადამწერი სარგისი 1399—1400 წლებში ამიერკავკასიაში თემურის მეოთხე შემოსევის აღნიშნავს. გრიგორ ხლათეცის მიხედვით კი, ეს მხოლოდ მესამე შემთხვევა იყო<sup>90</sup>. ეტყობა, იგი ლაშქრობათა რიცხვს ანგარიშობს იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ მოვიდნენ ჩალათაელები ამიერკავკასიაში. ტათეველი სარგისი კი, არ აერთიანებს თემურის მიერ მისი მშობლიური სიუნიქის დარბევას 1386 და 1387

<sup>88</sup> იხ. აქვე, ჰიმნატაკარანი № 33.

<sup>89</sup> იხ. Գ ա ը Լ գ ի ը և. Կ ա թ ի ղ ի կ ի ս, Մխչառասկուրանք ձեռագրութիւն. 695—700.

<sup>90</sup> იხ. აქვე, ჰიმნატაკარანი № 27.

წლებში, მათ ორ ლაშქრობად თვლის და ამიტომაც აღნიშნავს 1399 წელს თემურის მეოთხედ მოსვლას. ნიშანდობლივია, რომ საერთოდ სომხეთში თათართა სამ ან ოთხგზის შემოსევებზე ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც საქართველოში შემოსევათა რიცხვი მეტია. ერთი შეხედვით, ეს, იქნებ, მოულოდნელობად გვეჩვენოს, რადგან სომხეთი საქართველოსთვის იყო სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა თუ სამხრეთ-დასავლეთის კედელი მომხვედურთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმხანად კავკასიაში საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, რომელმაც მედგარი, ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწია ჩალათაელებს.

1400 წელს ქართველ წარჩინებულთა ლალატს არა მარტო სომხური, არამედ სპარსული წყაროებიც აღნიშნავენ<sup>91</sup>. საყურადღებოა ტათეველი გადამწერის, სარგისის დამოკიდებულება მოლაღატეებისადმი. იგი მათ „ბოროტებს“, „შეჩვენებულებს“ უწოდებს, ე. ი. გმობს მათ საქციელს. ეს აიხსნება იმით, რომ ეროვნული სამეფოს უქონლობის პირობებში სომხებს სურთ კავკასიაში არსებობდეს ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც საერთო მტერს ვაუწყლავდებოდა.

ჰიშატაკარანის მიხედვით, თემურის მიერ 1399—1400 წლებში საქართველოს დალაშქრის შედეგად 100.000 სულის დანაკარგი აღწერილია. რაკი საუბარია საერთოდ დანაკარგის და არა მარტო ტყვეთა რიცხვზე, ეტყობა, „აღწერა“ ქართველებს ჩაუტარებიათ; გარდა ამისა, თემურ ლენგმა ამ დროს ქვეყნის საბოლოო დამორჩილება ვერ შეძლო და მის „აღწერასაც“ ვერ იფიქრებდა. სა-ქართველოში „აღწერის“ ჩატარების სასარგებლოდ, შესაძლოა, ისიც მეტყველებდეს, რომ 1422 წ. ჰიშატაკარანში<sup>92</sup> გრიგორ ხლათეციც ასახელებს 1399—1400 წლებში მოკლულ ქართველთა რიცხვს (100.000), მაშინ როდესაც 1400 წელს<sup>93</sup> იგი მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს მსხვერპლის მრავალრიცხოვნების შესახებ. თუ მართლა აღწერა საქართველოს ხელისუფლებამ დარბეული ქვეყანა, იგი ამ საქმეს შედგომია მომხვედურთა წასვლისთანავე. ფიქრობთ. საყურადღებო ფაქტია: სამეფოს მესვეურები. ეტყობა. სწრაფად ცდილობენ ძალების მოკრებას, დანგრეული ქვეყნის აღდგენას და ახალი თავდაცვითი ბრძოლის თადარიგს იჭერენ.

<sup>91</sup> იხ. ე. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 130.

<sup>92</sup> იხ. აქვე. ჰიშატაკარანი № 43.

<sup>93</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 27.

100.000 სულის დანაკარგიდან თუ რამდენი იყო მოკლული და რამდენი დატყვევებული, ამის გარკვევაში თომა მეწოფეცის ცნობა დაგვეხმარება. მისი სიტყვით, ჩალათაელებს საქართველოდან 60.000 ტყვე წაუყვანიათ; ეტყობა, 1400 წელს ტყვედ გარეკილები იკულისსმებთან<sup>84</sup>. მამასადაძე, თემურ ლენგის ჯარს საქართველოში 1400 წელს შემოსევის დროს 40.000 სული მოუკლავს და 60.000 დატყვევებია. მართალია, გრიგორ ხლათეცი 1422 წლის ჰიშატაკარანში 100.000-ზე მეტს მართო მოკლულს ასახელებს, ხოლო ტყვეების რიცხვი. მისი სიტყვით, ამაზე მეტიც ყოფილა<sup>85</sup>, მაგრამ უპირატესობა. ცხადია, 1401 წ. ცნობას უნდა მიენიჭოს, ჯერ ერთი, აღრინდულობის, თანადროულობის გამო, მეორეც, იმის გამო, რომ გრიგორ ხლათეცი საქართველოდან გაცილებით შორს მოღვაწეობდა. ვიდრე 1401 წ. ჰიშატაკარანის ავტორი სარგისი. ამავე დროს, ორივე ავტორის მიერ დაღუპულთა თუ საერთო დანაკარგის ერთი და იგივე რიცხვით, 100.000-ით განსაზღვრა, ეგების, არ იყოს შემთხვევითი და ამდენად, ინტირესს მოკლებული.

თემურ ლენგის სისასტიკის შედეგი უნდა იყოს მისი სახელის ეტიმოლოგიის „ძიება“ შირვანში მცხოვრები ხელნაწერთა გადაშენების თუმა თავრიზეცის მიერ 1403 ჰიშატაკარანში. ამ ანტიქრისტეს წინამორბედის სახელი „თამურ“ (სომხურ წყაროებში ამ დრომით გვხვდება მისი სახელი) ნიშნავს „და მურ“-ს<sup>86</sup>, რაც ქართულად ასე გადმოითარგმნება: „ეგ ბნელი“. თუმას სიტყვით, თემურს ასეთი სახელი შეეფერებოდა კიდევ, რადგან „სადაც შეაღწა. სიბნელე და თაღნი გააფეფა, ზოგი გაძარცვა, ზოგი აწამა. ზოგი მოკლა. სხვანი დაატყვევა, დააშორა მამა ძეს და ძე მამას და ასე შენდევ. ვერც ისინი გადარჩნენ, ვინც გამოქვაბულებსა და ნაპრალებს. ციხეებსა და სიმაგრეებს მიაშურა, რადგან ზოგი შიშმილით მოკვდა. სხვანი პაპანაქებისა და წყურვილისაგან, ნახევარი შიშისა და ძრწოლისაგან თვითონვე გადაცივიდნენ კლდეებიდან, სხვაც მრავალი“.

<sup>84</sup> თომა მეწოფეცი, ლანგ-თემურის ისტორია, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1937, გვ. 21; კ. ტ. ა. ბაბაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 149.

<sup>85</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 43.

<sup>86</sup> საშუალო სომხურში „თამურ“-ის მავიერ შეიძლება გამოეთქვათ და დაეწერათ „დამურ“.

ვალი საშინელება დატრიალდა, რის თქმასაც ვერ ვებედავ, რადგან მკითხველი არ შეძრწუნდეს“<sup>97</sup>.

აღსანიშნავია, რომ შირვანი თემურ ლენგის ლაშქრობების დროს შედარებით გადაურჩა დარბევას, რადგან შირვანშაჰი იმთავითვე თემურის მონა-მორჩილი გახდა. ამდენად, შირვანში მოღვაწე თუმა თავრიზეცისაგან თითქოს არ იყო მოსალოდნელი თემურის ასე „შემკობა“, მეტადრე მის სიცოცხლეშივე, 1403 წელს. ზაგრამ ვასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანებისადმი, კერძოდ, დარბეული სომხებისადმი თანაგრძნობის გარდა, თუმა შირვანში თავრიზიდან ჩანს მოსული, შესაძლოა, იძულებითაც, ჩალათაელთა შემოსევის შედეგად.

გარდა ჰიშატაკარანებისა, თემურ ლენგის ლაშქრობების შესახებ ცნობები მოიპოვება იერუსალიმის მატენადარანის ხელნაწერ კრებულებშიც. ვფიქრობთ, ეს ცნობები ხელს შეუწყობენ მთელი რიგი საკითხების, მაგ., საქართველოში თემურის ლაშქრობის მარშრუტის, ალინჯის ციხის გამო გიორგი მეფის ბრძოლისა და სხვათა შემდგომ შესწავლას. ამის გამო, მიზანშეწონილად ვთვლით მათი ქართული თარგმანის აქ მოტანას:

1. „სომხური წელთაღრიცხვის „პლე“-ს (1386) ლანკ-თამური მოვიდა თავრეხსა და ნახქევანში, ერთ დღეში დაიპყრო კარბიმდე და ბჯინიმდე, გარნიმდე და სურმარიმდე, კოლბამდე. იქედან წავიდა საქართველოში და საღვთო ომი გამოუცხადა ქალაქ ტფილისს. შეიპყრო მეფე ბაგრატე, გაამაჰმადიანა, წავიდა და დაიხამთრა მულანს...“

სულთან აჰმადის ძე იყო ერნჯაკის ციხეში, მოვიდნენ ქართველები და წაიყვანეს. თამურმა ეს რომ გაიგო, განრისხდა, ბრაზმორეული დაიძრა და წავიდა საქართველოში, ფრიად ააოხრა და ავნო [ქვეყანას] მახვილით, დაატყვევა იგი, ტფილისში შესანიშნავი ეკლესიები დაანგრია. იქედან გადავიდა შამს<sup>98</sup> და მიუაზლოვდა იერუსალიმს, მაგრამ იქ არ შესულა. დაბრუნდა მრავალი ალაფით და წავიდა სატახტო [ქალაქში]“<sup>99</sup>.

2. სხვა ხელნაწერ კრებულში, რომელიც XV საუკუნით თარიღდება, მოთავსებულია „თამურის ისტორია“. „სომხური დიდი წელთაღრიცხვის „პლე“ (1384) წელს... მოვიდა თამური და ააოხ-

<sup>97</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, გვ. 31.

<sup>98</sup> იგულისხმება ისტორიული სირია.

<sup>99</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, გვ. 52, შენ. 1.

რა აღმოსავლეთი ქალაქ ტფილისამდე; ქართველთა მეფე ბაგრატის ტყვედ წაიყვანა.

ღმერთმა მოაღბო მისი გული და გაუშვა მეფე, გაზაფხულზე მოვიდა გელარქუნის მთაზე, სამი თვე დაჰყო იქ თავისი ჭარით, მოკლა ჰასან დობეჯი და მისი სამი ვაჟი, სარგისი, აღბულა და შრუან-შა. შემოიკრიბა ჭარი და გაემართა ციხესიმაგრე ერნჯაყის წინააღმდეგ, მისი აღება ვერ შეძლო...

„პსც“ (1398) წელს მეფე გიორგი და მისი ძმა კონსტანტინე ბურთელის ძე ბეშქენის შვილიშვილის — გუგუნის ძის სუმბატის წინამძღოლობით გაემართნენ და აიღეს ერნჯაყის ციხე, გამოიყვანეს სულთანი თაჰერი... და წაიყვანეს საქართველოში. ციხის გარემომცველი მხედრობა მოსპეს...

ქართველთა მეფე „გკ“ (300) კაცით ჯერ ისევ ციხესთან იყო, როდესაც მოვიდა „ლ“ (30) ათასზე მეტი ჩაღათაელი და ალყა შემოარტყეს მათ; ისინი მდინარის პირას იმყოფებოდნენ მოუშზადებლნი, მაგრამ ეკეთენ მტერს, სასწაულებრივად ამოხოცეს ისინი და გაბრუნდნენ.

„პბთ“ (1400) წელს... მოვიდა თამური, მიეგებნენ ქართველი მთავრები, უწინამძღვრეს და შეიყვანეს საქართველოში, მეფე გაიქცა აფხაზეთში, მომხდურებმა დიდად ავნეს ქვეყანას, ეკლესიები და ციხეები დაანგრიეს, საკათალიკოსო მცხეთა ძირფესვიანად დააქციეს, აგრეთვე ქალაქი<sup>100</sup> და ქვეყანა [ააოხრეს], მამაკაცები დახოცეს, ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხეს“...<sup>101</sup>

24. მარცვლეულის საწყაო კაბიწი გავრცელებული იყო ჩვენშიც, აქ ამ ერთეულის სიდიდე XIII—XV ს-ის პირველ ნახევარში, ისევე როგორც XIV ს-ის ირანში, საშუალოდ 10 კგ იყო<sup>102</sup>.

25. „დრამა“ იყო როგორც წონის, ასევე ფულის ერთეული. ჯერცხლის ფულის ერთეულის აღსანიშნავად „დრამა“ საქართველოშიც იყო გავრცელებული. „უფრო ადრე თუ არა, XIII საუკუნიდან მაინც ვიდრე XV საუკუნემდე ეს ტერმინი ხმარებაში ყოფილა და თავისი მნიშვნელობით ბერძნულ დრამას და შენდევ არაბულ დირჰემს უდრიდა“<sup>103</sup>.

<sup>100</sup> იგულისხმება, ალბათ, თბილისი.

<sup>101</sup> მსაქრ ვიღვასკ ბსოაფრავ შრეფი მსაქიქხანენ. VI. კაყმენე ზ. ¶ ი ი ყ ა-რ ხ ა ნ. ხრისაყლქმ. 1972. გვ. 27 - 28.

<sup>102</sup> იბ. გ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 92—93.

<sup>103</sup> დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1969, გვ. 174.



„ქართველთა სავანეში“<sup>110</sup>, რომელიც მდებარეობდა ლორეში, ახლანდელი ახტალის მახლობლად. XII—XIII საუკუნეებში, გარკვეულა ღონისძიებების შედეგად საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრები მრავალი სომეხი მოიქცა ქალკედონიანობაზე, „ქართულ რკულზე“; ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს სიმეონიც. პლნძაპანქის შესახებ კირაკოს განძაკეცი გადმოგვცემს: როდესაც გარდაიცვალა ივანე მხარგრძელი, იგი დაასაფლავეს „პლნძაპანქში, იმ ეკლესიის კარებთან, რომელიც თვითონ ააშენა, ჩამოართვა [რა] სომხებს, [რქ] ქართველების სავანე დააფუძნა“<sup>111</sup>. კირაკოსი მეორეგანაც იმეორებს იგივე ამბავს: ივანე „დაკრძალეს პლნძაპანქში, რომელიც შას აეშენებინა ქართველთა სავანედ, ჩამოართვა [რა იგი] სომხებს“<sup>112</sup>. პლნძაპანქის სახელწოდებით ორი მონასტერია ცნობილი; კირაკოს განძაკეცის მიერ მოხსენიებული მონასტერი, შესაძლოა, ბიჯნისას მხარეში იყო და არა ლორეში, ვაგრამ სომხური მონასტრებს „ქართულად“. ქალკედონურად გადაქცევა იმ ხანებში ჩვეულებრივი იყო და ლორეში მდებარე პლნძაპანქსაც იგივე გზა უნდა გაეკლა. „ქართულად“, ქალკედონურად ქცეულ სომხურ მონასტრებში ქალკედონიან სომხებს გარდა, ალბათ, ქართველებიც მოღვაწეობდნენ<sup>113</sup> და ამის გამოც ეძახდნენ მათ „ქართველთა სავანეს“. ქართველების გვერდით მოღვაწე სომეხი ქალკედონიანისთვის, კერძოდ, სიმეონისათვის ქართულიდან სომხურად სათარგმნელად ხელსაყრელი გარემო იქნებოდა შექმნილი. სომხეთში ქართული მონასტრების დაფუძნება, ასევე სიმეონის მთარგმნელობითი მოღვა-

ყინძარანხეჩი სი ქრეარყმანიცხინენხერ ქრეხეცქენქ. ლს. 1947 № 3. გვ. 129). მონასტრის სახელწოდების პირველი ნაწილი „პლნძა“ ქართული შესატყვისით, „სპილენძით“ შეუცვლიათ. შესაძლოა, არ იყოს შემთხვევითი, რომ 1227 წ. ვადაწერის ხელნაწერის პიშტაკარანში სიმეონი მონასტრის სპლნძაპანს უწოდებს (იხ. ზარსეჩი ს. ყარეჩი ს. შიჯაოთსკარანსერ ბნოსაყრეყ, გვ. 847—848; შიჯსაქ ბნოსაყრეყ ნ. ს. № 1013, გვ. 458—459), ხოლო 1448 წლის პიშტაკარანში — პლნძაპანქს (იხ. ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130). ეს, იქნებ, გამოიწვია იმან, რომ მონასტრის ცხოვრებაზე ქართული გავლენა 1227 წლისათვის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 1248 წლისათვის, როდესაც საქართველოს სახელმწიფო დასუსტებულია.

<sup>110</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130—131.

<sup>111</sup> ყჩიქოვი ს. ზანაქსეჩი, ლაქიე იყათომიქიცი, გვ. 222.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>113</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 132; ზ. შირაქიანი, ქრეხეცქენ არბანაყრიქიციენხერ ლაქათომიცი, ზინძარანსერ, ქრეხეცქენ, 1973, № 1. გვ. 49—51. Е. С. Такайшвили. Грузинские надписи Ахталы, СМОНПК, вып. XXIX. გვ. 143.

წვობა, საზოგადოდ, სომეხთა შორის ქალკედონიანობის, „ქართული რჯულის“ ფართოდ გავრცელებას ისახავდა მიზნად. სწვა თხზულებათა შორის, სიმეონს ქართულიდან სომხურად უთარგმნია „სიტყუ-ესგებაჲ სომეხთა მიმართ“ და მასში წარმოდგენილი „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“, რომელსაც „მონოფიზიტ სომეხთა აღსარება აქვს მიზანში ამოღებულნი“<sup>114</sup>.

27. სომეხთა გულწრფელი წუხილი თემურ ლენგის მიერ საქართველოს დარბევის გამო გამოწვეული იქნებოდა იმიტაც, რომ მტრის მიერ დახოცილთა და ტყვედ გარეკილთა ერთი ნაწილი საქართველოში მცხოვრები სომხებიც იქნებოდნენ. ცნობილია, რომ თემური მასობრივად ატყვევებდა მის მიერ დარბეული ქვეყნების ვაჭარ-ხელოსნებს. საქართველოს ვაჭარ-ხელოსანთა ერთი ნაწილი იმ დროს სომხები იქნებოდნენ და დატყვევებულთა შორის მაინც ისინი უეჭველად მოხვდებოდნენ. როგორც ვხედავთ, ტათევის მონასტერში 1406 წელს გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში გორელი გადამწერი გრიგორი აღნიშნავს ჩალათაელთა მიერ მისი ძმის დატყვევებას. გრიგორი და მისიანები გორელ სომეხთა ზედაფენას რომ არ შეეკუთვნებოდნენ, ამაზე მიუთითებს შემდეგი: 1. წარჩინებულნი მონასტრებში, ჩვეულებრივ, უბრალო გადამწერები არ იყვნენ. 2. მათ მიმართ არ არის ნახმარი „წარჩინებულობის“ გამოხატველი ტერმინები — „პარონ“, „ტერ“. მასასადაჲ, გრიგორის ძმა ხელოსანი ან ვაჭარი იქნებოდა.

1432 წლამდე თბილისში გადაწერილი XV ს-ის სომხური ხელნაწერი არ ჩანს, მაშინ როდესაც მომდევნო ხანებისა უხვად მოიპოვება. შესაძლოა, ესეც იმაზე მიუთითებდეს, რომ თემურის მიერ საქართველოდან გარეკილ ტყვეებში თბილისელი სომხებიც ერივნენ.

28. თემურ ლენგის სიკვდილის (1405 წ.) შემდეგ საქართველომ, მართალია, უმაღლესი მოიშორა მომთაბარეთა ბატონობის უღელი და მეფე გიორგიმ დამპყრობლებს საქართველოს საზღვრებს გარეთაც კი შეუტია<sup>115</sup>, მაგრამ ქვეყანას მალევე ახალი მტერი გამოუჩნდა შავბატკნიან, ყარა-ყოიუნლუს თურქმენთა სახით. მათ ამირა ყარა ოუსუფს ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს შექმნის გზაზე, ეტყო-

<sup>114</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

<sup>115</sup> ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი ე ა ბ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 276. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 216—216; დ. კ ა ო ო ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161



ბა, საქართველოს მეფის დამორჩილებაც აუცილებლად მიაჩნდა, რადგან გიორგი VII-ის მოქმედებიდან ჩანდა, რომ მას შეიძლებოდა სამხრეთ კავკასიაში მეტოქეობა გაეწია ყარა იუსუფისათვის.

ვახუშტის მიხედვით, „ვითარ იყო ქირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაჰმადიანთა ზედა, ვიდრე რახსისა კიდემდე მოსრეითა და ალაფობითა, ამისთვის შეიკრიბნენ ყოველნი თურქთა ლაშქარნი დიდძალნი... წარმოემართნენ ქართლსა ზედა. მოესმა რა მეფესა მოსლვა მათი და ვითარ გამარჯვებული იყო მათ ზედა მრავალგზის, სისწრაფითა არლარა მოიცადნა სხუანი სპანი თჳსნი, გარნა რაოდენნი ესწრნენ თჳსთანა, მიეგება წინა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, რამეთუ მოისრნენ თურქნი უმრავლესნი: არანედ ძლიერსა ბრძოლასა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან ქსა ჩუზ, ქართულს ეჴე (1407 წ.) და მოსრნეს სრულიად სპანი მისნი“<sup>116</sup>. ივ. ჭავჭავაძის სიტყვით, ეს დიდი ომი ყარა იუსუფის სამხედრო მოღვაწეობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული<sup>117</sup>. როგორც ვხედავთ, ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰიზანში 1407 წ. გადაწერილი ხელნაწერის პიშატაკარანშიც აღნიშნულია ყარა იუსუფის შემოჭრა საქართველოში. რაკი ამ აზბის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, პიშატაკარანს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მასში მოცემული რიცხვი დატყვევებულთა და დახოცილებისა შეიძლება ზუსტი არც იყოს, მაგრამ საყურადღებო მაინც არის. ვფიქრობთ, თუ გიორგი მეფე ბრძოლაში მოკლეს, ხელნაწერის გადამწერი ჰოვანესი ამას პიშატაკარანში იტყვოდა: საქმე ისაა, რომ თემურ ლენგის მიერ ბაგრატ მეფის დატყვევებას, ასევე ყარა იუსუფის მიერ კონსტანტინე I-ის დატყვევებასა და მოკვლას, სომხური წყაროები, მათ შორის პიშატაკარანებიც, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება, უმაღვე აღნიშნავენ. ეტყობა, მათ ეს ამბავი ძალზე უჩვეულოდ ეჩვენებათ. ვახუშტის ცნობით, მეფე გიორგის სიკვდილი მტერს არ გაუგია<sup>118</sup>. თუ ეს სწორია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გიორგი VII ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და მხოლოდ ბრძოლის დამთავრებისა და მტრის წასვლის შემდეგ გარდაიცვალა: პიშატაკარანშიც ამის გამო არ უნდა იყოს ცნობა მეფის მოკვლის შესახებ.

გიორგი VII-ის მეფობის ვახუშტისეული ზედა თარიღი (1407 წ.), რომლის შესახებ სხვა ცნობები არა გვაქვს, სწორი უნდა

<sup>116</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 276.

<sup>117</sup> ივ. ჭავჭავაძის ილი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 424.

<sup>118</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 276.

იყოს. ვახუშტის მიერ აღნიშნული დიდი ბრძოლა 1407 წელს, რომელსაც იგი უკავშირებს გიორგის სიკვდილს, მართლაც მომხდარა. 1407 წლის შემდეგ გიორგი რომ აღარ იყო საქართველოს მეფე, ესეც დასტურდება. საქმე ის არის, რომ გიორგის მომდევნო მეფე კონსტანტინე I როდესაც „გაუწყრა შვილსა, მეფესა ალექსანდრეს“, „ალექსანდრე მეფე ათაბაგს ივანესთანა“ გადაიხვეწა და იქ „ლარიბობაში“, მწირობაში ხუთი წელი გაატარა<sup>119</sup>. რადგან მეფე კონსტანტინე I 1412 წელს ყარა იუსუფმა ტყვედ იგდო ხელთ<sup>120</sup> და მალე სიცოცხლესაც გამოასალმა, იგი უნდა გამეფებულიყო არა უგვიანეს 1407 წლისა.

20. საუკუნეების მანძილზე ქრისტიანი ერები, მათ შორის ქართველები და სომხები, ერთმანეთს ეცილებოდნენ გოლგოთასათვის; ქართველებსა და სომხებს შორის გოლგოთასათვის დავა განსაკუთრებით გამწვავდა XV საუკუნეში. გ. ფერაძის სიტყვით, ჩანს, რომ 1391 წლისათვის ქართველები ფლობდნენ გოლგოთას, ხოლო ამის შემდეგ რამდენ ხანს შეინარჩუნეს მათ უფლებები გოლგოთაზე, უცნობია<sup>21</sup>. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, XV ს-ის 20-იან წლებში ქართველებმა კვლავ შეძლეს დაუფლებოდნენ გოლგოთას. მაშასადამე, 1391 წლის შემდეგ 1420-იან წლებამდე მათ ერთხელ მაინც უნდა დაეკარგათ იგი. 1407 წელს იერუსალიმში გადაწერილი ხელნაწერის ჰიმნოგრაფიდან უნდა ჩანდეს, რომ ამ დროისათვის გოლგოთა სომეხთა ხელთაა. მართალია, ხელნაწერის ვადამწერი კარაპეტი გოლგოთას გარდა წმ. საფლავის ეკლესიასაც ახსენებს, მაგრამ აქ მართო ერთ ხალხს არ ეკუთვნოდა ღვთისმსახურების უფლება, გოლგოთასათვის კი იმ ხანებში მხოლოდ ქართველები და სომხები ეცილებოდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა, კარაპეტი თავის თავზე ამბობს, რომ იგი არის საქართველოდან („საქართველოელი“ — ვრატანეცი), ხოლო თუ მაშინ გოლგოთა ქართველთა

<sup>119</sup> ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 117.

<sup>120</sup> რ. კიკნაძე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თსუ შრომები, 108, თბ., 1964, გვ. 382; დ. კაციაძე, დასახ., ნაშრომი, გვ. 162—163, შენ. 3.

<sup>121</sup> G. Peradze, An Account of the georgian Monks and Monasteries in Palestine (as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims), Georgia, 1937, № 4—5, გვ. 217—218. XV ს-ის დამდევის „გოლგოთას სენიქსარის“ მინაწერიდანაც უნდა ჩანდეს (იხ. ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. 41). რომ იმ დროისათვის გოლგოთა ქართველებს ეკუთვნოდათ.

ხელთ იყო, სომეხი ბერები ასეთ დროს ყველაფერს აკეთებდნენ მის დასაბრუნებლად, არ ერიდებოდნენ ქართველთა ლანძღვასაც და ანის გამო კარაპეტი, ალბათ, აღარ აღნიშნავდა თავის „გრატიანეცობას“. ეტყობა, XIV ს-ის დასასრულსა და XV ს-ის დასაწყისში, როდესაც ქვეყანას ღვთის რისხვად მოევიდნა თემურ ლენგი, იერუსალიმელ ქართველ ბერებს საქართველოდან მხარდაჭერა მოაკლდათ.

30. როგორც აღვნიშნეთ, ყარა იუსუფმა კონსტანტინე I ტყვედ იგდო ხელთ და სიცოცხლეს გამოასალმა 1412 წელს<sup>122</sup>. მათეოს მოძღვრის თხზულების ჰიშატაკარანში კონსტანტინეს მოკვლის თარიღი, ეტყობა, აღნიშნული არ არის. მათეოსი მხოლოდ იმას ამბობს, რომ იგი წერას შეუდგა სომხური წელთაღრიცხვის 860 წელს (19. 12. 1410—8. 12. 1411). შესაძლებელია, რომ მას წერა ერთ წელიწადში არ დაუსრულებია, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში იგი ხელნაწერის გადამწერი კი არაა, არამედ ორიგინალურ თხზულებას წერს. ამ თხზულებაზე მათეოსს რამდენიმე წელიწადი რომ უმუშავია, ეს უნდა ჩანდეს შემდეგიდანაც: ჰიშატაკარანში იგი აღნიშნავს, რომ წერას შეუდგა იმ წელიწადს, როდესაც გარდაიცვალა მისი დიდი მოძღვარი, ცნობილი სომეხი მწერალი და მოღვაწე გრიგორ ტათევაცი. ცნობილია, რომ გრიგორი გარდაიცვალა 1409 წლის 27 დეკემბერს<sup>123</sup>, ე. ი. სომხური წელთაღრიცხვის არა 860 წელს, როდესაც მათეოსი, მისივე სიტყვით, წერას შედგომია, არამედ 859 წელს. მაშასადამე, მათეოსს თავისი სახელგანთქმული მასწავლებლის გარდაცვალების თარიღიც არა აქვს ზუსტად დასახელებული. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მათეოსი თხზულებაზე ორი-სამი წელი მაინც მუშაობდა, მან მხოლოდ მუშაობის დასაწყისის თარიღი აღნიშნა და მოიხსენია ის ამბები, რომლებიც დაახლოებით მისი თხზულების წერის დროს მოხდა. არც ის არის გამორიცხული, რომ თხზულების დასრულებისას მათეოსს ზუსტად აღარ ახსოვდა, როდის შეუდგა წერას და მართლაც იმ წელიწადს გარდაიცვალა თუ არა გრიგორ ტათევაცი. ასეთი რამ კი მოსალოდნელია მაშინ, თუ იგი თხზულებაზე რამდენიმე წელს მაინც მუშაობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათეოსი ამ ხანებში მოხუცი ან ავადმყოფი ყოფილა<sup>124</sup>.

<sup>122</sup> რ. კიკნაძე. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, გვ. 382; დ. კაკიტიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—163, შენ. 3.

<sup>123</sup> X V საუკუნის ჰიშატაკარანები, I, გვ. 101, შენ. 1.

<sup>124</sup> L. ხაკიტიანი შაოხნის ღიოყაყეილ კყანენ ილ მათონსაიქოლ-ქიუნერ. ჩანჩერ შაოხნისაყარანსი. III ნ., 1956. გვ. 64.

31. როგორც ვხედავთ, 1412 წელს უფლისციხეში გადაწერილი იადგარის ჰიშატაკარანში საქართველოს მეფედ, ცოცხლად იხსენიება კონსტანტინე I. ეს ცნობა მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ყარა იუსუფმა კონსტანტინე I 1412 წლის დასასრულს დაატყვევა<sup>125</sup>.

32. სიუნიქის (სივნიეთის) მთავარი სუმბატ ორბელიანი ყარა იუსუფსა და აჰმედ ჯალაირიანს შორის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობდა, როგორც აჰმედის მოკავშირე; მოკავშირეთა დამარცხების შემდეგ (1410 წ. აგვისტო), როგორც ჩანს, სუმბატი იძულებული გაიხდარა გასცლოდა სიუნიქს და თავი შეეფარებინა საქართველოსათვის, რადგან ყარა იუსუფი შეუდგა ჯალაირიანთა მოკავშირეების დასჯას; მან სუმბატის სამფლობელოებიც დაიპყრო<sup>126</sup>.

საქართველოს მეფის მიერ ყარა იუსუფისაგან ლტოლვილი ორბელიანების შეფარება, რომელთაც ამაღაც უნდა ხლებოდათ, ალბათ, მიუთითებს იმაზე, რომ უკვე იმ დროს კონსტანტინე I-ს გადაწყვეტილი ჰქონია დაპირისპირებოდა ყარა-ყოიუნლუს თურქმენებს. ამიტომაც მეფე კონსტანტინე სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას შირვანშაჰის მიერ ყარა იუსუფის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში.

შესაძლოა, სივნიელი მთავრები საქართველოსა და ყარა იუსუფის წინააღმდეგ მისი მოკავშირეების დახმარებით იმედოვნებდნენ მათი სამთავროს დაბრუნებას, მაგრამ ყარა იუსუფის მიერ მოკავშირეების დამარცხების (1412 წ.) და მეფე კონსტანტინე I-ის მოკვლის შემდეგ ბეშქენ ორბელიანს გადაუწყვეტია დამორჩილებოდა მას. სუმბატისა და ბეშქენის საქართველოში გადმოხვეწის შესახებ აღნიშნულია განძასარის მონასტერში 1417 წ. გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში<sup>127</sup>, მაგრამ იქ ეს ამბავი თარიღის გარეშეა მოხსენიებული და ამიტომ ლტოლვილობის მიზეზის გამოცნობა ჭირდა. ხელნაწერის გადაშწერი მათეოს მონაზონი, „განძასარეცი“ არც ადგილს ასახელებს, სადაც საქართველოში სივნიელი მთავრები ცხოვრობდნენ.

33. როგორც ამ ადგილიდან ჩანს, ორბელიანებთან ერთად საქართველოში მოსულია გადამწერი მელქისედეკიც. ამაზე ისიც უნ-

<sup>125</sup> რ. კ ი ვ ა ძ ე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, გვ. 382; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, დასახ., ნაშრომი, გვ. 162—163, შენ. 3.

<sup>126</sup> ლ. ს ა ე ლ ი ა ნ. სიონიკაჲ თქუნიანსნი ჩიორქუნიანს ნიოიერ ვე. 81.

<sup>127</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 39ა; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, გვ. 54.

და მაუთითებდა. რომ მისი მასწავლებელი ყოფილა ტათევი მოლვაწე მათეოს მოძღვარი. შესაძლოა, უფლისციხეში მოსული იყოს აგრეთვე ხელნაწერის მომგებელი, ხუცეს-მონაზონი ტერუნაკანიც, ლ. ხაჩიკიანის მიხედვით, იგი შემდგომ ხანებში აქედან წასულა<sup>128</sup>.

სივნიელ მთავართა და მათი ამაღლის საქართველოში და არა ყარა-ყოუნლუს თურქმენთადმი დაპირისპირებულ სხვა ქვეყანაში თავის შეფარება მიუთითებს ორბელიანთა და მთელი სიუნიქის მკიდრო კავშირზე საქართველოსთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია სიუნიქში მოლვაწე მათეოს მოძღვრის, ჯულაეცის დაახლოებით 1411 წლის თხზულებაში, „საქმენი მოციქულთანის“ განმარტებაში გადმოცემული აზრა: მათეოსის სიტყვით, სიკეთე ოთხი სახისაა, ესენია: შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა; ქართველებისთვის დამახასიათებელია ყველა ეს თვისება. „ქართველთა ნათესავს აქვს ეს [თვისებები] სრულყოფილად, ანის გამო გადარჩა მათი სამეფო; ვისაც ეს [თვისებები] აქვს, ისინი განცხრომით იცხოვრებენ“<sup>129</sup>.

როგორც ჩანს, ქართველებზე ასეთი წარმოდგენა არა მარტო სიუნიქში, არამედ მთელ სომხეთშიც ჰქონდათ და ამიტომაც მოეშურებოდა XIV—XV საუკუნეებში საქართველოსაკენ დიდი რაოდენობით თავის საწმობლოში გაუხარელი, მომთაბარეთა თარეშებით განაწამები სომხური მოსახლეობა, აუშკა მათთვის არ იყო უცნობი, რომ გარეშე მტერთა თავდასხმები და თარეში საქართველოსაც არ აკლდა.

84. ყარა იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღებას იხსენიებს გრიგორ ხლათეიცი 1422 წ. ჰიშატაკარანში<sup>130</sup>. ამ ამბის შესახებ შედარებით ვრცლად მოგვითხრობს XV ს-ის ისტორიკოსი თომა მეწოფეცი და ბრძოლის მიზეზსაც ასახელებს, თუმცა სათანადო ცნობა ბუნდოვანია. რუსულად მთარგმნელს ტ. ტერ-გრიგორიანს ჩვენთვის საინტერესო ადგილი ისე გაუგია, რომ თითქოს ივანე ათაბაგს მოუწვევია ყარა იუსუფი ახალციხეში<sup>131</sup>. თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ შეიძლებოდა დაგვეკვინა, რომ კონტას თავს დაპარტახების შემდეგ (1414 ან 1415 წ.) ათაბაგი „ლონედ თავისა უძღურებისა“ იწვევს უცხო ძალას საქართველოს მეფის აღე-

<sup>128</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, პირთა სახელების საძიებელი, გვ. 795.

<sup>129</sup> Լ. Հովհաննիսյան, Լասახ. ნაშრომი, გვ. 427.

<sup>130</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 43.

<sup>131</sup> Ф о м а М е ц о п с к и й, История Тимур-ланка и его преемников, перевод с армянского Т. И. Тер-Григоряна, Баку, 1957, гв. 69—70.

ქსანდრე I-ის წინააღმდეგ. მაგრამ გამოცემული სათანადო სომხური ტექსტის ისეთი ვაგება, რომ ყარა იუსუფი ახალციხეს თავს დაესხა მაჰმადიანების გამოსარჩლების საბაბით<sup>132</sup>, უფრო მისაღები ჩანს. ტ. ტერ-გრიგორიანი არ აღნიშნავს, რომ მას ხელნაწერების მიხედვით დაედგინოს სათანადო ადგილი.

ივანე ათაბაგის სურვილით რომ მომხდარიყო ყარა იუსუფის შესვლა ახალციხეში, მაშინ არ იყო მოსალოდნელი ზოცვა-ქლევა და ტყვეობა, რასაც ჰიშატაკარანები და თომა მეწოფეცი ერთხმად აღნიშნავენ. ყარა იუსუფის მიერ ახალციხის დარბევის მიზეზები, შესაძლოა, იყოს შემდეგი: როგორც ეტყობა, მეფე ალექსანდრე I ყარა იუსუფს ხარკს უხდიდა. ივანე ათაბაგი, ალბათ, გაურბოდა მის მოხარკეობას. გარდა ამისა, მათ შორის წინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო მოსახლერე ტერიტორიების გამოც. ყარა იუსუფს ალექსანდრე I-ის მიერ სამცხის დამორჩილებაც არ აწყობდა და უნდოდა უშუალოდ მოექცია იგი თავისი გავლენის ქვეშ.

35. თემურ ლენგის გარდაცვალების შემდეგ ლტოლილი ყარა იუსუფი თავის მოკავშირე აჰმედ ჭალაირიანთან ერთად დაბრუნდა და შეება თემურიანებს. მან გაანადგურა თემურის მემკვიდრეები, უკანასკნელ ბრძოლაში (1408 წ. 21 აპრილი) დაიღუპა თვით მირან-შაჰი, თემურის ვაჟი. სამხრეთ აზერბაიჯანის თემურიანთაგან გაწმენდის შემდეგ აჰმედ ჭალაირიანმა ჩათვალა, რომ მისთვის საჭირო აღარ იყო ყარა-ყოიუნლუსთან კავშირი და თვითნებურად იწყო მოქმედება. ამის გამო ყარა იუსუფისა და აჰმედის ძალებს შორის მოხდა შეტაკება; 1410 წ. 30 აგვისტოს თავრიზის ახლოს ყარა იუსუფმა სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე, რომელსაც შირვან-შაჰმა იბრაჰიმ პირველმაც მიაშველა ჭარი. ამის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ყარა-ყოიუნლუს, შავბატკნიან თურქმენთა სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში 1413 წლისათვის შედიოდა მტკვრის სამხრეთი აზერბაიჯანი, სომხეთი, ქურთისტანი და არაბული ერაყი<sup>133</sup>.

<sup>132</sup> თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, ლანგ-თემურის ისტორია, გვ. 33; ივ. ჭ ა ვ ა - ბ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, IV, გვ. 29—30.

<sup>133</sup> И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, Сборник статей по истории Азербайджана, I, Баку, 1949, гв. 157—159; Дж. И б р а г и м о в, Феодальные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1962, გვ. 29; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, შენიშვნები დაურთო რ. კ ი კ ნ ა ძ ე მ, თბ., 1966, გვ. 44, შენ. 4; კ. ტ ა ბ ა -

36. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მათეოს მონაზონი — „განძასარეცი“ ყარა იუსუფის მიერ კონსტანტინე I-ის დატყვევებასა და მოკვლას 1414 წლით ათარიღებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექსად დაწერილი ჰიშატაკარანი ხელნაწერში მოთავსებულია ძირითად ჰიშატაკარანზე 70 ფურცლით წინ. ლ. ხაჩიკიანი ფიქრობს, რომ ის დაწერილი უნდა იყოს 1415 წელს<sup>134</sup>. ხელნაწერზე ხანგრძლივად მუშაობას, ალბათ განაპირობებდა ისიც, რომ მათეოს მონაზონი წიგნის მარტო გადაწერი კი არ უნდა იყოს. არაჰედ მისი შემდგენელიც<sup>135</sup>.

37. იხ. კომენტარი 12 და 33.

38. აჰმედ ჯალაირიანის დამარცხების შემდეგ ყარა იუსუფმა შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის დამორჩილებაც განიზრახა. შირვანშაჰს საქართველოს მეფე და შაჰის მმართველი მიეშველნენ. როგორც აღენიშნეთ, მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლა 1412 წლის დამლევს გაიმართა და ამ ბრძოლას მეფე კონსტანტინე I შეეწირა. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ლიტერატურაში ბრძოლის ადგილად ხშირად ჩალაღანი იხსენიება. კიდევ რომ რქმეოდა ბრძოლის ადგილს ჩალაღანი თუ ჩალაღა, მისი მდებარეობა უცნობია. როგორც ვხედავთ, განძასარის მონასტერში მოღვაწე მათეოს მონაზვნის მიხედვით, ბრძოლა ვატნიანის ველზე მომხდარა. უფრო გარკვევითაა დასახელებული ვატნიარის ველი ბრძოლისა და კონსტანტინე მეფის შეპყრობის ადგილად მათეოს მოქლევარის, ჯულაეცის ჰიშატაკარანში<sup>136</sup>. ვატნიარის ანუ ვატნიანის ველი მდებარეობდა დერბენდის სამხრეთით, კასპიის ზღვის პირას<sup>137</sup>. საეჭვოა, რომ ბრძოლა იქ მომხდარიყო; როგორც ჩანს, ბრძოლის ველი ყარაბაღიდან და მდინარე მტკვრისგან შორს არ უნდა ყოფილიყო<sup>138</sup>. აღსანიშნავია, რომ მდ. არაქსის ქვემო დინების მარჯვენა მხა-

---

ტ ა ძ ე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 219—220.

<sup>134</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, გვ. 197, შენ. 1.

<sup>135</sup> ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მათეოს განძასარელის ცნობა ჯართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, გვ. 48.

<sup>136</sup> იხ. აქვე. ჰიშატაკარანი № 35.

<sup>137</sup> შ. ტ რ ე მ ა ნ ჯ აყ ასოფან რ ით „სქესირჩიფიგ“-ქ. ხ. 1963 გვ. 82 - 83; შ ი ძ ი ს ხ ა ყ ა დ ა ნ ს ა თ ი ა ვ ქ ი. ღათაღიქიღ ს ოქ ან ს ი გ ს კ ას ო რ ი ჩ ი რ ა რ დ ა მ ნ ი რ ი ლ ი რ. ათაღაფან რ ი ბ ან ი რ აფ ი რ ი ლ ი ნ ხ ე რ ე. ს ო ა რ ს ე - ჯ ა ნ ი ს ე. 1969 გვ 279, შენ. 92.

<sup>138</sup> ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 15—16, 45—46; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 126—163, შენ. 3.

რეს, ქალაქ ვარდნაყერტის მახლობლად მდებარე ვარდანიანის ველს ვატნიანის ველსაც ეძახდნენ<sup>139</sup>. უფრო მოსალოდნელია, ბრძოლა აქ მომხდარიყო და არა დერბენდის მახლობლად, ოღონდ დაბრკოლება ამ შემთხვევაშიც არსებობს. მათეოს მონაზვნის ლექსად დაწერილი ჰიშატაკარანიდან, ასევე სპარსული წყაროებიდან ჩანს, რომ ბრძოლის ველი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა საძიებელი. მიუხედავად ამისა, ჰიშატაკარანების მიერ ბრძოლის ადგილად ვარდანიანის ანუ ვატნიანის ველის დასახელება, ვფიქრობთ, საყურადღებოა. თუ ამ ველზე არა, ბრძოლა მისგან ახლოს, მტკვრის პირას უნდა მომხდარიყო.

89. ეტყობა, გადამწერი მკრტიჩი სოფელ ოთაში (ამჟამად შედის ასპინძის სადაბო საბჭოში) ახალმოსული უნდა იყოს; ამას გვაფიქრებინებს მის მიერ მასწავლებლად ჰოვანეს ოსკეფორის მიჩნევა, რომელიც ჰიშატაკარანებში ანისის ეპისკოპოსად იწოდება<sup>140</sup>; შესაძლოა, 1418 წლისათვის ჰოვანესი საქართველოში ჯერ არც იყო გადმოსული. ოთაში მკრტიჩის სხვა ადგილიდან, ალბათ, სომხეთიდან მოსვლაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ თავის მოღვაწეობის ადგილს იგი მსგავსად სხვა ახალმოსული გადამწერებისა, მკაფიოდ არ აღნიშნავს, მას არა აქვს ნათქვამი, თუ რომელ ოლქში შედის სოფელი ოთა, რაც ჰიშატაკარანებისათვის უჩვეულოა. ალბათ, მკრტიჩი ჯერ კარგად არ იცნობს იმ გარემოს, რომელშიდაც ის დამკვიდრებულია.

40. სიუნიქში, ვაიოც ძორის გავარში მდებარე ჰერმონის მონასტერში გადაწერილი ზელნაწერის ჰიშატაკარანში საქართველოს მეფის მოხსენიების გარდა ივანე აღბუღას ძის ათაბაგობის აღნიშვნაც არ უნდა იყოს გამოწვეული მხოლოდ იმით, რომ გადამწერი გრიგორი „ახალციხეცია“, „ახალციხელია“<sup>141</sup>. მას რომ „ხელმწიფედ“, აქტიური საგარეო პოლიტიკის გამტარებლად არ ესახებოდეს ივანე, „ახალციხელობის“ გამო ჰიშატაკარანში შეიძლებოდა მოესხნებინა მხოლოდ საქართველოს მეფე, მათ უმეტეს, რომ სომხეთში მოღვაწე „მწერლისაგან“ ივანეს სხენება არც უნდა ყოფილიყო მიზანშეწონილი. საქმე ისაა, რომ როგორც ამავე ჰიშატაკარანიდან ვიგებთ, გრიგორ ახალციხეცის მონასტრის ძმობა ღვენის,

<sup>139</sup> U. X. I. K. S. N. დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

<sup>140</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, პირთა საძიებელი, გვ. 756, № 157.

<sup>141</sup> გრიგორის „ახალციხელობა“, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შესაძლოა, ნიშნავდეს მის წარმომავლობას არა მაინცდამაინც ქ. ახალციხიდან, არამედ, საზოგადოდ, სამცხიდან.



ვითარცა ყარბს, მსხემს. საზოგადოდ, საქართველოში დამკვიდრებული სომხები იმედოვნებდნენ, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, მაგალითებიც გვაქვს იმისა, რომ XV ს-ის პირველ ნახევარში, მეტადრე პირველ მეოთხედში, სომხური კულტურის კერებში მოღვაწეობდნენ საქართველოდან წასული სომხები. ამის გამო გრიგორის დევნა მსხემობის მიზეზით უცნაური ჩანს. სავსებით შესაძლებელია, გრიგორს დევნიან იმისათვის, რომ იგი მოსულია სამცხიდან, იმ ქვეყნიდან, რომლის სომხურ მოსახლეობაში, ათაბაგისადმი დაქვემდებარებულ სომხურ ოლქებში ქალკედონიანობა, „ქართული რჯული“ ფართოდ ვრცელდება და რომლის საეკლესიო და საერო ხელისუფლება ქმედით ღონისძიებებს ატარებენ ამ მიმართულებით<sup>142</sup>, რაც, სხვათა შორის, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი საფუძველი უკვე ივანე ათაბაგის დროს (1391—1444) შემჩნეული<sup>143</sup> სამცხის ეკლესიის პრეტენზიისა მცხეთის საკათალიკოსოდან გამოყოფის შესახებ.

შესაძლებელია, გრიგორ ახალცხეცი სამცხიდან სომხეთში წასული იყოს 1415 წლამდე და მის მიერ გადაწერილი ხელნაწერის 1419 წლის ჰიშატაკარანში ივანე ათაბაგის მოხსენიება გამოეწვიო იმას, რომ გრიგორის სამცხეში ცხოვრების ბოლო წლებში ათაბაგი დამოუკიდებელი, ძლიერი ხელისუფალი იყო.

41. ვაიოც ძორის ანუ ელეგისის მფლობელის ტარსაიჭ ორბელიანისა და მისი ლტოლვილობის მიზეზების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი<sup>144</sup>.

42. ტერმინ „ქალაღის გალესვის“ შინაარსი გამოკვლეული აქვს რ. პატარაძეს<sup>145</sup>.

ჰიშატაკარანებში მეფე ალექსანდრე მხოლოდ 1419 წლიდან იხსენიება. 1414 წელს ეჩმიადინის მახლობლად მდებარე ოშაკანში მოღვაწე სარგის თმოქეციც (წარმოშობით თმოგველი) საკმაოდ ვრცელ ჰიშატაკარანში არ ახსენებს მას, თუმცა ყარა იუსუფისა

<sup>142</sup> აღბათ, ამ მოვლენამაც გააღიზიანა თომა მეწოფეცი. რის შედეგიცაა მის მიერ ქართველების, კერძოდ, ივანე ალბულას ძის აუჯად ხსენება (იხ. თომა მეწოფეცი, ლან-თემურის ისტორია, გვ. 22—23, 26, 29).

<sup>143</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს), გვ. 87; ა. აბდლაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 82.

<sup>144</sup> ლ. ხაჯიქიანი, სკიონაჲ მრეხიანნიხი ჩიოქიან ნიოიღ გვ. 185.

<sup>145</sup> რ. პატარაძე, ქალაღის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, ბალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 49—56.

და ვინმე ჰუსეინ საპათის ძის „მეფობას“ კი აღნიშნავს<sup>146</sup>. 1419 წლიდან ჰიშატაკარანებში ალექსანდრე I-ის ხშირი მოხსენიება მისი საგარეო პოლიტიკის გააქტიურებაზე უნდა მიუთითებდეს, მანამდე კი იგი, ეტყობა, მემკვიდრეობით მიღებული გაუღაბურებულ ჯიქეყანის მოსულიერებაზე ზრუნავდა მხოლოდ.

43. როგორც ვხედავთ, სანაინის მონასტერში 1420 წელს გადაწერილი სახარების ჰიშატაკარანში ჯერ იხსენიება ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს ფადიშაჰი ყარა იუსუფი, ხოლო შემდეგ საქართველოს მეფე ალექსანდრე I. 1424 წელს იმავე მონასტერში, „ღვთივდაცულ ლორეს გაეარში“ გადაწერილ სახარების ჰიშატაკარანში კი, პირიქით, ჯერ აღნიშნულია საქართველოში ალექსანდრეს მეფობა, ხოლო შემდეგ ყარა იუსუფის ძის ისქანდერის მიერ „სომეხთა სახლის მძლავრობით ჰყრობა“<sup>147</sup>. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ორ ჰიშატაკარანში ყარა-ყოიუნლუს მბრძანებლისა და ქართველთა მეფის ადგილების შენაცვლება, იგი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თუ 1420 წელს ლორეს „ქეყანის“ უზენაესი ხელისუფალი ყარა იუსუფია, 1424 წლისათვის ასეთად ალექსანდრე I იჯულისხმება. მართალია, 1424 წლის ხელნაწერის გადამწერი ჰოპანესი მეფე ალექსანდრესა და ფადიშაჰ ისქანდერის ხელმწიფობის აღნიშვნისას იქვე ამბობს, რომ ჩვენზე ქრისტე ღმერთი მეფობსო, მაგრამ ეს ცნობა, ეტყობა, გულისხმობს მხოლოდ მონასტრის ძმობას და ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამ დროისათვის ლორეს „ქეყანა“ თითქოს არ ეკუთვნის არც საქართველოს და არც ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს. საქართველოსათვის ლორეს დიდი მნიშვნელობის გამო წარმოუდგენელია ალექსანდრე I-ს არ შემოეერთებია იგი, თუკი იქ ფადიშაჰის ხელისუფლება აღარ ვრცელდებოდა. 1424 წლისათვის ლორე ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოში რომ აღარ შედიოდა, ამაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ გადამწერი ჰოპანესი აღნიშნავს ისქანდერის მიერ „სომეხთა სახლის მძლავრობით ჰყრობას“, მაშინ, როდესაც იმდროინდელი თვით სომეხი ავტორებიც კი, ჰალბატისა და სანაინის მონასტრებს, საზოგადოდ, ლორეს „ქეყანას“, „სომეხთა სახლში“ შემავალად არ თვლიან, იგი მათ საქართველოს ნაწილად მიაჩნიათ<sup>148</sup>.

44. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიუნიქიდან საქართველოში

<sup>146</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, I, გვ. 162—163.

<sup>147</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 46.

<sup>148</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 58.

გადმოხვეწილ, უფლისციხეში დამკვიდრებულ ბეშქენ ორბელიანს ყარა იუსუფის მიერ ამიერკავკასიელი მოკავშირეების დამარცხებისა (1412 წ.) და მეფე კონსტანტინე I-ის მოკვლის შედეგად გადაუწყვეტია დამორჩილებოდა ყარა-ყოიუნლუს ფაღიშაპა<sup>149</sup>. ბეშქენი სიუნიქში არის, ამ ქვეყნის მთავრად იხსენიება უკვე 1415 წელს<sup>150</sup>. მამამისი სუმბატი საქართველოში გარდაცვლილა 1417 წელზე ადრე<sup>151</sup>. როგორც ტათევის მონასტერში 1422 წელს გადაწერილი ხელნაწერის პიშატაკარანიდან ჩანს, სიუნიქში არ დაბრუნებულა არც ბეშქენის დედა. მასთან 1422 ან 1421 წელს<sup>152</sup> წამოსულა მისი სჩვა ვაჟი, სიუნიქის არქიეპისკოპოსი, ე. ი. ამ ქვეყნის ეკლესიის მეთაური სტეფანოსი.

სიუნიქის ეკლესიის მეთაურის ამოდენა მანძილზე გამგზავრება ესოდენ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში (ყარა იუსუფის მემკვიდრეებს შორის ბრძოლა ტახტისათვის, ჩალათაელთა მბრძანებლის შაპროხის ბრძოლა ისქანდერის წინააღმდეგ, სომხეთის გადაქცევა ამ ბრძოლათა ასპარეზად) მხოლოდ დედის მონახულების მიზნით, ცოტა არ იყოს, დაუჭერებელი ჩანს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოსთან სიუნიქის მკიდრო კავშირს (სიუნიქის მთავრის, ბეშქენის დედის საქართველოში დარჩენაც ხომ ამის დადასტურებაა), შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქიეპისკოპოს სტეფანოსს რაღაც საგანგებო მისია ეკისრებოდა. ალბათ, ამ მისიასთან დაკავშირებულია ალექსანდრე I-ის ლაშქრობა 1423 წელს ყარაბაღში, რის შესახებაც აღნიშნულია XV ს-ის (არა უგვიანეს XVI საუკუნისა) ერთ სომხურ ქრონიკაში<sup>153</sup>.

მოსალოდნელია, რომ ყარაბაღში ლაშქრობამდე ალექსანდრე I შეეცდებოდა საქართველოსთვის ლორეს დაბრუნებას. 1420 წელს დაიღუპა ყარა იუსუფი. ალექსანდრე I-მა, ალბათ, ისარგებლა ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს 1420—1422 წლების გართულებებით და დაიპირა ლორე.

45. 1433 თუ 1435 წლის სეგტიცხოვლისადმი ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნის ცნობით, მეფეს ქართველი დიდებულები-

<sup>149</sup> იხ. აქვე, კომენტარი 32, აგრეთვე პიშატაკარანი № 39.

<sup>150</sup> XV საუკუნის პიშატაკარანები, I, გვ. 653.

<sup>151</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი № 39.

<sup>152</sup> სომხური წელთაღრიცხვის „ჰჰა“ (871) შესაბამება 1421 წ. 6. 12—1422 წ. 5. 12-ს (იხ. *Р. Ш. И. м. а. н. я. н. и, Հայ աստղագիտության պատմություն, Ե., 1968, გვ. 284*).

<sup>153</sup> Մանր ժամանակագրություններ, II, გვ. 515.

სათვის ლორეში მამულები უბოძებია<sup>154</sup>. თუ მართლა ჯერ კიდევ XV ს-ის 20-იანი წლების დამდეგს შეიერთა საქართველომ ლორე, როგორც ჩვენ გვგონია, მაშინ ამდენ ხანს რად უნდა დაეყოვნებინათ ლორეში დიდებულებისათვის ქონების დაბრუნება? როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, 1431 წელს ლორე ქართველებს ხელახლა უნდა შემოეერთებინათ და შესაძლოა იქ ახლად მოსაგვარებელი გახდა ადგილ-მამულის გამიჯვნის, იქნებ 1430 წლისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ მოუგვარებელი საკითხები. მოსალოდნელია, რომ 1420-იან წლებში ერთხანს არც არავის გამოეჩინა სურვილი ლორეში ქონების დაბრუნებისა, რადგან, როგორც ვხედავთ, 1424 წელს სანაინის მონასტერში გადაწერილი სახარების პიშატაკარანის მიხედვით იქ შვეიჭირი მძვინვარებდა.

46. ჩალაბი ლორეში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი რომ იყოს, მას ხელნაწერის გადაწერი პოპანესი პიშატაკარანში ალექსანდრესა და ისქანდერის გვერდით, მათ შემდეგ ან შუაში მოიხსენიებდა და არა იმ ნაწილში, სადაც „მწერალი“ ევედრება სახარების გამომყენებელთ, რომ მის მიერ ჩამოთვლილი მრავალი პირი, მათ შორის ჩალაბიც, ლოცვებში მოიხსენონ. ჩალაბი და მისი ძმა პოვანესი, მეტსახელად ოსკეთორი, „ანისის ეპისკოპოსი“, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას ჩანან. 1426 წელს პოვანესს იადგარი გადაუწერია მალხასსა და თმოგვეში<sup>155</sup>. ორივე ძმა გარდაცვლილა 1432 წელს, როგორც ჩანს, თბილისში<sup>156</sup>. ეტყობა, თავის ძმასთან ერთად, ძველი სამკვიდრო მიუტოვებია ჩალაბსაც და ახლის ძიებაში ერთხანს სანაინის მიდამოებშიც დაუსაღვურებია. ამ დროისათვის ლორეში სომეხთა ერთი ჯგუფი ახალმოსული რომ უნდა იყოს, ამაზე ისიც მიგვითითებს, რომ ხელნაწერის მომგებელი მათეოსი სანაინში აირარატიდან, ჰაიოც-თარის მონასტრიდან მოსულა.

47. ვანის ტბის ჩრდილოეთით, ქალაქ არწიქსთან ახლოს მდებარე კოლუცის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის პიშატაკარანის ამ ცნობიდან უნდა ჩანდეს, რომ საქართველო ამ დროისათვის ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს მოხარკე არ ყოფილა. სხვაგვარად ძნელია ახსნა, თუ რატომ არ ავრცელებს ისქანდერის ბატონობას ხელნაწერის გადაწერი კარაპეტი საქართველოზეც. ამაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგიც: ისქანდერის დაღუპვისა და ტახ-

<sup>154</sup> ქრონიკები, II, გვ. 242—243; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 123—124; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 30—31.

<sup>155</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი, № 47.

<sup>156</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი, № 50ბ.

ტზე ჯაპანშაპის განმტკიცების დროისათვის (1437 წ.), როდესაც საქართველოს სამეფოს მდგომარეობა არასახარბიელო ჩანს<sup>157</sup>, ალექსანდრე I არ გაამწვევებდა ურთიერთობას მასთან, იმ დროს არ იყო პირობები არსებულ მოხარკეობაზე უარის თქმისა. რაკი, მეორე მხრით, ჯაპანშაპი ძველებურად ხარკის გადახდას და ბეჯითებით თხოვს ალექსანდრეს და მისგან უარის მიღების საბაბით თავს ესხმის საქართველოს 1440 წელს<sup>158</sup>, საფიქრებელია, რომ ალექსანდრე I იყო ყარა იუსუფის მოხარკე 1413—1420 წლებში.

48. 1430 და 1431 წლების ამბებს შორის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ვხვდებით ცნობას: „მოვიდნენ სარკინოზნი და ანაზღის უცნობლობით აღიღეს ლორე და თუთ დაიპყრეს“<sup>159</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ცნობა მცდარია, ლორე 1430 წელზე გაცილებით ადრე უნდა ეგდო მტერს ზელთ<sup>160</sup>. კინკლოსური ცნობებით, მეფე ალექსანდრე I-ს ლორე 1431 წელს აუღია<sup>161</sup>. ვახუშტის სიტყვით, „წელსა ქსა ჩულბ, ქართულსა რკ (1432 წ.) შოადგა მეფე ლორეს, აღილო იგი და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრა თუსად ლორე“<sup>162</sup>.

ქართველებს ლორე 1431 წელზე ადრეც რომ გაუთავისუფლებიათ მტრისაგან, ზემოაღნიშნულ მითითებებს<sup>163</sup> გარდა, ამას უნდა ადასტურებდეს ჩვენი მინაწერის ცნობა 1430 წელს ჯაპანშაპის მიერ ლორეს ციხის გარემოცვის შესახებ. თუ არ ვცდებით, 1430 წლისათვის ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰს ისქანდერსა და მის ძმას ჯაპანშაჰს შორის დამოკიდებულების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ რახან 1420—1422 და 1435—1437 წლებში ჯაპანშაპი კავკასიაში მოსულ ჩაღათაელთა მბრძანებლის შაჰროხის ბანაკშია და ისქანდერის წინააღმდეგ იბრძვის<sup>164</sup>, ალბათ, 1430 წელსაც მისივე დავალებით ან დასტურით მოქმედებდა. კავკასიაში შაჰროხის მეორედ მოსვლიდან (1429 წ.) მალე ისქანდერი გაეცალა თავის საბრძანებელს და არაა მოსალოდნელი, რომ მისი მეციხოვნე-

<sup>157</sup> იხ. აქვე, პიშტაკარანი № 60.

<sup>158</sup> თომაშეწოფელი, გვ. 27; ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ისტორია, IV, გვ. 37; იხ. აგრეთვე აქვე, კომენტარი 65.

<sup>159</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 280.

<sup>160</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 30—32.

<sup>161</sup> ქრონიკები, II, გვ. 236.

<sup>162</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 280.

<sup>163</sup> იხ. კომენტარი 43—45.

<sup>164</sup> И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 162, 165.

ები ჭაპანშაჰის ალყისაგან იცავდნენ ლორეს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ისქანდერმა ტახტის დაბრუნების შემდეგ ლალატისათვის სიკვდილით დასაჯა სხვა ძმა, აბუ საიდი და არა ჭაპანშაჰი. ეტყობა, 1430 წლისათვის ლორეს ციხე საქართველოს ეკუთვნოდა. ამავე წელს, შაპროხთან შეთანხმებით თუ მისი დავალებით ჭაპანშაჰს აუღია იგი. შაპროხის მხრივ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება სავსებით მოსალოდნელია<sup>165</sup>. მართალია, ყარაბაღში დაბანაკებულ შაპროხს 1420 წ. დეკემბერში შირვანშაჰსა და შაჰის მფლობელთან ერთად ალექსანდრე I-ის მოციქულებიც ეახლნენ<sup>166</sup>, მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ საერთოდ საქართველოს მეფე შაპროხის უზენაესობას სცნობდა. საწინააღმდეგო მონაცემები კი, ვფიქრობთ, გვაქვს; შესაძლოა, ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდეს მეფე ალექსანდრეს ზემოხსენებული ლაშქრობა ყარაბაღში<sup>167</sup>. გარდა ამისა, აღსანიშნავია შემდეგი: შაპროხის წინააღმდეგ ბრძოლაში ყარაყოიუნლუს ფადიშაჰი ისქანდერი ცდილობდა დაყრდნობოდა არა მარტო მეომარ მომთაბარე ტომებს, არამედ სომხურ მოსახლეობასაც. მათი გულის მოსაგებად იწოდა ისქანდერი „შაჰ-ე არმანად“ (სომეხთა მეფე). ზოგიერთი სომხური წყარო მას სომხური წარმომავლობისადაც მიიჩნევს<sup>168</sup> და „ჩვენს ხელმწიფესაც“ ეძახის<sup>169</sup>. 1429—1430 თუ 1431 წლიდან 1437 წლამდე ისქანდერის დიდგეზირი, სახელმწიფო მრჩეველი იყო სიუნიქის მთავრის ბეშქენ ორბელიანის ძე ამირი რუსტამი<sup>170</sup>. საყურადღებოა, რომ ისქანდერის დამარცხებების დროს (1429—30, 1435—1437 წწ.) დარბეული სომხური მოსახლეობა, მათ შორის ისქანდერის უშუალო დასაყრდენი ამ მოსახლეობის ზედაფენები, კერძოდ, ამირი რუსტამიც საქართველოს აფარებენ თავს<sup>171</sup> და ეს ხდება ისეთ ვითარებაში, როდესაც შაპროხმა რუსტამის დასჯის მიზნით დაარბია სიუნიქი<sup>172</sup>.

შაპროხის უზენაესობას რომ არ სცნობდა საქართველოს მეფე, ეს იქიდანაც უნდა ჩანდეს, რომ ისქანდერი არც ერთხელ არ

<sup>165</sup> თომა მეწოფელი, გვ. 24.

<sup>166</sup> Н. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

<sup>167</sup> იხ. კომენტარი 44.

<sup>168</sup> ლ. ფაქიაყან. Մի էջ Արևիქյան Հայաստանի րուդարսական կյանքի պատմությունში, «Տեղեկագիր», 1955, № 8, გვ. 84.

<sup>169</sup> XV საუკუნის პიშატაკარანები, I, გვ. 469.

<sup>170</sup> ლ. ფაქიაყან. დასახ. ნაშრომი, გვ. 88, 95.

<sup>171</sup> თომა მეწოფელი, გვ. 24; იხ. აგრეთვე აქვე პიშატაკარანები, № 51, 55, 58.

<sup>172</sup> ლ. ფაქიაყან, დასახ., ნაშრომი, გვ. 95—96.

დასხშია თავს საქართველოს, მაშინ, როდესაც მან სამჯერ დალაშქრა შაპრონი<sup>173</sup> გავლენის ქვეშ მყოფი შირვანი<sup>173</sup>, აგრეთვე 1434 წელს დაღესტანი<sup>174</sup> და სასტიკად დაარბია ეს ქვეყნები. ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ შაპრონის წინააღმდეგ აღუქსანდრე I-სა და ისქანდერს შორის რაღაც შეთანხმებაც კი მომხდარიყო. უფრო მეტიც, შესაძლოა, შაპრონის წინააღმდეგაც იყო მიმართული XV ს-ის 20—30-იან წლებში დადასტურებული საქართველოს კავშირი ეგვიპტესთან<sup>175</sup>. ამ ხანებში, ერთი მხრივ, ეგვიპტესა, ხოლო, მეორე მხრივ, აყ-ყოიუნლუს თურქმენებსა და ჩაღათაელთა მბრძანებელს შაპრონს შორის წინააღმდეგობების არსებობა აშკარაა<sup>176</sup>.

19. სომხური ტექსტის „დეკან“ იგივეა, რაც „დრაჰკანი“. „დრაჰკანი“ ოქროს ფულის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინია<sup>177</sup>.

50. შაქის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე ჭალეთი XV საუკუნეში ალბანეთის მონოფიზიტური, არმენიზირებული ეკლესიის კათალიკოსთა რეზიდენცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჭალეთის მონასტერი ქართულ წყაროებში არ იხსენიება, აშკარაა, რომ იგი ქართველი ბერების დაფუძნებულია. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ამ მხარეში წმინდა ქართული ტობონიმის გაჩენა. მონასტრის სახელთან ერთად, ამაზე მიუთითებს აგრეთვე მის ახლოს მცხოვრები ვართაშნელი უღების მიერ ჩვენს დრომდე შემონახული „ქართული ქრისტიანობაც“. საქართველოს ძლიერების ხანაში მართოდღევე უღების წინაპრები კი არა, არამედ მათი მეზობლებიც ქალკედონიანები, „ქართული რჯულის“ აღმსარებელნი იყვნენ. ამ საქმეში წვლილი, ალბათ, ჭალეთის მონასტერსაც მიუძღვის. შესაძლოა, იგი იყო ერთ-ერთი იმ კერათაგანიც, რომელთა მეშვეობით ქრისტიანობა ვრცელდებოდა დაღესტანშიც.

ქალკედონიანებს ჭალეთის მონასტერი XIV ს-ის ბოლოს ან

<sup>173</sup> Дж. Ибрагимов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 31.

<sup>174</sup> *საქ ძიიიქიქი უსომიქიქი*. IV. გვ. 37.

<sup>175</sup> იხ. აქვე, *ჰიმატაკარანი*, № 64.

<sup>176</sup> B. Lewis, *Egypt and Syria*, წიგნი: *The Cambridge History of Islam*. I. Cambridge, 1970, გვ. 223; W. Muir, *The mameluke or slave Dynasty of Egypt, 1260—1517*, Amsterdam, 1968 (reprint 1968 of the edition London 1896), გვ. 143—146.

<sup>177</sup> უ. კაპანაძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 173; ი. აბულაძე, ძველი ქართულენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 142; გ. ჯაფარიძე, *ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XIII საუკუნეების საქართველოში*, *მაცნე, ისტორიის სერია*, 1976, № 3, გვ. 88.

XV ს-ის დამდეგს უნდა დაეკარგათ. ამისი მიზეზები, ეტყობა, იყო შემდეგი:

ა) მონასტრის დანგრევა კავკასიაში თემურის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს;

ბ) თემურ ლენგის ლაშქრობათა შედეგად შაქის საბოლოოდ ჩამოცილება საქართველოსაგან; გ) შაქ-შირვანში ალბანეთის მონოფიზიტური, არმენიზირებული ეკლესიის გააქტიურება, რასაც უნდა გამოეწვია საპატრიარქო საყდრის განძსარიდან (მდებარეობდა აწინდელ მთიან ყარაბაღში) ქალეთში გადატანა XV ს-ის ათიანი წლების დასაწყისში<sup>178</sup>.

51. ხელნაწერის გადაწერის ჰოპანესის ძმისა და ახლობლების ქალაქ განძაში, თუ მის მახლობლად ბინადრობა, ალბანთა არქივისკოპოს სარგისის კრწანისსა ან თბილისში ცხოვრება, აგრეთვე ჰიშატაკარანში ალბანთა კათალიკოსის მოხსენიება მიუთითებს იმაზე, რომ XV ს-ის პირველ ნახევარში კრწანისში, შესაძლოა, თბილისშიც, მოსულა და დამკვიდრებულა სომხური მოსახლეობის ერთი ჯგუფი, რომლებიც საქართველოში მოსვლამდე ალბანთა კათალიკოსის სამწყსოში შედიოდნენ. კრწანისში სომხები, შესაძლოა, XIV საუკუნეშიც მკვიდრობდნენ; 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოხსენიებული კრწანელი ვაჟრების<sup>179</sup> ერთი ნაწილი მაინც, იქნებ, სომხები იყვნენ.

52. ციხე გავაზანი იგივე უნდა იყოს, რაც ქართული წყაროების ქავაზინი და ქაოზიანი. ჩვენი ჰიშატაკარანის მიხედვით, გავაზანი მდებარეობდა აღსტევიდან თბილისისაკენ მომავალ გზაზე, იგი აღსტევიდან შორს არ უნდა ყოფილიყო<sup>180</sup>, რადგან შიშველი ხალხი ყინვაში დიდი მანძილის გავლას ვერ შეძლებდა და შეეცდებოდა თავი სადმე ახლოს შეეფარებინა.

1491 წლის ჰიშატაკარანის ცნობით, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს უსარგებლია აყ-ყოიუნლუს ფადიშაჰის იაყუბის (1478—1490) გარდაცვალებით და ულაშქრია სევანის (გელაქუნის) ტბის დასავლეთ სანაპირომდე და ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებ-

<sup>178</sup> ქალეთის მონასტერი იხსენიება 1499 წელსაც: იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 137. საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ა. აბღაძე, ქალეთის მონასტრის გამო, საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976, გვ. 50—58.

<sup>179</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 176.

<sup>180</sup> შდრ. დ. ბერძენიშვილი, ბონისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 44.



ბარე შირაკევანამდე, აულია ლორეს ციხე<sup>181</sup>. ამ ამბავს ეხმურება ვახუშტის შემდეგი, 1490 და 1494 წლებს შორის მოთავსებული ცნობა: „შემდგომად თათართა წასლვისა შემოიკრიბნა მეფემან კონსტანტინე სპანი, მიუკდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი“<sup>182</sup>. აღჯაყალა და ქაოზიანი ქართველებს გელაქუნისაყენ ლაშქრობის დროს უნდა დაენგრიათ. ეს მონაცემებიც მხარს უნდა უჭერდეს გავაზანის ანუ ქავაზინის ციხის აღსტევთან ახლოს ლოკალიზებას.

53. 1435—1436 წლებში შაჰროხმა დაარბია სიუნიქი. ამ ქვეყნის ლტოლვილ მთავარს ბეშქენ ორბელიანს ალექსანდრე I-მა ლორე უწყალობა. ამ წლებში სიუნიქის მოსახლეობას მასიურად მოუშურებია ლორესათვის. თომა მეწოფეცის ცნობით, სიუნიქიდან ლორეში გადმოსულა თითქოს 60.000 ოჯახი<sup>183</sup>. მაგრამ, როგორც ეტყობა, თომა მეწოფეცის თხზულების გამოცემაში შეცდომაა, ხელნაწერები 60.000-ის ნაცვლად უჩვენებენ 6.000-ს<sup>184</sup>.

54. მონასტრის სახელწოდება „ბეთლაჰემ“ „ბეთლემ“-ის ვარიანტია. თბილისში ბეთლემის ანუ ფეთხანის ეკლესია მართლაც არსებობდა კლდის უბანში. ტაძარი დატულია დღესაც. „ფეთხანის“, რომელიც 1648 წლის განჩინებაში „ფეთხანი“-ის სახითაც გვხვდება<sup>185</sup>, მომდინარეობს „ბეთლაჰემ“-იდან.

თბილისში 1437 წელს გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში გადამწერი კარაპეტი ბეთლაჰემს „უდაბნოს“ რომ უწოდებს, ეს, ალბათ, ნიშნავს იმას, რომ მის ახლომახლო მამინ მოსახლეობა არ იყო.

55. სომხური წყაროები ამ ხანებისა, ეტყობა, სამცხეს ახალციხის ქვეყანას ეძახიან. სომხურ გეოგრაფიაშიც, რომელსაც ვარდან არეველცის (XIII ს.) მიაწერენ, თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით იგი XIV ან XV ს-ის ძეგლია, ნათქვამია: „სამცხე—ახალციხეა“. ეს ცნობა დატულია გეოგრაფიის როგორც მოკლე, ასევე ვრცელ რედაქციაში<sup>186</sup>.

<sup>181</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი, № 128.

<sup>182</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 390.

<sup>183</sup> თომა მეწოფეცი, გვ. 24.

<sup>184</sup> ჯაყ ძივიძისი უკრაინის, IV, გვ. 38. შენ. 76; იხ. აგრეთვე ლ. ასიქ-ჯანს სიხასკან, ქსენოქსკ. 1893. გვ. 96.

<sup>185</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილი და მ. ბერძენიშვილი, თბ., 1962, გვ. 14.

<sup>186</sup> სკესარიანციევი ოსიოქანაყი ოსიოქანაყისი, რაქიქ. 1960. გვ. 17, 37. იხ. აგრეთვე აქვე. ჰიშატაკარანი № 70.

ივ. ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ყურადღებას აქცევს XV ს-ის 70-იან წლებში სპარსეთში გაგზავნილი ვენეციელი ელჩის ამბროსიო კონტარინის მიერ სამცხის ათაბაგის ახალციხის მთავრად მოხსენიებას და დასძენს: „ალბათ ასე იწოდებოდა ის ჩვეულებრივ საუბარში, რათგან ახალციხე ათაბაგის საჯდომი ქალაქი იყო. თურქების მიერ ათაბაგებისათვის შემდეგში შემოღებული ახალციხის ფაშის სახელიც აქეთგან უნდა იყოს წარმომდგარი“<sup>187</sup>.

56. საზოგადოდ, თვით ვრცელ ჰიშატაკარანებშიც კი თანადროული პოლიტიკური ვითარების შესახებ საუბრისას მხოლოდ ზომიერი ამბების აღწერებით კმაყოფილდებიან და ძალზე იშვიათად უსწრებენ მოვლენებს, ეტყობა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის ამბავი საზოგადოებას ძლიერ აღელვებს. 1438 წლისათვის თბილისელები, როგორც ჩანს, შეუშფოთებია „ურჯულოთა ხროვებს“ და ეკლესიაში მიმდინარე ბრძოლებს. ხელნაწერის გადამწერი მონოფიზიტი, სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ჰიშატაკარანში-სომეხთა კათალიკოსის კონსტანტინე VI ვაჰაკის (1430—1439) მოხსენიება; მონოფიზიტი „მწერალი“ ქართული ეკლესიის სიმტიციეს რომ ნატრობს, ეს იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოსახლებული სომეხები მეფის ხელისუფლების ძლიერების მომხრენი არიან, ეკლესიის სიმტიციეს დარღვევა კი სამეფო ხელისუფლების დასუსტების მაჩვენებელიცაა. ჰიშატაკარანში, ალბათ, მცხეთის საკათალიკოსოდან სამცხის ეკლესიის გამოყოფის ცდებია ნაგულისხმები. ასეთი ცდები დადასტურებულია სამცხის ათაბაგ ივანეს (1391—1444) დროს. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა „ზოგიერთი (უმნიშვნელოვანესი) საეპისკოპოსო კათედრის მეთაური: იშხნელი, ანჩელი“<sup>188</sup>. მართალია, 1414 თუ 1415 წელს ალექსანდრე I-მა კობტას თავს სასტიკად დაამარცხა და დაიმორჩილა ივანე ათაბაგი, მაგრამ მორჩილება ხანმოკლე და ნომინალური უნდა ყოფილიყო. საქართველოს სამეფოსგან სამცხე-საათაბაგოს გამოყოფის პროცესი, ეტყობა, გრძელდებოდა და ღრმავდებოდა<sup>189</sup>. ეს პროცესი მცხეთის საკათალიკოსოდან სამცხის ეკლესიის ჩამოშორებისათვის ბრძოლის ფორმითაც მიმდინარეობდა.

ჰიშატაკარანში ნახსენებ „ურჯულოთა ხროვებში“, შესაძლოა, ლექთა მარბიელი რაზმები იგულისხმებოდეს. ამას გვაფიქრებინებს

<sup>187</sup> ივ. ჭავჭავაძის მიერ აღწერილი, ქართული ერის ისტორია, IV, გვ. 105.

<sup>188</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 87.

<sup>189</sup> ა. აბღალაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 80—81; იხ. აგრეთვე აქვე, კომენტარი 40, 63, ჰიშატაკარანი № 70.

შემდეგი: ა) 1442 წელს აიარაღის პროვინციაში, არაგაწოტის ოლქში მდებარე სოფელ სერკვეილში გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანში წარმოშობით თმოგველი გადაწერი ოპანეს თმოქეცი გვაუწყებს, რომ როდესაც ჯაჰანშაჰი თავს დაესხა საქართველოს (1440 წ.) და აიღო სამშვილდე, აქ მისმა მეონრებმა ხელთ იგდეს 9000-ზე მეტი ტყვე და ერთმანეთში გაინაწილეს. ტყვეები წაუყვანიათ ხორასანში, რუმში, არაბსტანსა და ლაკსტანში<sup>190</sup>. „ლაკსტანი“ შეიძლება გულისხმობდეს საზოგადოდ დაღესტანს ან ყოფილ ლაკის გავრთიანებას, ამდროინდელ ყაზი-ყუმუხის სამამხლოს, რომელშიც ლაკებს გარდა, სხვა ხალხებიც შედიოდნენ და რომელთანაც საქართველოს, დაღესტნის დანარჩენ პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით უფრო ხშირი ურთიერთობა ჰქონდა<sup>191</sup>. როგორც ეტყობა, საქართველოში შემოჭრილ ჯაჰანშაჰის ლაშქარში დაღესტნელებიც ყოფილან და ტყვეების განაწილების დროს მათაც ერგოთ წილი. სხვანაირად გაუგებარია, თუ რატომ უნდა წაეყვანათ იქ ტყვეები. მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში დაღესტნის კავშირი ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან სავსებით დასაშვებია.

ბ) 1476 წლისათვის, როდესაც საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა არასახარბიელოა, ბაგრატ მეფის გალაშქრება „ლაკსტანს“ „ჯაჯრის ამოსაყრელად“<sup>192</sup> გამოწვეული იქნებოდა იმითაც, რომ წინა ხანებში ლეკთა მარბიელი რაზმების თარეში საქართველოსათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო.

მავსადამე, ლეკთა თარეშები საქართველოში XV ს-ის პირველი ნახევრიდან უნდა დაწყებულყო<sup>193</sup>. შესაძლოა, 1438 წლისათვის მათი მარბიელი რაზმები ჩალათაელთა მბრძანებლის შაჰროხისა და მისი ქვეშევრდომის ჯაჰანშაჰის წაქეზებითა და დახმარებით შემოიჭრნენ ჩვენში. ეტყობა, მათმა თარეშმა და მათ წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველო საკმაოდ დაასუსტა და ალბათ, ამის შედეგიცაა, რომ ალექსანდრე I-მა ვერ მოახერხა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ჯაჰანშაჰისათვის 1440 წელს. ამავე წელს მე-

<sup>190</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 71.

<sup>191</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 177; თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 21—24.

<sup>192</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 106.

<sup>193</sup> შტრ. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ფის მიერ „სათათრო მალის“ ამოკვეთის მიზეზიც, როგორც ჩანს, ქვეყნის დასუსტება და ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან მოსალოდნელი შეტაკება უნდა ყოფილიყო.

57. 1406 წელს სიუნეიში, ტათევის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის პიშატაკარანში წარმოშობით გორელი გადაწერი გრიგორი გორს დაბად, „სოფელ-ქალაქად“ („გელაქალაქ“) იხსენიებს<sup>194</sup>. რაკი 1438 წელს გორში გადაწერილი სახარების გადამწერი ჰოპანესი მას „დედაქალაქს“ უწოდებს, ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1406—1438 წლებს შორის მოხდა გორის საგარძნობი ზრდა-განვითარება. მაგრამ 1469 წელს კვლავ გორში გადაწერილი სახარების პიშატაკარანში ხელნაწერის გადაწერი გრიგორი გორს ისევ „სოფელ-ქალაქად“, „დაბა-ქალაქად“ („გელაქალაქ“) იხსენიებს<sup>195</sup>. როგორც ჩანს, 1438 წელს გორის „დედაქალაქად“ მოხსენიება ჰოპანესის მიერ აიხსნება იმით, რომ სომხურში „დედაქალაქი“ („მაირაქალაქი“) შეიძლებოდა ეწოდებინათ რომელიმე საერო ან საეკლესიო ხელისუფლის ადგილსამყოფელისთვისაც.

თუ არ ვცდებით, მათეოს ურპაეცის შემდეგ XV ს-ის დამდეგამდე გორი სომხურ მწერლობაში აღარ იხსენიება. მათეოსი მას ქალაქს უწოდებს<sup>196</sup>. მართალია, არის ცდა მათეოს ურპაეცისეული ქალაქ „გორას“ ახალგორთან და არა გორთან გაიგივებისა<sup>197</sup>, მაგრამ საამისოდ წარმოდგენილი საბუთები, ვფიქრობთ, არააღმაჯერებელია.

XIII—XIV საუკუნეებში გორს თითქოს დაკნინება განუცდია, რადგან „გელაქალაქი“ („სოფელ-ქალაქი“, „დაბა-ქალაქი“) წარმოადგენს ქალაქის განვითარების შედარებით დაბალ საფეხურს<sup>198</sup>, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შუა საუკუნეებში ერთი და იგივე დასახლება სხვადასხვა ავტორს სხვადასხვანაირად მოეხსენებინა, ზოგს ქალაქად, ზოგსაც დაბა-ქალაქად („სოფელ-ქალაქად“)<sup>199</sup>.

<sup>194</sup> იხ. აქვე, პიშატაკარანი № 31.

<sup>195</sup> იხ. აქვე პიშატაკარანი № 101.

<sup>196</sup> ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურპაელის ცნობები დაეთ აღმაშენებლის შესახებ. იხ. კრებულ: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 247—248.

<sup>197</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 94—96.

<sup>198</sup> Բ. Ա ռ ա Ի Ե յ ა ն. Փարսիցի ել արհեստները Հայաստանում, IX — XIII դ. դ. Ե., 1958, გვ. 68.

<sup>199</sup> Թ. Հ ա կ ი Բ յ ა ն, Երեւանի պատմությունը. ჩნაզიւն ժամանակներից մինչև 1500 թ., გვ. 283.

58. ჰიშატაკარანის „მუხრანისი“, აშკარაა, ქართული წყაროების „მუხრანს“ შეესატყვისება, მაგრამ გასარკვევია რომელს. მუხრანი და ვარდისუბანი ერთმანეთის ახლოს შიდა ქართლს გარდა დადასტურებულია ქვემო ქართლშიც, თუმცა აქ იხსენიება არა მუხრანი, არამედ მუხრანა<sup>200</sup>. მუხრანა უფრო პატარა სოფელი ჩანს, ვიდრე მისი მეზობელი ვარდისუბანი და ამის გამო პირველით ნეორის განსაზღვრა ვერ მოხდებოდა.

ჰიშატაკარანთა წერის მეთოდის გათვალისწინებით შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ „მუხრანისი“ აღნიშნავს არა რომელიმე პუნქტს, არამედ ოლქს, „ქვეყანას“. მუხრანის „ქვეყანა“ ცნობილია მხოლოდ შიდა ქართლში; მასში მართლაც მდებარეობდა სოფელი ვარდისუბანი (ამჟამად შედის ქსოვრისის სასოფლო საბ-ქოში). ახლანდელ სოფელ მუხრანს მაშინ ეს სახელი კიდევ რომ რჩებოდა, იგი არ იყო ისე მნიშვნელოვანი ადგილი, რომ მისგან საკმაოდ დაშორებული სოფელი ასე უბრალოდ განესაზღვრათ მისი მეშვეობით. როდესაც სოფელ კრწანისის მდებარეობა თბილისის მეშვეობითაა განსაზღვრული, მითითებულია, რომ იგი თბილისთან ახლომდებარე სოფელია<sup>201</sup>.

საზოგადოდ, უცხო ქვეყანაში მდებარე სოფელში ხელნაწერის დაწვადება ჩვეულებრივი ამბავი არაა. საქართველოშიც ამის პირობები რომ არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აქაური სომხები საქართველოს გარეთ, სომხური მწერლობის კერებში მიეშურებოდნენ სამოღვაწეოდ. სომხეთში თუ სომხურ კოლონიებში საქართველოს ქალაქებიდან (გორი, ახალციხე, თმოგვი) გამოსულ „მწერლებს“ ვხვდებით და სოფლებში როგორღა შეიქმნებოდა მათთვის ხელსაყრელი პირობები. ამის გამო საფიქრებელია, რომ ვარდისუბანში გადაწერი კარაპეტი და, ალბათ, სომეხთა ერთი ჯგუფიც ახალმოსულია. „წერის ხელოვნება“ მას ამ სოფელში მოსვლამდე ექნებოდა შესწავლილი; აქ მისთვის საჭირო პირობები რომ არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი სოფელთა, ცალკეულ პირთა გამოსაკვები გამხდარა. ვარდისუბანში სომეხთა ახალმოსულობაზე უნდა მოუთითებდეს აქ 1438 წელს თუ ცოტა გვიან<sup>202</sup> უსამწყსო ვარდან ეპისკოპოსის მოხსენიებაც.

<sup>200</sup> დ. გ ვ რ ი ბ შ ვ ი ლ ი ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთი-გობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 139—140, 175.

<sup>201</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 54.

<sup>202</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, პირთა საძიებელი, გვ. 794, № 50.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ<sup>203</sup>, XV ს-ის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მეორე მეოთხედში, სომხეთში შექმნილი მეტად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური პირობების გამო სომხური მოსახლეობის ახალმა, საკმაოდ დიდმა ნაკადმა მოაშურა საქართველოს. მათი ერთი ნაწილი უნდა იყოს 1438 წ. ვარდისუბანში მოხსენიებული სომხები. ეტყობა, თემურ-ლენგის ლაშქრობების შედეგად გავერანებული ქვეყნის მოსაშენებლად საქართველოს სამეფო ხელისუფლებას აწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მოახალშენეთა ცალკეულ ჯგუფებად დაფუძნება.

59. ხოჯებს ეძახდნენ მდიდარ სომეხ ვაჭრებს<sup>204</sup>. XV ს-ის პირველ ნახევარში თბილისში იხსენიება სოლალენცთა და სურხენცთა მდიდარი ოჯახებიც<sup>205</sup>.

60. ჩვენ ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ, XIV-XV საუკუნეებში, ისევე როგორც სხვა ხანებში, ქართველ და სომეხ ერებს შორის მკიდრო ურთიერთობა და ხშირად ურთიერთგაგება არსებობდა. ჩვენი ჰიშატაკარანისათვის დამახასიათებელი განმაქიქებელი კილო გვხვდება. ჩვეულებრივ, ეკლესია-მონასტრების გამო ცილობისა და სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ პაექრობისას და არა მარტო სომხურ, არამედ ქართულ წყაროებშიც, ამჯერად, პირიქით, სომეხთა მიმართ.

61. სახელწოდება „ფლორი“ მომდინარეობს იტალიური „florino“-საგან უშუალოდ ან ოსმალურის (flori) გზით<sup>206</sup>. ტერმინი „ფლური“ ჩვენში ოქროს ერთეულის აღსანიშნავად ჩნდება XV ს-ის მეორე ნახევრიდან<sup>207</sup>.

62. ჩვენ გვიჭირს თქმა, თუ რომელი უწყების მოხელე უნდა იყოს მუტარსინი. შესაძლოა, ეს სიტყვა „მუჰთასიბ“-ის ან „მუთასარიფ“-ის დამახინჯებული ფორმაა. „მუჰთასიბის ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთში. მუჰთასიბი ყოველ ქალაქში ინიშნებოდა. მის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა ბაზარში საზომ-საწონებისათვის. მასვე თვალი უნდა სჭეროდა, რომ ხელოსნებს მდარე ხარისხის ნაკეთობა არ დაემზადებინათ, მოვაჭრეებს კი თვითნებურად

<sup>203</sup> იხ. აქვე, კომენტარი 33, 46, 48.

<sup>204</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, გვ. LXI; Ս. Մ ա լ խ ա ս ხ ա ն ց, Հայկերէն բացատրական բառարան, II, Նրსան, 1944. გვ. 312.

<sup>205</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 50, 60ბ.

<sup>206</sup> Colophons' of armenian Manuscripts, appendix F, გვ. 448.

<sup>207</sup> დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

არ გაეზარდათ ფასები და სხვ. შემდგომში მასვე დაეკისრა ზედამხედველობა იმაზე, რომ მოქალაქენი არ დამთვრალიყვნენ, წესიერად ევლოთ მეჩეთში და სხვ.<sup>208</sup> მუთასარიფი საფინანსო უწყების მოხელე იყო<sup>209</sup>.

63. ვფიქრობთ, გოლგოთასათვის ცილობის გარდა<sup>210</sup>, ჰიშატაკარანში საყურადღებო ცნობები (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) ნოიპოვება საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობისა და საერთოდ საქართველოს იმ ხანის ისტორიისათვის. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ თუ რომელ წლებში მოხდა ჰიშატაკარანში მოხსენიებული ამბები. დროის მონაკვეთის ზედა საზღვარი თვით წყაროშია დასახელებული (1439 წ.). ამავე დროს, ცნობილია იერუსალიმის სომხური საკათალიკოსოს კათალიკოსის, წარმოშობით ეგვიპტელი სომხის მარტიროსის<sup>211</sup>, ზეობის წლები: 1417—1439. მართალია, ჰიშატაკარანში იგი არქიეპისკოპოსად იწოდება, მაგრამ, ეტყობა, ეს იმიტომ, რომ ჩამოყალიბების შემდეგაც (XIV ს-ის დასაწყისი) იერუსალიმის საკათალიკოსო 1441 წლამდე სისის (იგი კილიკიის სომხური სამეფოს დედაქალაქიც იყო) საპატრიარქოს ფარგლებში რჩებოდა<sup>212</sup>. აღნიშნული მონაცემები სრულიად უეჭველს ხდიან, რომ ჩვენს წყაროში მოხსენიებული ეგვიპტის სულტნები მელიქ აშრაფი და მელიქ ტაპრ ჩახმახი არიან „ჩერქეზული დინასტიის“ წარმომადგენლები, შესაბამისად, აღ-აშრაფ საიფ აღ-დინ ბარსბაი (1422—1438) და აზ-ზაპირ საიფ აღ-დინ ჯაქმაქი (1438—1453). ყოველივე ამის გამო, ჰიშატაკარანისეული ქართველი მთავარი ივანე სჯა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა სამცხის ათაბაგი ივანე (1391—1444), ამავე დროს არაერთგზის მოხსენიებული ქართველთა მეფე შეიძლება იყოს ალექსანდრე I (1413—1442), თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ხელნაწერის გადამწერს, ერემია ერზნკაცის მეფედ მიეჩნია სამცხის ათაბაგი. ასეც რომ იყოს, აშკარაა, რომ იმ ხანებში ეგვიპტეს ურთიერთობა ექნებოდა არა მხოლოდ სამცხესთან, არამედ საერთოდ საქართველოსთან, რადგან მან შინ სამცხის ათაბაგი საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებელი ხე-

<sup>208</sup> ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 143.

<sup>209</sup> იქვე, გვ. 143, 197.

<sup>210</sup> იხ. აქვე, კომენტარი 29.

<sup>211</sup> Տիգրան Հ. Ք. Սաւալսեանց, Պատմութիւն Տրուսաղէժի, գրաբար բնագիրէն աշխարհագրարի վերստէ Մ. Ն շ ա ո ն ի ա ճ. I. Տրուսաղէժ, 1931, გვ. 533.

<sup>212</sup> A vedis K. Sanjian, The Armenian Communities in Syria under Ottoman Dominion, Cambridge, Mass., 1965, გვ. 98—100.

ლისუფალი არ ყოფილა და მისგან დაუკითხავად ასე ხანგრძლივ მოლაპარაკებებს ვერ გამართავდა ეგვიპტის სულტანთან. სულტნის თვალშიც მთელ საქართველოს მეტი წონა ექნებოდა, ვიდრე მარტო სამცხეს; სომხურ საკათალიკოსოსთან და წარმოშობით ეგვიპტელ, მდიდარ პატრიარქთან დაპირისპირებას ერთიანი საქართველოს სამეფო უფრო შეძლებდა, ვიდრე მხოლოდ სამცხე-საათაბაგო.

ჰიშატაკარანში მოხსენიებული გოლგოთას პირველად გადაცემა ქართველებისათვის, XIX ს-ის მკვლევარს ტ. სავალნიანს თავის „იერუსალიმის ისტორიაში“ ერთგან 1422 წელს აქვს აღნიშნული<sup>213</sup>, ხოლო მეორეგან 1430 წელს<sup>214</sup>. თვით ჰიშატაკარანის ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით მეორე თარიღი უფრო მისაღები ჩანს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ამბის XV ს-ის დასაწყისით დათარიღება<sup>215</sup> მიუღებელია. მაშასადამე, ეგვიპტელი ვაჭარი ლაიბი<sup>216</sup> სამცხეში XV ს-ის 20-იან წლებში უნდა მოსულიყო. სამცხის და საერთოდ საქართველოს ეგვიპტესთან სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი ეს ცნობა, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია. XI—XII საუკუნეების საქართველო-ეგვიპტის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესახებაც კი ცნობები მეტად მწირია<sup>217</sup>, ხოლო თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ მომდევნო საუკუნეებში, ამის შესახებ, თუ არ ვცდებით, არაფერია ცნობილი. როგორც ჩანს, XIV საუკუნეში საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განახლებაც მოყვა შედეგად.

XV ს-ის 20-იან წლებში ეგვიპტის სულტანმა ბარსბაიმ პრო-

<sup>213</sup> S. S a l c a n c h a n e, დასახ. ნაშრომი, გვ. 533, 536; იხ. აგრეთვე A. S a n j i a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

<sup>214</sup> S. S a l c a n c h a n e, «История Грузии», II, Тбилиси, 1931, გვ. 971.

<sup>215</sup> იხ. Н. М а р р, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме, в поездку 1902 г., Сообщения императорского православного Палестинского Общества, XIV, ч. II, № 1, 1903, გვ. 50; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 151.

<sup>216</sup> სომხურ ტექსტში არის ქ. „ლაიბი“. ა. სანჯიანს იგი ინგლისურად გადმოცემული აქვს «Gha'ibis»-ით — იხ. A. S a n j i a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

<sup>217</sup> ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.), წიგნში: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები (თსუ შრომები, ტ. 125), თბ., 1968, გვ. 78—79. მიუხედავად ამისა, სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, რომ მეტად ინტენსიური იყო XI—XII საუკუნეებში, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს (იქვე, გვ. 79).



დუქციის წარმოებასა და ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია და-  
აწესა<sup>218</sup> და ამდენად ვაჭარ ლაიბის მოსვლა საქართველოში, კერ-  
ძოდ, სამცხეში, შესაძლოა, სულტნის ინიციატივითაც მომხდარიყო.  
იქნებ ამაზე მიუთითებს ჰიშატაკარანში აღნიშნული ლაიბის გავლენ-  
იანობაც სულტნის კარზე.

ვფიქრობთ, ჩვენი ჰიშატაკარანიდან კიდევ უფრო ნათლად  
ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგო არა მარტო XV ს-ის მეორე ნახევარში  
იყო ძლიერი და გავლენიანი სამთავრო, არამედ ამ საუკუნის პირ-  
ველ ნახევარშიც<sup>219</sup>. ეგვიპტელი ვაჭრის სამცხეში მოსვლა, მისთვის  
ფინანსური საჩუქრების მირთმევა, შესაძლებლობა იმისა, რომ სულ-  
ტნისათვის მდიდრული ძღვენი გაეგზავნათ, მაჰმადიანებით დასახ-  
ლებული პროვინციების დაქვემდებარება ათაბაგისადმი, მუსლიმი  
ტყვეების სამცხეში ყოფნა ამის დამადასტურებელია. ჩანს ისიც,  
რომ სამცხეს და საერთოდ საქართველოს ეგვიპტის გარდა გაცხო-  
ველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქვეყნებთანაც, რა-  
დგან წყაროში მოხსენიებული შევიწროებული სომეხი ვაჭრები  
ეგვიპტელები არ იქნებოდნენ, ეგვიპტესთან ურთიერთობით დაინ-  
ტერესების გამო მის მოქალაქეებს ჩვენში არ შეავიწროებდნენ.

ჰიშატაკარანის მონაცემები ადასტურებს იმასაც, რომ XV ს-ის  
პირველ ნახევარში აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართ-  
ველოში სომხური მოსახლეობა საკმაო რაოდენობით ცხოვრობს.  
საკუთრივ საქართველოში მოსულ და დამკვიდრებულ სომხებს  
გარდა აქ იგულისხმება ზოგიერთი სომხური პროვინციაც, რომე-  
ლიც საქართველოს, კერძოდ, სამცხეს ექვემდებარებოდა. ქართვე-  
ლი ხელისუფალნი მათი მეშვეობით ცდილობდნენ ზემოქმედება  
მოეხდინათ იერუსალიმის სომეხ პატრიარქზე გოლგოთასათვის ცი-  
ლობის დროს.

XV საუკუნეში გოლგოთასა და წმ. იაკობის ტაძარზე ცილობის  
შესახებ იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს წიგნთსაცავში ეგ-  
ვიპტის სულტნისა და მისი იერუსალიმელი მოხელის მიერ გაცემ-  
ული მეტად საყურადღებო საბუთებიც ყოფილა დაცული. მათი  
შინაარსი გადმოცემული აქვს და ზოგჯერ სომხური თარგმანებიც  
მოაქვს ა. ტერ-ჰოვჰანისიანს<sup>220</sup>, მაგრამ რჩება ისეთი შთაბეჭდი-

<sup>218</sup> B. Lewis, დასახ. ნაშრომი, გვ. 225—226.

<sup>219</sup> იხ. აგრეთვე ა. ა ბ და ლ ა ძ ე, XV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს  
ისტორიიდან, გვ. 80—82.

<sup>220</sup> Ա. Տ ե ռ - Ն ի ղ ի ն Ն ի ս յ ա ն Ն ճ յ, Ժամանակագրական պատմությունս  
ս. Նրուսաղէքի. I. Նրուսաղէք, 1890, გვ. 222—243.

ლებდა, რომ მას ეს სამუშაო შეიძლება ყოველთვის ფაქიზად არ ჰქონდეს შესრულებული; დაბეჭითებით, ალბათ, არც იმის თქმა შეიძლება, რომ აღნიშნული საბუთები ნატყუარი არაა, ამიტომ აქ მხოლოდ ერთი მათგანის შინაარსის გადმოცემით დავკმაყოფილდებით. 1434 წ. სულტნის ბრძანების შესაბამისად იერუსალიმელ მოხელეს გოლგოთა მარტიროსისთვის გადაუცია, მიუწვევია ქართველთა წარმომადგენლები, ათაბეგ თაყას ძე, ზაქარია გიორგის ძე და კიდევ ერთი პიროვნება (სახელები, ეტყობა, ძალზე დამახინჯებულია), ხელწერილი ჩამოურთმევია მათთვის. ქართველები აღუთქვამდნენ სულტნის წარმომადგენელს, რომ ამიერიდან გოლგოთას გამო სომხებს აღარ შეეცილებოდნენ, აღარ იქნებოდა მათ შორის დავა, ბრძოლა, სიძულვილი და მტრობა. ქართველთაგან ამ პირობას ვინც დაარღვევდა, დაისჯებოდა... საბუთს ამოწმებენ ვინმე ომარ ხალილი, ალი მუჰამედი და ჯუმა ხალილი<sup>221</sup>. როგორც ჩვენი ჰიშაკარანიდან ჩანს, ამ ხელწერილს ძალა ერთი წლის მანძილზეც ვერ შეუწარჩუნებია, იერუსალიმის ქართული კოლონიის წევრებს კვავ გამოქომაგებიან საქართველოდან და გოლგოთა ხელახლა გადაუციათ მათთვის.

ეგვიპტური წარმოშობის სომეხ მარტიროსს, რომელსაც სულტნის კარზე მეგობრებიც კი ჰყოლია (ისინი, ალბათ, ეგვიპტელი სომხები იქნებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ეგვიპტეში სომხები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ და ზოგი მათგანი ქვეყნის მართვა-გამგეობაშიც მონაწილეობდა) და დიდძალი თანხაც დაუხარჯავს სულტნისა და მისი მოხელეების მოსაქრთამავად, გოლგოთას შენარჩუნება ვერ მოუხერხებია. რა თქმა უნდა, ამისი მიზეზი არ იქნებოდა სულტნისათვის მხოლოდ საჩუქრების გაგზავნა საქართველოდან, თუმცა მისთვის აქედან მონების რეგულარულ მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ქვემოთ მოტანილი ერთი სომხური სვინაქსარის ცნობითაც, ჯაჰანშაჰის მიერ 1440 წელს საქართველოდან გარეკილი ტყვეების ერთი ნაწილი ეგვიპტეში გაუყლიათ. ეს მასალებიც ადასტურებენ, რომ XV საუკუნეშიც ეგვიპტელ მამულეებს შორის სხვა კავკასიელებთან ერთად ქართველებიც საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ. აქ შეიძლება მოვიგონოთ დელაპორტეს ცნობა, რომ XV ს-ის მიწურულის ეგვიპტის სულტანმა ქართულის გარდა სხვა ონა არ იცოდაო). ჰიშაკარანის ცნობა—ქართველი ბერები მათი მეფის დახმარებით რასაც ისურვებენ, აკე-

<sup>221</sup> Ա. Տ ի ք- ղ ի ր ան ը ի ս յ ան ց ի, Ժամանակագրական սլամուրիսն ս. Նրուսաղէմի, I, Նրուսաղէմ, 1890, շջ. 226—227.

თებენ კიდევცო, არ შეიძლება გავიგოთ ისე, რომ საქართველოს მეფე თუ სანცხის ათაბაგი მხოლოდ საჩუქრების წყალობით აღწევდნენ მიზანს ეგვიპტის სულტნის კარზე—მარტიროსი ხომ ძალზე ნდიდარი იყო და გოლგოთასათვის არაფერს იმუშრებდა. ამავე დროს მარტიროსის სავწყსოს ფარგლებში ცხოვრობდნენ და სხვა ქვეყნებიდანაც იერუსალიმში მოსალოცად ჩადიოდნენ უმდიდრესი სონეხი ვაქრები, რომელთაგან პატრიარქს დახმარება არ აკლდა. ამით ახსნება, რომ ქართველ ხელისუფალთ მარტიროსზე ზემოქმედება საქართველოში ჩამოსული სომეხი ვაქრების შევიწროებითაც უცდიათ და არცთუ უშედეგოდ. გარდა საჩუქრებისა, ეგვიპტისათვის უმნიშვნელო არ იყო, ალბათ, საერთო მტრების წინააღმდეგ საქართველოსთან კავშირი. ეგვიპტესთან ქართველი ხელისუფალნი მართო წმ. ადგილებისათვის რომ არ ცდილობდნენ ურთიერთობის დამყარებას XV ს-ში, ეს ჩანს იქიდან, რომ მეფე კოსტანტინეს მიერ 1493—1494 წლებში მღვდელ-მონაზონ კირ-ნილოსის ეგვიპტეში ელჩად გაგზავნის ძირითადი მიზანი ოსმალთა წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ შეთანხმება იყო<sup>222</sup>. XV ს-ის ერთ არაბულ საბუთშიც ნათქვამი ყოფილა, რომ იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრის გარდა, სულტნის კარზე ქართველთა მეფის ელჩს „რალაც სამეფო საქმეების“ შესახებაც ჰქონია საუბარი<sup>223</sup>. ასევე ჩვენს ჰიშტაკარანში აღნიშნული საქართველოს ხშირი კონტაქტი ეგვიპტესთან პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა ალბათ, თორემ ძნელი დასაჯერებელია, რომ გოლგოთაზე უფლებების დაკარგვას საქართველოდან ასეთი სწრაფი რეაგირება მოჰყოლოდა და თანაც არაერთხელ.

XV ს-ის 20—30-იან წლებში აზიაში ეგვიპტელთა სამფლობელოებს სხვებთან ერთად საფრთხეს უქმნიდნენ ჩალათაელოთა მბრძანებელი შაჰროხი და აყ-ყოიუნლუს თურქმენები<sup>224</sup>. მათ წინააღმდეგ საქართველოსთან კავშირი ეგვიპტისათვის სასურველი იქნებოდა. აღნიშნული სახელმწიფოების ცხოვრებისა და პოლიტიკური გეგმების შესახებ საქართველოში გაცილებით მეტი უნდა სცოდნოდეთ, ვიდრე ეგვიპტეში; შესაძლოა, ჩვენი ქვეყნიდან სათანადო ცნობების მიწოდებითაც იყო დაინტერესებული ეგვიპტის სულტ-

<sup>222</sup> ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 12—13, 15.

<sup>223</sup> Ա. Տիր-Հովհաննիսյան, Ղևաս. Նաբրոմ, გვ. 232.

<sup>224</sup> B. Lewis, დასახ. ნაბრომი, გვ. 223; W. Muir, დასახ. ნაბრომი, გვ. 133, 143—146.

ნის კარი. საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანებისათვის მფარველობის გაწევაც ეგვიპტის სულტანს პოლიტიკური მიზნებისათვის დასკირდებოდა. ეგვიპტის ხელისუფლებას ამით, ალბათ, ნაკლებად შემომტყციებული, სადავო ტერიტორიების მოსახლეობის გულის მოგება ეწადა. იერუსალიმის კათალიკოსმა მარტიროსმა რამდენიმეჯერ დროებით გოლგოთას დაუფლება რომ შეძლო, ეს იქნებ იმიტაც აიხსნას, რომ იმ მომენტებში ეგვიპტის აზიური სამფლობელოები გარეშე მტერთაგან მოსვენებული იყო.

64. ქალაქ ჯულას დასავლეთით, მდინარეების არაქსისა და კარმირ გეტის შესართავში მდებარე მალარდის მონასტრის ბერები საქართველოდან წაყვანილ ტყვეებს ნახავდნენ მაშინ, როდესაც მათ თავრიზისაკენ მიერეკებოდნენ.

65. თითქოს ამ ადგილიდანაც ჩანს, რომ საქართველო საერთოდაც ან დიდი ხანია არ ემორჩილებოდა, ხარკს არ უხდიდა „თავრიზის ხანს“, ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰს<sup>225</sup>. ჯაჰანშაჰისადმი დამორჩილება მოხარკეობას რომ გულისხმობდა უწინარეს ყოვლისა, ეს ჩანს თომა მეწოფეციის ცნობიდან<sup>226</sup>, აგრეთვე ხელნაწერთა გადამწერ ჰოპანესის მიერ 1458 წელს გადაწერილ სვინაქსარში შეტანილი დაღუპულ სამშვილდელთა მოსახსენებლიდან. ვინაიდან ამ ძეგლის ცნობები საყურადღებოა, აქ მოგვაქვს მისი ზოგიერთი ადგილის თარგმანი.

„უღ“ (14) ქალოცს<sup>227</sup> და „იბ“ (22) დეკემბერს მოხსენებულ იქნან ქალაქ სამშვილდეში წამებული, დახოცილი მართლმორწმუნე, უბიწო სომეხი და ქართველი ქრისტიანები.

ურჯულთა და ბილწმა მიძაურმა, თავრიზის [ხანმა], სახელად ჯჰანშამ, [ი]უსუფ ბეგის ძემ მოკლა თავისი ძმა სქანდარ ბაჰადური<sup>228</sup> ხანად სახელდებული მისივე შვილის მეშვეობით, ერნჯაყის ციხეში, აღმოსავლეთის ბოროტი მეფის შაჰრუხის ბრძანებითა და სურვილით. მას (ჯაჰანშაჰს) გულში ჯავრი ჰქონდა ქართველთა მეფის ალექსიანოსის მიმართ, რადგან არ მიეცა მის წინაშე მოწიწებისა და მშვიდობიანობის [ნიშნად], არც დაწესებული სამეფო ხარ-

<sup>225</sup> იხ. აქვე, კომენტარი 47.

<sup>226</sup> თომა მეწოფელი, გვ. 27.

<sup>227</sup> ქალოცი ძველი სომხური კალენდრის მეხუთე თვე იყო; 1458 წელს იგი შესაბამებოდა 27.03—25.04-ს — იხ. P. R. R. დასახ. ნაშრომი, გვ. 286.

<sup>228</sup> „ბაჰადური“-ი მუსლიმ ხელისუფალთა ტიტული იყო (იხ. D. Sinor, «Bahadūr», EJ, ახალი გამოცემა, I, გვ. 913).

კი გადაუხადა. ამის გამო გაცოფდა ბილწი და ქრისტიანთა მოძულე, ვითარცა სისხლმომწყურებული მხეცი, შეკრიბა ლაშქარი და დააწყო რაზმებად; ანტიქრისტეს წინამორბედმა ჯჰანშამ, ყველა ურჯულოს წინამძღოლმა შეაგროვა „იკ“ (20000) სულზე მეტი, წაიყვანა ისინი და წავიდა საქართველოში<sup>229</sup>...

ისინი მიადგნენ ქალაქ ტფილისს, დაანგრეს, ააოხრეს და ცეცხლს მისცეს ქალაქი, ყველა ეკლესია დააქციეს და დაბრუნდნენ უკან. ალყაში მოაქციეს ქალაქი სამშვილდე „ხ“ (40) დღის მანძილზე, გარს შემოერტყა მას შეჩვენებული, ურჯულო ჯჰანშა ბზობის დღესასწაულიდან ჩვენი ღმერთის ქრისტეს ამალგებამდე, სასწაულის [მოხდენის] კვირაში. ქრისტიანები იმედოვნებდნენ, რომ მათი წყევლი მეფე მოვიდოდა, მიეშველებოდა და გაანთავისუფლებდა მათ ურჯულოთა შევიწროებისაგან. მან უგულბებლყო ისინი, ამჯობინა საკუთარი თავი გადაერჩინა, ვიდრე ქრისტიანთა წარწყმედის გამო [დაფიქრებულიყო]; მხდალი და უძლური გამოდგა, [მტრის] ერთ კაცსაც კი ვერაფერი ავნო.

შიმშილითა და წყურვილით შეწუხებულმა ქალაქელებმა ველარ იზრუნეს ციხის დაცვაზე. მტერმა შეუშინებლად გახვიტა ქალაქის ზღუდე და შევიდა შიგ. ქალაქელებს ელდა ეცათ, შიშისაგან ძრწოდნენ; მიმართეს მძლავრს ქალაქის კართან, რომ შეეწყალებინა ისინი. მოხვდურებმა ცრუ ფიცით შეჰფიცეს შემოქმედ ღმერთს, რომ ცუდს არაფერს გიზამთო თქვენ, არ დაგხოცავთო. ქრისტიანებმა ირწმუნეს მათი ფიცი, გააღეს ქალაქის კარები და გადასცეს ქალაქი მათ. ქრისტიანები გაიყვანეს ქალაქგარეთ, ბრძანა მძლავრმა ისინი ეტანჯათ სამი დღის მაძილზე, ხოლო მათი ქონება მიეტაცებინათ ფარულად თუ აშკარად. სამი დღის შემდეგ ბრძანა მან ყველა მორწმუნე მიეხმოთ საჯარო მოედანზე. ისინი ხმლით შეიარაღებულმა ურჯულოთა მრავალიცხოვანმა ჯარმა გარემოიკვია...

მაშინ ორმა ჭაბუკმა, მამაცმა მეომრებმა და უშიშმა მარტივლებმა დათრგუნეს შიში და ყველას გასაგონად დიდი ხმით დაიყვირეს: წყევლ არს თქვენი სჯულმდებელი მაჰმადი, ჩვენ ვართ ქრიტესა და მისი თორმეტი მოციქულის მოწაფეები, წმ. გრიგორ განმანათლებლის სულიერი შვილები...

იხუეღეს ურჯულოებმა და როგორც ცოფიან ძაღლს მიცივიდნენ მათ, ორივე მოწამე იქვე განგმირეს ისრებით. ბოროტმა მძლავრმა თქვა: როგორ გაბედეს ჩვენი წინამძღოლის დაგმობა; ყვე-

<sup>229</sup> ჩვენთვის დღემდე ცნობილი წყაროებიდან 1440 წელს საქართველოში შემოჭრილი ჯჰანშაჰის ჯარის რაოდენობა მხოლოდ აქაა დასახელებული.

ლანი ხმლით გაწყვიტეთ, თავები მოკვეთეთ და მოკვეთილი თავები ქვებით გაქეპყეთ. მათ შეასრულეს მისი ბოროტი ბრძანება, „რ“ (1000)-ზე მეტი სული მოკლეს, მათ შორის „ხ“ (40) მოწესე, ზუცესი და დიაკონი...

ბრძანა ბოროტმა მძლავრმა, ყველა ქალი და ბავშვი დაეტყვევებინათ, „ურ“ (10.000)-ზე მეტი სული, ისინი სამუსლიმანოს<sup>230</sup> ყველა მხარეში გაფანტეს, მისრსა და ხორასანში...

არავის ძალუძს აღწეროს სიშენთა ნათესავის ენით გამოუთქმელი მწუხარება. ყოველივე ეს ცოდვათა ჩვენთა გამო დაგვატყდა თავს. მოწამეთა მეოხებით, მათი სასტიკი ტანჯვის გამო ქრისტიეღმერთო იხსენ ურჯულოთაგან ყველა ქრისტიანი ტყვე.

ეწამნენ ისინი სომხური წელთაღრიცხვის „ჰძთ“-ს (1440)“...<sup>231</sup>

ამ წყაროდან, აგრეთვე 1451 წლის მინაწერიდან<sup>232</sup> ჩანს, რომ ჯაჰანშაჰის ლაშქრის მიერ საქართველოში, კერძოდ, სამშვილდეში მოკლულთა და დატყვევებულთა დიდი ნაწილი სომხები იყვნენ. როგორც ჩანს, მტრის შემოსევის დროს ქართველები გახიზნულან, ხოლო სომხებს ეს ვერ მოუხერხებიათ<sup>233</sup>. საქართველოში მცხოვრებ სომეხთა თავს დამტყდარმა უბედურებამ გამოიწვია, ალბათ, ჰოჰანესის მიერ ალექსანდრე მეფის აუგად ხსენება. ქართველებს მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა რომ ვერ მოუხერხებიათ, აქას თომა მეწოფეციც აღნიშნავს<sup>234</sup>.

1440 წლისათვის საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა არასახარბიელო ჩანს<sup>235</sup> და ამის გამო არ შეხვედბოღათ მომხედურებს აქ დიდი წინააღმდეგობა.

66. თემურ ლენგისა და ყარა იუსუფის ლაშქრობათა შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქვემო ქართლის მოსახლეობა ძალზე უნდა შეთხელებულიყო. გაუდაბურებულ ადგილებში ალექსანდრე I-ის დროს სომხებს გარდა, ეტყობა, ლიხსიქითური ქართველებიც დამკვიდრებულან, სხვანაირად ძნელი ასახსნელაა

---

<sup>230</sup> სომხურ ტექსტში არის „ტაკასტან“. რომელიც ნაწარმოებია „ტაკიკ“-ისაგან, რაც ძველ სომხურ წყაროებში მაჰმადიანებს აღნიშნავს გარკვეული დროოდან.

<sup>231</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, გვ. 507—508, შენ. 1.

<sup>232</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 82, აგრეთვე № 71.

<sup>233</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 67.

<sup>234</sup> თომა მეწოფელი, გვ. 27—29.

<sup>235</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 37—38; იხ. აგრეთვე აქვე, კომენტარი 56.

მტრის შემოსევისთანავე მათი გადასვლა „აფხაზეთში“, რადგან ასე უცებ დასავლეთ საქართველოში მასობრივად გადახვეწა ადგილი რომ ყოფილიყო, მტერთან პირისპირ დაარჩენას იქ წასვლას აპრობინებდნენ სომხებიც.

67. „მაჰდასი“-ს სომხები ეძახდნენ იმით, ვინც მოიხილავდა და მოილოცავდა იერუსალიმის წმინდა ადგილებს<sup>236</sup>.

68. თუ არ ვცდებით, სახელი „გორგასალი“ სომხურში მხოლოდ აქ გვხვდება. იმავე სოფელში წარჩინებულის სახელად „შალვას“ დადასტურებაც იქნებ შემთხვევითი არ იყოს და ეს მონაცემები აირარატის პროვინციის ამ მხარის, არაგაწოტნის ოლქის საქართველოსთან კავშირზე მიუთითებდეს. შესაძლოა, სოფელ სერკევილში წინა საუკუნეებში ქართველი კოლონისტები დამკვიდრდნენ და მათი მთავომავალნი XV ს-ის შუა ხანებისათვის უკვე გასომხდნენ. ამ სოფელში თმოგველი გადამწერის მოღვაწეობაც, ეგების, იქ ქართული ვავლენის კვალის არსებობით იყოს გამოწვეული.

69. ვახუშტის ცნობითაც, 1444 წელს ჯაჰანშაჰი „წარმოემართა და უჯრქანეულოდ მოვიდა სამცხეს, მოუჯდა ახალციხეს და ბრძოლა ძლიერად“...<sup>237</sup> ამ ცნობის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერდა: ჯაჰანშაჰის საქართველოში ერთი შემოსევის შესახებ სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფეცი მოგვითხრობს, „მაგრამ მისი მოთხრობა შინაარსითაც ძალზე განსხვავდება და ქრონოლოგიურადაც უფრო აღრინდელ დროს. 1440 წელს ეკუთვნის. ამიტომ თავისთავად იზადება საკითხი, 1444 წლის შემოსევის ამბავი მეორე შემოსევის აღწერილობაა, თუ ორივე მოთხრობა ერთსა და იმავე შემთხვეულობას ეხება. თუ უკანასკნელი გარემოება უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს. მაშინ რომელი ამ ორ მოთხრობათაგანია ქეშმარიტი? სამწუხაროდ ჯერჯერობით არც ერთი ამ საკითხთაგანის გადაწყვეტა არ შეიძლება“<sup>238</sup>. იმავე საკითხზე ივ. ჯავახიშვილი სხვა ადგილას აღნიშნავს: თომა მეწოფეცის მიერ მოთხრობილი ჯაჰანშაჰის შემოსევის შესახებ ქართულ წყაროებში „ცნობები ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის. ბატონიშვილს ვახუშტს კი ჯაჰანშაჰის შემოსევა 1444 წ. აქვს აღნიშნული და ეს ამბავი სულ სხვანაირადაც

<sup>236</sup> Colophons of armenian Manuscripts, appendix, F, გვ. 451.

<sup>237</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 282; იხ. აგრეთვე ქრონიკები, II, გვ. 255; Chronique Georgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1830, ქართული ტექსტი, გვ. 2.

<sup>238</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 42.

აქვს აღწერილი. მაგრამ არა ჩანს, თუ რა წყაროებზეა მისი ცნობა დამყარებული, ამიტომ სიმართლის გამორკვევა ძნელია“<sup>239</sup>.

როგორც ვხედავთ, 1440—1443 წლებში გადაწერილ ხელნაწერთა არაერთ ჰიშატაკარანში იხსენიება ჯაჰანშაჰის თავდასხმა საქართველოზე<sup>240</sup>, მაგრამ არც ერთ მათგანში, ისევე როგორც სხვა წყაროებში, არაა აღნიშნული ახალციხის დარბევა 1440 წელს; მათში ლაპარაკია ჯაჰანშაჰის მიერ მხოლოდ სამშვილდის (სხვათა შორის, სომეხი ავტორების მიერ ყარა-ყოიუნლუს თურქმენთაგან სამშვილდის აღებისა და აკლების ესოდენ მტიკენეულად განცდა უნდა ადასტურებდეს, რომ ამ ქალაქში სომხები ძირითადად ახალმოსულები იყვნენ), ან სამშვილდისა და თბილისის აღებაზე. ვასპურაკანში, ქალაქ ვანში გადაწერილი სვინაქსარის 1445 წლის ჰიშატაკარანში კი ჯაჰანშაჰის მიერ მხოლოდ ახალიციხის, სამცხის დარბევაა აღნიშნული. ამავე დროს, ხელნაწერის ვადამწერი კარაპეტრ გვამცნობს, რომ ეს ამბავი მოხდა იმავე, სომხური წელთაღრიცხვის 894 (30. 11. 1444 წ. — 29. 11. 1445 წ.) წელს, როდესაც დასრულდა ხელნაწერის გადაწერა. გამორიცხულია, რომ კარაპეტი ჯაჰანშაჰის საქართველოზე 1440 წლის თავდასხმას გულისხმობდეს. XV ს-ის (არა უგვიანეს XVI საუკუნისა) ერთ სომხურ ქრონიკაშიც არის შემდეგი ცნობა: „პღვ“ (1444) წელს ჯაჰანშამ ახალციხე დაატყვევა“<sup>241</sup>.

ამრიგად, ქართული წყაროების ცნობა ჯაჰანშაჰის მიერ 1444 წელს სამცხის დარბევის შესახებ სინამდვილეს შეეფერება და დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას, რომ 1440 და 1444 წლებში ყარა-ყოიუნლუს თურქმენები საქართველოს ორგზის დაესხნენ თავს.

70. აღსანიშნავია, რომ 1432—1447 წლებში თბილისში გადაწერილი ექვსი სომხური ხელნაწერია მოხსენიებული<sup>242</sup>, მათგან როდესაც 1432 წლამდე XV ს-ის არც ერთი აქაური სომხური ხელნა-

<sup>239</sup> იქვე, გვ. 38; იხ. აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგის შესავალი წერილი თომა მეწოფეცის ქართული გამოცემისადმი — თომა მეწოფელი, გვ. 13—14. შტრ. დ. გ ვ რ ბ ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 134.

<sup>240</sup> იხ. აგრეთვე ჰიშატაკარანი № 82, კომენტარი 65; შანირ ძამანსაკაფიოი-ქიონსნი I, გვ. 119, II, გვ. 514.

<sup>241</sup> შანირ ძამანსაკაფიოიქიონსნი II გვ. 515.

<sup>242</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანები № 50, 56, 57, 60, 77, 80. ხელნაწერების სიუხვე დროის ამ მოწინავეთიდან შემთხვევითი რომ არ არის, ამას ადასტურებს ის, რომ XV ს-ის მეორე ნახევარშიც (1452—1488 წწ). თბილისში გადაწერილი ბევრი, სახელდობრ, ცხრა ხელნაწერი იხსენიება (იხ. აქვე, ჰიშატაკარანები № 83, 84, 86, 91, 94, 104, 108, 123, 125), რომელთაგან ხუთი 1452—1463 წლებშია გადაწერილი.



წერი არაა ცნობილი. სხვა მონაცემებთან ერთად, ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ XV ს-ის მეორე მეოთხედში საქართველოს სამეფო ხელისუფლების თანხმობით თბილისში მოსულა და დამკვიდრებულა სომხური მოსახლეობის მოზრდილი ნაკადი<sup>243</sup>. ისევე როგორც წინა ხანებში, თბილისში სომხები XIV საუკუნეშიც ცხოვრობდნენ (მოხსენიებულია აქ გადაწერილი ამ საუკუნის ორი სომხური ზელნაწერი<sup>244</sup>), მაგრამ XV საუკუნესთან შედარებით მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები ჩანს; თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად თბილისში სომეხთა ჩაოდენობა შესამჩნევად უნდა შემცირებულყო და, როგორც ეტყობა, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინების მიზნით ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა მათი ახალი ჯგუფების დასახლება ქალაქში.

71. „ფაბატკარან“ თბილისის მეორე სახელად სომხური მწერლობის ძეგლებში დადასტურებულია X—XIX სს. მანძილზე<sup>245</sup>.

72. საქართველოს მეფის, გიორგი VIII-ის ბაგრატიუნად მოხსენიება მიუთითებს იმაზე, რომ სომეხთა შორის ამ დროსაც არსებობს აზრი მათი ყოფილი მეფეების, ბაგრატიუნებისა და ბაგრატიონების საერთო წარმომავლობის შესახებ. როგორც ჩანს, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შექმნილ ვითარებაში, როდესაც საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ, თავისი მეფე არ ჰყავთ, სომხური მოსახლეობა, მისი ერთი ნაწილი მაინც, მომზრდა საქართველოს მეფის მიერ სომხეთის დაკავებისა; მათ სურთ ძლიერი იყოს ქართველთა მეფე, რათა მან შეძლოს გაუმკლავდეს საერთო, „ქრისტეს ჯვრის შტრებს“.

73. მაჰმადიანურ ქვეყნებში რაისი ქალაქის თავს ერქვა<sup>246</sup>. სომხეთში რაისს ან რესს ეძახდნენ სოფლის მამასახლისს, ტანუტერს<sup>247</sup>.

74. როგორც ჩანს, XV ს-ის 30—40-იანი წლების მიჯნაზე გრიგორ ანგელაკუთეცი და მისი ოჯახი ჯავახეთში ცხოვრობდა. შემდეგ გრიგორი კიკეთში გადმოსულა საცხოვრებლად. აქ 1459 წლისათვის მის გარდა სხვა სომხებიც ყოფილან; შესაძლოა, ისინიც ახალმოსულებია, რადგან კიკეთში ამ ხანებში უკუერთხევიათ ეკლესია. გრიგორი და მისიანები არც ჯავახეთის მკვიდრები იყვნენ, ისინი აქ მოსულ-

<sup>243</sup> იხ. აგრეთვე ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

<sup>244</sup> იხ. აქვე, პიმატაკარანები № 1, 22.

<sup>245</sup> იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ძალისი-თბილისი-ფაბატკარანი, წიგნში: „თბილისი 1500“, თბ., 1958, გვ. 34—36.

<sup>246</sup> ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 144.

<sup>247</sup> XV საუკუნის პიმატაკარანები, II, გვ. LXXXIX—XC; მ. შ ა | ს ა ხ ა ნ ე. ჯაქსრქნ ქოვთაირისქან რაოთარის, IV, გვ. 157, 162.

ლან სიუნიქში მდებარე<sup>248</sup> სოფელ ანგელაკოთიდან ანუ ანგელაკუ-თიდან.

75. თარიღი აღნიშნულია ქართული წეთლარიცხვით (150+1312=1462), რაც მეტყველებს თბილისელ სომეხებზე ქართული გარემოს ზემოქმედების შესახებ.

76. აშკარაა, იგულისხმება გლდანი. ამის მიხედვით დაბეჭითებით ვერ ვიტყვი, რომ „გლგანი“ გლდანის ადრინდელი სახელი იყო. 1579 წლის სევეტიცხოვლისათვის ალექსანდრე II-ის მიერ მამულების მფლობელობის განახლების წიგნში გლდანი ამავე სახელით უკვე მოხსენიებულია<sup>249</sup>. „გლგანი“ გამომცემელს კითხვის ნიშნით აქვს დაბეჭდილი და საძიებელშიც არ გააქვს. შესაძლოა, ხელნაწერი ცუდად იკითხება და რადგან სომეხური „გ“ და „ღ“ ერთმანეთს გავს („გ“-ს თავი თუ გაეხსნა, „ღ“-ს მივიღებთ). ამის გამო გამომცემაში „გლგანი“. იქნებ სახარების გადამწერის, თბილისში მოღვაწე დავითის უნებლიე შეცდომის შედეგია გლდანის გლგანად მოხსენიება. როგორც არ აუნდა იყოს, თვით შესიტყვება „პავ-ქალის გლგანი“ საყურადღებოა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტოპონიმი გლდანი მიეკუთვნება ფართოდ გავრცელებულ იმ ტიპის ტოპონიმთა რიცხვს, როგორცაა, მაგ., მერე, გომი, გორი//გორა, ბაკი, ჩიხა... მაგრამ სხვაგან ასეთი ტოპონიმი არ ჩანს და პირადად ჩვენთვის არც მისი ეტიმოლოგიაა ცნობილი. როგორც ეტყობა, გლდანი მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ავჭალასთან, ავჭალელებს იქ საძოვრები ჰქონიათ.

77. ამ ცნობასთან დაკავშირებით „სომეხი ხალხის ისტორიის“ მრავალტომეულის მეოთხე წიგნში აკად. ლ. ზაჩიკიანი წერს: „შემონახულია 1462 წ. ერთი საყურადღებო ცნობა თურქ ცხენოსან ავაზაკებსა და სომეხ მეომრებს შორის შეტაკების შესახებ. ათასკაციანმა თურქ მეომართა ჯგუფმა დაიბანაჯა თბილისის მახლობლად და გაიტაცა ავჭალის ნახარი. სომეხ მოქალაქეთაგან 200 „ქარგი კაბუჯი“, არ იცოდნენ რა მტრის რაოდენობის შესახებ, გამოვიდა მათ წინააღმდეგ, თავიანთი ქონების დასაბრუნებლად“<sup>250</sup>. ჯერ ერთი, ჰიშატაკარანიდან არ ირკვევა, რომ გატაცებული ნახარი თბილისელებისა იყო, იგი უფრო ავჭალელებისა ჩანს. ამ დროს მეფე გიორგი VIII და მისი მხედრობა თბილისში არ იმყოფებოდნენ, ვახუშ-

<sup>248</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, II, ადგილთა საძიებელი, გვ. 589; **ქ. ჯა-ლიქანი, ჯაყსთოანსი აყსომასკან აქსარჩიოფიციქონი**. გვ. 391.

<sup>249</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 200.

<sup>250</sup> ჯაყ ძიოიქიქი აყსომაციქონი, IV, გვ. 76—77.

ტის ცნობით, ისინი იმერეთის განმდგარ ერისთავს ებრძოდნენ<sup>251</sup>. ბუნებრივია, სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელს თბილისის მიდამოებში მოთარეშე მტრისათვის ქალაქელთაგან შემდგარი რაზმი დაედევნებინა. მეორეც, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ თვლის ლ. ხაჩიკიანი, რომ თბილისელთა რაზმი მთლიანად სომხებისაგან შედგებოდა. ჰიშატაკარანში ეს ნათქვამი არ არის და, ვფიქრობთ, საერთოდაც არსაიდან არა ჩანს, რომ იმ დროს თბილისის მოსახლეობა მხოლოდ სომხური იყო. როგორც აღვნიშნეთ, ამავე ჰიშატაკარანიდან ირკვევა, რომ თვით ხელნაწერის გადამწერი, სასულიერო პირი, ხუცესი დავითი ქართულ გავლენას განიცდის, კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა ეს გავლენა სომეხ საერო პირებზე, ამის მიზეზი კი გაუგებარი დარჩებოდა, თუ თბილისში მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამდროინდელი თბილისელი სომხები აქ ძირითადად XV ს-ის მეორე მეოთხედში დასახლდნენ<sup>252</sup>. არ არის მოსალოდნელი, რომ ალექსანდრე I-ს სამეფოს დედაქალაქი მთლიანად სომხებით დაესახლებინა—როდესაც XV ს-ის 30-იან წლებში, ლორეში ბეშქენ ორბელიანის დამკვიდრების შემდეგ ამ მხარეს მრავალმა სომეხმა მოაშურა, მეფე ალექსანდრეს და სხვა ქართველ ხელისუფალთ სომხების ასე დიდი რაოდენობით ლორეში თავმოყრა და დამკვიდრება „საქართველოსთვის საზიანოდა და სახიფათოდ მიუჩნევიათ და, როგორც ეტყობა, ამ მოვლენისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ კიდევ“<sup>253</sup>. ამის შემდეგად, სომეხთა შორის ხმა გავრცელებულა, რომ ბეშქენის მოწამვლაში ალექსანდრე მეფისა და ქართველ დიდებულთა ხელი ერია<sup>254</sup>.

78. ვახუშტის ცნობით, სამცხის ორჯული ათაბაგის წინააღმდეგ გიორგი VIII-ის ლაქრობის დროს „ასანბეგ წარმოავლინა სპანი და სპასპეტნი ქართლსა ზედა“. გაიგო რა ეს ამბავი, „მეფე უკმოიქცა სამცხიდან და ეწყო მათ ძლიერად: არამედ იძლია მეფე გიორგი მათგან ცოდვათა ჩუენათთვის და მოსწყდნენ უმრავლესნი სპანი მისნი ქსა ჩუჲგ, ქართულსა რნი“ (1463 წ.)<sup>255</sup>. 1461 ან 1462 წელს უზუნ ჰასანის სამცხეში მოსვლას და გიორგი მეფის წინააღმდეგ ათაბაგისათვის მიშველებას გვაუწყებენ სხვა ქართული წყაროე-

<sup>251</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 285; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 74—83.

<sup>252</sup> იხ. აქვე, კომენტარი 70.

<sup>253</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 32.

<sup>254</sup> თომა მეწოდელი, გვ. 24—25; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, IV, გვ. 32.

<sup>255</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 286, იხ. აგრეთვე გვ. 704.

ბოც<sup>256</sup>. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, რადგან 1463 წლიდან 1477 წლამდე ქართულ და უცხოურ წყაროებში „უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა არსად იხსენიება, 1473—74 წელს კი, როგორც ამბროსი კონტარინის მოგზაურობის აღწერილობა ამტკიცებს, უზუნ-ჰასანს სომხთი სჭერია და ლორის ციხე და ველიც სპარსეთის საბრძანებელს ჰკუთვნებია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ უზუნ-ჰასანი ვითომცდა ყუარყუარეს მისაშველებლად მართლაც უნდა შემოსულიყოს საქართველოში და სწორედ ამ დროითგან მოყოლებული ლორის ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩაეყენებინოს და ლორის მთელი ველიც თავის საბრძანებლად გაეხადოს“<sup>257</sup>.

ადვილი შესაძლებელია, რომ ქართველებს ლორე ჯერ კიდევ 1440 წელს, ჯაჰანშაჰის შემოსევის დროს დაეკარგათ. 1458 წელს პალატის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის ჰიშატაკარანიდან თითქოს ჩანს, რომ ამ დროს ლორეს „ქვეყანა“ საქართველოს სამეფოში შედიოდა. ხელნაწერის გადაწერ კოპანესის სიტყვით. მას წერა დაუსრულებია „სომხური წელთაღრიცხვის „ჟმ“-ს (1458), მეფეთა საჯდომ ქალაქ ვალარშაპატში უფალ გრიგორის მამამთავრობისას... სისხლისმშელი მხეცის, ჯაჰანშაჰ თურქმენის სომეხთა 'სახლზე ბატონობის დროს, ღვთივდაცულ ლორეს გავარში“<sup>258</sup>... ამდროინდელი თვით სომეხი ავტორებიც ლორეს „სომეხთა სახლის“ ნაწილად არ თვლიან, იგი მათთვის „უცხო ქვეყანაა“<sup>259</sup>, ე. ი. საქართველოა. ლორეს „ღვთივდაცულობაც“, ალბათ, იმაზე მიუთითებს. რომ იქ „სისხლისმშელი მხეცის“, ჯაჰანშაჰის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა, ეს მხარე საქართველოს ეკუთვნოდა. ჰიშატაკარანიში ქართველთა მეფის მოუხსენებლობა, მართალია, დამაფიქრებელია, მაგრამ აქედან გამომდინარე დაბეჭდვით იმის თქმა არ შეიძლება, რომ ლორე 1458 წელს საქართველოს არ ეკუთვნოდა.

<sup>256</sup> იხ. ქრონიკები, II, გვ. 281; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა. შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჟ. ოღოშვილმა, თბ., 1968, გვ. 27, 37; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 478; Chronique Georgienne, ქართული ტექსტი, გვ. 2.

<sup>257</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 83—84 (ხაზგასმა ავტორისა); შტრ. მცირე ქრონიკები, კომენტარი 31, 33, გვ. 98—99.

<sup>258</sup> XV ს-ის ჰიშატაკარანები, II, გვ. 98.

<sup>259</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 58.

გიორგი VIII-ის მოუხსენებლობა, იქნებ, მისი ხელისუფლების სისუსტემატ განაპირობა.

როგორც ჩანს, უზუნ ჰასანს საქართველოში 1466/7 და 1472/73 წლებშიც ულაშქრია<sup>260</sup> და თუ ლორე საქართველოს ეკუთვნოდა, იგი ამ ლაშქრობების დროსაც შეიძლებოდა მიეტაცებინა მტერს. მაშასადამე, აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსადმი ლორეს კუთვნილება 1473—74 წლებისათვის ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ უზუნ ჰასანს საქართველოში 1462 წელსაც ულაშქრია. ამ ლაშქრობის შესახებ ქართული წყაროების ცნობებს, შესაძლოა, მხარს უჭერდეს თბილისში 1462 წელს გადაწერილი სახარების ჰიმატაკა-რანის ცნობა თბილისის სანახებში ათასკაციანი თურქთა რაზმის თარეშის შესახებ. იქნებ, ეს თურქები საქართველოში შემოჭრილი უზუნ ჰასანის ლაშქრის ნაწილია. ყოველ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია ისინი აყ-ყოიუნლუს თურქმენები იყვნენ და თუ ამ დროს უზუნ ჰასანი საქართველოში არ ყოფილა, ეგების ამ ათასკაციანი რაზმის მოქმედება დაედო საფუძვლად ქართული წყაროების ცნობებს აყ-ყოიუნლუს ფადიშაჰის მოსვლის შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ თურქთა თბილისის სანახებში თარეში, შესაძლოა, მართლაც გამიზნული იყო იმისათვის, რომ გიორგი VIII-ს ყურადღება აქეთკენ გადმოეტანა და ორგული ქვეშევრდომებისათვის დროებით მაინც თავი მიენებებინა.

79. სომხურ ტექსტში არის „დეფალ“, რაც ქართული „დედოფალ“-იდან მომდინარეობს.

80. ამ მინაწერის მიხედვით, ბაგრატ VI 1465 წელს უკვე საქართველოს მეფეა. ბაგრატის ერთი ინდიქტიონიანი სიგლითაც ირკვევა, რომ იგი 1465 წელს გამეფდა<sup>261</sup>. სომხურ მინაწერში გიორგი VIII-ის შეპყრობაც თითქოს 1465 წლითაა დათარიღებული, მაგრამ ეს ცნობა მომდევნო ცნობასთან რომ შევთანხმდეთ, უნდა მივიღოთ, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მომხდარ ამბებს გულისხმობს ავტორი და არა მაინცდამაინც 1465 წლისას. მაშასადამე, გიორგი მეფე სამცხის ათაბაგს შეუპყრია 1464<sup>262</sup> და არა

<sup>260</sup> И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; რ. კ ი კ ნ ა-ძ ე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1964, გვ. 118, 122.

<sup>261</sup> იხ. ივ. ჭ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 95.

<sup>262</sup> იხ. ავრეთე ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), წიგნში: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 82, შენ. 44.

მომდევნო წლებში, როგორც ეს ზოგიერთ ქართულ წყაროშია აღნიშნული<sup>263</sup>.

უსაფუძვლო არ უნდა იყოს მინაწერის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი VIII-ის შემდეგ ცოტა ხანს უმეფია მის ძმისწულს კონსტანტინეს, რომელიც მოგვიანებით ხანგრძლივად მეფობდა ქართლში. ალბათ, ამითაა გამოწვეული, რომ იგი საბუთებში მეფეს უწოდებს თავს ჯერ კიდევ ბაგრატის მეფობის დროს<sup>264</sup>. თვით ბაგრატ VI 1468 წლის სიგელში, რომელიც კონსტანტინეს სახელითაცაა „გაცემული, მას ძმად და „პატრონად“ იხსენიებს<sup>265</sup>. 1472 წ. ერთი მინაწერი თ. ჟორდანიამ ასე წაიკითხა: „აქა [ქართ]ლი [დაიქირა] ბაგ[რატ მეფემ და კე] გარდ[აადლო]“<sup>266</sup>. ამ ცნობაში ასახული უნდა იყოს შედარებით ადრინდელი ამბავი და უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ გიორგი VIII-ის შემდეგ ძალაუფლება კონსტანტინეს ეკუთვნოდა. ვახუშტიც გვამცნობს, რომ „შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე“<sup>267</sup>, თუმცა აქ მას ბევრი რამ არეული აქვს.

1466 წლის ჭავჭავიძეებისადმი კონსტანტინე მეფის წყალობის სიგელში ნათქვამია: „მას ჟამს, ოდის ღმრთისა გარეჯანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა, ღმერთმან მოგუარჩინა, წამოუველთ და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით, გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იქიცა დიდი გუმსახურეთ“<sup>268</sup>. ივ. ჭავჭავიძე ილი ამ ცნობას ისე განმარტავს, რომ ათაბაგის შიშით კონსტანტინეს გორის ციხეშიც აღარ ედგომებოდა და ამის გამო მიაშურა მან ქუთაისს. „რაკი ქუთაისი და დასავლეთი საქართველო

<sup>263</sup> იხ. მტკრე ქრონიკები, გვ. 27, 37, კომენტარი 34 (გვ. 100); ივ. ჭავჭავიძე, ქართული ერის ისტორია, IV, გვ. 87—88, 94.

<sup>264</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 134; ქ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

<sup>265</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 137.

<sup>266</sup> ქრონიკები, II, გვ. 290.

<sup>267</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 383. აღსანიშნავია ისიც, რომ 1471 წ. 12 აპრილით დათარიღებულ წერილში უნგრეთის ღესპანი ვენეციიდან იტყობინებოდა იქ საქართველოს მეფის კონსტანტინეს ელჩობის ჩასვლის შესახებ (იხ. ე. შამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში, მაინე, ისტორიის სურია, 1971, № 3, გვ. 78; L. Tard y. Les problemes interieurs de la Georgie du XVI<sup>e</sup> siècle. Bedi Kartlisa. XXXIII (1975). გვ. 193).

<sup>268</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 134.

ზაგრატ მეფეს ექირა, გასაოცარია, რომ კონსტანტინემ ქუთაისის ციხეში შესვლა მოახერხა. საფიქრებელია, რომ ეს უნდა იმ დროს მომხდარიყო, როდესაც ზაგრატ მეფე ქართლის დასაპყრობად იყო აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსული“-ო, დასძენს გამოჩენილი მეცნიერი<sup>269</sup>.

რადგან საბუთი საქართველოში ზაგრატის მეფობის დროსაა გაცემული და მაშინ კონსტანტინე ემორჩილებოდა მას, შესაძლოა, სიგელში ზოგი რამ განგებაა გაბუნდოვნებული. ზემოთ მოტანილი მასალების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სიგელის ცნობა შეიძლება გავიგოთ ისე, რომ გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ კონსტანტინეს განუზრახავს ტახტზე ასვლა, გადაუწყვეტია დაემორჩილებინა დასავლეთ საქართველოც და დროებით ქუთაისის ციხის დაკავებაც მოუხერხებია.

81. ამ ჰიშატაკარანის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „განძაყის (განძის) ქვეყანაში“ მდებარე გარნაკერის მონასტერი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. მაგრამ იმავე მხატვარ აზარიას მიერ 1468 წელს შემკობილი სახარების ჰიშატაკარანიდან ჩანს, რომ მონასტერი ჯაპანშაპისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა<sup>270</sup>. აზარია ქართველი მეფის ძლიერებასა და ძლევამოსილებას ნატრობს იმიტომ, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სომხებს სურთ კავკასიაში გადარჩენილ ერთადერთ ქრისტიანულ სამეფოს აღმოაჩნდეს ძალა ებრძოლოს საერთო მტრებს. გარდა ამისა, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, XV საუკუნეში საქართველოს მრავალრიცხოვანმა სომხობამ მოაშურა. ჩვენში მოსულან და დამკვიდრებულან განძელი სომხებიც<sup>271</sup>. შესაძლოა, ამანაც განაპირობა გარნაკერის მონასტერში მოღვაწე მხატვრის, აზარიას კეთილგანწყობილება საქართველოსა და მისი მეფის მიმართ. მეზობელ სომხურ პროვინციებში ასეთი განწყობილების არსებობა კი ადვილებდა საქართველოსთან მათ შემოერთებას, როდესაც საამისოდ ოდნავ მაინც ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა.

82. როგორც ჩანს, იგულისხმება ქარელის რაიონში, დასავლეთ ფრონეს ხეობაში მდებარე სოფელი ბრეძა. არ არის მოსალოდნელი, XV ს-ის მეორე ნახევარში მას ბრეწა რქმეოდა; ვახუშტი სოფ. ბრეძის გარდა იქვე იხსენიებს მდ. ბრეძის-წყალსაც<sup>272</sup>, რაც ტოპო-

<sup>269</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 88.

<sup>270</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 100.

<sup>271</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 54, კომენტარი 51.

<sup>272</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 375.

ნიმ „ბრეძას“ სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. ძ და წ-ს მონაცვლეობის შემთხვევები იშვიათად ძველ სომხურშიც გვხვდება, მაგ., ჰნძან-ის (საწნახელი) მაგიერ—ჰნწან<sup>273</sup>, ხოლო საშუალო სომხურში იგი ხშირია; ასე მაგ., მხარგრძელი > მხარგრწელი // ხარკრწელი, ან-დარძ > ანდარწ, წინამძღვარ > წინამწლორ და სხვა<sup>274</sup>.

83. ჰოვანის ბერი, ვარდან და ებეგიელ მღვდლები ბრეძელები უნდა იყვნენ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრეძაში სომხები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ იმ დროს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, მოხსენიებული პირები თავად იყვნენ ბრეძაში შეხიზნულები და არა მათი წინაპრები; ასეთ შემთხვევაში ბრეძაში სომეხთა სიმრავლეზე ლაპარაკი დაბეჭითებით აღარ შეიძლება. როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, XV საუკუნეში საქართველოს მრავალრიცხოვანმა სომეხობამ მოაშურა. ბრეძაში სომეხთა ახალმოსულობაზე უნდა მეტყველებდეს შემდეგი: თუ ბერი ჰოვანისი იქ ახალი დამკვიდრებული არაა, მაშინ საფიქრებელია, რომ ამ სოფელში სხვა სომეხი ბერებიც იყვნენ, არსებობდა სომხური მონასტერი; ასეთ შემთხვევაში ბრეძელ სომეხებს აღარ დასჭირდებოდათ, რომ მათთვის სახარება გორელ თანამემამულეს ეჩუქებინა, მას ადგილზევე დაამზადებდნენ.

84. ფიქრობთ, ჰიშატაკარანიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დროისათვის სამცხეში არსებობდა პირველი ექიმის, „მთავარი ექიმის“ თანამდებობა და ის ხოჯა ევაჩის (ეაჩეს) სკერია. სხვანაირად ძნელია გავიგოთ ევაჩის მიმართ ნახმარი გამოთქმები: „სახელდებულია სამცხის მკურნალად“, „ღვთის განგებით სამცხის ქვეყნის მკურნალია“; ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე, რომ კარაბადინის გადაშწერი ჰაკობი ს ხ ვ ა მ კ უ რ ნ ა ლ თ და საერთოდ შკითხველებს თხოვს ილოცონ ევაჩისა და მისი ვაჟის სიცოცხლისათვის. ფიქრობენ, რომ ევაჩი წიგნის მომგებელი უნდა ყოფილიყო<sup>275</sup>. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ხელნაწერის გადამწერი ამის გამო შესთხოვს მკითხველებს ევაჩისა და მისი ვაჟისათვის ლოცვას. მაგრამ, ფიქრობთ, ევაჩი წიგნის მომგებელი რომ იყოს, მოსალოდნელია, რომ ჯერ ერთი, ჰიშატაკარანში ეს გარკვევით იქნებოდა აღნიშნული, მეორეც, გადამწერი ჰაკობი მოიხსენიებდა მისი ოჯახის სხვა წევრებსა და

<sup>273</sup> ი. შ ი ლ ა კ ა ძ ე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975, გვ. 100.

<sup>274</sup> მ. მ კ ა ყ ა ნ. Վիճակն արժանագրությունների հնչյունաբանություն. ს., 1973, გვ. 250—254. 272—275.

<sup>275</sup> Л. А. Оганесян, История медицины в Армении, III, Ереван, 1946, გვ. 95; XV საუკუნის ჰიშატაკარანები, II, პირთა საძიებლო, გვ. 350.



მახლობლებსაც, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. გარდა ამისა, არ ჩანს, რომ ევაჩს ხელნაწერი შეეწიროს მონასტრისათვის, ის თუ მომგებელი არის ხელნაწერისა, მას თავისი საჭიროებისათვის შეიძენდა; ამ შემთხვევაში კი, პიშატაკარანში სხვა მკურნალთ და საერთოდ მკითხველებს აღარ თხოვდნენ ევაჩისა და მისი ვაჟის სიცოცხლისათვის ელოცათ, რადგან არ არის მოსალოდნელი, რომ ევაჩისა და მისი შვილის სიცოცხლეში ხელნაწერით ასე საყოველთაოდ ესარგებლათ გარეშე პირებს. ასე რომ, უფრო ბუნებრივია დავუშვათ, ევაჩის „მთავარი ექიმობის“ გამო ითხოვს პაკობი მისი დღეგრძელობისათვის ლოცვას. რაც შეეხება იმას, რომ ევაჩის ვაჟის მურადბახშისათვისაც უნდა ეთხოვათ ღვთისგან სიცოცხლე, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ მურადბახშიც ექიმი უნდა ყოფილიყო, ანდა მას ამზადებდნენ, ზრდიდნენ მკურნალად.

როგორც ეტყობა, შემთხვევითი არ უნდა იყოს ევაჩის ხოჯას ტიტულით მოხსენიება. XIII ს-ის დასაწყისში, „წიგნი სააქიმოა“-ის ანდერძში ამ წიგნის მთარგმნელიც „ხოჯა ყოფილად“ იწოდება; რადგან ამ ხელნაწერის ანდერძი ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია, მოვიტანთ მას აქ მთლიანად: „ესე წიგნი სააქიმოა, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონმან ჭყონდიდელმან, მისმან მწიგნობართ-უხუცესობამან, პროტოაუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება მოზავემან და საღმრთოთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და კელის-მპყრობელმან უღონოთა ქურივთამან, ქართულად მთარგმანინა მე, მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“<sup>276</sup>.

ცხადია, ხოჯა მთარგმნელის აღრინდელი სახელი არაა, რადგან ამ შემთხვევაში იგი თავის ახალ სახელსაც დაასახელებდა. იმ დროს ჩვენში ასეთი სახელის არსებობა არც არის სავარაუდო. მოსალოდნელია, რომ წიგნის მთარგმნელი თავის ყოფილ თანამდებობაზე მიგვიბრუნებდეს; თანამდებობა კი, მას მკურნალობის დარგში უნდა სჭეროდა, რადგან „წიგნი სააქიმოა“ მთარგმნელი უდავოდ ექიმი იყო<sup>277</sup>. მწიგნობართუხუცესი უბრალო პიროვნებას არ დაავალებდა მნიშვნელოვანი წიგნის თარგმნას; აღსანიშნავია ისიც, რომ მთარგმნელი „ხოჯა ყოფილობას“ ხაზგასმით აღნიშნავს, მაშინ როდესაც

<sup>276</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, ნაკვეთი 1—4, ტფ., 1904, გვ. 641.

<sup>277</sup> წიგნი სააქიმოა, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, ტფ., 1936, გვ. XXV; მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970, გვ. 130.

თავის სახელსაც არ გვაძენობს; ეს ყველაფერი უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი ადრე დიდი თანამდებობის ექიმი იყო.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „წიგნი სააქიმოდ“ გელათის აკადემიაში თერაპიის ანუ „აქიმობის“ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა<sup>278</sup>. შესაძლოა, ამ წიგნის თარგმნის დროს გელათში მოღვაწეობდა, მასწავლებლობდა „ხოჯა ყოფილიც“. გელათის მონასტერი ხომ სამეფო იყო და მწიგნობართუხუცესთან მკიდროდ დაკავშირებული.

სიტყვა „ხოჯა“ ქართულში სპარსულიდანაა შემოსული. აღსანიშნავია, რომ ი. იაგელოს ლექსიკონში პირველ რიგში ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობებია დასახელებული: კეთილშობილი ადამიანი, დიდვაჟარი, ექიმი, პროფესორი, მასწავლებელი<sup>279</sup>...

ამგვარად, როგორც ჩანს, XII—XV საუკუნეებში დიდი თანამდებობის ექიმს, კერძოდ, „მთავარ ექიმს“ საქართველოში ხოჯას ეძახდნენ.

85. 1475 წლის 30 სექტემბერს თბილისში ჩამოსული ა. კონტარინიც აღნიშნავს, რომ ერთი წელია ქალაქში შავი ჭირი ყოფილა მოდებული<sup>280</sup>. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე თბილისი და ალბათ საქართველოს სხვა მხარეებიც ძლიერ დაზარალდებოდნენ. ესეც იქნებოდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მომდევნო წელს აყ-ყოფიულუს ფადიშაჰმა უზუნ ჰასანმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა თბილისი.

86. წლის დასაწყისად, ეტყობა, იგულისხმება 11 აგვისტო, რადგან მზე ღრინაკალის თანავარსკვლავედში ოქტომბერშია<sup>281</sup>. ბასიანში მდებარე სოფ. ვეგპატში გადაწერილი ხელნაწერის 1477 წლის პრეფატაკარანშიც ნათქვამია, რომ უზუნ ჰასანმა საქართველოში სალაშქროდ ჯარი შეკრიბა 1476 წ. სექტემბერში<sup>282</sup>. რადგან იტალიელი ელჩები ბარბარო და ანჯოლელო აყ-ყოფიულუს ფადიშაჰის მიერ საქართველოს დაპყრობასა და თბილისის დაკავებას 1477 წელს

<sup>278</sup> მ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 125—126.

<sup>279</sup> И. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1910, გვ. 598.

<sup>280</sup> Travels to Tana and Persia, by Barbaro and Contarini, წიგნი: A Narrative of Italian Travels in Persia in the 15-th and 16 th Centuries, London, 1873, გვ. 143; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 172.

<sup>281</sup> იხ. ეტლთა და შვდთა მნათობთათეს, გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1975, გვ. 7; ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1966, გვ. 282—283 (სიტყვა ზოდიაქოსთან).

<sup>282</sup> იხ. აქვე, პრეფატაკარანი № 111.

აღნიშნავენ, ამიტომ ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ „ქართულ წყაროებში მოყვანილი თარიღი 1476 წ. მცდარია“<sup>283</sup>. ზემოთ დასახელებულთა გარდა, კიდევ ორ ჰიშატაკარანშია აღნიშნული 1476 წელს უზუნ ჰასანის თავდასხმა საქართველოზე<sup>284</sup>.

ერთი სომხური ქრონიკის ცნობით, რომლის შემდგენელი XVI ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე უნდა იყოს, უზუნ ჰასანს საქართველოში ულაშქრია როგორც 1476, ასევე 1477 წელსაც<sup>285</sup>. 1477 წლის ლაშქრობა ზოგიერთ ჰიშატაკარანშიცაა მოხსენიებული<sup>286</sup>. ასეთ ვითარებაში, ქრონიკის მოტანილ ცნობას 1476—1477 წლებში ორი ლაშქრობის შესახებ, ეტყობა, ანგარიში უნდა გაეწიოს. საინტერესოა, რომ იმავე ქრონიკის ავტორის სიტყვით, 1477 წ. ლაშქრობის დროს უზუნ ჰასანი „დაიჭრა წმ. გიორგისაგან, მოვიდა და მოკვდა“<sup>287</sup>. არ არის სავარაუდო, რომ აყ-ყოთენლუს მბრძანებელი ბრძოლაში დაიჭრა, უფრო მოსალოდნელია, რომ მას საქართველოში რაიმე სენი შეეყარა. 1478 წლის ჰიშატაკარანის ცნობით. უზუნ ჰასანი „უბოროტესი სიკვდილით მოკვდა, როგორც შეჩვენებული ყრმათა მკვლელი იროდი“<sup>288</sup>. თუ ამ პარალელის გავლება საფუძვლიანია და არა შემთხვევითი, მაშინ ფადიშაჰს რაღაც მძიმე სენი შეყრია. XV—XVI საუკუნეთა ისტორიკოსი ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანიც გადმოგვცემს, რომ 881 (1476/7) წელს საქართველოში ლაშქრობის შემდეგ უზუნ ჰასანი შეუძლოდ შეიქნა და მალე გარდაიცვალა (1478 წ. 5 იანვარს)<sup>289</sup>.

87. აყ-ყოთენლუს თურქმენთა ჯარის რაოდენობა სინამდვილეში გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო<sup>290</sup>.

88. მსგავსი ცნობა დღემდე ცნობილ არც ერთ წყაროში არ

---

<sup>283</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 117; იხ. აგრეთვე მცირე ქრონიკები, კომენტარი 38, გვ. 101.

<sup>284</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანები № 109, 113; იხ. აგრეთვე რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 122, შენ. 48.

<sup>285</sup> შანერ ძაქინსაქაფიოქიონსერი, I, გვ. 140, 143.

<sup>286</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 112, 115.

<sup>287</sup> შანერ ძაქინსაქაფიოქიონსერი, I, გვ. 143.

<sup>288</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანი № 116.

<sup>289</sup> იხ. რ. კიკნაძე, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე ალამ-არაიე ამინი“, კავკასიურ-აზლოადმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 282.

<sup>290</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 117; რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 118.

გვხვდება; იგი მრავალმხრივ საყურადღებოა. უზუნ ჰასანმა საქართველო იოლად დაიმორჩილა, რაც მკვლევართ სამართლიანად უკვირდათ, რადგან იმ დროს ჩვენი ქვეყნისათვის არც თუ ისე მრავალრიცხოვანი მომხდური მტრის გამკლავება შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო. მტრისათვის წინააღმდეგობის გაუწველობას მისი მოულოდნელი თავდასხმით, ბრძოლისათვის ქართველების მოუმზადებლობით ხსნიდნენ. როგორც ეტყობა, უზუნ ჰასანმა მარჯვედ შეაჩია დრო საქართველოზე თავდასხმისათვის, ისარგებლა ბაგრატიონსა და მისი მხედრობის დაღესტანში ყოფნით. როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია, რომ 1476—77 წლებში უზუნ ჰასანს ორჯერ ელაწეჭა საქართველოში. ალბათ, დაღესტნიდან დაბრუნებული ბაგრატი არ აპირებდა მას დამორჩილებოდა და ამან გამოიწვია 1477 წლის ლაშქრობა.

მაშინ როდესაც საქართველოს სამეფოს საშინაო და სავარეო მდგომარეობა მტკიცე არ ჩანს. ბაგრატ VI-ის ლაშქრობა დაღესტანში „ჩავრის საყრელად“ გამოწვეული იქნებოდა იმით, რომ, როგორც ეტყობა, უკვე XV საუკუნეში საქართველოს მოწინააღმდეგე მაჰმადიანური სახელმწიფოები ახერხებდნენ გამუსლიმანების გზაზე დამდგარ დაღესტნელთა მოსევას საქართველოზე<sup>291</sup>.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი დაღესტნის მხრივ სამტრეო მოქმედებას საქართველოს ხელისუფალნი, რა თქმა უნდა, ადვილად ვერ შეუბრუნებდნენ. დაღესტანზე საქართველოს გავლენის შენარჩუნებისათვის, როგორც ჩანს, უზრუნია ალექსანდრე I-ს<sup>292</sup>. ეტყობა, ამ მიპართულებით მის პოლიტიკას აგრძელებდა მეფე ბაგრატი<sup>293</sup>.

89. ამ დროს გოლგოთაზე ქართველების მიერ სომეხი ბერების შევიწროების შესახებ გვამცნობს იერუსალიმში 1475 წელს გადაწერილი ხელნაწერის 1476 წლის მინაწერი<sup>294</sup>. როგორც ეტყობა, ქართველებსა და სომეხებს შორის გოლგოთასათვის დავა XV ს-ის 30-იანი წლების<sup>295</sup> შემდეგაც გრძელდებოდა<sup>296</sup>. როგორც ჭრის მო-

<sup>291</sup> იხ. აგრეთვე აქვე, კომენტარი 56.

<sup>292</sup> იხ. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 25—27.

<sup>293</sup> შტრ. იქვე, გვ. 25.

<sup>294</sup> იხ. აქვე, პიმატაკარანი № 107, აგრეთვე შანსი ქაძანსასკაფიციონსი, I, გვ. 320; G. Peradze, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

<sup>295</sup> იხ. აქვე, პიმატაკარანი № 64, კომენტარი 63.

<sup>296</sup> იხ. აგრეთვე G. Peradze, დასახ. ნაშრომი, გვ. 218, შენ. 2.

ნასტროს ერთი ალაპიდან (№ 252) ჩანს, გოლგოთასათვის თვით მეფე ბავარტს უზრუნია: „აღუქსანდრეს ძმისწულმ(ა)ნ ბ-გრატ გოლგოთა იშოვად, გუნბადი აღაშენა ქრონიკონსა ას სამოცდა ოთხსა“ (1476 წ.)<sup>297</sup>. ამავე დროს ქართველებს მოუნდომებიათ იერუსალიმის სომეხთა საკათალიკოსო საყდარს, წმ. იაკობის მონასტერსაც დაუფლებოდნენ<sup>298</sup>, რომელიც ადრე მათ ეკუთვნოდათ. ეს მონასტერი ქართველებისაგან სომეხი ბერების ხელთ XII საუკუნეში გადასულა<sup>299</sup>.

საუიქრებელია, რომ ეგვიპტის სულთანთან, აღ-აშრაფ საიუ აღ-დინ კაიტ-ბეისთან (1468—1496) ურთიერთობის დამყარება, მიჩნეი „მოსყიდვა“ ბავარტ VI-ს მხოლოდ გოლგოთაზე და წმ. იაკობის მონასტერზე ქართველთა უფლებების მოპოვებისათვის არ ენდომებოდა (ასე რომ იყოს, მაშინ ძნელი ასახსნელია, თუ დროებით მაინც რატომ ვერ მოახერხეს ქართველებმა წმ. იაკობის მონასტრის დაბრუნება). ამ ხანებში მათ საერთო მტრები ჰყავდათ; თმაღეთი და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო საფრთხეს უქმნიდნენ როგორც საქართველოს, ასევე ეგვიპტესაც<sup>300</sup>. შედარებით უკეთ ჩანს, რომ ეგვიპტის იმავე სულთანთან 1493—94 წლებში ქართლის გეფე კონსტანტინის მიერ გაგზავნილი ელჩობის ძირითადი მიზანი ოსმალთა წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ შეთანხმება უნდა ყოფილიყო<sup>301</sup> და არა იერუსალიმის წმ. ადგილებისათვის ბრძოლა. ამრიგად, XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოს კავშირი ეგვიპტესთან სრულიად ბუნებრივი, დასაშვები ჩანს: გოლგოთაზე ქართველების მიერ უფლებების მოპოვება ამ კავშირის შედეგიც უნდა იყოს და არა მხოლოდ სულთანის „მოსყიდვისა“.

მე. XV ს-ის 30-იან წლებში მარტიროს კათალიკოსის მიერ განაწლებული ტრიფორიუმი. „ახალი გოლგოთა“<sup>302</sup> მალე დაზიანებულია. ღვთისმსახურება შეუძლებელი გამზდარა. ადგილობრივ

<sup>297</sup> ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 102, 170—171.

<sup>298</sup> იბ. ი. ს ხ ე რ - ლ ი | ჩ ა ნ ს ნ ი | ხ ა ნ ნ ი | ხ ა ნ ნ ი დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

<sup>299</sup> A. Sanjian, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

<sup>300</sup> W. Muir, დასახ. ნაშრომი, გვ. 170, 174—178; И. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—175; დ. ჭ ა ნ ე ლ ი ძ ე, ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ქართველი მამულეები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 26—27.

<sup>301</sup> ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—13, 15.

<sup>302</sup> იბ. აქვე. ჰიშატაკარანი № 64.

ხელისუფლებას სომხებისათვის მისი განახლების უფლება არ მიუცია, ვიდრე ამის თაობაზე სულთნის ბრძანება არ მიუღლია<sup>303</sup>.

91. სხვა ჰიშატაკარანების ცნობით, თურქმენებს საქართველოში 1476 წლის ლაშქრობის დროს 32.000 სული დაუტყვევებიათ, ხოლო 48.000 გაუწყვეტიათ<sup>304</sup>. 1477 წლის ერთ ჰიშატაკარანში დასახლებულია 30.000 დატყვევებული და ამდენივე დახოცილი, 1478 წლისაში — 40.000 დატყვევებული<sup>305</sup>, მხოლოდ არ ჩანს, თუ რომელი წლის ლაშქრობის შედეგად მოხდა ეს.

გ. ანჯოლელოს ცნობით, უზუნ ჰასანს საქართველოდან დაახლოებით 5.000 ტყვე წაუყვანია<sup>306</sup>. შესაძლოა, ეს ცნობები ასე მკვეთრად იმიტომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ სხადასხვა ლაშქრობას გულისხმობენ. არც ის არის გამორიცხული, რომ ჰიშატაკარანებში დატყვევებულთა რიცხვი გაზვიადებული იყოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ დამრგვალებული რიცხვი დაესახელებინათ და არა 32.000, როგორც ეს ო რ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა დ გ ი ლ ა ს დაწერილ ჰიშატაკარანშია, ან 36.000. იქნებ, ანჯოლელო განგებ ამცირებს ტყვეთა რაოდენობას, არბილებს უზუნ ჰასანის მიერ ქრისტიანული ქვეყნის აწიოკების, აკლების ამბავს, რამდენადაც აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო შეიძლება ევროპის მოკავშირე გამხდარიყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

92. ზუსტად ასეთი მინაწერი აიხარატის პროვინციის კოტაიქის ოლქში მდებარე არჩაუცის მონასტერში მოღვაწე სტეფანოსს 1477 წელსვე გაუკეთებია სხვა ხელნაწერზეც, ოღონდ იქ საქართველოს ვრასტანის მაგიერ „ვენასტუნ“-ს (დაზარალებული, ვნებული სახელი, ქვეყანა) უწოდებს<sup>307</sup>. „ვენასტან“-ად იხსენიება საქართველო კავკასიის ალბანეთში მდებარე ქთიმის მონასტერში 1477 წელს დაწერილ ჰიშატაკარანშიც<sup>308</sup>. „ვენასტან“//„ვენასტუნ“ „ვრასტან“//„ვრასტუნ“-ის ანალოგიით უნდა გაჩენილიყო. თუ არ ვცდებით, წინარე ხანების სომხურ წყაროებში საქართველოს აღსანიშნავად „ვენასტან“//„ვენასტუნ“ არ გვხვდება. ჩვენი ქვეყნის ასეთი სახელით

<sup>303</sup> II. S h e r - 2 n i q i a n n i x u j a n y დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

<sup>304</sup> იხ. აქვე, ჰიშატაკარანები № 111, 113.

<sup>305</sup> აქვე, ჰიშატაკარანები № 114, 116.

<sup>306</sup> A short Narrative of the Life and Acts of the King Ussun Cassano, by Giovan Maria Angioiello, წიგნში: A Narrative of Italian Travels in Persia in the XV—XVI Centuries, London, 1873, გვ. 97.

<sup>307</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, II, № 529, გვ. 420.

<sup>308</sup> XV საუკუნის ჰიშატაკარანები, III, № 626ბ, გვ. 460.

მოხსენება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ 1476-77 წლებში მსხვერპლი მართლაც დიდი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, საქართველოს ახალი ნათლიები ივალისწინებდნენ იმ უბედურებასაც, რაც იმ ხანებში ჩვენს ქვეყანას შავი ჭირის გავრცელებით დაატყდა თავს<sup>309</sup>.

93. როგორც ჩანს, ბასიანი, ზემო ბასიანი მაინც, რომელშიც მდებარეობდა სოფ. ეგეპატი, 1477 წლისათვის სამცხე-საათაბაგოს შეპაღვენლობაში შედიოდა: ამ ჰიშატაქარანის მიხედვით შეიძლება ისიც ითქვას, რომ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ბაგრატი VI-ის უზენაესობას ცნობდა; ეტყობა, ეს ფორმალური უნდა ყოფილიყო, რადგან ფაქტიურად ყვარყვარე დამოუკიდებელი ხელისუფალი ჩანს<sup>310</sup>.

